
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარინე კაკაჩია
ქეთევან მარგიანი
მარინა ჯღარკავა



დევნილთა მეტყველება

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარინე კაკაჩია ქეთევან მარგიანი
მარინა ჯღარკავა

დევნილთა მეტყველება

(მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის)

თბილისი 2016

წიგნში წარმოდგენილია აფხაზეთიდან დევნილი სხვადასხვა თაობის მეტყველების ნიმუშები, ჩაწერილი და შეკრებილი, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

რედაქტორი: პროფ. **მერაბ ნაჭყებია**

რეცენზენტები: პროფ. **მედეა საღლიანი**
პროფ. **ბიძინა ლემონჯავა**
პროფ. **თამილა ზვიადაძე**
კონსულტანტი: **სოფიკო ბერულავა**

ავტორები მადლობას უხდიან აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს გაწეული მხარდაჭერისათვის.

© მ. კაკაჩია, ქ. მარგიანი, მ. ჯღარკავა
გამომცემლობა „საარი“, 2016.
ISBN 978-9941-461-56-9

წინასიტყვაობა

ქართველოლოგიურ კვლევით ცენტრებში ბოლო პერიოდში ქართველური ენების კვლევას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, რამდენადაც ქართველურ ენათა შედარებითი კვლევა ქართველოლოგიურ ლინგვისტიკაში მემკვიდრეობით გადმოცემული ამოცანაა. ამ ამოცანის ნარმატებით გადაწყვეტის საფუძველი წინა თაობის მეცნიერთა მიერ არის მომზადებული.

აფხაზეთი საქართველოს ძირძველი და განუყოფელი კუთხეა. ამ სამყაროში ყოველთვის ერთმანეთს ერწყმოდა და ერწყმის სხვადასხვა ენობრივ-დიალექტური მოვლენა, რაც ამ მხარის მცხოვრებთა მეტყველებას ინტერფერენციული იერსახის მატერებელს ხდის.

წინამდებარე წიგნის მიზანია პუბლიკაცია დევნილთა მეტყველებისა, რომლის აღნუსხვას, ჩაწერას საკუთარი ძალებითა და სახსრებით ვახორციელებთ უკვე რამდენიმე წელიწადია. შეკრებილი მასალა – საკმაოდ საინტერესო სამუშაო ტექსტები და მასალები იქნება ინტერფერენციის, ქართველურ დიალექტთა ურთიერთზემოქმედების, ქართველურ ენათა საერთო ტიპოლოგიის ჩვენებისა და, ზოგადად, ლინგვისტური თვალსაზრისითაც, რამდენადაც სამწუხაროდ, უკვე დევნილობაში ცხოვრების ათეულმა წლებმა, მთელ მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესმა და სხვა არაერთმა ფაქტორმა მნიშვნელოვანი ასახვა ჰპოვა დევნილთა მეტყველებაში. ამ ეტაპზე ამ ცვლილებათა მხოლოდ აღნუსხვას, სამომავლოდ კი ლინგვისტურად შესწავლას ისახავს მიზნად წინამდებარე პუბლიკაცია.

წიგნში წარმოდგენილი მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის მნიშვნელოვანია და ფასეული არა მხოლოდ იმით, რომ პირველად მოხდა ერთგვარი სისტემატიზაცია და თავმოყრა

დევნილთა მეტყველებისა, არამედ იმითაც, რომ სხვა ანალოგიური (განსაკუთრებით ადრინდელი) პროზაული პუბლიკაციებისაგან განსხვავებით, აქ მეგრულისა და სვანურის პარალელურად მოცემულია შესაბამისი ქართული ტექსტი სიტყვასიტყვითი, ზედმიწევნითი თარგმანითურთ.

წიგნის ავტორებმა „დევნილური ცხოვრების" რთულ პირობებში მასალები მოიპოვეს და აგროვეს მისხალ-მისხალ, მარცვალ-მარცვალ. აწარმოეს რთული საველე სამუშაოები, რაც არ არ გულისხმობს მარტო აუდიო-ვიდეო ჩანაწერების გაკეთებას. ვიტოვებთ იმედს, რომ გამოცემამ ახალი, ლინგვისტურად საინტერესო ფორმებითა და ფაქტებით უნდა გაამდიდროს ქართული დიალექტოლოგიური ტექსტური კორპუსი. აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ ავტორებს – მარინე კაკაჩიას, ქეთევან მარგიანის, მარინა ჯღარკავას – აქვთ ქართველურ ენებზე სალექციო, სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, იმავდროულად გარკვეული სამუშაოები აქვთ ჩატარებული ქართველური ენების მორფოსინტაქსის საკითხებზე.

ავტორთა მრავალწლიანი გარჯისა და შრომის მიუხედავადაც კი თემატურად საკმაოდ საინტერესო და დატვირთული წიგნი დღის სინათლეს ვერ იხილავდა, რომ არა აფხაზეთის განათლების სამინისტროს ეგიდით განხორციელებული უკვე მრავალწლიანი პროექტი „აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამა", რომელმაც არც მეტი და არც ნაკლები, თამამად შეიძლება ითქვას, რომ სასიცოცხლო სული შთაჰბერა არაერთი აფხაზეთელი ქართველისა, და ზოგადად, დევნილ მეცნიერთა ნააზრევსა და ნაჯაფარს.

საკვლევი თემა უაღრესად აქტუალურია ქართველური ენების შედარებითი გრამატიკის შესწავლის კუთხით. უნდა აღინიშნოს, რომ დევნილთა მეტყველება ინტერფერენციის თვალსაზრისით

დღემდე კვლევის ობიექტი არ ყოფილა. წიგნის ღირსებად უნდა ჩაითვალოს დევნილთა მეტყველების საერთო ქართულ კონტექსტში კვლევის პერსპექტივის დასახვა.

ციტატი უცხოელი ექსპერტის შეფასებიდან: „ასეთი წიგნის შექმნაზე ბევრი მეცნიერი იოცნებებდა, მაგრამ მისი განხორციელება, ვფიქრობთ, სწორედ ასეთ ჯგუფს ძალუძს – რომელიც დაკომპლექტებულია ქართველური ენების არა მხოლოდ ღრმად მცოდნე, არამედ ამ ენათა მატარებელ მეცნიერთაგან. ავტორთა – მარინე კაკაჩიას, ქეთევან მარგიანის, მარინა ჯღარკავას – მეცნიერული ბიოგრაფიის გაცნობა მიგვანიშნებს, რომ საქმე გვაქვს იმ ადამიანებთან, რომლებსაც ამ საკითხებზე ფიქრი გუშინ და დღეს კი არ დაუწყიათ, არამედ დიდი ხანი ემზადებოდნენ და „ზრდიდნენ" თავიანთ თავს და ერთმანეთს ამ პრობლემის შესაჭიდებლად. მათი მზაობა ამ რთული პასუხისმგებლობის მისაღებად იმედს და პატივისცემას ბადებს".

პროფესორ ი. ჩანტლაძეს დავესესხებით: შემთხვევითი არაა, რომ თავის დროზე ნიკო მარი საგანგებოდ აღნიშნავდა: **„საქართველო ცოცხალ საენათმეცნიერო მუზეუმს წარმოადგენს"**-ო. თავი რომ დავანებოთ არამონათესავე ენებს, საქართველოს ენობრივი სამყაროს საოცარი სიმდიდრის საჩვენებლად მარტო ქართული ენის 17 თუ უმწერლობო ქართველურ ენათა (სვანური, მეგრული, ლაზური) 10 დიალექტის დასახელებაც იკმარებდა.

ფასდაუდებელია დამწერლობისა და მწერლობის მნიშვნელობა ცალკეულ ეროვნებათა თუ ეთნოსთა ღინგვოკულტუროლოგიური შესწავლის თვალსაზრისით. უპირველეს ყოვლისა, უძირითადესი როლი ენიჭება სახელმწიფო (სალიტერატურო) ენას, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ცოცხალი მეტყველების კვლევა ნაკლები ღირებულებისაა! არა მხოლოდ არქაულ ლექსემათა თუ გრამატიკულ მოვლენათა შემონახვის თვალსაზრისით,

არამედ არაკანონიკურ, არანორმირებულ, თავისუფალი განვითარების მქონე უმწერლობო ენებსა თუ დიალექტ-კილოკავებს უდიდესი ღვაწლი შეიძლება ჰქონდეთ უნივერსალიათა თუ „ენების ფილოსოფიურ-თეორიული პრობლემების გადასაწყვეტად" (ვ. ჰუმბოლდტი).

საუკუნის წინ ითქვა დიდებული რამ ნიკო მარის მიერ: „ვფიქრობდი, რომ სინას მონასტრის ბიბლიოთეკაში დაცული უძველესი ქართული დათარიღებული ხელნაწერი 864 წლისა მომცემდა ქართული ენის უძველეს სახეს, მაგრამ იმედი გამიცრუვდა და განცვიფრებულიც დავრჩი: **ძველი სამწერლობო ენა არ აღმოჩნდა იმდენად არქაული**, რამდენადაც ვფიქრობდი; პირიქით, ის ამტკიცებდა ცოცხალი ქართული მეტყველების ბევრ თავისებურებათა კანონიერებასა და სიძველეს" (მარი).

წერილობით ძეგლებს, თუნდაც უძველესთ, არ შეუძლიათ გასწიონ ხალხური ცოცხალი ენის მაგივრობა. ისინი ვერ წარმოადგენენ მთელი სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით ენის ფორმებსა და ფუნქციებს. ამისათვის მეტად მნიშვნელოვანია ისეთი ენების შესწავლა, რომლებიც ქმნიან მეტყველების ფორმების თავისუფალი განვითარების აუცილებელ პირობებს და შებოჭილი არ არიან ლიტერატურის საქმეში ჩარევით. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იდიომები ქართული (ქართველური) ტომების: ლაზების, მეგრელებისა და სვანებისა. ამ ერებში **ენა ცოცხლობს ჯერ კიდევ თავის ბუნებრივ – მუდმივი წვის მდგომარეობაში და სწორედ ამ ენებს უნდა მივაქციოთ ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება, თუკი გვინდა წარმოვადგინოთ ქართული ენის ნათესაობა და განვითარება** (ცაგარელი).

როცა არქაიზმებზეა მსჯელობა, ქართველურ ენათა სამყაროდან, უპირველეს ყოვლისა, სვანური უნდა გაგვახსენდეს, მით უფრო, რომ სხვებთან შედარებით მან ყველაზე ნაკლებ განიცადა

ინტერფერენციის პროცესები მონათესავე თუ არამონათესავე, სამწერლობო თუ უმწერლობო ენებთან (ი. ჩანტლაძე).

წინამდებარე წიგნში წარმოდგენილ ტექსტთა თემატიკა მრავალფეროვანია... წარმმართველი კი, ბუნებრივია, მშობლიური აფხაზეთის, მშობლიური ოდაბადეს მონატრებაა... დევნილობასი ცხოვრების უკვე ათწლეულთა მიუხედავადაც კი ჯერაც მოურჩენელი ტკივილები და სულის იარებია ძმათამკვლელი ომის ტრაგიკულ დღეთა... თუმცა ავტორებს მუშაობის პროცესშიც კარგად ჰქონდათ გააზრებული, რომ შინაარსობრივზე უფრო მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში ენობრივი სპეციფიკაა, ლინგვისტურად საინტერესო ფორმებია, რომელთაც მრავლად წავაწყდით სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა სოციალური ფენის, სხვადასხვა თაობის დევნილთა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების მეტყველებაში.

რესპოდენტებს ვარჩევდით აფხაზეთის თემატიკაში გარკვეულობის, ფაქტების ფლობის, ორატორული ნიჭის... მიხედვით. ვცდილობდით მასალებში ასახულიყო ძალდაუტანებელი, ბუნებრივი ფორმები და გამოთქმები, ჩვეულებრივი მეტყველება აფხაზეთის ყველა კუთხის წარმომადგენლებისა, განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა მუშაობა ახალგაზრდებთან ახლებური აზროვნებისა და მენტალობის, მშობლიური ენა-კილოების არასრულყოფილად ცოდნის გამოც. წიგნში მათ განსაკუთრებული ადგილი ეთმობათ.

ყველა დევნილი, ვისთანაც წიგნზე მუშაობის მანძილზე ვითანამშრომლეთ (უნდა ითქვას, რომ ინფორმატორთა საერთო რაოდენობამ ასეულს გადააჭარბა), შეთანხმებულივით ერთხმად აღნიშნავდა, რომ რომ დევნილობაში ცხოვრების ორმა ათეულმა წელმა მათ გარკვეულწილად დაავიწყა მეგრული, რუსული, სვანური... ისინი თავადაც ამაჩნევენ და ხედავენ საკუთარი საუბრის

ამ „მეტამორფოზებს“. „ჩემი მეტყველება უფრო დაიხვეწა“ – ასეთია მათი თვითშეფასება.

ეს ცვლილებები, ანუ ინტერფერენციები რამდენად საინტერესოა ენათმეცნიერულად, უნდა აჩვენოს მომავალმა კვლევამ.

ჩვენ, ავტორები, ამ ეტაპზე არ ვაკეთებთ დასკვნებს, ვიფარგლებით მხოლოდ ტექსტების, მასალის, ფაქტების კონსტატაციით.

და მაინც... ვფიქრობთ, რომ დევნილთა მეტყველების პუბლიკაციით არაერთი ტკივილიანი პირადი ისტორიისა და ეპიზოდის აღნუსხვით გარკვეულწილად ვალი მოვიხადეთ ადგილის დედის, მშობლიური აფხაზეთის სიყვარულისა და მონატრების, განსაკუთრებული მოკრძალებითა და მუხლდრეკით კი – სამშობლოს ერთიანობის სადარაჯოზე სიცოცხლეგაღებულ გმირთა ხსოვნის წინაშე.

დევნილთა მეტყველების ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის პირველი ნაბიჯები, თავისთავად ცხადია, უშეცდომო ვერ იქნება. ამიტომაც ავტორები მადლიერებით მიიღებენ და სამომავლოდ გაითვალისწინებენ ქართველოლოგთა, განსაკუთრებით კი ქართველური ენების მკვლევართა, სპეციალისტთა, ქომაგთა, გულშემატკივართა ყველა სახის შენიშვნას, რჩევას, რეკომენდაციას.

ქეთევან მარგიანი
მარინე კაკაჩია
მარინა ჯღარკავა

შეხვედრა უწმინდესთან

წიფიანი რომანი, 52 წლის;
დალის ხეობა, გულრიფში

დაწლ ერ ჩუ აწდქარვაწნ ი დალარ ერ ეჩეგ-ამეგ ჩიაწგ ლიფხე-ჟურალდ, ეჩქა თენგო კორძაიაწშ ი ლაშა მარგიანაწ მეთაურობით შეიქმნა დალრე საბჭო. ალ საბჭოისგა არდა ჟორი-ჟორი მარე ჩი სოფელხაწნ. ეჩქა კომპენსაციაწლს ხაჰრეჟდახ დალარს იეშდ ათასს, საბჭრ წევრაწლს ნეკვაწდ, ერე ალა ერ იმვაწლაჟინ იეშდოხ-ვიშდ ათასთეჟინ ჟი ანცხემნაწვნაწნ.

ხშირ-ხშირდ ხვიყვბაწლდ მაწწვდუნლა დალრეშ ი ჩრმიშ, მარე განსაკუთრებით ლტოლვილრე მაჭკჟრას უშხვარ ხრემშერაწლდად.

ეჯ ჩიქქა დალხაწნ ანჳაწდ ბაწჟინ, ერე აფხზაწრ ი რუსაწლ ესერ ნაწწსიხ, სგა ლიტეხს ნატრულიხ. მარე სგამეტხაწლას ეჩქა უცეფდ მოლალატეს ხაჟშხენდახ თავრობისგა. ი მოლალატემი ჟახე დაწრს ხეკვაწდ. ამღა ოთრმბვალედ, ოხუნდუნედ უწმინდესცახაწნ შეხვე-დრა, აღო უწმინდეს როქ იმ გუწაწქვინნე. სგა ლოხხვიდდად მეუფე დანიელს, ავუხსენით მაწგ ამჟიჟ ამჟიჟ როქ. ეჯნემდ ჩუენბაცე ი გაცხაწდ ჟორი ლადეღისგა სგა ანჳერნე უწმინდესთე. ხუასვდ მაგ დალარ: ლაშა მარგიან, თენგო კორძაია, ლეო ჯაჭვლიან, მამა ნიკოლოზი (გუგუსიან), ბადრი გერლიან, თამაზ გუჟეჯიან, რომან წიფიან...

ალა ლაწსუ მიშგუ ცხოვრებაისგა ერთ-ერთ უბედნიერეს ლა-დეღ. უუწმინდესდ ჩუ ანმაწზრე ი ქა ოგვჭვედჟელე. შვილებოშ გარ ნაგჟრგაწლდა, გაცხაწდ მამაშვილურად. ლაშა მარგიანდ ი

თენგო კორძაიად აუხსნეს, ერე ამშელდ ზაიჳ ნაშიჳლ როქ ლიცთე ენშჷდდა. 16 ზაჲ როქ ამჟი შევინარჩუნეთ დაჲლ. შევინარჩუნეთ დაჲლ საქართველოდ. ათხე ეჩხანქა ქა ანშიდხ ი ხვიშდ ლტოლვილარ. ეჩხან სგა ლიტეხს ნაჭრაჟიხ, მარე სგა ოტხენიდ, ეჩქა მთავრობაჲ ხაჲლხ მოღალატაჲლს ნაჲჟხენი...

ალა ერ ქა ხაჲქვეხ, მადხვაჲ ხანს ლასუ მდუმარება... ი იმ ხეწაჲდ მიშგუ თერაჲლ: უწმინდესს ქჷმრაჲლშუ ახგვეშლაჲნ ჟი თერაჲლ: **სვანი და მოღალატე? ასეთი რამ არ იცის საქართველოს ისტორიამ!**

გლახ როქ სგა შვიდბიაჲნდ ოტხენიდ, ეჩე საბუთს ესერ ნეშგუემხმა? თუნდაც როქ ნაშგვმინახ, ღო როქ მაჲდ, მთავაჲრ ესერ ლი გულით ქართველობა და არა ფორმალურად ქართველობა. ი მიჩა ქორშაჲლი ესერ ლიხ ნაჲლზიგუ ვლადიკავკაზს, მარე მთელ ოჯჯახ, გეზლირი ი მშობლაჲრი მაგ ესერ ქართველაჲრდ აჲმსედჳლიხ.

უწმიდესცახაჲნ ალ ეშხუ შეხვედრად გარ ღირდა სიცოცხლე. მეჰად ეშ მაბურზუნე, პატრიარქი სიტყვაჲლს ი გულწრფელობას ერ ხვიშყდუნე. იმიტომ რომ დევნილის შემწეობა ზუსტად მახსოვს, მაშინ იყო საცოდავი 11 ლარი.

ეჩქანღო ჟი ანჷგაჲნ ი სგა აჩაჲდ. ქა ანჳიდ 20 ათას ლარ, ალაროქ მიჩაშხაჲნქა დალიაჲ ხეობას ი დალაჲრს. აჯაღ ჩუდ ანმაზრე ი ამჟი ქა ონჳვაჲდდ.

ალ ჲერვეშდ ათაჲს ლაშად, იმვაჲჲჟინ დალიაჲ გამგებელდ, მთლიანდ ი მეგუდ გაუნაწილა დალიაჲ ბოფშაჲრს. მაჲმ მიხა, თუით-თუითჟინ მაჲზუმ დო ათხვიდხ, მარე ეჩქა ალა ლაჲსუ გუნ მაჲდილ ი ლასგრგებ, ეჯღ'ერე დევნილის შემწეობა ეჩქა ლაჲსუ ჲეშდეშხუ ლარ.

ბედნიერ ლი საქართველო ი ქართველ ხაჲლხ, ამჟიშ უწმინდეს ჲერ აგვზგზე ღერბეთდ. ხუაჲჲ ხანს უუ გვაჲრ უწმინდესი სულიერ წინამძღოლობა.

თარგმანი

დალის ხეობა რომ დაიკარგა და დალელები რომ ყველგან მიმოვიფანტეთ, მაშინ თენგო კორძაიასა და ლაშა მარგიანის მეთაურობით შეიქმნა დალელთა საბჭო. ამ საბჭოში ყველა სოფლიდან იყო ორ-ორი კაცი. მაშინ დევნილებს კომპენსაციას აძლევდნენ ათი ათასს. საბჭოს წევრებს გვინდოდა, რომ ეს თანხა მთავრობას როგორმე აეწია თხუთმეტი ათასამდე.

ხშირ-ხშირად ვიკრიბებოდით და დალელების და, საერთოდ, დევნილების გასაჭირს ერთმანეთს ვუზიარებდით.

იმ პერიოდში კოდორის ხეობიდან მოგვივიდა მაცნე, რომ რუსები და აფხაზები დალში დაბრუნებას მოგიწოდებენო. მაგრამ დაბრუნებულებს მაშინ ეძახოდნენ მოღალატეს, ძალზედ ადვილად აკერებდნენ მოღალატის იარლიყს. ასეთი სახელი კი, ბუნებრივია, არავის არ უნდოდა.

დავილაპარაკეთ ერთმანეთში, მოვინდომეთ შეხვედრა უწმინდესთან, რომ გვეკითხა ღჩევა-დარიგება. შევხვდით მეუფე დანიელს, ავუხსენით საქმის ვითარება – ასე და ასეაო.

მეუფე დანიელმა ორ დღეში, მართლაც, შეგვახვედრა პატრიარქს. ვიყავით სულ ათი კაცი, დალისხეობელები: ლაშა მარგიანი, თენგო კორძაია, ლეო ჯაჭვლიანი, მამა ნიკოლოზი (გუგუსიანი), ბადრი გერლიანი, თამაზ გუჟეჯიანი, რომან წიფიანი...

ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი უბედნიერესი დღე. უწმინდესმა დაგვლოცა შვილებო... შვილებო... ასე მოგვმართავდა მხოლოდ. დიდხანს გვისმენდა. ლაშა მარგიანმა და თენგო კორძაიამ გულისტკივილით აუხსნეს ამდენი ხნის ნაომარ-ნაწვალები წყალში ჩაგვეყარაო. 16 წელი ვიომეთ კოდორელებმა, ვიბრძოლეთ, რომ ეს ერთი ხეობა მაინც შეგვენარჩუნებინა საქართველოსთვის. ბოლოს კი განგვაიარაღეს და ხეობა დაგვაკარგვინეს.

ახლა იქიდან გვთავაზობენ დაბრუნებას. მაგრამ დაბრუნებულებს ხელისუფალნი აკერებენ მოღალატის იარლიყს. ჩვენ ეს არ გვინდა.

ამის მერე ცოტა ხანი იყო მდუმარება. და რა ნახეს ჩემმა თვალებმა. უწმინდესს თვალები ცრემლებით აევსო... და წარმოთქვა: **სვანი და მოღალატე? ასეთი რამ არ იცის საქართველოს ისტორიამ!**

დაბრუნების შემთხვევაში ადგილზე საბუთს, ალბათ, მოგთხოვენო. მერე რა, შვილებო, მთავარი ქართული საქმის საკეთებლად ხომ გულით ქართველობაა და არა ფორმალურად ქართველობა. და მოგვიყვა საკუთარი მშობლების მაგალითი – ჩრდილოკავკასიაში წლების მანძილზე ცხოვრების მიუხედავად, მშობლებიცა და შვილებიც ქართველებად დავრჩით და ყოველთვის ქართულ საქმეს ვაკეთებდითო.

საქართველოს ამ უწმინდეს ადამიანთან ამ ერთ შეხვედრად ღირდა სიცოცხლე. სულ ჩამესმის პატრიარქის „შვილებო" და ტანში ყოველთვის მბურძგლავს, უწმინდესის გულწრფელობა და სიტყვები რომ მახსენდება.

მერე წამოდგა. შევიდა. ჩემგან დალის ხეობას და დალელებსო და ოცი ათასი გადმოგვცა. კიდევ ერთხელ დაგვლოცა და ასე წამოვედით.

ეს ოცი ათასი ლაშა მარგიანმა, როგორც გამგებელმა ერთნაირად და თანაბრად გაუნაწილა დალის ხეობის ბავშვებს. არ ვიცი, თითოეულს რამდენი შეხვდათ ამ კოდორელ ბავშვებს, მაგრამ იმ დროს ეს იყო ძალზედ დიდი თანადგომა, სულიერი გამხნევება და თანაალმობა.

ბედნიერია საქართველო და ქართველი ხალხი, ასეთი უწმინდესი რომ გვაჩუქა ზეცამ, გამოგვიგზავნა ღმერთმა. დიდხანს გქვონოდეს უწმინდესის სულიერი წინამძღოლობა.

„მე ვარ აზიატი, ვარ ვაკელი, ვარ კოდორელი“

წიფიანი ლევან, 17 წლის; კოდორი – თბილისი
დადვანი ნინო, 15 წლის; ოჩამჩირე – თბილისი

ლევანი: – აღო ხოჩა ნაბოზუ ჯაარ მიშგუ ხოჩა დივო. მაგვარდ ხარი?

ნინო: – ბგგიდ ხვარი.

ლევანი: – აღო, ათხე სი მექარ მი, მაი ჯაშყიდ კოდორხარ.

ნინო: – მაი მაშყიდ კოდორხარ: გუნ კოწეელარ ხვაასვდად ნაი ეჩე ერ ესღურდად ი ერ ჯააქვა ერე ხვაი მაალეგვეშ მაშყიდგჯ, მაამ ხვიირა სწორ, მარე მაი მაშყიდ ეჯა ლი ერე...

ლევანი: – ლოხსგი ალის, მაი ხოჩამდ ხოხლა ლუშნუდ ლიგრგალ.

ნინო: – გუნ ხოშა ჰაზვ ხელვაანდა ბებოს ი ნაი, ბოფშარს გუნ გვალატდა ალ ჰაზვისგა ლითამაშავაალ.

ლევანი: – ლიშდრაალ.

ნინო: – ლიშდრაალ ვო. ლამპატივდ. ი ზაფხულისგა ესღურდად ჩიი ზავს.

ლევანი: – მიი მაშყიდ აჯი. ეჩქანღვე, ეჩეჩუ ერ ლასვ ბგგი ხოშა ბოსელ, ლამნგარ ერ ხად გუშგვეი ბებოს, ჯაშყიდ მა ეჯი?

ნინო: – მაშყიდ, მაშყიდ. სი ეჯა ჯაშყიდ მაა, ეშხუ ზავს თივას ერ ხვიკედდად ი მეერმე სართულჟი ერ ლაასვდა ხვაი თივაა ზვინარ?

ლევანი: – გუშგვეი ბიძია ლაშა ერ გვატუულდა... ჰაზვისგა მარწყვ ერ გუღვაანდა.

ნინო: – ბასყ.

ლევანი: – ვოო, მაგვარდ მალატდა ეჯი.

ქეთევანი: – ლამგნგარისგა მაჲ ხეკვად ბასყს, ეჯა ლარტამისგა ლასვ.

ნინო: – ლამნგარცახან ერ ბოსტან არდა, ეჩეისგა ხეკვეს ხეექვან ალას. სერ იმეჟი გვამიედა ათხე ლიგგრგაალ?

ლევანი: – კუმაშ ხაადდა ბებოს.

ნინო: – ხოჩა სახელარ ხულვაანდახ ეჯიარს.

ლევანი: – ჯაშყიდმაა მაი ხეეშხანხ?

ნინო: – ლამაზო ხეეშხაანდა ეშხუს.

ქეთევანი: – ეჯა ჯაშყიდმა, კუმაშთე ერ ალჩად აშხვინ ჟიბე ნაკართე.

ნინო: – ვო, ვოო მაშყიდ.

ქეთევანი: – ქ'ერ ახსგიი ეჩხანქა. ეჩქა ხასვ მაჲ, სემი ლგზაჲ. ხომ ჩუჯაშყიდ მოლ ი ეჩქხანქა ცხიკარ იბნრლდახ – ჟიბენაკარ. ალ კუმაშ სგ'რნფიშვდდ მიჲ ნინოდ. ათხე ქრხსგიდდად მოლხანქა ი ალა გუშგვეჲ დაბარ ი ლექჭმალ ი ალამაგ ანთერრნან ჯვედიას. გამოჩნდა მოკლედ შდიხი ამზუმაში ბაღ ეჩხან, იშგვიდაშირ ბუჩქ... შდიხ ლექვანხან ი ჩვრბ მგრამ ჯვედიას გამოჩნდა ეჯე ქორ.

ქადსგრდრალ ამნემდა ნინოდ ი „ალ მამულარ ესერ მაგ გუშგვეი ლიხა, ბებრშ ესერ ლიხაა?" ვოოჯი ი... „დედა, მაშინ ბებოს ელიზონდოვებზე დიდი მამულები ჰქონია და". ი ალა, ელიზონდოვალ მი მამ მიხალდა, დარ დო ლასვხ, მარე ეჩქა სერიალ მირ გადიოდა ი ნინოს ეჩქხანქა ჩუხოხალდა. ათხე, აჯაღ მაჲ ჯეშყდენიხ?

ლევანი: – ეშხვინ მაშყიდ ნაი ერ ეჩეჩუ შუქრი ბიძიას ერ ეკლესია ლგგემ ხულვან... ნაი ლაასვ ეჩეჩუნ, შგყეერს ი ეჯი მაშყიდ ბგგიდ ხოჩამდ.

ქეთევანი: – ეჩხავ ერ ალჩადდ, მადია? ბოფშარ დარ მაგ ხასვდ? ოთო ლასვ, ისგუ მამიდაშვილ, შუქო...

ლევანი: – ირაკლიი ი მიი ხვასვდ, მარიკაი, ბებო ი სი.

ნინო: – მი მაამ ხვარდას მო?

ლევან – დეესა. ერ ესღვრიდად, ნაი ჯეექარდ ერე კუმაშთე ესღვრიდად, მარე ნაი შგყერთე ესღვრიდად.

ქეთევანი: – აა, ალიარს ჩოლღორვედ, ნომ ერ აგუღვეჭანხ.

ლევანი: – ნინო, ანანო, მარი, ნანა, დივაალ, მაგ ეჩეჩუ ასადხ.

ნინო: – ლოხსგი სი! ხოჩა ლია ათხე ალა? ეჩე ერ მაამ მიზნა? შუქრი ბიძია ნაგამ ეკლესიას?

ლევანი: – ნიშგვეი ტარ დეესა ლი ეჯა.

ქეთევანი: – ისგვეი ხოხრობა ტარ ლი.

ნინო: – ისგვეი ტარ იმხან იროლ, მაამ გვიხალდა მომავალისგა მაი იროლ. ალ ომ ერ იიროლ ი ჩავთქარვოლ დალ.

ქეთევანი: – ათხე, იშგენარ ლახრმბვლედ აჯაღ.

ლევანი: – იშგენ... აშხვინ მაშყიდ მი ი ირაკლი ლაშა ბიძიად ონჯერნე ლაკგლმახითე. ლაშა ბიძია ლაასვდა ი გუშგვეი ბიძია ელდარიი. ხოჩამდ მაშყიდ ალი.

ქეთევანი: – ი ახკგლმახედ ესმაა?

ლევანი: – მოლე, ი ეჩქანღვე კარვალ ლასვხ ი ეჩეჩუნ ხვაასვდ.

ნინო: – მი ეჯა მაშყიდ, ეშხუ ლადეღს, თივაე ლიკედ ერ გუღვაანდა ი ხოშა ჯანარ ერ ლაასვდახ ლგბემ ხოშეერება ეჯიარჟინ... ურმალჟინ, მაი ხაშხა ეჯიარს?

ქეთევანი: – სავარ.

ნინო: – ი თივაა ზვინარ ერ ლაასვდაა ეჯიარჟინ, ჟი ერ სგურიდად ი ესღურდად. ეშხუ ლადეღს, მი ი სი ქეთევან ესღურდად სოკოე ლეკრიფავთე.

ქეთევანი: – ლახვერთე.

ნინო: – ვო, ლეხურიალთე ი გუნ ხოშა პარკ გუღვაანდა, მარე ხადურდ მაამ ლაასვდა ეჩეჩუნ სოკო ი დავბრუნდით ხელცარიელარ.

ქეთევანი: – მარე, ხომ ხოჩამდ ლალზელალედ რიყალლექვა, ჭალაჲ პილჟინ?

ნინო: – ო, ეჯა გუნ ხოჩა ლაასვდა კისდ.

ლევანი: – ქორიი პირდაპირ ერ ეჯი ლასვ, ყანა, ეჩეჩუნ ბებო ერ ახნიდა ეჯას, მი ეჩეჩუ ხვისგვრიდას გუთანჟი ი ხანარი ეჩეჩუნ არდახ.

ქეთევანი: – ლევან, სი ჯ-ს დეშ ტშლია? სტუდენტჱრს ხვათვრი ხოლმე ჯუჟინელ ქართუილისგა სწორდ იმჟინ ხეკვეს ლჱქუახ ჯაჯა, ჯოჯობი, ჯელმწიფე... ი სიდ ღალ მჱმ ჯახლენა ჯ-მი ლჩქვისგ ი ამღად სი დეშ ტშლი ჯანჱრს, ტშლი ხანარს.

აღო ათხე მჱდ ახჷმბჱუ ი ისგუ დაბადების დღე ერ ლჱსვ ი ანანოდ ერ ხოჩჱმდ გაგიფორმა ტორტ.

ლევანი: – მიშგუ დაბადების დღე ლასვ ი მიშგუ დედად, მარიკად ჟახასყ ხოშა ტორტ...

ბებო: – ჟანსყე.

ლევანი: – ჟანსყე ხოშეერება ტორტ. ი ეჩქანღვე ალი ანანო ლასვ სემი ზაი ი იშდრაალდა კიტრშვ, აშხვის ალ კიტრ ჰაერთე ჟაფიშდვ, ათკვარ ი ერ ანღრდა ნიშგვეი ხოშერება ტორტე ჟეთკვარ. ი მი ერ ალის ხოსგდიდას, ჟოთბინ ლიგვნი მეგჭე ი მაგ ლადეღ ხვიგვნიდას ეჩქანღვე. მიშგუ დედად მახე ჟანსყე ტორტ ი ეჩქანღვე ხოჩა ხასიათჟინ ხვარდას.

ნინო: – სურათ გუღვა ნაი, სი ი ანანო ერ ხიჩხუბობთ ი სგაი ერ უკვე შერიგებულარ ხიშდ... აჯაღ იმ გავიხსენებთ. ეშხუ ლადეღს ბებოს ერ გუნ ხოშა ჯან ხაკალდა ი ერ ანღრი ათხე ალ ჯან ი ჭიშკარცახან ერ ლგგ ი გვატუული. ი ნაი ერ გვახიადდა გუნ. ჩი მეშხე ჯან ლაასვდა ხომ?

ქეთევანი: – ეშხუ თვეს გვაკალდა ეჯ ჯჱნ ი წარმოიდგინე 75 წლის ბებო ჯაგარ აჩჱდ ცხიკჱრთე ლათხჱლთე. ეჩე, ჟიბე ნაკჱრს შგყერი ცხიკჱრ მჱგ ქ'ჱდზელჱლე, საკენთე ჩ'ჭაჩჱდ. სი ხოხრეელ ხჱსუ ი ამღა დეშ აჯუცვრ მი ერ ომჩედჭლხვჱსუ ლათხჱლთე. ამღა ბებო ჯაგარ აჩჱდ ი მთელი ნაგზის ხეთხჱლდა.

ნინო: – ი მიჩოვშ ანჯად ეჩქაანღო ეჯ ჯან.

ქეთევანი: – იმჟი ამსუ̈ლდშა̈ლ ჰერ ა̈ნკიდ ჭიშკა̈რჟინ და ლაგვხ̌ენე მიჩა ლიჰედ. ეჯგვა̈ჲ აგვხ̌რდგნ ნა̈ჲ კისდ ჩ̌ის.

ნინო: – ეჯა ჯაშყიდხ მაა ეშხუ ზაფხულს მაგ უშხუდ ერ ხვარდად დალს ი ბებოს ერ ხოშა შდიხი ბაღ ხულვაანდა. ნაი, ბოფშარ უშხვარ ხვემქარააღდად იარ ხოშილს ახვრიდა. ალაი გუნ ხოჩა მოგონება ლი მიშგოვდ.

ქეთევანი: – მაშ̌ნე იარდ ა̈ხხრერდ ღი?

ნინო: – დეესა მაშყიდ აღო.

ქეთევანი: დოვ დ̈სმა ა̈ჯხორ̌ნხ, მი ამჟი მაშყიდ, ეჯღა ერე ხიშდრა̈ლდად ხოშილს ეჯ შდიხი ბაღისგა, ვიდრე ხეშდაბდად.

ნინო: – აჯაღ მაშყიდ ეჯა ერე ბებოს ხომ ხულვაანდა ლამნგგარ ი ეჩეისგა ეჯიარ, ძროხაალ ი ქათმარი ი მაგ ლაასვდა ეჩეისგა. ი ალ ქათლარს ხომ ხულვაანდახ ლგგრე ი ნაი ბვოფშარდ ეშხუ ლგგრე ოხკიდდ საიდუმლოდ ი წავიღეთ ეჩეისგა, ბებოე ქორისგა, ლაყვრას ლეიბის ქვეშ შევინახეთ, ქა ესერ ანკვიში, სითბო ესერ ხეღვეენი ალას ამჩუ ი წინილა ესერ გვეყოლება. ჩიი ლადეღს ეჩიი ლიმოწმავისგა ხვარდად მი, მეგი, ანანო, მარიამ... აჯაღ გუნ ხოჩაამდ მაშყიდ, ერე ბებოს ალ მიჩა ეზოისგა ხულვაანდა ხვაი-ხვაი ხილარ: ეჩე ყურძენ, ეჩე ქლიავ, ეჩე ინღა, ამჩუ ხოშა ვისგვარ. ი ეჯ ხოშა შაქარა ვისგვალ მაამ მალატდა. მალატდა გჲრჟი, მჟავე ვაშლარ ი ჩიი ჰამს ი ჩიი შუადღეს ი ჩიი ნაბოზს ეჩი ლიხურიელისგა ხვარდად. მიშგუ მამიდაშვილ გიორგიი ნათორ მაადდა ი მარილცახან ხვიზობდას ალ გჲრჟი ვაშლარს ორძელჟი. ეჯ ორძელ შუქრი ბიძიაა ნასყავ ლაასვდა იამღა გუნ გვალატდა ბოფშარს ეჩეჯჟი წამოსკუპება.

ქეთევანი: – ლევან სი თანაღქა ლიზელ̈ლ მ̈მ ჯაშყიდა, ეჩეჟი ა̈ხგრდა̈ნ ჟი.

ლევანი: – დეესა, ბაქ ხოლა ლი. ი მაშყიდ ჭალა ერ ლაასვ ჩვიბოვ ი ბოფშარ ერ ხვიბანავალდ ეჩეისგა.

ნინო: – ხვისდღუნააღდად. ამჟი ხეკვეს ლააქვა.

ისგეიცახან მიხა ერე, მი ეშხუ ლადეღს, მაამ მაშყიდ მაი ლადეღ ლაასვდა, ი ბებოდ ლამემ კამპოტ. ი მი ხვეექა: ბებო მი ხოშა ხვი ი ჰარაყ მაკუ.

ქეთევანი: – მაამა, ალა ამჟი მად ლასვ. გლიმგრიე ლადეღ ლოფანედ ხომ ჩიგარ. ლიმგრიე მარიამობა ლი, 28 აგვისტოს ხეხვა მეჰად. ი ხოფანედ, ხოშერება სუფრა გავშალეთ მოკლედ მიდ ბებოდ. ცქორს ხუარიდ მიი, ბებო, ლევან, ნინო ი მი. ნინო ლი გუნ ხოხრელ – ეშხუ-იორუ ლგზილ გარ. ი ერ ქ'რთფანედ, სგა ლალსგურდად სუფრას. აღო ბოფშარს მად როქ ჯიცხახ, მად როქ ჯაკუხ. ქა გვეში ლასუ მაგ სუფრაჟი ი ამნემდა, ლევანდ ათხე: „ბებო, მე კაცი ვარ და ჰადაყ მაკუ".

ქეთევანი: – ათხე ისგვედ მომავალ გეგმალჟი ლახგგრგლედ. მად ჯაკუხ ერ ეჯფასდედხ. იმჟი წარმოგიდგენიათ ისგვედ თხვიმ დეშდ ზაუნლო. იმჟიშ რა ნინო, მაგალითად, დერვეშდ ი უსგვა ლგზად? იმჟიშ რა ლევან დერვეშდ ი იშგვიდ ლგზად?

გლევანი: – მი წარმომიდგენია ერე ხვირდი კოდორისგა, მიშგუ ქორს, მეყეენი ოხვიშდ ბეფშვ, ხოშეერება კუმაშ.....

ქეთევანი: – ოხვიშდ ბეფუშუ, მაგ ჭყენტარ ჰა ჭყინტარ ი დივალი?

ლევანი: – ოშთხვ ჭყინტ ი ეშხუ დინა. მარე, ალი მაგ დეესა ლი, აჯაღ, აჯაღ იირა ი დალს ხვირდი მოკლედ.

ქეთევანი: – ღერბეთუ ჯიჰუნარი!

ნინო: – მი ლამპატივდ, მარე მი კუმაშის ყოლა მაამ წარმომიდგენია იეშდ ზაიუნლო. ი წარმომიდგენია ერე გუნ ბგგი პოლიტიკოს, პარლამენტარ ხვირა ი პარლამენტისგა კანონარე ლიმტკიცავის შევუდგები.

ქეთევანი: – პოლიტიკოსობ შომაანლო აჯკვად?

ნინო: – მაამ მიხა, ათხე შეიძლება ალა გატაცება გარ ლი, უარს ეჯღაი დეეს ტუული. ხოჩა ურთიერთობაალს ხვაწარმოებ გუშგვეი

მეზობლარცახან, ალ კონკრეტულ შემთხვევაისგა რუსეთცახან ი ნაი, მომავალ თაობას გვამიედა ერე დიპლომატიურ ურთიერთობააღშვ დავალაგოთ გვეშარ გუშგვეი მეზობლარცახან.

ქეთევანი: – დიპლომატიაისგა ხოსგდი აღო სი გამოსავალს?

ნინო: – დიახ, ზუსტად ამჟი, აღო ძალმომრეობოშვ მაამგვეშ მაამ ირა.

ქეთევან: – ალა გუნ ეზარ ლი, ღერბეთუ ჯიჰვნარი. მარე ლევანიშ ოხვიშდ გეზლაშ მამიდა ერ ხირა, სი რომა გეზალ ჯერდი?

ნინო: – იორუ ან სეემი გეზალ.

ქეთევანი: ოო, ოხვიშდ გეზალ გუნ, გუნ ხოჩა ლი. ი ღერბეთ უუ იჰრუნარი ისგუნეი გეგმაღს.

ქეთევანი: ათხე ლახგგრგლედ აღო – იმჟი ხაჭკუარიდ, ისგუნეი თაობა ხოჩილ თაობა ირა, ხოშილ განათლებულ თაობა ჰა შუქრი ბიძიაშ თაობა?

ლევანი: – ათხე, მიშგუ მოსაზრებოშვ ისგევი თაობა ი ბებოს თაობა ლიხ საბჭოთა კავშირის უღელქვეშ. ათხე გუშგვეი თაობა ბგი თავისუფალ ლი ი ნიშგვეი აზროვნება ი განსხვავებულ გულვა.

ნინო: – სგაი ხაასვდად ეჩიარე გავლენის ქვეშ ი ნაი ათხე ალ დვრევხანქა ი წარსულხანქა უკვე გულვა გუშგვეი მოსაზრებაალ ი დამოკიდებულებაალ ჩიი გვეშ ცახან. ი სგაი ჯიხამაა იმჟი ხაასვდად? იმ ტულიდა საბჭოთა კავშირ, ეჯას ფიქრობდით სგაი.

გლევანი: – კლასისგა ჯათვრიდახ ერე საბჭოთა კავშირ ლი ხოჩა ი ეჯკალიბ ი ამკალიბ.

ნინო: – რა თქმა უნდა, შუქრი ბიძიაა კალიბარ მაამ ლაასვდახ ხვაი, შუქრი ბიძიაა კალიბარ ერთეულარ გარ იბადებიან, ხადურ მოშ ხოჩა ლაასვდა ი ნაი დეემე ხვიშდ ეჩიითანარ, მარე ღმერთმა ქნას, ერე ნაი დავემსგავსოთ შუქრი ბიძიას ნიჭიერებით, სიმღერით, ზრდილობით, სიკარგით...

ლევანი: – ნიშგვეი თაობა იბნე ნიშგვეი ქვეყნის გაბრწყინებას.

ნინო: – ი მი ვფიქრობ, ერე ნაი ხეკვეს სვაჭკვარდეედ ამჟი ი მაამ ხეკვეს ვგარგლიდედ ეჯას ერე გუშგვეი თაობა ლი ხოლა ი შიარხანქამეჩდე. პირიქით, ნაი ხეკვეს გუღვანდეედს გუშგვეი თხვიმა იმედ.

ქეთევანი: – აღო მა̈ჲ. ალასა, თავდაჯერებულობას გუნ მნიშვნელობა ხუღვა. სი მა̈მ ჯეჯრა̈ვი ისგუ თხვიმიშ, ეჩქა მერმესი ხომ მა̈მ ხეჯრა̈ვი! ამღა საქმეში წარმატებისთვის ხჳნსგა ლი, ერე რამდენად გააზრებულ ჯუღვა სი ეჯ გვეშ თვითონ, ი მა̈ზუმ ჯა̈რ ეჯ გვეში მიღწევაისგა ისგუ თხვიმი იმედ.

ქეთევანი: – ათხე სგა̈ჲ ვოშა ლგზაჲა̈რ ხიშდ ი იმე ხითურიდ?

ლევანი: – მი ხვი იეშდიშგვიდ ლზაი, ხვითვრი 54-ე საჯარო სკოლაისგა, ვაკეს, ხვარი ეშდიორი კლასისგა.

ნინო: – მი გუნ კოწეელ ხანისგა ხვირდი ეშდოხვიშდ ლგზაი, ხვიზელაალ 171-ე საჯარო სკოლაისგა, საბურთალოს, ხვი მეათე კლასისგა.

ქეთევანი: – კლასა̈ მდგომარეობა იმჟი მოგწონთ? იმ შეცვლიდით?

ნინო: – მი ამჟი ხვათერ ათხე ბოფშარს, ერე ეჯიარ, უმეტესობა, ხადურდ მაამ ფიქრობენ მომავალჟინ ი ხაკმაყოფილავიხ ალდროინდელ ლირდე ი მაამ ხოხახ იმ ხაპიირეხ მომავალისგა.

ლევანი: – მი ერ ხოსგდი ალ კლასს, შეფასებაა სისტემა ხადურდ ხოლა, დეემლი ახლოს ხოჩა სისტემასთან. ეჯღა ერე, გუშგვეი კლასისგა ლი ეშხუ ბეფშვ, ერ აზგრე კლასს ოქროს მედალზე, მარე მიშგუ აფხნეგი უდილ აზგრ კლას ასევე ოქროს მედალისგა, მარე ეჯიარ ხანქა გნსხვავება ხადურდ ბგი ლი, ეჯღა ერე, ეჯ დივო, გუშგვეი აფხნეგ ლი ამჩუ, გუშგვეი ცახან ი მიშგუ აგხნეგი უდილ ეჩეჩუ ე, კოსმოსისგა, ეჯღა ერე მიშგუ აფხნეგდ ჟეხკიდ გამოცდაალისგა იშგვიდარ, მი ჯეხვიკ ეჯ მედალოსანდ ხოჩილ ნიშნარ. ალ ნიშგვეიდროინდელ ბოფშარ ხადურდ ლფჭავე ლიხ, მიშგუ კლასისგა დივაალ ხოშილ ათთუნეხ, ვიდრე ჭყინტარ.

ქეთევანი: – სი მუთთუნი ხეხუ მაშა ჯაკუ, მადია?

ლევანი: – ალას ქა იმჟი მეჭვდიელდ საერთოდ. მე ვარ აზიატი. ალა ლი წარმოუდგენელ მიშგუ ხეხვ ათთუნიდედს ი ეჯა მი ჩუ ოსგენა მო მიშგუ მარიკა განხანჩუ.

ქეთევანი: – მარიკა იარ ლი?

– მარიკა მიშგუ ხოჩა დედა, მარე მეჰად მარიკას ხვეძახით მეც და ირაკლიც. საბა მიშგუ ხოხრა მუხბე ადუ ხატული დედას.

თარგმანი

ლევანი: – აბა, საღამო მშვიდობისა, ჩემო კარგო გოგონავ, როგორ ხარ?

ნინო: – მაგრად ვარ.

ლევანი: – აბა ახლა შენ მითხარი, რა გახსოვს კოდორიდან, დალის ხეობიდან?

ნინო: – რა მახსოვს კოდორიდან. ძალიან პატარები ვიყავით, იქ რომ ჩავდიოდით და რომ გითხრა, რომ ბევრი რამე მახსოვს-თქო. არ ვიქნები მართალი. მაგრამ რაც მასოვს, არის ის რომ...

ლევანი: – უყურე შენ ამას, როგორ კარგად იცის სვანური ლაპარაკი.

ნინო: – ძალიან დიდი ეზო ჰქონდა ბებოს. ბავშვებს ძალიან გვიყვარდა ამ ეზოში თამაში.

ლევანი: – თამაში.

ნინო: – ჰო, თამაში. მაპატიეთ. და მივდიოდით ყოველ ზაფხულს.

ლევანი: – მე მახსოვს ის... მერე... იქვე რომ იყო ძალზედ დიდი ბოსელი. საქონლის სადგომი რომ ჰქონდა ჩვენს ბებოს, გახსოვ ის?

ნინო: – მახსოვს, მახსოვს. შენ ის თუ გახსოვს, ერთ წელს თივას რომ ვიღებდით და საბძელის მეორე სართულზე რომ იყო თივის ბევრი ზვინები.

ლევანი: – ჩვენი ბიძია ლაშა რომ გვასაქმებდა. ეზოში რომ გვქონდა მარწყვები.

ნინო: – მარწყვი.

ლევანი: – ოო, როგორ მიყვარდა ის მარწყვი.

ქეთევანი: – საქონლის სადგომში რა უნდოდა მარწყვს, მარწყვი იყო ბოსტანში.

ნინო: – ბოსელის გვერდზე რომ ბოსტანი იყო, იმშიო... ამი თქმა უნდოდა ლევანს. (ეს უნდოდა რომ ეთქვა). კიდევ რაზე შეგვიძლია ლაპარაკი?

ლევანი: – საქონელი ჰყავდა ბებოს.

ნინო: – კარგი სახელები ერქვათ იმათ.

ლევანი: – გახსოვს რა ერქვათ?

ნინო: – ლამაზო ერქვა ერთს.

ქეთევანი: – ის თუ გახსოვს, ერთხელ საქონლის ჩამოსარეკად რომ წავედით მე და შენ ტყეში.

ნინო: – დიახ, დიახ, მახსოვს.

ქეთევანი: – რომ გადმოიხედე მაღლობიდან. მაშინ იყავი რა, პატარა, სამი-ოთხი წლისა. ხომ გახსოვს ზედა მდელო – იქიდან უკვე იწყებოდა ტყეები და ზემო ვაკეები. საქონელი სემოვრეკეთ მოკლედ მე და ნინომ. და ასე გადმოვიხედეთ მდელოდან და ჩვენი ყანები, სათიბები, და ეს ყველაფერი გადაიჭიმა მთელ სივრცეზე. გამოჩნდა ამოდენა თხილის ბაღი, შვიდასი ბუჩქი თხილით დასავლეთის მხარეს და ამ ყველაფრის დასასრულს შორს, სადღაც გამოჩნდა ჩვენი სახლი (სხვათაშორის სახლის სახურავიდან ისე ლამაზად ამოდიოდა ზემოთ მიიკლაკნებოდა კვამლი); გაიხედ-გამოიხედა ახლა ნინომ და: ეს მამულები სულ ჩვენიაო? – მკითხა. კი, მეთქი... და გახარებულმა წამოიძახა:

„დედა, მაშინ ბებოს ელიზონდოვებზე დიდი მამულები ჰქონია და“. და ეს ელიზონდოვები ვინ იყვნენ, ეს მე კი არ ვიცოდი, მაგრამ მივხვდი, მაშინ სერიალი გადიოდა რომელიღაც, და ნინომ იქიდან იცოდა. აბა კიდევ რა გახსენდებათ?

ლევანი: – ერთხელ მახსოვს რომ წავედით შუქრი ბიძიას ხელმძღვანელობით აგებულ ეკლესიაში. შიყერის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში წავედით და ეს მახსოვს ძალიან კარგად.

ქეთევანი: – ოო, იქ რომ ავედით, არა! ბავშვები ვინდა ვინ იყავით? ოთო იყო შენი მამიდაშვილი. შუქო...

ლევანი: – ირაკლი და მე ვიყავით, მარიკა, ბებო და შენ.

ნინო: – მე არ ვიყავი?

ლევანი: – არა, რომ მივდიოდით, ჩვენ გითხარით რომ საქონლის ჩამოსარეკად მივდივართ. მაგრამ ჩვენ წავედით ეკლესიაში.

ქეთევანი: – აააა, ესენი მოვატყუეთ, რომ არ გამოგვკიდებოდნენ.

ლევანი: – ნინო, ანანო, მარი, ნანა, გოგოები ყველანი დარჩნენ შინ.

ნინო: – უყურე შენ! კარგია ახლა ეს, რომ არ ვარ ნამყოფი შუქრი ბიძიას აშენებულ ეკლესიაში?

ლევანი: – ჩვენი ბრალი არ არის ეს.

ქეთევანი: – მხოლოდ და მხოლოდ თქვენი პატარაობის ბრალია. იქ ძალიან დიდი აღმართებია, შორია და 3-4 წლის ბავშვები ვერ ივლიდით იმ უდაბურ ტყეებში.

ნინო: – თქვენი ბრალი საიდან იქნებოდა. არ ვიცოდით მომავალში რა მოხდებოდა. ეს ომი რომ იქნებოდა და დალის ხეობა რომ დაიკარგებოდა.

ქეთევანი: – ისაუბრეთ კიდევ.

ლევანი: – მე მახსოვს კიდევ, ერთხელ მე და ირაკლი ლაშა ბიძიამ წაგვიყვანა სათევზაოდ. და ჩვენი ბიძია ელდარიც იყო ჩვენთან ერთად. კარგად მახსოვს ეს.

და რაიმე ითევზავეთ თუ ვერა? კალმახი დაიჭირეთ თუ ვერა.

ლევანი: – ცოტა. და მახსოვს კიდევ, კარვები იდგა და იქაც ვიყავით.

ნინო: – მე მახსოვს კიდევ, ერთხელ თივა რომ იყო მოსაგროვებელი. დიდი, ვეება ხარები იყო შებმული იმ ურმებში. თუ რა ჰქვია?

ქეთევანი: – მარხილი.

ნინო: – და თივის ზვინები იყო დადებული იმ მარხილებზე და ჩვენ, ბავშვები, ვიჯექით ამ ზვინებზე და ასე მოდიოდით. რა კარგი იყო. ერთხელ, ქეთევან, მე და შენ წავედით სოკოს დასაკრეფად.

ნინო: – ოო, დასაკრეფად წავედით. თან წავიღეთ დიდი პარკი. მაგრამ სულ არ იყო იქ სოკო და დავბრუნდით ხელცარიელები.

ქეთევანი: – სამაგიეროდ კარგი სეირნობა გამოგვივიდა ჭალისპირებზე, მდინარის ნაპირზე.

ნინო: – ო, ის მართლაც ძალიან კარგი იყო.

ლევანი: – სახლის პირდაპირ ის რომ იყო, ყანა, იქა, ბებო რომ ხნავდა ყანას, მე მახსოვს ვჯდებოდი გუთანზე და ხარებიც იქ იყოვნენ.

ქეთევანი: – ლევან შენ რა ჯ-ს ვერ ამბობ? მე სტუდენტებს ვასწავლი ხოლმე ძველ ქართულში სწორად როგორ უნდა წარმოთქვან ჯაჯა, ჯოჯობი, ჯელმწიფე... და ნახე, თურმე შენც არ გცოდნია ჯ-ს წარმოთქმა და ამიტომ ნაცვლად ჯანარ-ისა ამბობ ხანარს. აბა, ახლა რა მოყევი..... და შენი დაბადების დღე რომ იყო და ანანომ რომ კარგად გაგიფორმა ტორტი.

ლევანი: – ჩემი დაბადების დღე იყო ა ჩემმა დედამ, მარიკამ გააკეთა დიდი ტორტი.

გააკეთა ვებერთელა ტორტი და მაშინ ეს ანანო იყო სამი წლის და თამაშობდა კიტრით. კიტრებს ისროდა ჰაერში. ერთიც ამ ჩემს ვეებერთელა ტორტს არ ჩაარჭო? ეს რომ დავინახე, დავიწყე მაგარი ტირილი და მთელი დღე ვტიროდი მერე. ჩემმა დედამ ისევ გააკეთა ახალი ტორტი და მერე უკვე კარგ ხასიათზე დავდექი.

ნინო: – სურათი გვაქვს, შენ და ანანო რომ ჩხუბობთ და მერე უკვე შერიგებულები რომ ხართ.

ნინო: – კიდევ რას გავიხსენებ და ერთხელ ბებოს ძალიან დიდი ხარი რომ დაეკარგა და მოდის ახლა ეს ხარი და დადგა ჭიშკართან და დაგვიძახა. და ჩვენ ეს გაგვიხარდა ძალიან, ძალიან. და შავი ხარი იყო ხომ?

ქეთევანი: – მთელი ერთი თვე დაგვეკარგა ეს ხარი და წარმოიდგინე 75 წლის ბებო მარტო წავიდა საძებრად ტყეებში. იქ, ზემო მაღლობებისა და ფერდობების მთელი ტყეები დაიარა. საკენშიც წავიდა. შენ ამ დროს პატარა იყავი და ამიტომ ვერ დაგტოვეთ, რომ ხარის საძებრად ბებო კი არა, მე წავსულვიყავი. ამიტომ ბებო მარტო წავიდა და მთელი კვირა დადიოდა და ეძებდა.

ნინო: – და მერე ის ხარი თავისით მოვიდა.

ქეთევანი: – როგორ ადამიანივით ხმა ამოიღო ჭიშკართან; ხმამაღლა დაიყმუვლა და გვახარა თავისი გამოჩენა. და ჩვენც ყველას, ყველას ძალიან გაგვიხარდა.

ნინო: – რა მახსოვს კიდევ და ბებოს რომ ჰქონდა დიდი თხილის ბაღი. ზაფხულში ყველა ბავშვები იქ ვიყავით და შვილიშვილები ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, ვინ უფრო მეტ თხილს მოაგროვებდა. ესეც ძალიან კარგი მოგონებაა ჩემთვის.

ქეთევანი: – ყველაზე მეტი ვინ დაკრიფეთ მერე?

ნინო: – არა მახსოვს.

ქეთევანი: – მგონი არავის არაფერიც არ მოგიგროვებიათ. იმიტომ რომ მე როგორც მახსოვს, თქვე, ზარმაცი შვილიშვილები იმ თხილის ბაღში უფრო თამაშობდით და ერთობოდით, ვიდრე მუშაობდით.

ნინო: – კიდევ რა მახსოვს და ბებოს რომ ჰქონდა მსხვილფეხა საქონლის სადგომი, იმაში საძროხეც იყო და საქათმეც. და კიდევ ბევრი რამე. და ამ ქათმებს ხომ ჰქონდათ კვერცხი, ჩვენ ბავშვებმა ავიღეთ საიდუმლოდ ეს კვერცხი, შევიტანეთ ბობოს სახლში და საწოლში, ლეიბის ქვეშ დავმალეთ. აქ კარგი სითბო ექნება, გამოიჩეკება და წიწილა გვეყოლებაო. ყოველდღე იმ კვერცხის შემოწმებაში ვიყავით მე, მეგი, ანანო და მარიამი... კიდევ კარგად მახსოვს, რომ ბებოს ამ თავის ეზოში ჰქონდა ბევრი-ბევრი ხილი. იქ ყურძენი და ტალავერი იყო, იქ ქლიავი, იქ ჟოლო, აქეთ ვაშლები. მსხვილი-მსხვილი შაქარები კი არ მიყვარდა მე, არამედ

მწვანე, მუავე ვაშლები. ყოველ დილას, ყოველ შუადღეს და ყოველ საღამოს ვიყავით ამ ვაშლების კრეფაში. ჩემი მამიდაშვილის გიორგი შამფრიანისაგან მქონდა ნასწავლი და ამ მწვანე ვაშლებს მარილთან ერთად ვჭამდი ორძელზე წამოსკუპებული. ის ორძელი შუქრი ბიძიას გაკეთებული იყო და ამიტომ ბავშვებს ძალიან გვიყვარდა იმაზე წამოსკუპება.

ქეთევანი: – ლევან, შენ უღელტეხილებზე სიარული, იქ გადასვლა-გადმოსვლა არ გახსოვს? იმ საკენი-ჭუბერის უღელტეხილზე გაიზარდე სულაც.

ლევანი: – არა, არ მახსოვს სრულებითაც. ალბათ მაშინ ძალიან პატარა ვიყავი, 2-3 წლისა. მე მახსოვს მდინარე რომ მიედინებოდა დაბლა და ბავშვები რომ ვბანაობდით იმ მდინარეში.

ნინო: – არასწორად ამბობ. ასე უნდა თქვა.

ლევანი: – თქვენთან მე ვიცი ერთიც. არ მახსოვს ოღონდ, რომელი დღე იყო. ბებომ მომცა კომპოტი. მე კი ვუთხარი: ბებო, მე დიდი ვარ და მინდა არაყი.

ქეთევანი: – არა, ეს ეგრე კი არ იყო. მარიამობა დღეს ხომ ყოველთვის სუფრას ვუკურთხებდით ხოლმე მიცვაკლებულებს. მარიამობა ყოველთვის ხვდება 28 აგვისტოს. და ცვენც მოკლედ გავამზადეთ ვეებერთელა საკურთხის სუფრა. სახლში ვართ ბებო, ლევანი, მე და ნინი. ნინო არის ძალიან პატარა, ერთი-ორი წლისა ალბათ. წესისამებრ ლიფანე რომ გავაკეთეთ, სანთლები ჩავაქრეთ, უკვე მივუჯექით სუფრას. აბა ბავშვებო, რა გინდათ, რა მოგართვათ-თქო. სუფრა არის სავეს, გადაძეძგილიც კი. და მაშინ ლევანმა გამოგვიცხადა ასე: „ბებო, მე კაცი ვარ და არაყი მინდა“.

ქეთევანი: – ახლა ისაუბრეთ თქვენს მომავალ გეგმებზე. ვინ გინდათ, რომ გამოხვიდეთ. როგორი წარმოგიდგენიათ თქვენი თავი ათი წლის შემდეგ? როგორი იქნება, მაგალითად, ნინო დადვანი ოცდაექვსი წლის ასაკში? როგორი იქნება ლევან წიფიანი ოცდაშვიდი წლისა?

ლევანი: – მე ჩემს თავს ვხედავ მხოლოდ დალის ხეობაში, კოდორში. ჩემს სახლში. მეყოლება ხუთი შვილი. და ბევრიც საქონელი...

ლევანი: – ხუთი შვილი, ყველა ბიჭები თუ ქალიშვილებიც?

ოთხი ბიჭი და ერთი გოგო! მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია. მოკლედ იქნება სხვა სიურპრიზებიც და მოკლედ ვიქნები დალის ხეობაში, აფხაზეთში.

ქეთევანი: – ღმერთმა გისმინოს!

ნინო: – მე მაპატიეთ მაგრამ საქონლის ყოლა მე ათი წლის შემდეგ ვერ წარმომიდგენია. მაგრამ მინდა რომ ვიყო მაგარი, ძალიან მაგარი პოლიტიკოსი, კერძოდ, პარლამენტარი, და პარლამენტში საქართველოს სასიკეთოდ შევუდგები კანონების დამტკიცებას.

ქეთევანი: – პოლიტიკოსობა როდის აქეთ მოგინდა?

ნინო: – არ ვიცი. შეიძლება ეს მხოლოდ გატაცებაა. მაგრამ ამჯერად ამ გატაცებაზე უარს ვერ ვამბობ. კარგ ურთიერთობებს დავალაგებ მეზობლებთან, ამ შემთხვევაში რუსეთთან და ჩვენ, მომავალ თაობას ძალგვიძს, დიპლომატიური ენით დავალაგოთ საქმეები და ურთიერთობები ჩვენს მეზობლებთან.

ქეთევანი: – აბა, შენ გამოსავალს დიპლომატიაში ხედავ, არა?

ნინო: – დიახ, ზუსტად ეგრეა, აბა ძალმომრეობით არაფერი არ გამოვა.

ეს ყველაფერი ძალიანაც კარგია და დეე, გისმინოს ღმერთმა. მაინტერესებს რა, ლევანის ხუთი შვილის მამიდა რომ იქნები, შენ რამდენი შვილი გეყოლება თავად?

ნინო: – ორი ან სამი შვილი. ღმერთი რამდენსაც მაჩუქებს. ოო, ისე ხუთი შვილი ძალინ, ძალიან კარგია. გისმინოთ ღმერთმა.

ქეთევანი: – აბა ახლა ილაპარაკეთ თემაზე: როგორ ფიქრობთ თქვენი თაობა უკეთესი, უფრო განათლებული თაობა იქნება თუ შუქრი ბიძიას თაობა?

ლევანი: – ჩემი მოსაზრებით, თქვენი თაობა და ბებოს თაობა

იყო საბჭოთა კავშირის უღელქვეშ. ჩვენი თაობა კმი ძალიან თავისუფალია და აზროვნებაც გვაქვს ძალზედ განსხვავებული.

ნინო: – თქვენ იყავით იმათი გავლენის ქვეშ. ჩვენ კი დღევანდელობიდან და წარსულიდანაც გვაქვს გამოცდილება, მოსაზრებები და დამოკიდებულებები ნებისმიერ თემაზე, ნებისმიერ საქმეზე. იცი, თქვენ როგორები იყავით? რასაც ამბობდა საბჭოთა კავშირი, იმას ფიქრობდით თქვენც.

ლევანი: – სკოლაში პირდაპირ გასწავლიდნენ, რომ საბჭოთა კავშირი არის კარგი და ამისთანა და იმისთანა.

ნინო: – რა თქმა უნდა, შუქრიბიძიასნაირები ბევრნი არ იყვნენ. შუქრიბიძიასნაირები მხოლოდ ერთეულები იბადებიან. მთლად გამორჩეული იყო, განსხვავებულად კარგი, რჩეული; ჩვენ მისთანა ვერ ვიქნებით, მაგრამ, ღმერთმა ქნას,რომ ჩვენც დავემსგავსოთ შუქრი ბიძიას ნიჭიერებით, სიმღერით, ზრდილობით, სიკარგით...

ლევანი: – ჩვენი თაობა იწყებს ქვეყნის გაბრწყინებას.

ნინო: – მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა ვფიქრობდეთ, სწორედ ასე, და არ უნდა ვაძაგებდეთ ჩვენს თაობას. არ უნდა ვამბობდეთ, რომ ჩვენი თაობა არის ცუდი და ხელიდან წასული. პირიქით, ჩვენ უნდა გვქონდეს ჩვენი თავის იმედი.

ქეთევანი: – რა თქმა უნადა, თავდაჯერებულობას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. საკუთარი ძალებისა თვითონ თუ არ გჯერა, მაშინ სხვასაც გაუჭირდება მისი დაჯერება და აღიარება. ამიტომ საქმის წარმატებით დაგვირგვინებისათვის ლამის ნახევარი წილი საკუთარი თავის რწმენაშია. თუ რამდენად გაქვს წარმატების მიღწევაში საკუთარი როლი გააზრებული, საკუთარი ტავის იმედი გაანალიზებული.

ქეთევანი: – ახლა თქვე რამდენი წლისანი ხართ და და სად სწავლობთ?

ლევანი: – მე, ლევან წიფიანი, ვარ ჩვიდმეტი წლის, ვსწავლობ 54-ე საჯარო სკოლაში, ვაკეში. ვარ მეთორმეტე კლასში.

ნინო: – მე მალე გავხდები 15 წლის. ვსწავლობ 171-ე საჯარო სკოლაში, საბურთალოზე. ვარ მეათე კლასში.

ქეთევანი: – როგორ მოგწონთ სკოლისა და განათლების სისტემა? რას შეცვლიდით?

ნინო: – მე ესე ვატყობ მოსწავლეებს, ბავშვებს, რომ უმეტესობა თითქოს არც ფიქრობს მომავალზე. მათ აკმაყოფილებთ დღევანდელობა და არ იციან რა უნდათ მომავლისგან.

ლევანი: – მე რასაც ვამჩნევ ამ განათლებას, შეფასების სისტემა არის ცული, ძალიან ცუდი. ახლოსაც კი არა კარ სისტემასთან. ჩვენს სკოლაში არის ერთი ბავშვი, რომელიც ამთავრებს ოქროს მედალზე. ჩემი კლასელის დაც ამთავრებს ასევე ოქროს მედალზე. მაგრამ მათ შორის განსხვავება არის ცა და დედამინა. გამოცდებზე ნიშნები შვიდიანები მიიღეს. იმ მრდალოსანზე უკეთესი ნიშნები მივიღეთ ჩვენ, არამედალოსნებმა. ჩვენი თაობის მოსწავლეებიც საკმაოდ არიან ხელიდან ნასული. მაგალითად, ჩემს კლასში გოგოები უფრო ბევრნი ეწევიან სიგარეტს, ვიდრე ბიჭები.

ქეთევანი: – შენ, მწეველი ცოლი ესე იგი არ გინდა, ხომ?

ლევანი: – ამას საერთოდ როგორ მეკითხებით. მე ვარ აზიატი.

ქეთევანი: – აზიატობა შენთვის ევროპელობის საპირისპირო ცნებაა?

ლევანი: – სრულებითაც არა. მე 12 წელიწადია ვსწავლობ ვაკეში. შესაბამისად ვარ ვაკელიც და ვარ კოდორელიც, მაგრამ ეს არის წარმოუდგენელი, რომ ჩემი ცოლი სიგარეტს ეწეოდეს და მე ის ჩემი მარიკას გვერდზე დავაყენო, არა? წარმოუდგენელია!

ქეთევანი: – მარიკა ვინ არის?

ლევანი: – მარიკა ჩემი დედაა, საუკეთესო დედა. თუმცა მეც და ირაკლიც პატარაობიდან მხოლოდ მარიკას ვეძახით. საბა ჩემი პატარა ძმა კი ეძახის დედას.

ობლობა

ჯაფარიძე ნანო, 13 წლის; სოხუმი – თბილისი

დადვანი ანანო, 13 წლის; ოჩამჩირე – თბილისი

ქეთევანი: – ნანო, გამარჯობა. შენ ახლა ხარ სკოლის მოსწავლე, შენ არ დაბადებულხარ სოხუმში, აფხაზეთში, მაგრამ შენი მშობლები არიან აფხაზეთიდან, ამიტომაც მე მაინტერესებს შენი მენტალობა როგორია, შენ საკუთარ თავს აღიქვამ თბილისელად, თუ აღიქვამ აფხაზეთელად. რამდენი წლის ხარ?

ნანო: – ცამეტის. ვსწავლობ 171-ე საჯარო სკოლაში.

ქეთევანი: – მე ვიცი, რომ ხარ წარჩინებული მოსწავლე და ასევე ხარ მედლის კანდიდატიც და ღმერთმა ინებოს, წამატებული იყო მთელი ცხოვრების მანძილზე. აი მე ეს მაინტერესებს შენი მენტალობა როგორია, ანუ შენ საკუთარ თავს თვლი თბილისელად, თუ აფხაზეთელად რამდენადაც შენ დაიბადე, გაიზარდე საბურთალოზე.

ნანო: –მიუხედავად იმისა, რომ მე დავიბადე თბილისში , მამაჩემი წარმოშობით არის აფხაზეთიდან და ცხოვრობდა სოხუმში, ამიტომ მე თავს უფრო ვთვლი აფხაზეთელად. მიუხედავად იმისა, რომ მე არასდროს ვყოფილვარ ამ ულამაზეს კუთხეში. მე ძალიან მინდა რომ ოდესმე აფხაზეთი საქართველოს ნაწილი გახდეს და ჩემი მშობლიური სახლ-კარი მოვინახულო.

ქეთევანი: – კარგი, გასაგებია. აი თანამედროვე სკოლაში რა მოგწონს და რა არ მოგწონს? რას შეცვლიდი?

ნანო: – მე ძალიან მიყვარს ჩემი მასწავლებლები, ძალიან განათლებულები არიან და ყველა ერთმანეთზე უკეთესად ასწავლის.

ქეთევანი: – აი განსაკუთრებით ვის გამოყოფდი??

ნანო: – ცალკეულად გამორჩევა არ შემიძლია იმიტომ, რომ

ქართულის მასწავლებელი – ქალბატონი ხათუნა წიკლაური არაჩვეულებრივია. მათმატიკის მასწავლებელიც ჩემთვის გამორჩეულია– ეთერ ბარელაძე. კიდევ ხელოვნების მასწავლებელი გვყავს ახალი, რომელიც ძალიან განათლებულია– ბატონი გოჩა ყანჩაშვილი.

ქეთევანი: – რამდენი რამე გაიგეთ მისგან ხელოვნებაზე...

ნანო: – ამ ერთ სემესტრში იმდენი რამე გავიგეთ მისგან, რომ ამდენი შეიძლება მთელი რვა წლის მანძილზე არ გვისწავლია არამარტო საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს ხელოვნებაზე. საქართველოს მწერლებზე, მხატვრებზე, მომღერლებზე და საერთოდ ხელოვნებაზე.

ქეთევანი: – ძალიან დიდი მადლობა ამ ყველაფრისთვის ბატონ გოჩას. მან მართლა გაზიარათ ხელოვნებას და პირველი მასწავლებელია, რომელმაც მთელი მუზეუმები მოგატარათ. პირადად ჩემგან დიდი მადლობა მას ამისათვის!

ნანო: – ისტორიის მასწავლებელი ყველასთვის გამორჩეული მასწავლებელია, იმიტომ, რომ ყოველთვის ცდილობს ხელი შეეგვიწყოს. მერვე კლასში იმდენად გრძელი და რთული პარაგრაფებია, რომ ძალიან გაგვიჭირდებოდა ერთ დღეში ამ ყველაპრის სნავლა. დიანა მასწავლებელი ყოველთვის ცდილობს დეტალურად და ზუსტად აგვიხსნას გაკვეთილი და ხშირად გვიყოფს მას რამდენიმე ნაწილად, რადგან ახალი მასალის ათვისება გაგვიადვილოს.

ქეთევანი: – გეოგრაფიის მასწავლებელზე რას იტყვი, ქალბატონ ხათუნა ჯიმშიაშვილზე?

ნანო: – ძალიან მიყვარს ხათუნა მასწავლებელი. უნდა აღვნიშნო ის, რომ მე გეორაფიის, ქიმიის, ბიოლოგიის და ფიზიკის სწავლა სახლში არ მჭირდება, იმდენად სრულყოფილად გვაწვდიან მასწავლებლები ყველა ინფორმაციას. საბუნებისმეტყველო საგნების სწავლა წელს დავიწყეთ და ყველასთვის ძალიან საინტერესოა. ვსწავლობთ ადამიანის აგებულებას, სხვადასხვა

ორგანოს ფუნქციას... ფიზიკის მასწავლებელი, ქალბატონი მედეა მიქაძე ძალიან საინტერესო ადამიანია. ის არა მხოლოდ ფიზიკას გვასწავლის, არამედ თავის ცხოვრებისეულ გამოცდილებასაც გვიზიარებს. ქიმიის მასწავლებელი, ქალბატორი მზია კვინტრაძე ამავდროულად ჩვენი სკოლის სასწავლო ნაწილია.

ანანო: – უნდა ითქვას, რომ მზია მასწავლებელი არის ყველაზე ელეგანტური ქალი მთელს სკოლაში! და არა მხოლოდ სკოლაში!

ქეთევანი: – არასოდეს არ ვყოფილვარ მოხიბლული კერძო სკოლებით. მაშინ, როდესაც საჯარო სკოლებში არიან ისეთი ღირსეული მასწავლებლები, როგორებიც შენ ახლა ჩამოთვალე, რატომ უნდა ატარო შვილი კერძო სკოლაში? კერძო სკოლაში სიარული სულაც არ ნიშნავს, რომ შვილი ყველაფერს იდეალურად სწავლობს. მე შენი მასწავლებლებიდან მაინც გამოვყოფდი **ქალბატონ ხათუნა ჯიმშიაშვილს,** იმიტომ, რომ ის ნამდვილად არის ქალი იდეალი, ჩემთვის საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი, შეუდარებელი დედა, აღმზრდელი, ორატორი, მომხიბვლელი ქალბატონი, მართლაც რომ იდეალური ქალი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. თავს ვთვლი ბედნიერად, რომ ჩემს შვილებს ჰყავთ ისეთი მასწავლებლები, როგორებიც არიან ხათუნა ჯიმშიაშვილი, ხათუნა წიკლაური, მზია კვინტრაძე, ეთერ ბარელაძე, მედეა მიქაძე, ეკა ლობჟანიძე, ინგა მარგალიტაძე... ქართველებმა ყოველთვის იცოდნენ ერთი რამ: „კმა არს მოწფისადა უკეთუ იყოს ვითარცა მოძღვარი თვისი“. როდესაც თქვენ, მოსწავლეები... ისმენთ მათ საუბარს, მათ ახსნილ გაკვეთილებს, მათეულ დახვეწილ მეტყველებას, პოლემიკას, მსჯელობას, მათ კამათს, პაექრობას, მიზნად უნდა დაისახოთ, რომ იყოთ ისეთები, როგორი მასწავლებლებიც გყავთ. ბედნიერებაა, როდესაც თანამედროვე სკოლებში ასეთი ღირსეული მასწავლებლები არიან.

ნანო, რაკი ეს პროექტი და თვითონ წიგნი დევნილთა მეტყველებას ეხება, მესაუბრე იმაზე, თუ რამდენად კარგად იცი

მეგრული და რა გსმენია ქართველური ენების, მეგრულისა და სვანურის შესახებ?

ნანო: – მეგრული ყველაზე გავრცელებული ენაა სამეგრელოში, მაგრამ ყველა რაიონში სხვადასხვანაირი მეგრულით საუბრობს მოსახლეობა. მაგალითად, განსხვავებულია ზუგდიდური მეგრული და ჩხოროწყუს მეგრული. ერთიდაიგივე სიტყვებს განსხავევული მნიშვნელობები აქვთ. სენაკში თუ კიბე მეგრულად ისევ კიბეა, ზუგდიდურ მეგრულში მას ტკვა ჰქვია. წმინდა მეგრულით უმეტესწილად ზუგდიდში საუბრობენ, მაგრამ რადგან დედაჩემი სენაკიდანაა, მე სენაკის მეგრულს უკეთ ვიცნობ.

ქეთევანი: – ერთ ლექსს გასწავლი მე შენ: „მეგრელებს ერთი მიზანი გვაქვს სულ დიდი, მსოფლიოს დედაქალაქად გადავაქციოთ ზუგდიდი!“ ხუმრობა იქით იყოს და შენ თუ იცი, რა თქვა ილია ჭავჭავაძემ სამეგრელოზე?

ნანო: – ჩავედი სამეგრელოში და საქართველო ვნახეო!

ქეთევანი: – მეგრულად გვითხარი რამე.

ნანო: – მა მიორს საქორთუო, მა მიორს აფხაზეთი.

ქეთევანი: – აფხაზეთია შენი მხარე და შენი სამშობლო. ნანო, შენ ახლა ხარ ობოლი. ერთი წელიწადია გასული, რაც მამა აღარა გყავს. ჩემთვის გელა ჯაფარიძე იყო კეთილშობილების, წესიერების, ღირსების, პატიოსნების განსახიერება. შენ რა გახსენდება მისი მამობროვი მზრუნველობიდან?

ნანო: – მამაჩემი იყო ძალიან მეოჯახე, ჰყავდა უამრავი მეგობარი, რომლებიც ძალიან დიდ პატივს სცემდნენ და აფასებდნენ. როცა მე, დედა და მამა მივდიოდით ნათესავებთან, მახსოვს მისი არაჩვეულებრივი სადღეგრძელოები, საუბრები. ყოველთვის ერთად ახსებენდა ქართველებს და აფხაზებს. ხშირად მიყვებოდა თავის წარსულზე, როგორ ცხოვრობდა სოხუმში. მიზიარებდა თავის ცხოვრებისეულ გამოცდილებას. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოზე სახლიდან დილით ადრე გადიოდა და შინ გვიან

ბრუნდებოდა, თანაც დაღლილი, ცდილობდა რომ სულ დამლა-პარაკებოდა და რაიმე ახალი მოეყოლა, გაეგო ჩემი შეხედულებები რაღაც საკითხებთან დაკავშირებით, გაეთვალისწინებინა ჩემი მოსაზრებები.

ქეთევანი: – შენ, სამწუხაროდ, ხარ ობოლი. ობლობა ძალზედ ძნელია და რთული. უმამობა დაგეტყო? მე ვფიქრობ, რომ არაფერში არ დაგტყობია, დედაშენი იმდენად მაგარი ქალი და კარგი დედაა... ქალბატონი ნუნუკა ჩიქობავა. ის თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს აკეთებს იმისათვის, რომ ნანო ჯაფარიძე გაიზარდოს ღირსეულ ქართველად.

ნანო: – სკოლაში ისევ ისე ვსწავლობა, იმიტომ რომ მამაჩემს ეს გაუხარდებოდა. სულ მარიგებდა, რომ განათლება აუცილებელია. ჩვეულებრივად ვაგრძელებ ცხოვრებას, რაც დედაჩემის უდიდესი დამსახურებაა. დედა ცდილობს, რომ მამაჩემის ადგილიც დაიკავოს ჩემს ცხოვრებაში და არ მომაკლოს მზრუნველობა.

ქეთევანი: – მე მახსოვს ერთხელ შენ და შენი მეგობრები, ანანო და ნია ერთად მიდიოდით შაქშაქეთში თუ ბაკურიანში. მე გაცილებდით. ...და მაშინ ისე გადაეხვიეთ შენ და გელა ერთმანეთს, ისე... ძალიან მტკივნეული იყო ჩემთვის ეს სცენა, იმიტომ რომ მაშინ უკვე ძალიან მძიმედ ავად იყო მამაშენი. ახლა ვაბმობ პირველად... ჩახუტებულებს რომ გიყურებდი, თვალებზე ცრემლები მომადგა და გავიფიქრე: იქნებ ბოლოჯერ ეხუტება მეთქი... კარგი, ნანო, ძალიან დიდი მადლობა ასეთი ექსპრონტ ინტერვიუსთვის. გისურვებ წარმატებებს! ყველა ოცნება აგხდენოდეს, ყველა სურვილი რეალობად გექციოს; აფხაზეთშიც ჩასულიყავი, არა როგორც ტურისტი და მოგზაური, არამედ როგორც ძირძველ მიწაზე ძირძველი ქართველი; გაზრდილიყავი ისეთი სასახელო ქალი, ამ ქვეყნად რომ დედაშენს და ჩვენ ყველას გვეამაყებოდე და იმ ქვეყნად მამაშენის სული ხარობდეს. !

ნანო: – ძალიან დიდი მადლობა!

გმირობა სიცოცხლეზე მეტია

კვარაცხელია ნონა, 27 წლის; სოხუმი
გაზეთი „ეგრისი"
9 თებერვალი, 1993წ.

ეს წერილი წაიკითხეთ დინჯად, აუჩქარებლად, საშინელი ტრაგიზმის განცდით, როგორც სიზმარი, როგორც უბედურების მაცნე: ყველამ გაითავისეთ უდიდესი დანაკლისი, რადგან **დაიხოცნენ ჭეშმარიტი რაინდები, საქართველოს ფარული მარგალიტები, ყველაზე საიმედო ვაჟკაცები: შუქრი მარგიანი, ემზარ გუჯეჯიანი, გუბაზ ჯოხაძე, ძმები ტელმან და ელვარდ კვიციანები...** მათ შორის უკეთესი მეომრის, უკეთესი ჭაბუკის გამორჩევა არ შეიძლება, მაგრამ შუქრი ჩემთვის მაინც ჩგამორჩეული იყო. ეს მიკერძოება არ არის: ის ჩემი კარის მეზობელი გახლდათ, ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდით, ერთმანეთის ფეხის ხმა გვესმოდა, უსიტყვოდ ვუგებდით კიდეც ერთმანეთს, მაგრამ არაფერს ვამბობდით ნაფიქრზე. „რა საჭიროა იქ სიტყვები, სადაც დუმილი არის მეუფე, სადაც სიტყვები გროშად ფაცოსბენ, მდუმარება კი ბაჯაღლო ოქროდ" – უთქვამს ერთ ლიტველ პოეტს; შუქრიც დუმდა. ზოგჯერ სათქმელი ყელში გორგალივით დაუგროვდებოდა და ვერც ამოთქვამდა, მაშინ ნერვიულობდა. ამ ბოლო დროს საერთოდ მარიდებდა თავს, რადგან ერთხელ გავეხუმრე: „ვისაც ჩემი თვალი შეესწრება, ომიდან უვნებელი დაბრუნდება–მეთქი"... ირწმუნა. მას შემდეგ გზიდან დაბრუნებაც კი მოინდომა: „ტყუილად მივდივარო" – თქვა, – „რამ შემახვედრა, გოგო შენი თავი ახლაო". – საოცრად ლამაზად წაიდუდუნა მაშინ და მაინც წავიდა. იმ საღამოს შინ უვნებელი დაბრუნდა, „მართალი ყოფილხარო!" – მითხრა სხვათაშორის.

30 დეკემბერს მოვედი ისევ ბინაში, ფრუნზეს ქუჩაზე... მისი კარები დაკეტილი იყო. დაღლილი ვიყავი და წამოვწექი. ამ დროს შუქრიმ მისთვის ჩვეული სწრაფი ნაბიჯებით გაიარა ჩემს კართან. წამოდგომა დავაპირე, მაგრამ ის უკვე შორს იყო. თვალი მართლაც ვერ შევავლე. დაუბარებია: 5 იანვრამდე არ ჩამოვალო ოჩამჩირედან. რატომღაც დაძმურად მომენატრა შუქრი, ნეტა არ წასულიყო, იქ რა უნდოდა მეთქი; 3 იანვრამდე იმავე სულისკვეთებით ველოდი. არ მოვიდა. მენანა... თურმე იმ დილით სიკვდილს ებრძოდა, ვითარცა იაკობ და გაიმარჯვა, სასწაულებრივ გაიმარჯვა!

იმ დღეს მთელ ფრონტზე მიმდინარეობდა შეტევა, როგორც დასავლეთის – ეშერის, შრომის, ასევე აღმოსავლეთის – ოჩამჩირის – მთლიან ზოლზე... 4 იანვარი თენდებდოდა. მშვიდად არავის გვძინებია იმ ღამეს...სოხუმ ზანზარებდა... გრგვინავდა..... ცახცახებდა... მიწა იძვროდა, არტილერიის ცეცხლი მუგუზალივით ცვიოდა – ქალაქს ბომბავდნენ... პირველად ვიგრძენი მამისეული სახლის სითბო და ვინატრე: ღმერთო, ეს ჭერი არ ჩამომინგრიო... უკეთესს არც გთხოვ – მეთქი, ასეც მოხდა!

მეორე დღეს გული ცუდ ამბავს მიგრძნობდა. მწუხრის მაცნეს ველოდი უცნაურად... გუმანი გამიმართლდა, ამბავი მოგვიტანეს – ჩვენი მეზობელი სვანი დაღუპულაო გმირულად. ღმერთს ვეხვეწებოდი – ნეტავ შუქრი არ იქნებოდეს – მეთქი. ნატვრა არ ასრულდა. შუქრის ცხედარი ჟერლომ ჩამოასვენა. ერთ ღამეს მორგში დარჩენილან. ერთიც ბინაში დაუყვიათ. მერე თავის ძმა-ბიჭებთან ერთად ომარიშალაში წაასვენეს, დედასთან... კონსტანტინე ბატონის სიტყვები გამახსენდა: **„არც სიკვდილში ჰქონიაო ბედი მეფე გიორგის!“** ასეც ხდება თურმე; დიდთოვლობისა და უტრანსპორტობის გამო, სვანეთში ასვლა პრობლემად იქცა: ყვავილებიც რომ გამოილია ბაზარში?! ღმერთო, მხოლოდ

შავბაფთიანი თაიგულები იყიდებოდა იმ დღეს, მხოლოდ ფერნასული ქრიზანთემები და გაუშლელი ვარდის ყლორტები; მე კი ისეთი ლამაზი ყვავილები მინდოდა მიმეტანა შუქრისათვის, ისეთი ლამაზი... ჰმ, ეს სურვილიც რომ არ ახდა? ყვავილებმა ისევ წარსულში დამაბრუნეს და ბარემ ამასაც მოგიყვებით:

მაშინ „მშვიდობის ლეგიონი“ სანაპიროზე იდგა. ომიანობის ჟამსაც ვერ მოვწყდი რუსთაველის ბულვარს და როცა უჰაერობისგან სული შემიგუბდებოდა, ხელებს ჯიბეში ჩავიწყობდი და სასეირნოდ გამოვიდოდი ხოლმე. ამჯერადაც ასე დავუყევი თოვლიან სანაპიროს და ფიქრებიდან მაშინ გამოვერკვიე, როცა „მშვიდობის ლეგიონის“ ბიჭებს პირდაპირ შევეჩეხე; **წინ შუქრი მოდიოდა, მერე – ჟერლო, უკან ოცამდე სვანი მეომარი მოჰყვებოდათ, ფორმიანები, ავტომატიანები, ჯანიანები, „გულჟანგიანები“...** შუქრის ნახვა უნებლიედ გამიხარდა. ხმამაღლა გავიცინე, ხელი ჩამოვართვი და ვუთხარი: „მთელი ცხოვრება ვოცნებობდი, ქართველი ბიჭები ყვავილებით ხელში მენახა, მაგრამ ვერ ველირსე, სამაგიეროდ, იმას მომასწრო ღმერთმა რომ ავტომატით ხელში გნახე – მეთქი“...

საოცარი სახე მიიღო შუქრიმ, თითქოს მთელი ერის ცოდვა იტვირთა და ინანა, ერთმა ყველაზე ღირსეულმა თითქოს აზიდა ყველა უღირსის ტვირთიც... მას შემდე იშვიათად ვხვდებოდი, შევატყვე, შეგნებულად მერიდებოდა...

შუქრის საოცარი გული ჰქონდა: მოსიყვარულე, კეთილი, მზრუნველი. ორი ძმა ჰყავდა, ორი და, მამა ორიოდე წლის წინ გარდაეცვალა და მას შემდეგ უმცროს და-ძმებსაც თავად პატრონობდა, მამის მაგივრობას უწევდა, ძმის მაგივრობასაც. ოჯახის მტკიცე ბურჯი იყო...

შუქრის სულ გმირობისკენ მიუწევდა გული. **„მეხარბებაო იმ ბიჭების ბედი, ბრძოლის ველზე რომ იღუპებიან, ისინი გმირები**

არიანო". ერთხელ რომ ვთქვი, „პოლკოვნიკი ყარყარაშვილი დაღუპულა და იმდენი ვიტირე" – მეთქი. ფიქრიანად კარგა ხანს მიყურა და თქვა: „იქნებ ის ცრემლი მეც მეწილადოსო"... (შემაჟრჟოლა). ყველანი ვეხვეწებოდით, წინა ხაზზე არ გახვიდეო, მაგრამ არ იჯერებდა: „მე თუ ვიომე, შენ თუ არ იომე, თუკი არავინ არ იომა, მაშ სამშობლოს ვინღა დაიცავს? სამასი არაგველი ერთ დღეს გაწყდა, საქართველო კი გადარჩა... მეც ერთი კოდორელი ვიქნები, მამულს შეწირულიო" – იტყოდა და მაინც წინ ისწრაფოდა...

ნოემბრის გვიანი ღამე იყო, შუქრის ღია ფანჯრიდან სიმღერა მომესმა: ისე კარგად, ისე ლამაზად, ისე სევდიანად დამღეროდა გიტარაზე, რომ გული მომიკვდა – მამიდას ვუთხარი: „ბიჭები შინ ყოფილან და შევალ – მეთქი"... რა დროს ბიჭებთან შესვლააო – შემომირისხდა მამიდა; მე მაინც მოვნახე მიზეზი, ჩუმად შევაღე კარი... „ვნახავ ერთი, რა უჭირს, რომ ასე გულსაკლავად მღერის – მეთქი". არც კაკუნი უგრძვნია, არც ჩემი შესვლა, სიმღერა დაესრულებინა და ფიქრებს წაეღო; ფეხზე მდგომი რომ შემნიშნა, შეკრთა, თურმე არ მელოდა. „დაბრძანდიო" – სკამი შემომთავაზა – გვიანია, როგორ გამოგიშვესო". შენ თურმე ისე კარგად მღერიხარ... არ მინდოდა შემოსვლა, მაგრამ მაინც შემოვედი – მეთქი"... ვთხოვე კიდევ ემღერა.

„მე ქვეყნად მოსვლა არავისთვის არ მითხოვია" ... აჟღერდა ომარ ხაიამის სევდიანი მელოდია... მერე გაირინდა, უკანასკნელი აკორდები აკრიფა და მოულოდნელად, თითქოს თავისთვის მაგრამ მტკიცედ მითხრა: „ახლა წადი!" მე გაკვირვებული მზერა შევაფეთე... „ჩქარა!" – გაიმეორა ბრძანება. ჩგიტარის სიმები ჯერ კიდევ მსუბუქად ჟღერდნენ, როცა მის კარებს გამოვცდი, რაღაც ხმაური შემომესმა: თითქოს სკამი წაექცა, თითქოს გიტარა კედლიდან ჩამოუვარდა. მიბრუნება გადავწყვიტე,

მაგრამ მამიდა შემომეხმიანა და ველარ შევედი!.. მას შემდეგ არაერთხელ მიფიქრია, როგორ გადარჩა კიდევ ასეთი კარგი ბიჭი ქართველებს შორის – მეთქი. ამ ფიქრებსაც ერთხელ მან ხმამაღლა გასცა პასუხი: ჯერ მთელი გულისყურით მიყურება ჩაფიქრებულს, შემდეგ ხმამაღლა მიპასუხა: „ჩვენ მარგიანები ვართ, მარგიანები ვართ ჩვენ!“ ახლობლებს თვალი გადაავლო და ოდნავ წამოწითლდა; მე სახეზე სიგრილემ დამიარა „მართლაც კი!“ – დავუქნიე თავი და მას შემდეგ ხმამაღლა არასოდეს გვისაუბრია!

ახლა მარგიანების დიდებულ გვარს და სრულიად საქართველოს ეს ჭაბუკი აღარა ჰყავს; ის იყო უკანასკნელი და ერთადერთი ქართველი, რომელიც ამ დროისთვის ჩემს თეთრ სიაში ეწერა: მისი დაღუპვა დანაშაული იყო!

სისხლიანი ბაიები ბაიობას ელიან

კვარაცხელია ნონა, 45 წლის; სოხუმი – თბილისი

მაღლობზე ვდგავარ და დავყურებ გამჭვირვალე კედელს გადაღმა დარჩენილ აფხაზეთს... იგი ჰგავს ჩემს წინ დამრეც ციცაბო დაღმართს, მზისგან ახამხამებული სისხლიანი ბაიებით მოფენილს...

...და სუფევს ტკივილი, ეს ერთადერთი გრძნობა, რომელიც გადარჩა... ბნელი ხევისკენ დაქანებულ ფერდობს ველური სიჩუმე დასდგომია გვირგვინად... წარმოსახვაში დარჩენილან რაინდული სულის ჭაბუკები, ომმა რომ შეიწირა – ხელგაშლილნი გულით მიწას დაჰკონებიან და არავის უთმობენ, არავის უსმენენ, არავისი ეშინიათ, არ იხრწნებიან, არ ცივდებიან, არ ბერდებიან და ვერავინ ბედავს მათი სიყვარულის აგონიური მდგომარეობის ხელყოფას... აღდგებიან? არა, ჯერ არა, თუმცა არც დახოცილან! აღდგებიან და დაბრუნდებიან მხოლოდ მაშინ, როცა მათ სამეუფოს სიყვარული დაეფინება იისფერ ზეწრად... მათ მიერ ნაფერებ, მამა-პაპის ძვლებით ნაპოხ, სისხლით გულდანამულ მიწას იმათ ვერავინ შეედავება; ის მათი საკუთრებაა და მათვე დარჩებათ, საღამოობით ცეცხლის პირას ჩამოსხდებიან, ჭიქას ასწევენ და... „ვაჟკაცობისას იტყვიან, ერთ-ურთის დანდობისასა, სტუმარ-მასპინძლის წესზედა, ცნობის და და-ძმობისასა“...

ეს უკვდავი ჭაბუკები იმქვეყნიური სანახებიდან უდარაჯებენ თავიანთ სამფლობლოებს და ელოდებიან იმ დღეს, ოდეს სიყვარულის მზე ზენიტისაკენ აიწევს! მანმადე კი დიდი დროა... დრო – ყველაფრისთვის თავისი ადგილის დამამკვიდრებელი და დამლაგებელი, მოთმინებით რომ აგებს იმ სიყვარულს, რომელიც დაკარგულია, იმ ხიდებს რომელიც ჩატყდა მონათესავე ერებს შორის.

ჯერჯერობით კი... ნასისხლარ ველზე გულმკვდარი ბაიები მაინც ბაიობენ, ხოლო ანგელოზები უხილავი ტერფებით „ეხებიან“ გაუთელავ ბალახებს. დრო მეფობს! ჟამი ჟამიერობს და გვტოვებს ერთმანეთთან ადამიანებსა და წარსულს, აწმყოსა და ყოფილს, ჩვენ და იმათ „მომავალი“, რომ ჰქვიათ!

დრო არ გვაბრუნებს აფხაზეთში, უჟამო ჟამი სუფევს და არ ჩქარობს გასვლას, გვიცდის და გვეკითხება:

საით მიდიხართ – სამოთხისაკენ თუ ჯოჯოხეთისკენ? რა გიდევთ გულში, ძენო ქართლისა – თქვენს ნაამაგარ მიწა-წყალზე ქურციკივით "შილიფად" შერჩენილი აფხაზის კვლა თუ შეწყალება?

– კავკასის ძეო, ძეო ქართლოსის – აფხაზო, შენ რაღას ფიქრობ, მიტევებას თუ მიჭირვებას?

– დასხედით, იფიქრეთ, განსაჯეთ და ფეხი მერე გადმოდგით! – ამბობს ზეციერი...

მე კი ამ წერილს შენთვის და ჩემთვის ვწერ, მკითხველო, ენგურსგადაღმელთა და ენგურსგადმოღმელთათვის; მე რომ ჩემი „შვილისას“ და „ძმისას“ გიამბობ, შენც ნუ დამზარდები შენი „ძმისა“ და „ვაჟისას“. ჩემი ჭირი ხომ შენი ჭირია! ერთნაირად დაგვაღონა წუთისოფელმა, ერთურთის წინაშე ბარიბარსა ვართ... მაშ, ბოლომდე გავითავისოთ ეს „ერთი ჭირი“ – ომი! რა არის ის შენთვის და რითი ჰგავს ჩემი შიში შენსას, შენი საწუხარი რითია ჩემსაზე მძიმე ან მსუბუქი? იმით რომ შენ „გამარჯვებული“ გქვია და მე „დამარცხებული“?

... აკვნესდა მიწა, ატირდა ცა, დალონდნენ ვარსკვლავები... კაენმა მოკლა ძმა და განაგრძო ცხოვრება, სამყარო კი უბედური და ცრემლიანი გახდა.

ჩემი თვალით დანახული კოდორის ხეობა

ლაშხია ეთერი, 73 წლის;
სოხუმი – დალის ხეობა – თბილისი

კოდორის ხეობა, გადმოცემით, ქალღმერთ დალის საბრძანისად არის მიჩნეული. აქ შემოსულს ყველაფერი ხიბლავდა და აჯადოებდა: მინდვრის ყვავილებით მოქარგული ველ-მინდვრები, კრიალა ცა, ცივი, კამკამა და გემრიელი წყაროები, ბუნების "ნობათით" დახუნძლული მთის კალთები, კლდეებზე მარგალიტის მძივებად დაკიდული ჩანჩქერები, ტყისა და ყვავილების სურნელით შეზავებული, მთის მათრობელა ჰაერი, ხალიანი კალმახებით სავსე მქუხარე მდინარეები, მთის კალთებზე წამოსკუპებული ოდა სახლები, ვაკე ადგილებზე განლაგებული შენობა-ნაგებობანი.

ნათლად მახსოვს 22 წლის ახალგაზრდამ როგორი შიშით, კრძალვითა და რიდით შემოვაბიჯე ამ საოცარ სამყაროში (სოფ. გენწვიშში). მე ხომ აქ მცხოვრები ხალხის არც ენა ვიცოდი და არც წეს-ჩვეულებები, მაგრამ ბუნების სიდიადემ დამამშვიდა, მომეჩვენა, რომ ბუნება დღესასწაულობდა ჩემს ბედნიერებას, თითქოს უხილავი დირიჟორი ხელმძღვანელობდა ჯადოსნურ მუსიკას და საიმედო მომავალს მპირდებოდა.

დრომ მიჩვენა, რომ ამ ჯანსაღ ბუნებაში მცხოვრებ ადამიანთა უმრავლესობას წმინდა გული და სუფთა სინდისი ჰქონდა.

ჩემმა გენწვიშელებმა (და არა მარტო გენწვიშელებმა) რძლად კი არა, შვილად მიმიღეს: „გიგჳ̈ ლადეღ", „ისგუ ნაცჳ̈დ", „მიშგულადეღ" –ხშირ-ხშირად მეტყოდნენ ხოლმე და თან თავიანთი ნაჯაფარი ხელებით, კეთილი გულითა და კეთილი თვალებით მეფერებოდნენ. მეც მთელი გულით შევიყვარე ეს უღალატო, სტუმართმოყვარე ადამიანები. „მე ვიყო კარგად, სხვას ყველას

თავში ქვა უხლია", ასეთი რწმენით არასდროს უცხოვრია ამ ხალხს. უნდა გენახათ, როგორ ღირსეულად ედგნენ ერთმანეთს ჭირსა და ლხინში, მწუხარებასა თუ სიხარულში, ნათესავებისა და მეზობლების თანადგომით უქონელისა და მქონებელის სუფრა ყოველთვის იყო უხვი, სავსე და ბარაქიანი.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, ე.წ. „ნადების" დახმარებით სრულდებოდა; საღამოს კი კარგი პურ-მარილი და ნადიმი იმართებოდა. განსაკუთრებით სახალისო იყო ქალების თავშეყრა. დიასახლისი ღუმელთან ფუსფუსებდა, სხვები ჩეჩავდნენ მატყლს და ართავდნენ ძაფს, თან იყო ხუმრობა, მახვილსიტყვაობა, სიცილი და კისკისი. კაცები მხოლოდ „მაყურებლები" იყვნენ, თუმცა ენამზეობაში ქალებს ტოლს არ უდებდნენ. დილის ხუთ-ოთხ საათზე დაიშლებოდნენ და თან მიჰქონდათ ერთმანეთის მიმართ სიყვარულით, მეგობრობითა და პატივისცემის გრძნობით გამთბარი გულები.

...დიახ, ვირჯებოდით, ვშრომობდით და შრომის ნაყოფსაც ვირგებდით.

ნეტამც იმ დროს! დღეს ყოველივე ტკბილ-მწარე მოგონებად, მოუშუშარ ჭრილობად ქცეულა...ადგილის დედა ისე და მამა-პაპათა საფლავები ისე მოგვნატრებია...

მამულის ერთგულებაზე ხატზე დაფიცებულმა სვანმა მამაკაცებმა ათეული წლების განმავლობაში დალის ხეობა საქართველოდ შემოინახეს მთელს აფხაზეთში. ქართული გენის, ქართული ჯიშის გადასარჩენად სკოლის დირექტორების – ზური გურჩიანის, რუსუდან პირველის, თამარ წერედიანის ძალისხმევით და მასწავლებელთა თავგამეტებით აჟრიამულდა ყველა სკოლა და სიცოცხლის სიომაც კვლავ დაჰბერა ამ ლამაზ მხარეში.

ხეობა თვითონ ირჩენდა თავს და ტვირთად არ აწვა ხელისუფლებას. ღმერთო, რა დამავიწყებს 2008 წლის 8 აგვისტოს.

მოულოდნელი, გამაოგნებელი, თავზარდამცემი ფაქტი – ხეობა დაიცალა მოსახლეობისაგან... გავხდით კოდორელები მეორე გზის დევნილები და მიმოვიფანტეთ მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში მომვლელებად, ძიძებად, დამლაგებლებად, შინამოსამსახურეებად, მიმტანებად... მოკლული გულით, დაჭრილი სულით და მომავლის შიშით. სიტყვა „დაბრუნებასაც“ კი ტაბუ დაედო, რამეთუ უროსი თაობა დარდმა მოინელა, დარჩენილები დრომ „დათრთვილა“, ახალ თაობას კი გული მხოლოდ სააქაოდ უძგერს.

მამული? იკითხავს მავანი.

„ვაი სიცოცხლევ, სირცხვილით ვიწვი, კუთხეში გდია მამულზე ფიქრი“...

ფიქრის ქარებს ავედევნე...

ლაშხია ეთერი, 73 წლის;
სოხუმი – თბილისი

წარსულის გახსენება ბასრი მახვილივით გადამივლის მკერდზე და სულს დამისერავს. გამახსენდება ჩემი ეზოს ყვავილთა ღიმილიანი მონათება, მზის ათინათის მტევანთა ფერება, მთები, ცის მშვენება, ბრწყინვალე საგალობელი „ლილეო“, ვაჟკაცური მოძახილი „მუმლი მუხასაო...“

აქვითინდება ჩემი სულის მთრთოლვარე სიმები და გულს საწნახელში ჩაგდებული მტევანივით დამიწურავს – ამავდროულად წარსულში „შორეულ“ აფორიაქებულ სულს მიმშვიდებს, დასერილ გულსაც მალამოდ ედება და მაძლევს ძალას, რომ ღირსეულად ვიარო წინ, მომავლისკენ.

სევდანარევი ღიმილით ვიხსენებ გენწვიშის სკოლას, რომელიც

ჩემთვის იყო (და დღესაც არის) ცოდნის დიდებული ტაძარი, მოგიზგიზე ჩირაღდანი, მომავლის მანათობელი შუქურა.

არასოდეს დამავიწყდება ჩემი პირველი გაკვეთილი მერვე კლასელებთან. ამ ცელქი, ონავარი გოგო-ბიჭების ცნობისმოყვარე, ეშმაკურად მოციმციმე თვალებმა და ოდნავ შესამჩნევმა დამცინავმა ღიმილმა დამაბნია. ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის პირველ დღესვე ამ ცელქმა, კუდრაჭა ბავშვებმა მასწავლეს, რომ სწავლებისა და ურთიერთობის მთავარი „იარაღი" სათანადოდ „მომარჯვებული" სიტყვა და სწორი მიდგომის უნარია.

იმ დღიდან ამოვეფარე რუსთველის ბრძნულ, ზღაპრულ სამყაროს, პოეზიის მეფის მომაჯადოებელ მუსიკას, სულხან-საბას შეგონებებს, აკაკის ტკბილხმოვანებას... და დაიწყო და აეწყო დედაშვილობის წმინდა გრძნობასთან მიახლოებული, საოცარი და განუმეორებელი ურთიერთობა ჩემსა და აღსაზრდელებს შორის, რომლითაც ვტკბებოდი მე, ბედნიერი მთელი ოთხი ათეული წლის განმავლობაში.

დიახ, ვასწავლიდი (ვერ გეტყვით რას და როგორ), უფრო სწორედ, ჩემი ბეჯითი და სმენადქცეული მოსწავლეები თავიანთი მოვალეობის პირნათლად შესრულებით „მასწავლიდნენ და მაიძულებდნენ" ბევრი მემუშავა ჩემს თავზე, ვყოფილიყავი მუდამ შემართული და საინტერესო (არ ვიცი მოვახერხე ეს, თუ არა).

სულ სხვანაირად „მწვრთნიდნენ" ჩემი ზარმაცი (სწავლაში და არა შრომაში), ცოტათი გაუგონარი, უფრო საეშმაკოდ და საცუღლუტოდ განწყობილი გოგო-ბიჭები. საათობით ვფიქრობდი, როგორ გამეკვლია გზა მათი გულებისა და გონებისკენ, ვიყენებდი ყველა (დასაშვებ თუ არდასაშვებ) მეთოდს მათ „შესაბერტყად" და სწორედ, მათი ძალისხმევით შევიძინე მე ის პედაგოგიური ალღო, რომელიც არ ისწავლება არც ერთ უმაღლეს სასწავლებელსა თუ აკადემიაში; (მადლობა მათ).

რა დამავიწყებს „ჩემს რჩეულს აღსაზრდელთა და აღზრდილთა შორის“ შუქრი მარგიანს – იმედს დალელებისას... იჯდა მერხზე ეს მოხდენილი გარეგნობის, გონიერი, გამორჩეული, (ალბათ, ზებუნებრივი ნიჭითაც დაჯილდოებული ყმაწვილი, რომლის შთამბეჭდავად ნათელ სახესა და და შუქმფენ თვალებში მშობლიური კუთხის უზომო სიყვარული, ცოდნის შეძენის დაუოკებელი წყურვილი და მომავლის მიზანდასახულობა ისახებოდა. სამწუხაროდ, ამ ბრწყინვალე ეკონომისტის, დიდი ქართველის, დიდი მამულიშვილის ყველა გეგმა და ოცნება, მათ შორის დალის ხეობის აღორძინებისა, ახალგაზრდა ჭაბუკის ლამაზ სიცოცხლესთან ერთად ომმა ულმობელმა შეიწირა. (ქედს ვიხრი მისი ხსოვნის წინაშე)...

სიყვარულით ვიხსენებ დურმიშხან პირველს, შუქრის თანაკლასელს და მეგობარს. მათ მეგობრობას, მიუხედავად ორივეში ასე გამოქანდაკებული ინდივიდუალობისა, ხასიათთა თანხვედრა და საერთო ინტერესები კვებავდა... ნიჭიერებით, შინაგანი კულტურით გამორჩეული ეს ბიჭუნა ყველას ხიბლავდა თავისი სიდინჯით, სწავლით, კეთილსინდისიერებით (დღეს ის საკმაოდ ძლიერი ეკონომისტია).

ოო, ჩემი ქეთევან მარგიანი (და საერთოდ და-ძმა მარგიანები – ლაშა, მარიკა, ნუკრი)... ის ჩემი სუნთქვაა, სულის ნაწილი, ჩემი სიხარული და აღმაფრენა. მზე ჩაგიდგებოდა გულში, როცა მოგანათებდა თავის ცეცხლოვან, ვარსკვლავა თავალებს და გაკვეთილის მოყოლას დაიწყებდა. საოცარი იყო მისი ენამზეობა, სიტყვათა შეხმატკბილება, გადმოცემის სისხარტე და ენამზეობა.

მახსოვს მეხუთე კლასში გაკვეთილზე გვესწრებოდა „მასწავლებელთა რისხვად“ წოდებული ბატონი – რობერტ ბაკარაძე (განათლების ინსპექტორი). თემა იყო ვაჟა-ფშაველას „ხმელი წიფელი“. ჩემმა ქეთევანმა ქართული სიტყვა „ფიანდაზად“ დაუფინა მკაცრ ინსპექტორს, რომ წაეკითხა... „მასწავლებელთა

რისხვამაც" წაიკითხა და მერე როგორ... ჯილდოდ ქება-დიდება მოსწავლეს, მასწავლებლებსა და მთელ სკოლას. ეს გოგონა ნამდვილი სრულყოფილება იყო (და არის დღესაც) მთელი თავისი ზნეობრივი, ფიზიკური, სულიერი, გონებრივი შესაძლებლობებით. (გულწრფელი მადლობა ირაკლი და ანტისა მარგიანებს ასეთი შვილების აღზრდისათვის).

დაუვიწყარია ჩემთვის VIII კლასელებთან ჩატარებული გაკვეთილი თემაზე „ტარიელ გოლუა". ჩემმა სანაქებო მოსწავლეებმა ზაირა პირველმა, ნინო ჯაჭვლიანმა და ქეთინო ხარძიანმა ისეთი ცეცხლი დაანთეს, რომ განთლების სამინისტროს წარმომადგენელმა ბატონმა შოთა შენგელიამ „ცდუნებას" ვეღარ გაუძლო და განაცხადა: ასეთი გაკვეთილი აფხაზეთში აღარ მომისმენიაო.

დიდი გულისტკივილითა და მწუხარებით მახსენდება ჩემი უსაყვარლესი მოსწავლე რაჯი გურჩიანი (ვერ ვიკავებ ცრემლებს)... მეხუთე კლასელს უკვე მსოფლიო კორიფეების შედევრები ჰქონდა წაკითხული. VIII კლასში დაწერილი მისი თავისუფალი თემა „ჩემი მიზანი" სადისერტაციო ნაშრომადაც გამოდგებოდა.

ახლა, როდესაც 73 წლის მასწავლებლის გადასახედიდან გადავხედავ აფხაზეთში ახალგაზრდებთან სწავლა-აღზრდაში ჩავლილ ორმოც წელს, გული სიამაყით მევსება ხოლმე... დიახ, ჩემდა სასიხარულოდ, მყავდნენ ასეთი სანაქებო მოსწავლეები და თანაც არა ერთი და ორი. დინჯი დევდარიანები (დიტო, ნინო...) ფიცხი ჯაჭვლიანები (ეკა, ლელა...) ფალიანები (ირინა, ჯიმშერი...), გულბანები, გურჩიანები... და სხვები და სხვები.

აღმზრდელად მე „შემქმნეს" ჩემმა მოსწავლეებმა, ჩემმა გენწვიშის სკოლამ, რომელსაც თამამად ვუწოდებ ცოდნის ტაძარს. იქ ჩაიარა ჩემი ცხოვრების თითქმის ნახევარმა საუკუნემ. სიყვარულით ვიხსენებ ჩემს კოლეგებს – დარბაისელ ტატიანა ავალიანს, ენერგიულ ჩამა და ფოდრა ჯაჭვლიანებს, დინჯ გელა

დევდარიანს, იდეალურ ქალბატონს, ჰუმანურ ციცინო პირველს, პირმშვენიერ ინდირა წიფიანს, ზნეკეთილ პამირა პირველს, ბობოქარ შალიკო გუჯეჯიანს, პატიოსან გოგი ქალდანს, უღალატო შოთა ქოჩქიანს, კეთილშობილ თამარ წერედიანს, ხმაურიან ჟანა ხარძიანს, კისკისა და ხალისიან ლალი წერედიანს, თითქოს სუსტ არსებას და მაინც უძლიერეს და უგანთლებულეს თინა პირველს... ჩემი გულწრფელი მონატრება, სიყვარული და პატივისცემა მათ.

„როდესაც სული იქსოვება სევდის ძაფებით, და გულში წვება მეწამული თიბათვის ღამე, მე თბილად ვაღებ გამოცდილი ექიმის კარებს, და ვისინჯები...

ავადმყოფობის დიაგნოზია **მონატრება**“...

დავამთავრე წერა, თავალი გადავავლე ნაწერს და არ მომეწონა. ეტყობა აკაკის „სენი“ გადამედო: „ველარ გაჰკივის თამამად ჩემი დაფი და ნაღარა“.

მაგნოლიის შრიალს სხეული სადღაც მიაქვს

კალანდია მადონა; სოხუმი

როცა ვიგონებ სოხუმს,
სისხლი ძარღვებში მოქუხს;
ირგვლივ იები მოთოვს,
როცა ვიგონებ კოდორს;
და ბაბუშარის ყივილს
ვადარებ სისხლის კივილს.
როცა ვიგონებ გაგრას,
გული ია-ვარდს ქარგავს;
ვიგონებ შრომას... კამანს...
ცრემლი წამწამებს ნამავს;
ვიგონებ ათონს, რიწას,
გული ნათდება იმ წამს
და მაგნოლიის შრიალს,
სხეული სადღაც მიაქვს.
ვიგონებ მოძმეს, ორგულს და
ჩემს საყვარელ ნართას,
ახლა სევდა როიმ ახლავს...
ზღვა მენატრება შმაგი,
ზემო და ქვემო ფშაფი;
ვნატრობ მშობლიურ მხარეს –
ჩემს ფილტვებსა და თვალებს.

* * *

მთქმელები:
ბჟალავა ჟანა
იოსელიანი ვენერა
დადვანი დიანა
ქვარცხავა მზია
ქაჯაია-ქორჩილავა ნანი
ციმინტია-ქვარცხავა ჯულიეტა
ბეროშვილი ნარგიზა
ცანავა-ოჩიგავა ჟუჟუნა

მზია, ნანი, ქალბატონო ჯულიეტა, ჟანა, ჟუჟუნა, ნარგიზა, ქალბატონო დიანა, ვენერა, ნელი... მოგესალმებით! ჩვენ ვართ სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორები, ენათმეცნიერები და ვმუშაობთ ასეთ პროექტზე – დევნილთა მეტყველება. ძირითადად აფხაზეთელი ქართველების მეტყველებას ვსწავლობთ. ვესაუბრეთ ასობით დევნილს, დავუსვით ათასობით კითხვა, ვთხოვეთ, გაეკეთებინათ მათ თვითშეფასება საკუთარი მეტყველებისა და საუბრის სტილის შესახებ; გვაინტერესებს თქვენი აზრი:

ჟანა: – მე დავიბადე და გავიზარდე გულრიფშის რაიონის სოფელ ვარჩეში. მე ვარ ფილოლოგი. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი; ამ ოცდასამი წლის მანძილზე მე მეგრული არ დამავიწყდა, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ჩემი მეტყველება უფრო დაიხვეწა. ახლა ვმეტყველებთ ზუსტად ისე, როგორი ქართულითაც უნდა გვემეტყველა აფხაზეთში, მაგრამ იქ ძალიან დიდი იყო რუსულის გავლენა. ჩემი გვარი ბჟალავა მეგრული ეტიმოლოგიისა და დაკავშირებულია მზესთან. მამაჩემი – ნიჟა ბჟალავა ახლა არის 82 წლის. მამაჩემის დიდი ბაბუაც კი აფხაზეთში იყო დაბადებული და გაზრდილი. დედაჩემი იყო მერხეულელი – ტატიანა თათარიშვილი.

მზია: – მე ვარ მზია ქვარცხავა; სოხუმში დავიბადე, გავიზარდე, ვიცხოვრე...

ამ დევნილობის წლებში უკეთესად დავეუფლე ქართულად გამოთქმას. აფხაზეთიდან ჩამოსულები მეტწილად ვსაუბრობდით რუსულად. მოსკოვში დევნილობის პერიოდში თორმეტი წელი ვიმუშავე ფარმაცევტულ კომპანიებში. კომპანიის დირექტორი იყო ძალიან კარგი კაცი გვარად საროკინი. ის ძალიან კარგად იყო განწყობილი ქართველებისა და საქართველოს მიმართ, დამიბარეს გასაუბრებაზე, რომ ნახეს რომ კარგად ვიცოდი რუსული, მქონდა სამედიცინო განათლება, ამიყვანეს თავიანთ კომპანიაში. ...

ქეთევანი: – ასეთი მომხიბვლელი გარეგნობაც ხელს გიწყობდა და...

მზია: – მეგრული მე არასოდეს დამავიწყდება.

ნანი: – მე ჩემს შვილებს იქაც სოხუმში, ოჯახში ვესაუბრებოდი მხოლოდ და მხოლოდ ქართულად. მეგრულს იგებენ, მაგრამ ვერ ლაპარაკობენ. სოხუმში ვცხოვრობდით ბაგრატიონის ქუჩაზე. მე ქაჯაია ვარ, ხარჩილავა მეუღლის გვარია. მე ვარ 63 წლის. ჩვენ რომ გვიყვარს, ისე ჩვენს შვილებს ვერ უყვართ სოხუმი, იმიტომ რომ მათ ეს სამოთხე ხომ არ უნახავთ. ჩვენ რომ ვიცით ძირიან-ფესვიანად, პატარებმა ისე ვერ იციან. ახლა კი ვცდილობ, შვილიშვილებს ვესაუბრო მეგრულად, არ მინდა დაკარგონ ენა, იგებენ ყველაფერს, მაგრამ ვერ ლაპარაკობენ. ლოცვითაც მხოლოდ და მხოლოდ ვლოცულობთ ქართულად.

უფროსები ერთმანეთს ხანდახან ველაპარაკებით მეგრულად.

ვენერა: – მე ვარ ვენერა იოსელიანი – 78 წლისა. ვცხოვრობდი ოჩამჩირეში, სოფელ კოჩარაში. მანამდეც და ახლაც, აფხაზეთშიც და აქაც ერთნაირად ვიცოდი სვანური და ქართული. ისეთი დავრჩი აქაც, როგორიც ვიყავი იქ. მთავრობა ხალხისთვის რაიმეს რომ გააკეთებდეს, თუკი დაგვეხმარება, ძალიან კარგი იქნება.

დიანა: – მე ვარ დიანა დადვანი – 82 წლის. დავიბადე და გავიზარდე გაგრაში, სოფელ ბზიფში. ვარ ექვსი შვილის დედა. ჩემი მეუღლე – იროდი მარგიანი დაილუპა ომში. გაგრა იყო ნამდვილი

სამოთხე, გვქონდა ძალიან კარგი ცხოვრება. სავაჭროდ სულ დავდიოდი სოჩაში. არა მგონია ჩემი მეტყველება შეცვლილიყოს.

ჯულიეტა: – ჩემი ქალიშვილობის გვარია ციმინტია, ქვარცხავა გენო მყავდა მეუღლე. ჩვქონდა ძალიან კარგი ოჯახი. ვცხოვრობდით კელასურში. ჩვენ მეგრელებად ვკვდებით. ძალიან მიჭირს ჩემს სახლ-კარზე და სოხუმის მონატრებაზე ლაპარაკი. ჩემი მეუღლე დაავადებული იყო აფხაზეთის სიყვარულით. საქართველო უზომოდ მიყვარს, მაგრამ აფხაზეთის სიყვარული ტკივილად ჩამყვება სამარეშიც. ძალიან მიჭირს ამაზე ლაპარაკი, შვილო... სოხუმი რომ დაიკარგა, წამოვედით სვანეთით. ჩემი მეუღლე აფხაზეთის სვანეთშია ნამუშევარი წლობით. თითქმის 15 დღე დავრჩით ოთარ ცალანის ოჯახში, საკენში. ძალიან ბევრი პატივი გვცეს. ჩემს მეუღლეს ეცვა ტუფლები. სასწრაფოდ ჩექმები მოუტანეს. უუღელტეხილზე ჩექმებით ხომ არ გაგიშვებთო. მე ძალიან მიყვარს სვანეთი და სვანები.

ქეთევანი: – თქვენი მეუღლე ბატონი გენო ქვარცხავა იყო საოცრად კარგი კაცი, ნამდვილი ჯენტლმენი, კეთილშობილი, მეოჯახე, მზრუნველი. მეგობრებივით და თანატოლებივით ხშირად და საათობით ვსაუბრობდით ხოლმე მე და ბატონი გენო. გყავთ შეუდარებელი შვილიშვილები – ირმა, გიზო, ირაკლი, დათო. ირაკლი ახლა ამერიკაში, ნიუიორკში, მანჰეტენზე ბანკში ზის და ბანკირია, მოკლედ. მე მაქვს წაკითხული მესამეკლასელ ირაკლი ქვარცხავას ინტერვიუ წლების წინ. ინტერვიუში ირაკლი ძალიან თავმდაბლურად ამბობს, რომ საქართველოს პრეზიდენტი მინდა ვიყოო. ამას წინათ რომ იყო ჩამოსული, ვუთხარი, ასე როგორ მოგხიბლა ამერიკამ, რომ საქართველოს პრეზიდენტობა გადაიფიქრე – მეთქი. უზომოდ მახარებს ირაკლის ასეთი წარმატებები. და საერთოდ, მირღწევები ყველა ქართველი ახალგაზრდისა.

მზია: – მოსკოვში ყოფნისას სახუმის მონატრებას რომ ვერ გავუძელი, დავწერე ლექსი. დავწერე მუსიკაც. და ვმღერივარ მე თვითონ. წაგიკითხავთ ახლა ამ ლექსს:

ნანი: – ლექსის ავტორი მზია, მუსიკის ავტორი მზია, პოეტიც მზია.

ჩემო სოხუმო

ქვარცხავა მზია, 62 წლის;
სოხუმი – თბილისი

ო, აფხაზეთო, რა კარგი იყავ,
შენი სურნელი არ მავიწყდება,
შორიდან მაინც მოგეფერები,
არ მემეტები დასავიწყებლად.

მინდა გიმღერო, ჩემო სოხუმო,
შენთან შეხვედრა როგორ მწყურია,
სად არ ვიყავი ამ ხნის მანძილზე,
შენი სადარი ვერ მიპოვია.

დრონი გადიან, ველარ გივიწყებ,
თვალზე ცრემლები არ შემშრობია,
მოგონებებში გადავარდნილსა,
შენი სიტურფე მომნატრებია.

ო, როგორ მინდა, ჩემო სოხუმო,
ისევ ვიხილო შენი მშვენება,
დაველოდები იმ საოცრებას,
შენი მზე როდის ამობრწყინდება.

აგვსრულებოდეს ერო, ქართველნო,
ესე ნანატრი ბედნიერება!

ბესლახუბა

მარგიანი-აკაბა ნაირა 65 წლის; გაგრა – ბზიფი, ოჩამჩირე – ბესლახუბა – თბილისი

მი ნაირა მარგიან სემი ლადღიჲ მეკდე ხვი აფხათზეთხჲნ, ხვიზგე ოჩამჩირეჳ რჲიონს, სოფელ ბესლახუბას. ნათჲნ ი ნარდჲვ ხვი გაგრას, ბზიფს. მი სამოცდაორი წლის ვარ. მიშგუ მუს ხეჟხჲნ იროდი მარგიან, მიშგუ ჭჲშ ლჲსუ **ვანია აკაბა.** მირი სემი გეზალ: გია, ია ი პაატა. იშგვიდ ზჲჷ ლი მეჩდე უკვე ვანიჲ ნადგარუნღო. მი თელღრა ხვი აფხზარეშ. ათხე ერ ლჲქვა ერე ოჯჲხისგა როქ ნჲხუმსჲრ მალე წეს-ჩვეულება ნაღვჳნჲნ, ამკჲლიბ დჳსამა მეშყდენი, უშხვჲრ ხვაგგრგჲლდად ქართვილდ, მი ი მიშგუ ჭაშ, მი ი მიშგუ ძმჲჷ. გეზლირსი ქართვილდ ხვაგგრგჲლდად. ეშხუსი დეშ ხვიშყდუნე ხოლა დამოკიდებულებობს იედ ლჲმთილჲრცახჲნ, მადე მეზჳბელჲრცახჲნ. ვანიჲ ლაშდღვჲლჟინ მიჩა ბიძაშვილჲრდ ი ჭირისუფლჲრდ ლგჷფხაზუდ ჲდგვჲნეხ ჩუ. ლაშდღვჲლ ეჯჷჲრსი ნჲჷ აშხვნჲირდ გვჲმთქვა.

– მჲჷ ხაიშხა ეჩასე, ლაგვჲნანლონ ერ იჩოხ ქვინი ლჲსგრგებდ? ლიშრავჲლ მადია?

– პირის გახსნა. ო, ეჩქა კლავენ საკლავს, ცხვარს ან ხბოს, ან თიკანს. თუკი მარხვა არ არის.

– ბესლახუბას ათხე შემოსავალ მაი ჯუღვახ?

– პენსია. ბაღ, ბოსტჲნ, ხილი, თხილი და ციტრუსი.

– ლჲქლუმგენ მამა ლია ეჩე ხოჩა?

– მხოლოდ ჩემი სამყოფი. ერთი ძროხა მყავს.

– ლიმზობელ მოგვაი ჯჲრხ?

– გუნ ხოჩა. ჭირჟინ ი ლხინჟინ მეჰად გჲნჟი ხვჲგდ უშხვარ და რაც შეგვიძლია ვეხმარებით.

– შვილიშვილები გყავს?

– ჯერჯერობით არა. ია გარ ლი ქალუწვრლე. გიას ი პაატას არ მოუყვანიათ ცოლები.

– თელლრად მჷფხაზ ჯიცხა ჰა მჷქრთველ? სი იმჟი ხისკრრე?

– მინს ერვაჷ ხეცხენიხ, ეჯა ანკჷდახ. მი მელტი მაგ, ერვაჷ მიშგუ გეზლირს ხალატხ ი ამუნღოჷ ხელტიხ.

– თბილისთე ლიზელალ ისგუ დიეშთე ი ლაუდილათე გიჭირსმა?

– პროპუსკით მოვდივარ. პროპუსკურ ღალ იარ ამფიშვდე. ი ხვიზელალ ზაჷსგა ხვაინ ჷორინ-სამინ ეჩხავ-ამხავ. მართალ ჯაქვა, ალ ჷერვეშდჷორი ზაჷსგა გვი ჩუ მებჳვეშალ მარ, მიშგუ კალიბარს ხომ აფხზარეშ ი ქართველრე ტკივილ ეშხუნაირდ გვტკიოდა. ი მიშგუკალიბარ ფიშირ, ფიშირ ხვიშდ. მარე, სამწუხაროდ, ძალა ნაჷ მამგვეშ ნუღვა, ნაჷ ჷარ იმ ნეჭვდიელ. გვეშარს წყვეტენ პოლიტიკოსარ.

– სოხუმ ლიმა ნაცადუნ ეჩქანღო. ხოჩილთე აყირ ხალხდ ჰა ხოდრილთე. ეკონომიურად ხოშილ მდიდარდ ხარხ ათხე ჰა ეჩქად. მშენებლობალ ი ალა ესღრიმა? ტურიზმ განვითარდა ჰა მამა ხოშილ?

– ამკალიბარჟი ლიგგრგალი მამ მაკუ.

თარგმანი

მე, ნაირა მარგიანი, სამი დღის ჩამოსული ვარ აფხაზეთიდან, ვცხოვრობ ოჩამჩირის რაიონში, სოფელ ბესლახუბაში. დაბადებული და გაზრდილი ვარ გაგრაში, სოფელ ბზიფში. მე ვარ სამოცდაორი წლის. მამჩემს ერქვა იროდი მარგიანი. ჩემი მეუღლე იყო ვანია აკაბა. მყავს სამი შვილი – გია, ია ი პაატა. უკვე შვიდი წელი გავიდა ვანიას გარდაცვალებიდან. მე ვარ რძალი აფხაზებისა. ახლა რომ ვთქვა, რომ ოჯახში რაიმე განსაკუთრებული

წეს-ჩვეულება გვქონოდა, ასეთი რამ არ მახსენდება. ერთმანეთს ველაპარაკებოდით ქარტულად მე და ჩემი ქმარი, მე და ჩემი მაზლი. ბავშვებსაც ქართულად ველაპარაკებოდით. ერთასაც კი ვერ ვიხსენებ რაიმე უდიერ დამოკიდებულებას ან ქმრისიანებთან, ან მეზობლებთან. ვანია გასვენების დღეს ჭირისუფლებმა, მისმა ბიძაშვილებმა აფხაზურად დაიტირეს. საერთოდ, სატირალი ჩვენ და იმათ თითქმის ერთნაირად გვჩვევია.

– რა ჰქვია ე იმას, გასვენების მერე რომ აკეტებენ სულის სასარგებლოდ? ლიშრავალი არა?

– პირის გახსნა. ო, მაშინ კლავენ საკლავს, ცხვარს ან ხბოს, ან თიკანს. თუკი მარხვა არ არის.

– ბესლახუბაში შემოსავალი რა გაქვთ?

– პენსია... ბაღი, ბოსტანი, ხილი, თხილი და ციტრუსი.

– მესაქონლეობას არ მისდევთ?

– მხოლოდ ჩემი სამყოფი, ერთი ძროხა მყავს...

– მეზობლობა როგორი გაქვთ?

– ძალიან კარგი. ჭირშიც და ლხინშიც ყოველთვის გვერდში ვუდგავართ ერთმანეთს და რაც შეგვიძლია ვეხმარებით.

– შვილიშვილები გყავს?

ჯერჯერობით არა. მხოლოდ ია არის გათხოვილი. გიას ი პაატას არ მოუყვანიათ ცოლები.

– რძლად აფხაზი გირჩევნია თუ ქართველი? შენ როგორ ფიქრობ?

– თვითონ ვინც ეყვარებათ ის მოიყვანონ, თვითონ ვინც ერჩივნებათ ის მოიყვანონ, მე კი მეყვარება ყველა, ვინც ჩემს შვილებს უყვართ და ეყვრებათ მომავალშიც.

– თბილისში სიარული, დედაშენთან და შენს დებთან გიჭირს?

– საშვით მოვდივარ. უსაშვოდ აბა ვინ გამომიშვებს. და დავდივარ წელიწადსი ზოგჯერ ორჯერ-სამჯერ იქით-აქეთ. სიმართლე

გითხრა, ამ ოცდაორი წლის განმავლობაში ჯული მაქვს შუაზე გაპობილივით... ჩემნაირებს ხომ აფხაზებისა და ქართველების ტკივილი ერთნაირად გვტკიოდა... და ასსეტ მდგომარეობაში მყოფნი ვართ ბევრნი, საკმაოდ ბევრნი... მაგრამ, სამწუხაროდ, არავიტარი ძალა ჩვენ არ გვაქვს, იმიტომ რომ საქმეებს წყვეტენ პოლიტიკოსები.

– სოხუმი თუ შეიცვალა მას მერე... უკეთესობისკენ წარიმართა ხალხის ყოფა, თუ უარესობისკენ. ეკონომიურად ახლა უკეთესად არიან თუ მანმადე იყვნენ. მშენებლობები თუ მიდის... განვითარდა თუ არა ტურიზმი უფრო?

– ასეთ თემებზე ლაპარაკი არ მინდა.

* * *

დადვანი ლაზარე, 85 წლის; ოჩამჩირე – ბოლნისი

გზაურთე ლიზი ეჩქა ჩის ხემთქუან დალისგა. ეკ ზაუ კრასნოდარი მხარეს, ლაბინსკი რაჲონს, ხუარდად: მი — ლაზარე დადუან, ილაკრი მარგიან ი აკაღ ჩხარა მახელუაკ.

ეკ ლადაღ მი ი ილაკრი ჩუ ონჯუადდ რაჲონთე პროდუქტთე ი იშგენ გუშართე. ეჩე სატყეო მეურნეობა მირ ლასუ ი ზუსტად ეკ ლადეღ პრაზდნიკ მირ ხარახ ი მაგ მაშდმარ ლასხუ.

ილაკრიდ ალას გუილახუემ ი ჟ'ანქაჩ დორი ხოშა ფაუ (ტყენარზუმ), შუნ ესერ გუღუენს. შუნ ნაყა ეშხუ ლგლაბ ჩაჟ ლეზუბ-ლეთრეშუ.

ალდარ ქა-მგრესგ-ნეწადხ, გუდაჯადხ რუსალ ერ მამ ხუასუდუ. ჩუენხუიდხ, მანკუიდ უითომ თუთინ ნაშგუმინხ, ეჩქანღო უოტკა, დაშიკს ერ ხეწადხ ჩაჟკი, ამი ლიღეშგალ ლანბინეხ. ეჩეჩუ ჟიხაგდა ხოშა უისგუ. ნად უოდიუოდ ხუიუჩიდ ალდარს ტყენარშუ. ამ დრეუქა ქ'ანთერიინან რომანოუ, ეჩას ნად ჩუხოთრრნდ ი ათსასტკუნე, მარე ალდარ გარინდაბირ ეშდარა-ერუეშდ მარეს მამგუე'მ მოშ ათსიმნე ი ეჩქას სერ მილიციათე ოთრგსკნა.

ილაკრი გუნ ხოჩა მაბგრგა ლასუ, ლგდმედ ი ლგკმაშ. ეშხუ სემიოშთხუ მასარდ ანრესგუე, მარე ალამაგცახან დორილ გარ ეში იმ ოთჩოდად, ლახე მელეცია მოდ ენჰრლ.

ეჯდარხანქა დორი მარე ჩუადგრმალეხ, თითუ ზად ოთქუიცახ ეჩქანღო.

მი ი ილაკრიდ გაუაგრძელეთ შუკუ ი უენდილდ ოთჰედ სგა სადგუემთესგა.

ამკალი ფათრაკალ უოშა მაშყიდ გზაურს ი მაშრი ადგილარს, ჩის ღალ მად იშყუდუნე.

თარგმანი

სამოგზაუროდ წასვლა მაშინ ყველას სჩვეოდა დალის ხეობაში. იმ წელს კრასნოდარის მხარეში („მხარეს"), ლაბინსკის რაიონში, ვიყავით: მე — ლაზარე დადვანი, ირაკლი მარგიანი და კიდევ ცხრა კაცი.

იმ დღეს მე და ირაკლი ჩამოვედით რაიონში სურსათისთვის და სხვა საქმეებისთვის. იქ სატყეო მეურნეობა იყო და ზუსტად იმ დღეს ზეიმი ჰქონიათ და მთვრალები იყვნენ.

ირაკლი ამას დაუკვირდა და მოჭრა ორი ჯოხი, ხელთ გვქონდესო. თან გვყავს სურსათ-სანოვაგით დატვირთული ერთი ცხენი. ამათ როგორც კი დაგვინახეს, მიხვდნენ რუსები რომ არ ვიყავით. დაგვხვდნენ, ჯერ ვითომ თუთუნი გვთხოვეს, შემდეგ არაყი დაინახეს ცხენზე და ამისი წართმევა დაგვიწყეს. იქ იდგა დიდი ვაშლის ხე. ჩვენ კარგა ხანს ვიგერიებდით ჯოხებით. ამ დროს გამოჩნდა რომანოვი, ის ჩვენ გვცნობდა, ეწყინა, მაგრამ ამ ვიგინდარა თვრამეტ-ოც კაცს ვერაფერი შეასმინა და მა'მინ მილიციაში დარეკა.

ირაკლი ძალიან კარგი მოჭიდავე იყო, საიმედო და ძლიერი. ერთი სამი-ოთხი კარგად დაბეგვა, მაგრამ ამდენთან მხოლოდ ორი კაცი რას გავხდებოდით, მილიციას რომ არ მოესწრო.

იქედან ორი კაცი დაიჭირეს, თითო წელი მიუსაჯეს.

მე და ირაკლიმ გავაგრძელეთ გზა და ძლივს მივაღწიეთ სადგომამდე.

ასეთი ფათერაკები რამდენი მახსოვს მგზავრობისას და უცხო ადგილებში, ყველას რა გაიხსენებს.

ღგნ

ჯაჭვლიანი ანტისა, 82 წლის; გულრიფში – წინწყარო

ბოფშჳრხჳნ ლი ღგნ ლიღუმესჳრი, ხეხუა მეჰად თებერუალისგა. ბოფშჳრ მეჰად მჳხჟადშუ ოხღელდახ ალ ლადეღს, ეჯღ'ერე მაჩენე ჩუ ესმა იმჳრი ზჳჟხჳნქა ზჳჟთექა, ალ ღგნჟინ ხომჳრეხ.

ამ ლენთ ოჯჳხი მახუში ჟ'ესხგრდა დარბაზთეჟი, ლაშგყშუ ჟ'ესღუჳნ ხოჩა-ხოჩა ლეზბურა — ქუთ ი კუბდჳრ, ლგგრჳლ, მგტყაბ ქათალ.., მუჭხურა, ლემზგრჳლ ალ ლადღი ყერხჳნ.

ალას ჩი ქ'ჳგურჳნდა ლაშგყხჳნქა ი ჩუშიდა დირლექუა ი ტუილდა:

— ამჟიშ როქ ოგგურნენა ზჳჟ ი მოსაუჳლ.

ხეჭუჳდრლხ ალას სგა ბოფშჳრ ლაღეშგჳლს ი ლამქარჳლს — ჟჳრ მოშ ხოშილს ადინა.

ეჩანღო ქორისგა ქაიმჳრრლ აჯაღ ხოშა სუფრა. ეჩხჳუ ბოფშჳრი ქაჯიდახ მინე ნადაულს ი ნათგმს.

მერმა ლადეღ იბნრლ ლითრდრი. ალ ღგნისგა მონაწილეობდა ზურჳლ, ღუაჟმჳრე. ხოშა ი ბეფშუ მჳგ.

იბნრლ ლიზელჳლ სოფელისგა — ხედუჳჟ მეზგას სგალჳხგენრლხ, ხომზირდახ ხოჩა მოსჳუჳლს, ხოჩა ზჳჟს, ხოჩა მომაუჳლს, ლიფშირუს, — ალას მახუში, მეთაურ ხომზირდა ი მერმჳლ ხჳტხახ — ამენ!

უეშგიმპილს აშხუ მეზგათე იყუბჳლ-მჳგ-სგა, ჩის ახღუჳნ ლეზუებ-ლეთრე, იბნრლ ლიქეიფ ი ხუჳინ სამ-რშთხუ ლადეღს ქა-მამ-იზგრრლ. უეშგიმპილს ლიფხჟჳლე პილთე ხედუჳჟ მეზგას მერმა ზაუ ხეხრლნრლ ალ ლითრდრი, ეჩას ხომზირდახ ზჳიშელჳჟს.

რელიგიური დღესასწაული

თარგმანი

ეს რელიგიური დღესასწაული არის ბავშვებისამი მიძღვნილი დღე. მუდამ თებერვალში ხვდება. ბავშვები ყოველთვის სიხარულით ელიან ამ დღეს, იმიტომ, რომ წლიდან წლამდე საუკეთესო რაც აქვთ, ამ დღისთვის ამზადებენ. ამ ღამით ოჯახის უფროსი ადიოდა მეორე სართულზე („დარბაზ-ში“). ზურგჩანთით აჰქონდა კარგი საჭმელები: ხაჭაპური და კუბდარი, კვერცხები, შემწვარი ქათამი, ტკბილეული, სალოცავი პურები ამ დღისთვის მიძღვნილი.

ამას ყველაფერს გამოაგორებდა ზურგჩანთიდან, ჩამოყრიდა დირეში და ამბობდა: „ასე გამოგვგორებოდეს წელი და მოსავალი“. შემოეხვეოდნენ ამას ბავშვები, ცილაობდნენ და ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ვინ მეტს წაიღებდა.

შემდეგ ოჯახში ი'შლებოდა კიდევ დიდი სუფრა. იქ ბავშვებსაც მიჰქონდათ თავიანთი მონაპოვარი.

მეორე დღეს იწყებოდა თევდორობა. ამ დღესასწაულში მონაწილეობდა ყველა — ქალი, კაცი, დიდი და პატარა. იწყებოდა სოფელში სიარული. რომელ ოჯახსაც მიადგებოდნენ, ლოცავდნენ, — კარგ მოსავალს, კარგ წელს, კარგ მომავალს, სიმრავლეს, — ამას უფროსი, მეთაური, ლოცავდა, დანარჩენები ეუბნებოდნენ — ამინს.

ბოლოს ერთ ოჯახში შეიკრიბებოდნენ ხოლმე. აქ ყველას მოჰქონდა საჭმელ-სასმელი, იწყებოდა ლხინი და სამი-ოთხი დღე არ მთავრდებოდა. ბოლოს, დაშლის პირას, დალოცავდნენ ხოლმე ოჯახს, რომელსაც უნდა ემასპინძლა მომავალ წელს თევდორობისას.

* * *

დადვანი ლაზარე, 85 წლის; ოჩამჩირე – ბოლნისი

ხუჳლმი ლიმზგრი ხეხუა აღბიერისგა. ალა ხადურ მრ'მ ღგნ მირ ლი. ამ ლადაღ მიუ ლაწადი მგქაფ მაგ იმზირ ლექჳაუ — მიჟლაჰართე.

ლიმზირ ლი ყიროხან, ჯუაშხან, ბოფშრე ნაშდუებიხან, ისყი ჰაზუისგა წყგლიან აგის. იმზირხ ამჟა: „ხუჳლმი, ხუჳლმი, ისგუ მეფშუდე მაზიგ მაგ, მიშგუ ჯუაშ ი ყიროო ლახო როქ ლეჟა ბიქჳს ი ლექჳა ლიცს".

ლემზგრაჳლი ჰაზუისგა ხეკჳეს ადიმენხ. ამ ლადეღ კუბდარაჳლს ანყეხ ხახურ, სუფთა ჯიმშუ გარ. ეჯაჲ ხეკჳეს ჰაზუისგა ადმამენს მაგ.

თარგმანი

ხვალმის ლოცვა ეს სულ სხვანაირი დღესასწაულია. ამ დღეს აღმოსავლეთის მაგივრად, ყველა ქვეითკენ („დასავლეთისკენ") ლოცულობს, მზის ჩასასვლელისკენ.

ლოცვა არის ყივანახველის, ხველების, ბავშვების ჯანმრთელობისადმი. კეთდება ეზოში წმინდა ადგილას. ასე ლოცულობენ: „ხვალმი, ხვალმი! შენი გამოშვებული ავადმყოფობა, ჩემი ხველება და ყივანახველა ზევით ქარს გაატანე და ქვევით წყალს. ლოცვა ეზოში უნდა ჩატარდეს. ამ დღეს უხახვო კუბდარებს აცხობენ, სუფთა მარილით. ისიც ეზოში უნდა შეიჭამოს.

მეშიაწლ მახელღაჟიშ ამბავ

პაკელიანი გულო[1]**, *45 წლის; გულრიფში – თბილისი***

ქ. მ. — ხოჩა ლადეღ! მაჲ გუჯრი'მ ხი?

გ. პ. — მი ხუი პაკელიან მუშნი'მ გეზალ, ორმოზდახუთი ლგზა.

ქ. მ. — ი ორმოცდახუთის ლუშნუდ იმჟი ტუ̄ლი?

გ. პ. — დურინერუ̄შდიოშთხუ ლგზა.

ქ. მ. — ათხე ლარიდ ნაჲ ბგძგგრს ი სი თუ̄ითონ ალ სოფელისგა ჯ̄ერა ბაუშუ̄ბა გატარებულ, ხომ? ნათაწნ ამჩუ ხ̄ირა.

გ. პ. — ნათაწნ ამჩუ ხუი. სოფელს დაუ̄იბადე, ხუი ამეჩუ̄შ. ამეჩუ გაუ̄იზარდე.

ქ. მ. — მაჲ გუარაწლ იზგეხ ამჩუ, ბგძგგრს, საერთოდ?

გ. პ. — ამეჩუ იზგეხ: მურღულიანწარ იზგეხ, სტეფლიანწარ, ნარსაუ̄იძე, ცალანწარ, პაკელიანწარ.

ქ. მ. — ესტატე ნარსაუ̄იძეჲ ამჩუ იზგე, მადეა?

გ. პ. — დე, ესტათეჲ ამეჩუ იზგე, ეჯი ოცხაწლ დემე ლ'ათხე, ამჟამად.

ქ. მ. — აჲ, ეჩ̄იშჟი მაჯ̄ქუეხ, ერე ეჯა ლგმაწრ გუნ ხოჩა ორატორ მაწრე, გუნ ხოჩამდ ხახლენა მაგ.

გ. პ. — კი.

ქ. მ. — ი ათხ'ე̄ჯ'ესერ ლახ ცოცხაწლ ირა...

გ. პ. — ისტორიკოს მარე ლაწს, ცოცხაწლ იროლ, მართლა ცოტა, მოჲდ სხუანაჲდრდ იროლ.

ქ. მ. — ათხე ზუსტად სი ხეკუეს შეასრულო გარკუეულწილად

---

1 გულო პაკელიანი ჩავწერეთ სამეცნიერო პროექტის ფარგლებში – კოდორული მეტყველების მიმართება ზემოსვანურ დიალექტებთან. (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფ. იზა ჩანტლაძე). მაგრამ იმავე პროექტის ფარგლებში ვერ მოხერხდა პუბლიკაცია. აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამამ კი მოგვცა შესაძლებლობა ამ ხარვეზის გამოსწორებისა. რისთვისაც მადლობას ვუხდით პროგრამის განმახორციელებლებს და ასევე ჩვენს ყველა ინფორმატორს.

ეჩრ მოუალეობა, ეჯღ'ერე ჩუ მაჲ ჯიხალდედს ბგძგგგრჟი, ანუმბაუ მაგ, ნომაგუეშ ათუფე. ბგძგგგრ იმღა ხაჲყხა, ჯასმ'ესმა?

გ. პ. — დემე მიხა, ბგძგგგრ განსაკუთრებით იმღა ხაჯხა.

ქ. მ. — ი მგდეჲსგა იმჟი ხაჲდრიდ, საბუთარისგა?

გ. პ. — ამჟი ხაჲდრა — ბუძუგური.

ქ. მ. — ბუძუგურია?

გ. პ. — უო, ბუძუგური ხაჲდრა.

ქ. მ. — ათხე ისგუ გეზლირჟი ენგმბაუ, უოშა გეზალ ჯრი?

გ. პ. — მი მირი ჲორი გეზალ — დათა ი თეონა.

ქ. მ. — მაჲ გუარიშლე თელღგრა ხი?

გ. პ. — გერლიანრე თელღგრა ხუი, სოზარრე თემიშ ი...

ქ. მ. — ლახიმბუაჽლ, აჲ, გარჯ ლი, თაუისთაუად...

გ. პ. — გარჯ ლი მიშგუ თემაჟი ლიმბუაჽლ, მიშგუ ოჯახჟი ლიმბუაჽლ, ეჯინოშ, ერე მაშენე ძუირფას ი მაშენე იმედ მიშგუ ცხოურებაჲსგა ერუა მირდა, მიშგუ გეზლირე მუ, ეჯი მაკლი, ალ ლიშდაჽლს ჟ'ესთუაფ, საგუშაგოარჟი ნალმჟი ანბათქ ი მა მიხა, ჩ'ოსედ ცოცხაჽლ ბოფშრე ხათრშუ, ბოფშრე მალატშუ.

ქ. მ. — გაარგლა ლი მალხაზ გერლიანა ბედჟი.

გ. პ. — მალხაზ გერლიანჟი, გუამიდ ძნელ ლი მიშგუ ალ თემაჟი რაგად საერთოდ, მიჭირს.

ქ. მ. — უოშა ლგზაჲ ლასუ ერ ...მგდეჲ... ეჩქას, ერ დაიღუპა?

გ. პ. — უოზდაცხრამეტი ლგზა ლას, დაიღუპა, ეჩქა, დინილ ლას მეშუიდე, იშგუიდ ლგზაჲ ლას დინილ, პირუელ კლასს არდა, ნალუეურ არდა მეორე კლასისგა, მესამეთე ლას გადასულ, მარე ალარე ცოდშუ ლარდა დემე ლას, დინილს ქუთულართეჩუ ხაგდა ფათულდარ ი ამეჩუ სგაიფხჭიუ, ამჟი იწანა, ჩუიჭმინა ტუენტარს ი მიჩომუს ხეგუანა დინილ, მი ბაჟისგა დემე ხუარდას, მი ალი მამბაჯ, ერე ალი გადაუიტანე, ეჯი. იმღა ი ეჯჟიშ უოჯახ ხუასდ,იუალადღიშ

უყურულა ნიხალდა ნი'მგე თხუიმ. ეჯი'მ ჭოჯახ ნუღუანდა ნა ი დინილ მემშედრალდა ამხაუ...

ქ. მ. — დედე!

გ. პ. — დინილ ხოშილ გუის ხახუდიუ ჩიგუაშ, მი მალხაზიშგნქა ეჯი მომენტისგა დარ მა'შყიდდა, დეჲშეშღა ხუასკორას სართოდ:

— ჩუ-იჯ-უნდა-ადგანე, ამცახანიჯ უნდა ათუეფე სიჲ.

მარე დინილ ეჯი ჩიგუაშ ახერხებდა მთელ ლეთ:

— ზეწარ ნაკუ, ზეწარ!

ი დინილ მატულიუ:

— ეჯი როქ მი ჩუმიცგხ, დედა.

ჩემოდანისგა მახე თეთრეულ ზგსდახ ი:

— დედა, ეჯის როქ მი ხუაქინაუნე.ოღონდ მი'შგუ როქ ლიჲდალდ სი ჩუ-ნომ-ადგანე.

ქ. მ. — დედა!

გ. პ. — თან მიჩომუს იგუანა, გუეშსი ასკეთიუ ი მემშედრალდა, მაშუიდბუნა ამხაუ. ბიძილ უშდილღალ იგუნიუ, ქაიქინა ქორღეშგიმთე, ეჩეჩუ იჲდა ლიგუნის, უითომ ხოშგუნდა მიჩ ლიგუნი მიჩა ჰკუოშუ.

ამჟი ხუიცუდილალდად.

მეშუიდე ზა იზგგრი ათხე ი ხუარიდ მალხაზიშურ ი ლადიჲ მამბაჟ, ლადიჲ მამბაჯ, იმჟი ხუარიდ.

მამა ლას მალხაზ, ეჯიშ მამა ლას, ერე ამჟიშ მამა, ძლიერ, შჭილებითუის...

ქ. მ. — ი ალბათ გამორჩეულ მეუღლე ლასუ, ედო ეჩქას ამჯი დეშ გარგლიდას სი ეჩეჟი...

გ. პ. — მეუღლე, რა უიცი. მი, მიჩეშდ ლას, ლას დემე ხორი მეუღლე, მარე ამჟიშ... მი მამბაჟდა. ერე დარ ხაშყიდდა, დე, მაგ ხესკორან,ჩიმი განხენ მეგნე ლას, სახუბ ხალატდა. ნათდაშ ლიგჭე.

მაგ, მარე ხეხუ ი გეზალჟი მალხაზ ლას რსღაც მოშ, ეჯჟიშ, ერე მი დარ მასმა ამჟიშ ი ეჯჟიშ ქა-დემე-წუანდა, ალი მეზბელს ხოხა ჩის, ერე ნიშგე ლიყრულალ ეძზუ ლემბაჟდ ოხჯად ჩის, ერე ეჯიი რაქუე ეშხუდ, ერე:

— უაჲ როქ მიშგუ ბედ, მი როქ იმღადო ოდაგნ, გული ი მალხაზ როქ ადყურულანხ.

ქ. მ. — დედეჲ! ათხე, აჲ, ლიუჯარისგა...

გ. პ. — მაინც ძნელ ლგმარელი ლიუჯარ. ლიუჯარ ეჯგუა გარჯ ლგმარელი, გუამიდ გუი ჯეკუშენე, უბრალოდ მოდდილ ჯაც ამბაუს ერუა ჯექინე, ეჯი ისგუ გუიჟი მოქმედებს, ჩიღა გუი ჯეკუშენი; ხოჩაჲ მასარდ რაღაცას გუის ჯესგუუ ი ხოლაჲ სურუ ხოლამდ ჯესმი.

ქ. მ. — აჲ, მაზუ, სიტყუასი ხუღუა გუნ მნიშუნელობა ი მი ამჟი მაშყიდ, ჯგმილ ერ ლაშდალალს დამეღუპა, ეჩქას სიტყუალ მაშყიდ, ერე, აჲ, მაზუმ, მაზუმ იმედ ხუღუანდახ ეჯ სიტყუალს, ერ მატუილდახ ხოლმე ი, თაუისთაუად, აშ ჯიხა, ერე ...მგდად.. ერ იგრძნობ თხუიმს, აჲ, ამჟი როქ ეჯღა მექცეუიან, ერე, აჲ, განჟი მეგნე მამ მაყა.

გ. პ. — ო, ობაშინ რაღაც ათხე მაგფორმიშ ...მგდდაარ... ხეხოლი ცხოურებაჲსგა ი რაღაც ოდნაუ, რაღაც ეჯკალიბ მოდდილ ი ჩიღად გუი ჯემდენ'ერე მიდჯ მალხაზ დემე მირი ლადი,მი კინჩხ ჟიმექუცე მერი, ეჯჟი ...მგდე... მარ მიშგუ თხუიმჟი, გ, ჯაჭარ ჩუმექუცე, რა!

ნაღუუურ მეზრდება მალხაზიშ მაჯონ სუფთა, ჩინარ, ჩინარ, აჲ, ხასჲათდ ჯაკუჩ ა მიჩა ბუნება ი მიჩა თუისებოლ, მაგ მიჩა ხუღუა, ამნემდ ქ'ამჳიდ ადაჲდ ამხენჩუ ი ცოტა ხანს... მოდდ ხანს გაგრძელდება ნიშგე...

ქ. მ. — მოდდ ხანს მადე,მოდდ ხანს მადე, ხუაჲ ხანს ხეკუეს, აჲ მალხაზი თუისებალ უოჯახს ხეკუეს ნრმ'ოთქარუად თაუისთაუად ი ეჩას გარ ხეკუეს ეცადოთ,ერე ახსყად ეჯა, მაჲ ეჩას ხალატდა ი,

პირიქით, ლეჩეგრაფალედ ხირდიდ. ეჯა ეჩი ქჭინს მამ ხახჷად.

გ. პ. — მალხაზიშ ხათრშჭ მიგ ქჭინ ი ხჭიჩო ჩიგჭაშ ი ჭუძლებ ალ გაჭირჭებას, მალხაზი'მ ქჭინი'მ მალკაფშჭ.

ქ. მ. — ათხე ...მგდეს..., აჷ, პენსია ი ალა მგდ'ესმა?

გ. პ. — პენსია, ეე! პენსია ნუღჭა, პენსია ნუღჭა, მარე მა ლ'ეჯი, მამგჭე'მ ლი, მარე მა ჩჭემნედ, ეჯღაჷ რაღაცას ნიშნაჭს პენსია.

ქ. მ. — იმე მოხდა, მაჷ ადგილს კონკრეტულად ეჯარე ...მგდე...?

გ. პ. — ქჭაბჩარას,

ქ. მ. — ა, ქჭაბჩარას,მადეა?

გ. პ. — ქჭაბჩარა ჩჭაბშხენ, ქჭაბჩარა ჩჭაბშხენ, საგუშაგოარ-ჟი, ჟი-მერმე-ესაგან ი მიჩ ათხჭიდ მოლე ასკოლკა ი არტერიაჷსგ'ათხჭიდდა.

ქ. მ. — ათხე ლიბრფშხანქა ხიშყჭდუნე იმგჭაშმოშ. ისგუ ლიბრფშხანქა?

გ. პ. — ლიბოფშხენქა, ნუ, მაგფორმა ხეხელი ლიბოფშისგა ი მა მიხა ათხე, მაინცდამაინც...

ქ. მ. — განსაკუთრებულ მალეგჭეშ...

გ. პ. — განსაკუთრებით ათხე დემგჭამოშ ხჭიშყდუნე, ედო მა, ბაჭსჭობაჷსგა მა დემე გადაგხდება, ხან მა ი ხან მა.

ქ. მ. _ ი ათხე ბოფშარს, ეს'ეგი, მინე მუ ხოჩამდ ხაშყიდხ.

გ. პ. — ბოფშარს ხოჩამდ, ზუსტად ხაშყიდხ მინე მუ.

ქ. მ. — ი იმჟი მგნოშჭ ცდილობენ, იმნოშ გამოხატაჭენ, ერე, აჷ, ათმაჯრნენხ მინე მუს, შეინარჩუნონ ეჩი თჭისებალ, აჷ, თჭისებალ ერ ხუღჭანდედხ ეჩიშ.

გ. პ. — ბუნებით ეჯუიშ ლიხ საერთოდ, მა მიხა, ეჩა, მალხაზიშ თჭისებოლ ხუღჭახ.

ქ. მ. — გული, ათხე არც ნუგეშისთჭის, სანუგეშო რა გჭირს, ამგჭა გეზლირ ერ ჯირი, ეჩქა, მარე დეჷ, არც კომპლიმენტღა, მარე

ტკისდიშდ იშუდათდ მიწუა ამჟი ხოჩა ლესდი დი-გეზლირ.

აშ ჯიხა, ერე მალხაზ აითხე განხან ჯესგურრლხ, გაცილებით აჯაღ ხოშილ, ხოჩილ ლესგდი ხიროლდ ი ხოშილ იმედდანარ ხიროლდ, მარე ამგუნად მახელუნჟ ერ განხანჩუ ჯისგურ, მიტუმეტეს, ამჟი, ამჟი მაჯრინ მიჩა მუეშ, ალა ისგოუდ ხეკუეს ლეს გუნ სტიმულ ცხოურებაშ;

ი მაკუჩ, ერე გისურუოთ, გისურუოთ პირუელ რიგისგა, ერე ეჩი ჟახე ლესუ უშდნა, თაუისთაუად, ისგუედ ...მგდადსგა..., ეჩქანღო დათა გეზლირისგა ი გეზლაგეზლირისგა ი ეჩი ქუინ ეჩნრშუ ლეს ლგხიდ, ერე სგად ხარდედ ამჩუ, ად, გუნ თაუაწეულარ ხიზელალდედ ი ლაზელალ ნამდუილ ჯარხ, ეჯღ'ერე მალხაზი შეეწირა დალდა დაცუას ი საუკეთესო მახეღუაერეშ, საერთოდ მაშენე სახელოუან დაგრა ხადჟხა სამშობლუედ გუღა დაგრას, ხომ?

ი მალხაზ ეჯ გმირლე სიათე ლი სგამეჩდე, აშ ჯიხა, ი მაგ ხოჩა გარუ ლი ისგუედ ბედჟი.

გ. პ. — ხოჩამდუ ხარი, ხოჩამდუ ხარი ი მიშგუ უოჯრარე განხენ მეგნე, მემშედალ ალარღა ჟი-ერუა-ფეშნიდეს, ეჯის ჩის ხოჩამდუ არდუნე ღერმეთ.

ალარაღა, ალარგნჭა დარ ხასყიდხ, დარ ხაშყიდხ; უოჯრარ ჩის ხორი, მარე ალარღა ფეშნიხ ი ალარს ხოსყიხ, ეჯის გეზლირს დასმოშ ხოსყი ი ალარს ხუანკურად;

მიშგუ მალხაზიშ უოჯახ ხოჩა უოჯახ ლასუ ი ხოჩა უოჯახ ლი, მარე დედ დი ი დედ მუ ი ეჯარ მინეშდ ლეჟრი ლიხ, მალხაზიშ მაკლა ი ეჯუნღუე მაგფორმა ეხიდხ;

მა ხამედახ, ეჯარი დემე მაკლინეხ განხენ ლიგნეს.

მეომარი ვაჟკაცის ამბავი

თარგმანი

ქ. მ. – გამარჯობა! რა გვარისა ხარ?

გ. პ. – მე ვარ გულო, მუშნი პაკელიანის შვილი, ორმოცდახუთი წლის.

ქ. მ. – და ორმოცდახუთს სვანურად როგორ იტყვი?

გ. პ. – „ურინერვეშდ ი ოხუშდ" (ორმოცდახუთი) წლისა.

ქ. მ. – ახლა ვართ ჩვენ ბუძუგურში და შენ თვითონ და შენ თვითონ ამ სოფელში გექნება ბავშვობა გატარებული, ხომ? დაბადებულიც აქ იქნები?

გ. პ. – აქ ვარ დაბადებული. სოფელში დავიბადე, აქაური ვარ, აქ გავიზარდე.

ქ. მ. – რა გვარები ცხოვრობენ აქ, ბუძუგურში, საერთოდ?

გ. პ. – აქ ცხოვრობენ, მურღვლიანები ცხოვრობენ, სტეფლიანები, ნარსავიძე, ცალანები, პაკელიანები.

ქ. მ. – ესტატე ნარსავიძე აქ ცხოვრობს, ხომ?

გ. პ. – კი, ესტატე აქ ცხოვრობს, ის ცოცხალი არ არის ახლა, ამჟამად.

ქ. მ. – აი, იმაზე მითხრეს, რომ ის იყო ძალიან კარგი ისტორიკოსი კაცი, ძალიან კარგად სცოდნია ყველაფერი.

გ. პ. – კი.

ქ. მ. – და ახლა ის რომ ცოცხალიიყოს...

გ. პ. – ისტორიკოსი კაცი იყო, ცოცხალი რომ იყოს, მართლა ცოტა, ცოტა სხვანაირად იქნებოდა.

ქ. მ. – ახლა, ზუსტად შენ უნდა შეასრულო გარკვეულწილად იმისი მოვალეობა, იმიტომ, რომ რაც კი იცოდე ბუძუგურის შესახებ, ყველაფერს მოგვიყევი, არაფერი გამოგრჩეს. ბიძიგირი რატომ ჰქვია, გსმენია რამე?

გ. პ. – არ ვიცი, მაინცდამაინც, ბუძუგური რატომ ჰქვია.

ქ. მ. – და საბუთში როგორ წერთ, საბუთებში?

გ. პ. – ასე წერია,ბუძუგური.

ქ. მ. – ბუძუგური?

გ. პ. – ჰო, ბუძუგურუ წერია.

ქ. მ. – ახლა შენს შვილებზე მოგვიყევი, რამდენი შვილი გყავს?

გ. პ. – მე მყავს ორი შვილი – დათა და თეონა.

ქ. მ. – რა გვარისაანთ რძალი ხარ?

გ. პ. – გერლიანების რძალი ვარ, სოზარაანთ თემის და...

ქ. მ. – ისაუბრე, აი, ძნელი კია თავისთავად...

გ. პ. – ძნელია ჩემს თემაზე საუბარი, ჩემს ოჯახზე საუბარი, იმიტომ, რომ ყველაზე ძვირფასი და ყველაზე დიდი იმედი ჩემს ცხოვრებაში ვინც მყავდა, ჩემი შვილების მამა, ის მაკლია, ამ ომში დაიღუპა, საგუშაგოებზე ნაღმზე აფეთქდა და, რა ვიცი, ცოცხალი დავრჩი ბავშვების ხათრით, ბავშვების სიყვარულით.

ქ. მ. – მალხაზ გერლიანის შესახებ ლაპარაკობ, არა?

გ. პ. – მალხაზ გერლიანის შესახებ, ძალიან ძნელია ამ თემაზე ჩემი საუბარი, საერთოდ, მიჭირს.

ქ. მ. – რამდენი წლის იყო, რომ ...ისა... მაშინ, როცა დაიღუპა?

გ. პ. – ოცდაცხრამეტი წლის იყო, რომ ...ისა..., მაშინ, როცა დაიღუპა?

გ. პ. – ოცდაცხრამეტი წლის იყო, როცა დაიღუპა, მაშინ, გოგონა იყო მეშვიდე, შვიდი წლის იყო გოგონა, პირველ კლასში იყო, ბიჭი მეორე კლასში იყო, მესამეში იყო გადასული,მაგრამ ამათი ცოდვით არ დაიდგომებოდა.გოგონას მუხლებამდე ჰქონდა თმები და აქ [რომ] იტაცებდა ხელს, ასე იგლეჯდა, ხელებით ჩამოჰქონდა და მამას დასტიროდა. მე გონზე არ ვიყავი, მე ეს მიკვირს, რომ ეს გადავიტანე, და რატომ და ისეთი ოჯახი გვქომდა, მისდღემში დაუცილებელი გვეგონა ჩვენი თავი, ისეთი ოჯახი გვქონდა ჩვენ და გოგონა აქეთ მშველოდა კიდევ.

ქ. მ.– დედა!

გ. პ. – გოგონა უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა ყველაფერს, მე მალხაზის გარდა იმ მომენტში არავინ მახსოვდა, არავისზე ვფიქრობდი საერთოდ:

– უნდა მოკვდე-მეთქი, ამასთან ერთად უნდა დაიკარგო-მეთქი...

მაგრამ გოგონა ყველაფერს ახერხებდა მთელი ღამე:

– ზეწარი გვინდა, ზეწარი!

და გოგონა მეუბნებოდა:

– ის მე ვიცი, დედა, – ჩემოდანში ახალი თეთრეული იდო და: – დედა, იმას მე მოვარბენინებ,ოღონდ ჩემს მოსვლამდე შენ არ მოკვდეო!

ქ. მ. – დედა!

გ. პ. – თან მამამისს დასტიროდა, საქმესაც აკეთებდა და მეშველებოდა, აქეთ მამშვიდებდა. ბიჭუნა მალულად ტიროდა, გაიქცეოდა სახლის უკან, იქ გამიტირებდა ,ვითომ რცხვენოდა ტირილი თავისი ჭკუით; ასე ვცოდვილობდით. მეშვიდე წელი სრულდება ახლა და ვართ მალხაზის გარეშე და დღესაც მიკვირს, დღესაც მიკვირს, როგორთ ვართ. მამა იყო მალხაზი, ისეთი მამა იყო, რომ ასეთი მამა, ძლიერი, შვილებითვის.

ქ. მ. – და ალბათ გამორჩეული მეუღლე იყო, თორემ ასე არ ილაპარაკებდი იმაზე...

გ. პ. – მეუღლე, რა ვიცი მე, თავისთვის იყო, ზოგს არ ჰყავს მეუღლე, მაგრამ ასეთი, მე მიკვირდა, რომ არავინ ახსოვდა, კი, ყველა ედარდებოდა,ყველას გვერდში მდგომი იყო, საძმო უყვარდა, ნათესავის დაფასება, ყველაფერი, მაგრამ ცოლ-შვილზე მალხაზი იყო რაღაც სხვანაირი, ისეთი, რომ მე არავინ მსმენია ასეთი და ისეთი არ ცანდა, ეს ყველაფერი მეზობელმა იცის, რომ ჩვენი დაშორება იმდენად გაუკვირდა ყველას, რომ ერთმა ისიც თქვა, რომ:

– ვაი, ჩემს ბედას, მე რატომ არ მოვკვდიო და გულო და მალხაზი რატომ დაშორდნენო.

ქ. მ. – დედა! ახლა, აი, ობლობაში...

გ. პ. – მაინც ძნელი ყოფილა ობლობა. ობლობა ისეთი ძნელი ყოფილა, ძალიან გიტყდება გული,უბრალოდ ოდნავ გადახრილი სიტყვა რომ ვინმემ გითხრას, ის შენ გულზე მოქმედებს, ყველაფერზე გული გტკივა, კარგიც კი გიხდება გულზე და ცუდიც ძალიან ცუდად გსვდება.

ქ. მ. – აი, რამდენი, სიტყვასაც აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა და მე ასე მახსოვს, ძმა რომ ომში დამელუპა, მაშინ სიტყვები მახსოვს, რომ, აი, რამხელა იმედი ჰქონდათ (ახლდა) იმ სიტყვებს, რომ მეუბნებოდნენ ხოლმე, და, თავისთავად, კი იცი, რომ ...იმად... რომ იგრძნობ თავს, აი, იმიტომ მექცევიან ასე, რომ გვერდზე მდგომი არ მყავს.

გ. პ. – ჰო, ბევრჯერ რაღაც, ახლა ყველანაირი ...ისინი... ხდება ცხოვრებაში და რაღაც ოდნავ, რაღაც ისეთი ცოტა და ყველაფერზე გული ...იმას გვიშვრება... . მე მალხაზი რომ არ მყავს დღეს, კისერი მოჭრილი რომ მექნება (თითქოს კისერი მოჭრილი მაქვს), ისეთი ...ისა... მაქვს ჩემს თავზე, აი, ზურგი (ხერხემალი) ჩატეხილი, რა! მალხაზის მსგავსი ვაჟი მეზრდება მთლად, ყველაფრით, აი, ხასიათი გინდა თუ მისი ბუნება თუ მისი თვისებები, ყველაფერი მისი აქვს, ამან გამომიყვანა (მომაბრუნა) კიდევ აქეთკენ და ცოტა ხანს, ცოტა ხნით გაგრძელდება ჩვენი...

ქ. მ. – ცოტა ხანს კი არა, ცოტა ხანს არა, ბევრ ხანს უნდა, აი, მალხაზის თვისებები ოჯახს არ უნდა დაუკარგო თავისთავად და მხოლოდ იმას უნდა ეცადო, რომ ის გააკეთო, რაც მას უყვარდა და, პირიქით, დაჩაგრულები რომ იყოთ, ის იმის სულს არ გაუხარდება.

გ. პ. – მალხაზის ხათრით მიდგას სული და ვაკეთებ ყველაფერს და ვუძლებ ამ გაჭირვებას, მალხაზის სულის რიდით.

ქ. მ. – ახლა, ...იმას... აი, პენსია და ეს თუ ისა?

გ.პ. – პენსია კი! პენსია გვაქვს, პენსია გვაქვს, მაგრამ რა

არის ის, არაფერი არ არის, მაგრამ რა ვქნათ, მაინც რაღაცას ნიშნავს პენსია.

ქ. მ. – და ...ის... სად მოხდა,კონკრეტულად რა ადგილას მოხდა იმათი ...ისა...

გ. პ. – ქვაბჩარას.

ქ. მ. – აჰა, ქვაბჩარას, არა?

გ. პ. – ქვაბჩარას ქვემოთ, ქვაბჩარას ქვემოთ, საგუშაგოებზე, სხვამ დაადგა ფეხი და თვითონ მოხვდა ნატეხი და არტერიაში მოხვდა.

ქ. მ. – ახლა, ბავშვობიდან თუ გაიხსენებ რამეს, შენი ბავშვობიდან.

გ. პ. – ბავშვობიდან, ნუ ყველაფერი ხდება ბავშვობაში და, რა ვიცი ახლა, მაინცდამაინც...

ქ. მ. – განსაკუთრებული რაღაც...

გ. პ. – ახლა განსაკუთრებულს ვერაფერს ვიხსენებ, თორემ რა, ბავშვობაში ხან რა გადაგხდება, ხან რა და ხან რა.

ქ. მ. – და ახლა ბავშვებს ე. ი. თავიანთი მამა კარგად ახსოვთ.

გ. პ. – ბავშვებს კარგად, ზუსტად ახსოვთ თავიანთი მამა.

არ ამოიღებდა. ყველა ერთად ვუსხედით სუფრას და ყველა ველოდით, უფროსი კაცი უნდა დაბრძანდესო პირველად, ის რომ დაბრძანდებოდა, შემდეგ შეგვეძლო ჩვენ. ეს მიღებული იყო და ასე საჭიროდ მიგვაჩნდა ჩვენც, როგორც გვასწავლიდნენ ისე. ხუმრობით ეტყოდა ბაბუა რაღაცას, თეოფანე ცაავა, გვიან მოიყვანა ჩემი დადი. ბაბუა იყო ოცდათვრამეტი წლის და დადი იყო – თვრამეტი წლის ქალიშვილი. ჰოდო ხელის გულზე ესვა, იმის იქით არაფერი იყო, პატარა ბავშვივით, მე მახსოვს როგორ ბრაზობდა ის, ბუზღუნებდა რაღაცას, ბაბუა ყოველთვის აჯავრებდა. ეს დედის მშობლები. მამის მშობლები... ჩემი მამის მშობლებს მე არ ვიცნობ იმიტომ, რომ ჩემი ბაბუა სანდრო გელენავა ოცდათექვსმეტი წლის ყოფილა ქერჩში, სამამულო ომში რომ დაიღუპა და ოთხი წლისა ვიყავი ბებიაჩემი – ოლღა აკობია რომ გარდაიცვალა. და მე არ მახსოვს ისინი. მე მახსოვს ის, რომ მამაჩემი ჩემი დედის დედ-მამას დედა და მამას ეძახდა. და ისინი როგორც საკუთარი მშობლები ისე უყვარდა. იმათაც ვაჟიშვილივით. აი, მართლა საოცრად ერთმანეთის პატივისცემა ჰქონდათ. ის გულს არ დაწყვეტდა, ყველაფერს ისეაკეთებდა, იმათ რომ უხაროდათ ისე. სხვათა შორის ჩემს ოჯახშიც ასეთი ურთიერთობა იყო. მითუმეტეს ჩვენ ყველანი ქალიშვილები ვიყავით და ჩვენც ასეთ სიყვარულში ვიზრდებოდით. არ იყო არაფერი ზედმეტი სათქმელი, ზედმეტად რაღაც მისათითებელი, ზედმეტად რაღაც შესაძახებელი (სასაყვედურო). რასაც იტყოდნენ, ის იმ დროს ჩვენ კანონად მიგვაჩნდა. მორჩილები ვიყავით. რას ნიშნავს მორჩილება. მორჩილება არ ყოფილა ადვილი. მაგარი რთული დო ძნელია.დღეს ეკლესიური ცხოვრებათ ვცხოვრობ, ვცდილობ დო ვცხოვრობ. მაგრამ მორჩილება ვერ ვისწავლე.ყველაფრის პროტესტი მაქვს. პროტესტი შეიძლება მაშინ კიდე მქონდა, მაგრამ ისე ამიხსნიდნენ ის პროტესტის გრძნობა რაღაცა

თავისთავად იკარგებოდა, იმიტომ რომ ისეთი მაგალითი მოყავდათ და ისეთი დასკვნა გამოქონდათ. დღეს ემანსიპირებულები ვართ, და ცოტა სხვაგვარად ვფიქრობთ ყველაფერს და დღეს მე ის არ მომწონს, რო ქალი ადამიანი უფრო ძლიერია, უფრო ყველაფრის შემძლეა, ყველაფრის მკეთებელია, ყველაფერს გადაწყვეტს და იმ მამაკაცის ადგილი ქალმა დაიჭირა. ეს სიკეთემდე არ მიგვიყვანს. როგორც ასეთი, ღვთისგანაც მამაკაცი უნდა იყოს ოჯახის უფროსი. ის უნდა იყოს თავის ადგილას, როცა მამაკაცი თავის ადგილასაა, მაშინ ოჯახი თავის ადგილზეა, და როცა ოჯახი დალაგებულია, იქ იზრდება ისეთი პიროვნებები, რომლებიც მისაღები იქნება საზოგადოებისთვის. ამდენი ანომალია ალბათ არ იქნება. ჩემი აზრია. მართლა მინდა დღეს ეს ჩვენი ბავშვები ისე გავზარდოთ ამ სიყვარულში და ყველაფერს მე იმათ ვასწავლი, მაგრამ გარეთ სივრცე ისეთიადა საზოგადოება ისეთია, რაღაცა არანორმალური პროტესტი აქვთ ბავშვებს დამიმტკიცებენ, რომ შენ ასე ლაპარაკობ, მაგრამ ესო ძველებური ცხოვრებით ცხოვრობ შენო, რომელ საუკუნეში ხარო, დღეს ყველაფერი სხვაგვარად არისო. თუმცა მე მჯერა, რომ შეიძლება მე დღევანდელ პროგრესს მთლად არ ვეთანხმები, მაგრამ ის მაინც მირჩევნია, რომ ის გულის სისუფთავე, დასიყვარული და სიხარული თუ ადამიანს შიგნიდან არ აქვს, ცარიელი თუა, გარედან ამას ვერაფრით ვერ შეავსებ. ვერაფერი ვერ მოგიტანს ისეთ ბედნიერებას, რამდენსაც მოგიტანს ოჯახი. როცა შიგნით თბილად ხარ, მაშინ გარეთ ყველაფერი გახარებს, შიგნით როცა არეული ხარ და დალაგებული არა ხარ და როდესაც ალთასბალთას ოჯახია, დედმამიშვილი, მეუღლე, ბავშვი, მშობელი ერთმანეთს არ ტირიან დღეს ისეთი დრო მოვიდა, ერთმანეთს არ ტირიან. და და ძმა ერთმანეთს უყოფენ ქონებას, სასამართლოში დადიან, დედ-მამას კლავენ, არ ეცოდებათ მოხუცებულები,

ახლა იქ მიტოვებულები არიან ისინი. გული მტკივა. ყველა შვილის მაგივრად მე ვეფერები. მესმის ის, რომარ შეუძლია ყველას, ყველას ხომ არ შეუძლია დღეს იქ ჩავიდეს, მაგრამ აქ უპატრონო, ყურადღება და პატივისცემა რომ არა აქვსისეთი, რამდენი მიტოვებული მოხუცებული გვყავს ჩვენ? ჩვენი მოხუცებულები იმის გარდა იმათ რაც გადაიტანეს ამ ცხოვრებისაგან, ისეთი სასწაული სიდუხჭირე ომის შემდეგ. დღეს ცოტა ფეხზე რომ წამოვდექით, დღეს შენ არ გცალია შენი მშობელი დედა და მამა ინახულო, ზედმეტად მიაკითხო, ზედმეტედ ჰამო ნამცხვარი მიუტანო. რას ვარ კიდევ მიხვედრილი: არაფერი არ უნდა! არაფერი არ უნდა! ოღონდაც მე ვიყო, ჩავიხუტებ გულში და ვეუბნები, არ შეგეშინდეს, ყველაფერი ძალიან კარგად იქნება. ხომ დარდობს, ყოველ წუთს ხომ ფიქრობს ჩვენზე და დამირაკავს: ჰა და რა ამბავია იქ, წუხელისიზმარს ვხედავდი რარაცა ცუდს. დედა, სიზმარიეშმაკისაა და იმას არ უსმინო შენ. ჩვენთან ღმერთს რომ უნდა ისეა ყველა საქმე, ჩვენ ძალიან კარგად ვართ. შე შემოგევლოსო ნანა-შვილო, შენი დედა. ამას რომ მეტყვის მაშინ, მე უფრო მეტი სასწაულის კეთება მინდა აქ. ტყუილია, რომ მართლა ყოველდღიურად და ყოველდღე და ყოველწუთს ყველაფერი კარგადაა და სამოთხეში ვარ. მაგრამ მაქვს იმის სურვილი,რომ ვიყო სამოთხეში. აი ეს არის ყველაზე დიდი ბედნიერება. როცა გაქვს სურვილი, სურვილი რო გიკვდება, მაშინ მკვდარი ხარ შენ. მაშინ ხარ ცოცხალ-მკვდარიო – იტყოდნენ ჩვენთან და ყოველთვის მიკვირდა, როგორ ეს თუ ცოცხალი ხარ, მკვდარი როგორღა ხარ, ან თუ მკვდარი ხარ, ცოცხალი როგორღა ხარ-მეთქი. ცოცხალი მკვდარიო, ნანა შვილოვო, ჩემი დადი მეტყოდა მკვდარი თევზივითო დამწყდარი თევზივითო დინებას მიაქვსო, დინებასო მხოლოდ დამწყდარი მიაქვსო, თორემ ოდნავ სული მაინც თუ უდგასო ის ხელს მაინც გააქნევსო და საპირისპიროდ მაინც

რაღაცას გააკეთებსო. აი მაშინ ხომ ბანალური ნათქვამი იყო რომ არ გაიგონებდი ისეთი, გესმის, ნანა, რას გეუბნებიო – მეტყოდა. კი, კი მესმის, მესმის – ვეტყოდი მე. მაშინ მე არაფერი მესმოდა. ახლა მესმის. ქადაგებდა პატრიარქი, ბევრი საკითხები გვაქვს საქადაგებელი, სასწავლებელი, ჭკუის დასარიგებელი. ბიბლიაში ასე წერია, ისე წერიაო, იმასაც კი ვაპროტესტებთ დღეს ჩვენ, იმაშიც ჭკუის შეტანას ვცდილობთ ჩვენ, აზრისა და გონების, იმასაც ვეწინააღმდეგებით. ჩვენ ხომ მაგრები ვართ. თქვენო თქვენი ტვინით და განათლებით კი არ მიუდგეთო, მიუდექითო გულის ყურითო. როდესაც მე იმქადაგებაზე ვიდექი ეკლესიაში, მაშინ გამახსენდა ჩემი დადი და მითხრა: გესმისო, შვილო, შენ. აბა, გულის ყური მეტი რაა? რასაც გეუბნებიან, ის უნდა გაიგონო, ის უნდა გულთან ახლოს მიიტანო, ეს თუ არ მიიტანე რას გაიგებ? თუ არ გაიგონებ, რას გაიგებ. რამდენიც გინდა გიძახოს: გესმის შვილოვო. მათბობს, ჩემი ოჯახის სიყვარული.

როცა კარგი ცხოვრება იყო და ჩვენ აფხაზეთში ვცხოვრობდით, ჩვენ რომ აფხაზეთში ვცხოვრობდით მაშინ, სამურზაყანოდან სოხუმში მიმავალი, გზის პირას სოხუმის ქუჩაზე,ქალაქში, ოჩამჩირეში, მარცხენა მხარეს იდგა სახლი. ეს სახლი ძალიან დანგრეული იყო, ხის სახლი იყო. ეს სახლი იყო გაშავებული. ეზოში ამბროზია დო წალიკა იზრდებოდა. ჭიშკარიც დარღვეული იყო.და იღრო-ჩოღროდ იდგა ყველაფერი. ყოველი იქეთური და აქეთური მგზავრობისას მე მომსწრე ვიყავი და რაღაც იძულებული ვიყავი ამ სახლისთვის მეყურებინა, გვერდით იმ სახლთან სანამ მიხვიდოდით, საუკეთესო ქონებით სავსე ოჯახები იყო ირგვლივ და ის სახლი იყო მიტოვებული და ისეთი სინათლე იყო ყველგან, ეს სახლი ნახშირივით ჩანდა ასეთი საოცარი ცხოვრების ირგვლივ. ეს გულს მიწვავდა ყოველთვის. და ერთხელ სახლში რომ მოვედი მაშინ, გამოვთქვი ეს ჩემი გულისწუხილი,

რა არის-მეთქი, ის სახლი ან გაყიდონ, ან დაწვან, ან ეს ეზო და ჭიშკარი ვიღაცა პატრონს მისცენ. ეტყობა ვიღაცამ იქ იმან არ მისცა, აქ ამან არ მისცა და მიატოვეს. მიტოვებული ის გულზე მეცემოდა ყოველთვის, ჰოდა სულ თუ მისმენდა არ ვიცოდი მე ჩემი დადი, კერიას უჯდა და სულ თუ მისმენდა არ ვიცოდი, და მითხრა: ნანა-შვილოვო, იქო ცხოვრება ჩაქრაო, ვერ გავიგე და მივხედე როგორ-მეთქი, დადი-მეთქი და ჩამქრალია იქ ცხოვრებაო. არ იციო აგერო ნაკვერჩხალს რომ გამოიღებ ცეცხლიდანო, ცეცხლი ჩაქრებაო, ასეაო იქო ცხოვრება ჩამქრალიაო. იმიტომ არისო ის სახლი ნახშირივით მიტოვებულიო. ეს მახსენდება ახლა აფხაზეთშირომ მივდივარ მაშინ, იმდენი ჩამქრალი სახლია და იმდენი ნაღვერდალ გამოცლილი ცრემლის გარეშე ამის ყურება ძალიან ძნელია. ბევრს შურს მე რომ იქ დავდივარ, ბევრი ნსაყვედურობს: თქვენ რა გიჭირთო, თქვენ რა დაკარგეთო, ახლაც დადიხართო. ჰოდა მე იქ რომ მივდივარ, თითქოს რომ მივდიდვარ ის მიხარია იმიტომ, რომ მე იქ დედაჩემი მელოდება და ჩემი სახლი ხელს მიქნევსდა უხარია, ჩამოხვედიო. მაგრამ გვერდით იმ ჩემი მეზობლების, ახლობლების, მეგობრების, ვინც მიყვარდა იმ ხალხის სახლები ჩამქრალია, რა მწარედ (ძალიან) მშხამავს. ამის მერე აქ რომ მოვდივარ მაშინ ერთი თვე მე რომ ჩემს აზრზე მოვიდე ერთი თვე მჭირდება. გამახსენდეს სად ვარ სად ვიყავიდა სად ვარ. რეალობას ვკარგავ, და თქვენ გარეშე იქ არაფერი არ მახარებს იმ ჩემი სახლისა და დედაჩემის გარდა. იქ ვარ ბედნიერი იმ ერთ წუთს შიგნით, ჭიშკარს გადმოვალ და ჩემისთანა უბედური არავინაა. თქვენ ბედნიერები ხართ იმით, რიმ ამას არ ხედავთ, ისე გახსოვთ როგორც ადრე გინახავთ თქვენი ოჯახები და ის ქვეყანა, ის საოცარი მხარედა ის მართლაც სამოთხე ყოფილა, მაგრამ ჩვენ ეს არ გვცოდნია და დღეს ის ისეთ ჯოჯოხეთად არის ქცეული, რომ ამის ნახვა მართლაც

სიმწარეა. ამ ადამიანმაო სიმწარე ნახაო და სულ იმას ვფიქრობდი, რა არის ეს სიმწარე, რა არის ამისთანა-მეთქი, ანუ სიმწარე არი ის, რომშენი ახლო ადამიანი, ოჯახის წევრი გიკვდება, ეს მეგრულად სიმწარე არის, მაგრამ სიმწარე ნახა, როდესაც შენი თვალით ამ საშინელებას ხედავ, ნახშირივით ყველაფერს დამწვარსა და განადგურებულს ხედავ, ცეცხლ ჩამქრალს რომ ხედავ ეს სანახავად იმსიმწარე სიმწარეა ეს არის ის მეგრულად სიმწარე ნახაო. ჰოდა ერთი მხრივ იმ თქვენს გულში რომ ის ძველებურად ყველაფერი ისე არის, უფრო სახალისოა და იმისთანას ელოდები და იმის მოლოდინში ხარ და ისეთი დაგხვდება გგონია, და შენი ცხოვრება უფრო სასიხარულოა, ვიდრე მე იმას ყველაფერს რომ ვხედავ. მე იქ უფრო დაჩაგრული ვარ,და დათრგუნულ ვარ, ფსიქოლოგიურად უფრო რთულია ჩემთვის. და ქალაქში რომ დავდივარ მაშინ ის ჩემი ბავშვობა, ის ჩემი ბედნიერება, ის ჩემი ახალგაზრდობა, ის ვინც მე მიყვარდა, ვისი ნახვა მინდოდა, მენატრებოდა, ვეძებდი. ის სანაპირო იყო თუ ის ყავის სახლიიყო თუ რაც იყო. ხო? ნართას თუნდაც. ამას ვიხსენებ, გზა-გზა მოვდივარ და მარტო ვიცინი, აქეთ-იქით ვიხედები, ვინმე არ მიყურებდეს-მეთქი. მეცინება, რაღაცები მახსენდება, მერე გამახსენდება სად ვარ და დღევანდელი რეალობა რაა, მერე მეტირება, რაღაც არაადეკვატური გახდება ჩემი ცხოვრება იქაურ ყოფაში. ნაცნობს ვერავის ნახავ, არავინ არ არის და შენ ხარ უცნობ ქალაქში, უცნობ ხალხთან, უცნობ ქვეყანაში. შენ არავინ არ გიცნობს, შენ არავის არ იცნობ და შენ შენი თავი რომელიღაც კუნძულზე ცხოვრობ და ხარ გგონია იმ მომენტში. სიზმარში ვარ მგონია და ამბობ ახლა თვალებს დავხუჭავ და გათავდება და რაღაცა ისევ ყველა შეიკრიბება აქ ჩემი ახლობლები და ნაცნობები-მეთქი. ერთ-ერთ კაფეში რომ ვიყავით ისე ქალმა მიცნო, ძალიან მოტეხილი იყო, ძალიან დაბერებული, დიდად არ

იყო ჩემზე უფროსი ისე ხშირად ვყოფილვარ იმკ აფეში, ალბათ, დამიმახსოვრა და მერე ჩვენ ხომ ყველა ქალაქელს ვიცნობდით, ვიცოდით, ვინ სად ცხოვრობდა, ხანდახან სახელი და გვარი არ ვიცოდით, მაგრამ რომელ ქუჩაზე ცხოვრობდა, ვისი შვილი იყო, მამამისი სად მუშაობდა ეს ყველაფერი ხომ ვიცოდით. იმ ახალგაზრდობაში ჩვენ ხომ მთელ ქალაქს, ვინც არ უნდა ყოფილიყო, ყველას ვიცნობდით. ასე მიცნო იმ ქალმა და ახლოს მოვიდა და მეუბნება: თქვენ როდის ჩამოდითო? მე აქ თავი გავისულელე, რას ქვია-მეთქი, მე აქ ვცხოვრობ-მეთქი. მიხარიაო – წყნარად მითხრა, მიხარიაო თქვენი ნახვაო რომ ჩამოხვედითო. არც სახელი ვიცი, არც გვარი. საჭმლის მკეთებელია ერთ-ერთ კაფეში და ჩვენთან გამზადებული საჭმელი მოჰქონდა. მე გამიხარდა, არა ვარ შეცვლი და მიცნო, ძველებურად კარგად ვყოფილვარ, მაგრამ მართლა გამიხარდა, შინაგანად გამიხარდა, ვიღაცამ მე მიცნო და მერე მეც გამახსენდა ის ადამიანი. საცოდავი არიან ისინი და საცოდავები ვართ ჩვენ.

ოკუჯავა რევაზი, 58 წლის; სოხუმი – თბილისი

ჩქიმი წინაპრეფ ორდეს, სოხუმიშ რაიონს ცხოვრენდეს. დევბადი სერაპიონ ოცუჯავას ოჯახიშ. ჩქიმ დიდა რდგ აგრაფინა პირტახია. სოხუმს დუამთავრგ საშუალო სკოლა. ოჯახის გვილუდეს, ჩქიმ მუმა რდგ მაბირე და აფხაზეთიშ სახელმწიფო ანსამბლიშ მოღვანენდგ მთელ ცხოვრებას კიწ გეგეჭკორის წკგმა, დო ლოტბარების წკგმა და გილეშეს თე დიდ ლოტბარები ჩქინგ ოჯახშა დო ართო იბიბრდით. მთელ ცხოვრებას ხუთ ჯიმა ვორდით, ხუთ ჯიმალეფ, ხოდო მთელ ცხოვრება ჩქინგ მთავარ პროფესია რდგ ბირა, მარა არძაქ დუამთავრითი შხვადოშხვა სპეციალობები, არძაშ უნჩაშ ჯიმა მუშენდგ სოხუმიშ სახელმწიფო უნივერსიტეტის, მაჟია ჯიმა ინჟინერ გურამთინა ხოლო სახელმწიფო ანსამბლიშ იბირდგ, არძა იბირდგ აფხაზეთიშ სახელმწიფო ანსამბლის. უკული, ჟირ ჯიმას დამთავრებული აფგ ქართიშ სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია, ვეზდენი დო ვიტალის აფხაზეთის ქორთულ ბირა დო სხაპუაშ სახელმწიფო ანსამბლი. ნამუთგ ამდღა ხოლო მოღვანენს თე დევნილობაშ პირობაშ ქართის, დო თე ანსამბლიქ დიდ ხანი რე ევროპას დო მსოფლიოშ შხვადოშხვა კონტინენტის ატარენს კონცერტენს, გასტროლებშა გილულა ხშირას, ოდო ათენა რე თე ჟირ ჯიმაშ მთავარ მოღვანეობა. მა დუამთავრგ სოხუმიშ პედაგოგიური ინსტიტუტი. პირველ წანას ვმუშენდგ ტყვარჩელის მაამშვა საშუალო სკოლას, უკულ ვმუშენდი იაშტუხაშ პირველ საშუალო სკოლას, ხოდო თან ვორდი აფხაზეთიშ ქორთულ ბირა დო სხაპუაში სახელმწიფო ანსამბლიშ მსახიობ-მომღერალი, მაბირე. უკულ დევნილობაშ წანებს ვმუშენდგ სოხუმიში სამხატვრო სასწავლებელს, ისტორიაშ, ხელოვნებაშ, რელიგიაშ ისტორიაშ მასწავლებელო, თან იბიბრდგ სახელმწიფო ანსამბლიშ,

თე სასწავლებელიში უკული სასწავლებელი გეგნაკეთეს, ოდო თეზმა პედაგოგები ვარენია საჭირო დო შხვადო ქიდიბჭყე მუშობა, მარა ბირა ვე მემტებე, ფოლკლორი ვე მემტებე ქართული, ქორთული ხალხური სიმღერები. ათეთ ვორეთ დაკავებული. პუნა საოჯახო ანსამბლი, უკული მოსწავლეობაშ პერიოდიშე სოხუმიშ პირველ საშუალო სკოლაშე მოუნაფილ პოეზიათ ვორდი გატაცებულე დო მიღე პოეტური კრებულები, ხოდა ამდღა ხოლო ვაგრძელე თე ამბეს. მარგალურო ხოლო მიღე ლექსები. ასე ამდღა მოვღვაწენქე, ქოჯოხო თეს მოღვაწეობადა, სოხუმიშ სახელმწიფო უნივერსიტეტის, ამდღა ამდღარდღას. მუმიჩქე მუჭო იი ან საქმე, ბძირათ ხოლო. ჩხუპიშ პირველ დღაშე ბოლო დღაშაქ თექ ვორდე, სოხუმს ვორდე, შექმნილი რდე თეჯგუა, სახალხო ლაშქარს უძახუნა, „იაშტუხა". თიშე მეთაურ ორდე სერგო საჯაია დო შტაბიშ უნჩაშ სოხუმიშ სახლემწიფო უნივერსიტეტიშ პროფესორი, აკადემიკოს ჯემალ ჯინჯიხაძე, ნამუთე ამდღა ხოლო მოღვაწენსე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, დიდ მეცნიერ, დიდ პოეტი. ოდო ბოლო დღაშაქ, შკვითე სექტემბერშახ, სოხუმს ვორდე, ეჩდოშკვით სექტემბერიშ, ესე იგი ეჩდოშკვით სექტემბერს გელოვანის ქუჩასე ქიდიჭყე შემოტევაქ. ჩქი ვაპუნდეს მძიმე ტექნიკა, ნამუთე მოღალატურ მორაგადაფაშ დროს იფრელ დიშეონეს თეურეშე დო ქუდოფსკიდით ხვალე ავტომატით, ოდო აი გეთუ, ჩქი ვაგმარძინეს თე შემოტევაშა და ეჩდოშკვით სექტემბერს, შონეთიშ შარეფით მოლაფრთით აშო, გინიბლით სამარგალოშა, ხოდო უკული სამარგალოს ვორდით დო თეურეშე მოფხვადით, მოლაფრთით აშო ქართიშა, მუშენდა ქართის მოღვაწენდე უნივერსიტეტ, ნამუსეთ ჩქიმ ოჯახიშ რუო წევრშე მეტ რდე დასაქმებული დო სახემწიფო ანსამბლი, ნამუთე ფუნქციონირენდე. მიმიღეს, დუმობინავეს, ამდღა „ერისიონი" ჯოსონ თი ანსამბლიქ, საქორთუოშ სახელმწიფო აკადემიური

ანსამბლი დგ, ჯემალ ჭკუასელიშ მეთაურობით. ხოდა ქიმუჩეს თექ სარეპეტიციო დარბაზიც დო ეთექ ვაგრძელენდით მუშობას, თიშ უკულ ვორეთ თაქგ, ქართის ვორეთ, ამდღარ დღარშა. შონეთის შარასგ, არძას მოგეხსენებუნა, მუ მდგომარეობა რდგ. თექ ეჩდოშკვითის მოლაფრთით, ორდგ ბრელ მოღალატურ საქმიანობები, რომელსაც მხედრიონი ეწეოდა, მხედრიონი გეურდგ თეშ დუდშა. თაქ, როინ ლიპარტელიანი მოგეხსენებუნა პრეზიდენტობაშ კანდიდატ რდგ ართი – ართი აკადემიკოს, მეცნიერი, დო თის აფგ ნარაგადგ: ციხეშე გუტტეს ოში ჟარნეჩდოვითი რეცედივისტი, ნამუსგთ შონურ ქუდებ ქიგიორთვეს დო ქიგიორინეს უღელტეხილსგ, შონეთიშ უღელტეხილს, დევნილეფიშ ესე იგი მიდუღესკო ირფელ, საძარცვავად ასე რო იტყვიან, ხოდა ამას, თეს ხოლო ქუგურძითგ ჩქი თექ. ათე მთელ მოსახლეობაქგ უმრავლესობაქ შონეთიშ, ათე უღელტეხილს, ბევრქ ესეიგი დიდი ესე იგი რაოდენობაქ ხალხიშიქ დოჭყორდგ, დოჭყორდგ თე უღელტეხილს. ბრელქგ აშო გიმილ სამარგალოშა, აშო თაურე ცხოვრენა ამდღა, გენაწირეს საქორთუოშ შხვადოშხვა რეგიონსგ. ჩქი ქართის ვორეთ ამდღარდღაშა. კმაყოფილია ადამიანი საერთოს თი მდგომარეობათგ, მით ქრისტიანიე უკმაყოფილო დღას ვარე თი მდგომარეობათ, ნამ მდგომარეობას რე, თაშიე თენა, დო მის მუჭო შეულებგ თეშ ცხოვრენს, მარა რე უმწეო ხალხი, ნამუსგთ აუცილებელო ოსაჭირგ დახმარება. მა ჩქიმ დუდგ ვა მონაღვლგ, უმოსოთ მონაღვლგ თი ხალხი, ნამუსთგ ვეშულებ მუშ დუდიშ მუკოლუაფა დო უმწეო რე. ეთი ხალხ მონაღვლგ უმოსო ჩქიმ მდგომარეობაშ, ოდა ბძირათ, დაპირებები ბრელიე. ბძირათ მომავალი ქუმოძირანა, მუჭო ურს ჩქინ საქმე. ჩქიმ მთავარი ფიქრი რე ჩქინ ოჯახებშა დორთინა, აფხაზეთშა დორთინა. იმედი ირო მიღგნა, ირო მიღგნა განსაკუთრებით ღორონთიშ, უკულ პარტრიარქიშ იმედი, ნამგთ ირო მუშ ქადაგებას

იჩიებგ, ნამდა აუცილებელო დიფრთუთგ, მა უფლება ვა მიღგ, ვე პწამე თენა, ოდო მწანს, ნამდა დიფრთუთგ აუცილებელო. აფხაზეთიში ინტელიგენცია და ხელოვნებაშ არძაშ უმოშ ესე იგი მოლვაწეეფი არძა ჩქინგ ოჯახის რე თითქმის ნარდი, ოდო ჩქინ წკგმა უღუდეს ჩქინგ ოჯახიშ მეგობრობა. თქვა წარმიდგინით ასე, ჩქგმ მუმაშე დოჭყაფილგ, ჩქიმ ჯიმალეფი თექგ დესგ ვარა მთავარ დირიჟორ რდგ, ვარა მოადგილე სამხატვრო ხელმძღვანელებიშ, ოდო თენა თაურეშე, უკული ინტელიგენცია, თქვა ქოიჩქგნა სოხუმიში სახელმწიფო ინსტიტუტი, გორკის სახელობიშ, თექ მუშენდგ ჩქიმ ჯიმა დო მა თექ ვამთავრი. უკული მოსამზადებელი ფაკულტეტის ხოლო ვკითხულენდი მა, ოდო წარმიდგინგ, მუ ურთიერთობა იიდგ, მუჭომ ახლო ურთიერთობა, ჩქიმ ჯიმა სამეცნიერო საბჭოში თავმჯდომარე რდგ სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოშ თვმჯდომარე, მურმან ოცუჯავა, თიშ მოადგილე რდგ არძიმბა, თი სტუდენტობაშ დროს, ოდა ასეთი ის იყო... მერე ხელოვნების ნებისმიერი მოღვაწე აფხაზეთის მით ქორდგ, თეატრის რდუო თენა, ფოლკლორის რდუო. ედუარდ ბებია რდგ „შარატინის“ სახელმწიფო ანსამბლიშ, თენეფი დო მთელ მოღვაწე, მეცნიერეფი დო ხელოვნებაშ ხალხი დო ნებისმიერ, მეზობელეფ პუნდეს ადლეიბები, ბორის ადლეიბაშ მარდუალები. უკული ათე იშ, მუჯოხუ, პედაგოგიურ ინსტიტუტიშ ბიბლიოთეკაში გამგე ორდგ ჩქინ მეზობელი, შულია, ადლეიბაშ მეუღლე. ათაშ ვორდით, მეზობელებ პუნდეს დო გვალო ახლობელებ ვორდით, ირნერო, ესე იგი მეტ ვეშილებენგ თეშ. ვამღუდეს ჩქი თინა დღას ვააფე ჩქინ წკუმა მუთუნ კონფლიქტი. ირო რდგ განსხვავებაშ მიხედვით, მარა ათენა მტერქგ გაკეთგ, თენა, თე უბედურება.

ჩქიმ ჯიმა, მურმანი, ქოდამთავრგ პირველ საშუალო სკოლა სოხუმს და თინეფიში, თი წკგმა დირექტორი ორდგ, თინა რდგ

ჩქიმ მოსწავლეობას ხოლო, ჯანჯღავა. შესანიშნავი ქალბატონი, მოადგილე – თამარ ოდიშარია, საქიანოთ ცნობილი პედაგოგები. უკულ ჩერიცხ, ჯარიშ დამთავრებაშ უკულ, ჩერიცხ სოხუმის გორკის სახელობაშ პედაგოგიურ ინსტიტუტის. წარმატებით დამთავრე, ჯარს პარტიაშა მიღესე, კომუნისტურ პარტიაშა. თეს ხოლო დიდ ყურადღება ექცეოდე თიმწკემა. უკულ სტუდენტობაში დროს მუჭომ წარჩინებულ სტუდენტინ დენ თეშ ორდე სტუდენტეფიშ სამეცნიერო საბჭო, არსებენდე თეჯგუა, თიშ თავმჯდომარე რდე. ოდო, მოადგილედ ორდე ვლადისლავ არძიმბა, ცნობილ ისტორიკოსი რდე. სხვათაშორის, სადოქტორო თაქ დეცე, ქართის. უკული, ინსტიტუტიშ დამთავრებაშ უკულ განაწილეს გალის რაიონიშ სოფელ დიხაზურგაშა ისტორიაშ მასწავლებელო. უკული, მუჭოთ უჩქუდესე თეში მონაცემები ინსტიტუსი დო ირაკლი ახალაიაქე დართინუ ინსტიტუტიშა, ლაბორანტო დო ისტორიაშ კათედრაშ, ისტორია-ფილოლოგიური რდე თიმწკემა, ოდა თე კათედრაშა დართინუ ლაბორანტო. უკულ თეს საკანდიდატო დისერტაცია საბჭოთა თემაშე, კომკავშირიშ განხრათი დო მუშენდე დიდხანს. ჩხუბიშ უკულ, მუჭოთ მიჩქუნანე, ქართის გაგრძელ უნივერსიტეტი, უკვე უნივერსიტეტ რდე აშო გინოფრთით. გაგრძელ მუშობა დო, კინ ისტორიაშ კათედრას. დეკანიშ მოადგილე ხოლო ქორდე. განსაკუთრებით მუშენდე სამამულო ომიშ ისტორიას აგრძელენდე მუშობას. გამოცემული აფე რამოდენიმე წიგნი თე თემა წკემა დაკავშირებით, ნამუსეთ ჩხუბიშ ისტორიაშ მკლევარეფი გემირინუანა ამდღა ხოლო და ძაან მდიდრული მონაცემებით რე ჭარილი თე ნაშრომეფი დო ასე ხოლო რე გუმორინაფას. უკულ 2009 წანას, დიდხანიშ ლახარაშ უკულ, ჩხორო წანაშ ნოემბერს მიდართ თე ქიანაშე. სხვათაშორის ამდღა ვითოშკვით რიცხვი რე დო ეჩ ნოემბერიშ ნაღურალე, ეჩ ნოემბერი რე ღურაშე მაშკვითა წანა.

აღსანიშნავიე თინა, ნამდა ამდღა ხოლო თიშგ თანამშრომელეფი, თანაკურსელეფი, უკულ სოდე ვარდუო ქორდგნ ირდიხას დიდ პატის ცენდეს, იმსახურენდგ თე პატიცემას, ირკოჩშოთგ ჯგირგ ოკოდგ, სტუდენტებშოთ, საყვარელ მასწავლებელგ რდგ სტუდენტეფიშ. ამდღა ხოლო თი მოგონებებით იშინანა. სკუალეფგ ჟირხოლო პროფესორები რენა ამდღა, თაქ მოღვაწენა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ნოსა ხოლო თაქ მოღვაწენდგ და თეჯგუა ამბე. მაჟია ჯიმა ხოლო თაქ მოღვაწენსგ, დამთავრებულგ აფგ სოხუმიშ სამუსიკო სასაწავლებელი დო უკულ თიქ ხოლო წარჩნებით დამთავრგ ქართიშ ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კოსერვატორია. თიშ უკულ, კონსერვატორიაშ დამთავრებაშ უკულ, განაწილეს სოხუმშა, სოხუმს არსებენდგ სახელმწიფო კაპელა დო თიშ დირიჟორო, სამხატვრო ხელმძღვანელო დონიშნეს. უკულ ჯარგ ვაფგდ თებული დო უკულ არდგილობრივი კადროდ ვე გინიხილენდესგ აფხაზეფი, ოდო ჭარუნდეს თინა ვაფუნია ხოლო ჯარგ დამთავრებული დო თეჯგუა ამბე რდგ. ოდო, ჯარშა მიდეცნეს ართ წანათ. სევასტოპოლს მსახურენდგ გემს, გემს ქუმოხვადგ, ოდო თექ ანსამბლი კრასნა... წითელი ფლოტიშ ანსამბლიშ სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორი რდგ მუთ ქომსახურენდგ თიზმა ხანს. თექ გემით მოგზაურენდეს მსოფლიოს ბრელ ქიანას, სოდე ქიგლეშგ, ქომღგდეს მიმოსვლა ირდიხას რე ნამყოფი კონცერტეფით. თიშ უკულ, მუშენდგ სოხუმის სამუსიკო სასწავლებელსგ არაყიშვილის სახელობიშ სოხუმის სამუსიკო სასწავლებელს ცნობილს ეთექ, ეთექ მუშენდგ, პედაგოგი და თან ბრელ ანსამბლებს ხელმძღვანელენდგ, მა ხოლო ვიბირდგ მაგალითო ექიმთა, ექიმებიშ ანსამბლიშ, ექიმთა სახლი ორდგ თეჯგუა, ოდა ეთექ. მოსკოვშიც ვიყავით მთელი საბჭოთა კავშირიდან ორდეს ათე მედიცინიშ მოღვანეეფიშ ანსამბლები, რაც იყო საბჭოთა

კავშირში ყველა, არძა რდგ მოწვეული მოსკოვს, ეთექ დო ირო, ირდიხას პირველ ადგილი, ქოიჩქგნა თქვა, მუ წარმატება უღგ ქორთულ სალხურ ფოლკლორს. ოდო ათეშ მიხედვით ირო პირველი ადგილი უღუდგ სოხუმიშ მედიცინის მუშაკებიშ ანსამბლის. თან ქიდიბჭყით სოხუმს კაპელა, ქორთულ კაპელაში ჩამოყალიბება. დიდ პოტენციალ რდგ სოხუმს ქორთულ მაბირებიშ, მუჭოთ კლასიკურ ცოდნა მიღებულეფი, თეშ ხალხურ მაბირალეფი. ხოდა ათენა კაპელაშ ფორმა ქიმეფჩით დუდშე, ოდო სუმონჩედო ვითოჩხორო წანაშ დეკემბერს მიწვიეს თე ანსამბლ ქოთ კაპელა რდგდო, ქოთ კლასიკურ ბირეფით ორდგ და ქოთ ხალხურ ბირეფით, ოდო მიწვიეს დათვალიერებგშა, სტატუსგ ქიმეჩეს, არაყიშვილის სახელობიშ სახელმწიფო კონსერვატორიაშ დიდ დარბაზის ვატარენდით კონცერტის დეკემბერს, ოთხონეჩდოვით წანაშ დეკემბერსგ, ოდო მთელ საზოგადოება რდგ თექ კომპოზიტორთა კავშირი დო არძა თე მუსიკალური საზოგადოება. ოთხონეჩი წანაშ – სუმონეჩდოვითოჩხორო წანას სექტემბერსი, თიმწკგმა ორდგ ოთარ ჭითანავა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დო თიშ ხეშენყობათ მიენიჭა ანსამბლის ქორთული ხალხური ბირა დო სხაპუაშ სახელმწიფო ანსამბლიშ სტატუსი, დო თიშ უკულ არსებენსგ სოხუმს ქორთული, თენა თი დროს გუაკეთით, გაკეთგ ჩქიმ ჯიმაქგ თე ქორთულიშენ რაგადი ხოლო ვეშილებედგ დო დიდ განაწყენებას იწვენდგ არდგილობრივი აფხაზური მთავრობაშ, თიმწკგმა ქიმოხვადგ. ოდო ათეშ უკულ, ჩხუბიშ უკულ, აშო გინივლით ქართის მოვღვაწენდით დო მუდაშახ ვორდით, ვაფშგ ჯგირო, საზღვარგარეთის თე ანსამბლიქ ჩატარ გასტროლები. ოდა აღსანიშნავ თინა რე, ნამდა ფესტივალზე განსაკუთრებით ვიყავით საფრანგეთში, საფრანგეთიდან იყო ხელმძღვანელი ამ მსოფლიო ფესტივალის, ჟან როშე, ხოდა ჟან როშემ, მერე თეურეშე საფრანგეთის, პირევლ საფრანგეთის ჩატარგ,

უკულ შვეიცარიას, შვეიცარიაშე პოლონეთშა ქუმოვრთით, ოდა ასე 22 სახელმწიფო რდჲ. თქვენ წარმოიდგინეთ, პირველო ფესტივალქ გჲნწყჲნ, მასმათ გენმოხუნეს, ესეიგი რიგით მასმათ ოკო გიშაფრთათი ჩქი. მუჭო ჩქი გიშებლენდით დო მთელ დარბაზ იშლებუდჲ ჩქინ უკულ დო გენმოხუნეს ეჩდომაჟირათ დო საქმე თინა რე ნამდა, ფესტივალს თექ დრო განსაზღვრულიე წამებით, ოდო არავითარი ის ბის და გამეორება, მარა ჩქი სუმშახ იშენთ გინმევორენდით, ოდო თი ჟიურ თექიან რდჲ ... მარა ხალხი, ხალხი აკეთენდჲ თეს დო ათეჯგუა რდჲ. უკულ, შვეიცარიას თაშირდჲ, პოლონეთის თაშჲ დო ეჩდომაჯირა ვორდით ირიათო. თეჯგუა წარმატებები უღუდჲ თე ანსამბლიშ დო აგრძელენს ამდღა ხოლო მუშობას. უკული ჩქინ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჴუნს ჩქიმ ჯიმაშ – ვეზდენ ოჴუჯავაშ ანსამბლი, ნამუთ არძა ღონისძიებას ღებულენს მონაწილეობას, ხვალე საუნივერსიტეტოს ვარჲ, რესპუბლიკურ მასშტაბით ღონისძიებებს დო თიშ წარმატებები მოწონებას იმსახურენსჲ არძა გიშულას. საქმე თინა რე, ნამდა ჩქი დღას ვა მაფჲდეს ჩქინ ოჯახის, ხელოვანთა ოჯახი რდჲ დო ჩქიმ მუმა სახელმწიფო ანსამბლის იბირდჲ დო თიმწკჲმა მუჟამს კიწ გეგეჭკორი რდჲ ხელმძღვანელი, ცნობილი ლოტბარი, კიწ გეგეჭკორი, დო, მუ რაგადი ოკო, ცნობილი რაჟდენ გუმბა ორდჲ მთავარი დო ჩქიმ მუმა ირო, მუჭო ქორთჲნ თეშ, ირო მოადგილე რდჲ. უკული, ორდჲ ალექსეი ჩიჩბა, ხარიტონი, არძა თენეფ ჩქინ ოჯახშა გილეშეს. უკულ ჩქიმ მუმა იბირდჲ თექ, დაახლოებული რდჲ არძა ანსამბლი დო თეატრი, ოდო ათე თეატრალურ მოღვაწეეფი არძა ნამყოფიე ჩქინი ოჯახიშ ათე ბუხუტ ზაქარიაძე, ლია მიქაშავიძეს მამა – ნიკოლოზ მიქაშავიძე ელოდნენ, მოდიოდნენ, პოეტები იქ ჩემს... ჩქიმ ჯიმას თი წიგნიშ ირ კოჩ რე ნახსენები, მით მიშჲ ჩქინ ოჯახშა, განსაკუთრებით ათე ხელოვნებაშ დო მეცნიერებაშ

ხალხგ, ჩქიმ ჯიმალეფიშ და ჩქიმ მუმაშ მეგობრეფი, ახლობლეფი. ჟარნეჩდოვითოჩხორო წანას ელდეს გალაქტიონ ტაბიძეს, ათე ახლო ურთიერთობა ქონდა ამ მსახიობებთან და თეატრისა და ანსამბლიშ მოღვაწეების წკგმა დო მარა ქოიჩქგნა მუ უბედურება რე მოხვადილი, მარა ათენა იიდგ არძაშ უმოს გასაშინ ამბე, მარა ათაშ ტრაგედიაქ ქგმოხვადგ. არძა თენეფი უკული ანსამბლიშ წევრები მუთუნი ღონისძიება რდგ ჩქინ ოჯახის საზეიმო არძა, მითინ ვაკორდგდ თეს. უკულ სუმონეჩდოვითიან წანას გვალო მეზობელო გინმართეს ადლიებებქგ, ბორის ადლეიბაში მარდუალეფ დო ჯიმალეფი რდგეს, რამოდენიმე ჯიმა რდგ თე ადლეიბეფი, დო თიშ მეუღლე უნივერსიტეტიშ ბიბლიოთეკას გამგე რდგ და ათე მეზობელეფი რდგეს. ვარდგ, ცნობილი ამბე რე თენა, ახალი ამბავი ვარე ენა დო მუთუნ ჯგირი ამბე რდგ, გლახა ამბე რდგ, ირო ართო ვორდით, ოდო უმოსო ათენა მაკავშირენდეს ათე ურთიერთბა. წარმოუდგენელი რდგ თექ თი ჩქინ მეზობელეფი რდგნ თექ, ცნობილიე, თხა უცორა აფხაზენს, დო თექ ცხოვრენდგ ხოლო ათე ადლიებეფიშ დასკუა ვალერი ახუბა, თენა ტრასაშ უჩაში რდგ აფხაზეთიშ. ონდღეშახ ჩქი ფაცხა მიღუდეს, ცუდეშა კოჩგ ვემნიშ, ირკოჩ ეთი ფაცხას იფშაყარუდით, ოდო ონდღეშახ ოჭმარეშ ჩქინ წკუმა ქიდიბჭყანდით დო ონდღეშახ ჩქინ ცუდეს ვორდით. უკულ იშო მიფშით ი აფხაზეფშა დო ვარა თექ ქიდიბჭყანდით ოჭმარესგ ნაონდღერს აშო, უკულ მოკო ხოლო გიფშინე, ენა ვაფთქუე მუჭო შილებე, შაკაიეფი, გაინა თქვა გაგონებულგ, ტყვარჩელიშე, გიორგი შაკაია დო თიშ სკულაეფი ხოლო მუსიკოსები რდგეს, მაბირე ოჯახგ ცუნდეს თინეფს. კონსტანტინე შაკაია მინისტრთა საბჭოს მუშენდგ ათე მშენებლობაშ უჩაშ რდგ, ოდო თექ გიორგი შაკაია ტყვარჩელს ცხოვრენდგ, სამთო-ინჟინერი რდგ დო სტადიონები რდგ ეთექ ცხოვრენდ გვერდით. ოდო თუთაშე, ართ თუთას ჩქინდა მიშეს

აშო მთელი ოჯახი, ოდო ბირაშგ დღესასწაულ მიჯოხოდეს თეშა. ათე აფხაზური ოჯახი აშო მიშუ, მთელი ოჯახი შემადგენლობათი, მაჟია თუთას ვიშო მიფშით თექ ტყვარჩელგშა მთელი ოჯახი, ოდო მთელ დღას ესე იგი ორდგ ათე ბირეფი. სამეზობლო იშაყარუდგ, ახლო მეგობრები დო ნათესავები ესწრებოდნენ ამ ჩვენს ორი ოჯახის ზეიმს, ოდო ათაშ ვორდგთ, თენა ვეშეჭყოლირიდე კოჩიშ თიფერ ამბე რე თენა. ოდა ასე ხოლო, ბრელწკგმა ასე ხოლო მიღუნა კავშირი, აფხაზეფწკგმა, თეურეშე მითინგ ქიდელახებუნგ, თაქ მულა ჩქინდა, ნამდა ჩქიმ ჯიმასკუა თაქ ცხოვრენს, ამარ უნივერსიტეტიშ გვერდით ოდო ეთექ დიკულირი რდგ დო მაჟია – მასმა პარტიაქ დიკორთგ, არძას უმკურნალეს, ოპერაციის ჩათვლით, ოპერაცია ხოლო გუკუთესგ თეშ დო განკურნებულო გუტტეს ვიშო. აღსანიშნავიე თინა, ხოლო ნამდა თენებს თაქ უღუნა არძანერ პირობეფი. დიკილენა, ჟიროოთახიანი ბინა, თენა უსასყიდოდ ირფელ, ოდო დაფინანსება თე მკურნალობაშა, ირფელ ოდო ათეჯგუა დამოკიდებულება მიღგნა ჩქი თინეფიშ მიმართ სახელმწიფოსითგ დო ჩქეთ, რიგით მოქალაქეებს. თექ ოკო გეგრძელას ანი.

თარგმანი

ჩემი წინაპრები იყვნენ... სოხუმის რაიონში ცხოვრობდნენ. დავიბადე სერაპიონ ოკუჯავას ოჯახში. ჩემი დედა იყო აგრაფინა პირტახია.სოხუმში დავამთავრე საშუალო სკოლა. ოჯახში გვქონდა, ჩემი მამა იყო მომღერალი და აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლში მოღვაწეობდა მთელი ცხოვრება კიწი გეგეჭკორთან და ლოტბარებთან ერთად. და დადიოდნენ ეს დიდი ლოტბარები ჩვენს ოჯახში და ერთად ვმღეროდით.მთელი ცხოვრება ხუთი ძმა ვიყავით, ხუთი ძმა. ჰოდა მთელი ცხოვრება ჩვენი მთავარი

პროფესია იყო სიმღერა, მაგრამ ყვაელამ დავამთავრეთ სხვადასხვა სპეციალობები. ყველაზე უფროსი ძმა მუშაობდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მეორე ძმა ინჟინერი გურამი, ისიც სახელმწიფო ანსამბლში მღეროდა. ყველა მღეროდა აფხაზეთის სახემწიფო ანსამბლში. შემდეგ, ორ ძმას დამთავრებული აქვს თბილისის სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია. ვეზდენსა და ვიტალის აფხაზეთის ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი, რომელიც დღესაც მოღვაწეობს ამ დევნილობის პირობებში თბილისში. და ეს ანსამბლი დიდიხანია ევროპასა და მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე ატარებს კონცერტებს. გასტროლებზე დადიან ხშირად,და ეს არის ამ ორი ძმის მთავარი მოღვაწეობა. მე დავამთავრე სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. პირველ წელს ვმუშაობდი ტყვარჩელის მეექვსე საშუალო სკოლაში, შემდეგ ვმუშაობდი იაშთუხის საშუალო სკოლაში. ჰოდა თან ვიყავი აფხაზეთის ქართული სიმღერა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობ-მომღერალი. შემდეგ დევნილობის წლებში ვმუშაობდი სოხუმის სამხატვრო სასწავლებელში, ისტორიის ხელოვნების, რელიგიის ისტორიის მასწავლებლად. თან ვმღეროდი სახელმწიფო ანსამბლში, ამ სასწავლებლის შემდეგ ეს სასწავლებელი გადააკეთეს და ამდენი პედაგოგი არ არისო საჭირო და სხვაგან დავიწყე მუშაობა. მაგრამ სიმღერა არ მიმიტოვებია, ფოლკლორი არ მიიტოვებია, ქართული ხალხური სიმღერები. ამით ვართ დაკავებული. გვყავს საოჯახო ანსამბლი. შემდეგ მოსწავლეობის პერიოდიდან სოხუმის პირველის საშუალო სკოლიდან მოყოლებული პოეზიით ვიყავი გატაცებული და მაქვს პოეტური კრებულები. ჰოდა დღესაც ვაგრძელებ ამ საქმეს. მეგრულადაც მაქვს ლექსები. ახლა დღეს მოვღვაწეობ, თუ ჰქვია ამას მოღვაწეობა სოხუმი სახელმწიფო უნივერსიტეტის. დღეს დღესდღეობით. არ ვიცი აწი როგორ იქნება საქმე, ვნახოთ კიდევ.

ომის პირველი დღიდან ბოლო დღემდე იქ ვიყავი სოხუმში ვიყავი. შექმნილი იყოასეთი სახალხო ლაშქარს ეძახიან -„იაშთუხა“. იმის მეთაური იყო სერგო საჯაია და შტაბის უფროსი სახლემწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აკადემიკოსი ჯემალ ჯინჯიხაძე, რომელიც დღესაც მოღვაწეობს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დიდი მეცნიერი, დიდი პოეტი. ჰოდა ბოლო დღემდე შვიდ სექტემბრამდე სოხუმში ვიყავი. 27 სექტემბერს გელოვანის ქუჩაზე დაიწყო შემოტევა. ჩვენ არ გვყავდა მძიმე ტექნიკა, რომელიც მოღალატური მოლაპარაკების დროს გაიყვანეს იქიდან დავრჩით მხოლოდ ავტომატით. ჰოდა, აი დამთავრდა ჩვენ ვერ გავუძელით იმ შემოტევას და 27 სექტემბერს სვანეთის გზებით წამოვედით აქეთ. დადმოვედიტ სამეგრელოში ჰოდა შემდეგ ვიყავით სამეგრელოში და იქიდან მოვხვდით წამოვედით აქეთ თბილისში, იმიტომ რომ თბილისში მოღვანეობდა უნივერსიტეტი, რომელშიც ჩემი ოჯახის რვა წევრზე მეტი იყო დასაქმებული და სახელმწიფო ანსამბლი, რომელიც ფუნქციონირებდა. მიგვიღეს, დაგვაბინავეს დღეს რომ „ერისიონი“ ჰქვია იმ ანსამბლმა, საქართველოს სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი იყო, ჯემალ ჭკუასელის მეთაურობით. ჰოდა მოგვცეს სარეპეტიციო დარბაზიც და იქ ვაგრძელებდით მუშაობას. იმის მერე ვართ აქ, თბილისში ვართ დღევანდელ დღემდე. სვანეთის გზაზე, ყველას მოგეხსენებათ, რა მდგომარეობა იყო. იქიდან 27 სექტემბერს წამოვედით ბევრი მოღალატური საქმეები იყო, რომელსაც მხედრიონი ეწეოდა მხედრიონი ედგა სათავეში. აქ, როინ ლიპარტელიანი მოგეხსენებათ თქვენ პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი იყო აკადემიკოსი, მეცნიერი და იმას აქვს ნათქვამი: ციხიდან გამოუშვეს ას ორმოცდაათი რეციდივისტი, რომლებსაც სვანური ქუსდები დაახურეს და დააყენეს უღელტეხილზე, სვანეთის ურელტეხილზე, დევნილებისთვის ე.ი. წაერთმიათ ყველაფერი, საძარცვავად ასე რო იტყვიან, ხოდა ამასაც გავუძელით ჩვენ

იქ. ამ მთელმა მოსახლეობამ, უმრავლესობამ სვანეთში, ამ უღელტეხილზე ბევრმა ე.ი. ხალხის დიდი რაოდენობა დაწყდა. დაწყდა ამ ურელტეხილზე. ბევრი აქეთ გადმოვიდა სამეგრელოში აქეთ ცხოვრობენ დღეს გადანაწილდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ჩვენ თბილისში ვართ დღევანდელ დღემდე. კმაყოფილია ადამიანი საერთოდ იმ მდგომარეობით ვინც ქრისტიანია უკმაყოფილო არასდროს არ არის იმ მდგომარეობით, რომელ მდგომარეობაში არის. ასეა ეს და ვის როგორ შეუძლია ისე ცხოვრობს, მაგრამ არის უმწეო ხალხი, რომელსაც აუცილებლად ესაჭიროება დახმარება. მე ჩემი თავი არ მენაღვლება, უმეტესად მენაღვლება ის ხალხი, რომელსაც არ შეუძლია თავისი თავის მოვლა და უმწეო არის. ის ხალხი მენარვლება უმეტესად ჩემი მდგომარეობისა, ჰოდა ვნახოთ, დაპირებები ბევრია. ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს, როგორ წავა ჩვენი საქმე. ჩემი მთავარი ფიქრი არის ჩვენს ოჯახებში დაბრუნება აფხაზეთში დაბრუნება. იმედი ყოველთვის გვაქვს, ყოველთვის გვაქვს განსაკუთრებით ღმერთის, შემდეგ პატრიარქის იმედი, რომელიც ყოველთვის თავის ქადაგებაში ამბობს, რომ აუცილებლად დავბრუნდებით. მე უფლება არა მაქვს არ ვირწმუნო ეს, ჰოდა მწამს, რომ დავბრუნდებით აუცილებლად. აფხაზეთის ინტელიგენცია და ხელოვნების ყველაზე მეტი ე.ი. მოღვაწეები ყველა ჩვენს ოჯახშია თითქმის გაზრდილი და ჩვენთან ჰქონდათ ჩვენი ოჯახის მეგობრობა. თქვენ წარმოიდგინეთ ახლა, ჩემი მამიდან დაწყებული, ჩემი ძმები იქ იყვნენ ან მთავარი დირიჟორი, ან მოადგილე სამხატვრო ხელმძღვანელების, ჰოდა ეს აქედან, შემდეგ ინტელიგენცია,თქვენ იცით სოხუმის სახელმწიფო ინსტიტუტი, გორკის სახელობის, იქ მუშაობდა ჩემი ძმა და მე იქ დავამთავრე. შემდეგ მოსამზადებელ ფაკულტეტზეც ვკითხულობდი მე და წარმოიდგინეთ რა ურთიერთობა იქნებოდა, როგორი ახლო ურთიერთობა. ჩემი ძმა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე იყო, სტუდენტთა

სამეცნიერო საბჭოს თვმჯდომარე მურმან ოkუჯავა, მისი მოადგილე იყო არძინბა იმ სტუდენტობის დროს, ჰოდა ასეთი ის იყო... მერე ხელოვნების ნებისმიერი მოღვაწე აფხაზეთში ვინც იყო თეატრის იყო ეს ფოლკლორის იყო. ედუარდ ბებია იყო „შარატინის“ სახელმწიფო ანსამბლის, ესენი და მთელი მოღვაწე, მეცნიერები და ხელოვნების ხალხი და ნებისმიერი. მეზობლები გვყავდა ადლეიბები, ბორის ადლეიბას გამზრდელები, შემდეგ ამ რა ქვია პედ. ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგე იყო ჩვენი მეზობელი, შულია, ადლეიბას მეუღლე. ასე ვიყავით. მეზობლები გვყავდა და ძალიან ახლობლები ვიყავით,ყოველნაირად, ე.ი. მეტი რომ არ შეიძლება ისე. არ გვქონდა ჩვენ ისა არასდროს არ ყოფილა ჩვენთან რაიმე კონფლიქტი, ყოველთვის იყო განსხვავების მიხედვით, მაგრამ ეს მტერმა ქნა ეს ეს უბედურება.

ჩემმა ძმამ, მურმანმა, დაამთავრა პირველი საშუალო სკოლა სოხუმში და იმათი , მაშინ დირექტორი იყო, ის იყო ჩემი მოსწავლეობის დროსაც, ჯანჯღავა. შესანიშნავი ქალბატონი, მოადგილე – თამარ ოდიშარია, საქვეყნოდ ცნობილი პედაგოგები. შემდეგ ჩაირიცხა, ჯარის დასრულების შემდეგ ჩაირიცხა სოხუმის გორკის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. წარმატებით დაამთაერა, ჯარში პარტიაში მიიღეს, კომუნისტურ პარტიაში. ამასაც დიდი ყურადღება ექცეოდა მაშინ. შემდეგ სტუდენტობის დროს როგორც წარჩინებული სტუდენტი იყო ისე, სტუდენტური სამეცნიერო საბჭო, არსებობდა ასეთი, იმის თავმჯდომარე იყო. ჰოდა, მოადგილედ იყო ვლადისლავ არძინბა, ცნობილი ისტორიკოსი იყო. სხვათაშორის, სადოქტორო აქ დაიცვა, თბილისში. შემდეგ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გაანაწილეს გალის რაიონის სოფელ დიხაზურგაში ისტორიის მასწავლებლად. შემდეგ როგორც იცოდნენ მისი მონაცემები მონაცემები ინსტიტუტში და ირაკლი ახალაიამ დააბრუნა ინსტიტუტში ლაბორანტად და

ისტორიის კათედრაზე, ისტორია-ფილოლოგიური იყო მაშინ, ჰოდა ამ კათედრაზე დააბრუნა ლაბორანტად. შემდეგ მისი საკანდიდატო დისერტაცია საბჭოთა თემაზე, კომკავშირის განხრით და მუშაობდა დიდხანს. ომის შემდეგ, როგორც ვიცით, თბილისში განაგრძო უნივერსიტეტში, უკვე უნივერსიტეტი იყო აქეთ რომ გადმოვედით, გააგრძელა მუშაობა და, ისევ ისტორიის კათედრაზე. დეკანის მოადგილეც იყო. განსაკუთრებით მუშაობდა სამამულო ომის ისტორიას აგრძელებდა მუშაობას. გამოცემული აქვს რამდენიმე წიგნი ამ თემასთან დაკავშირებით, რომელსაც ომის ისტორიის მკვლევარები იყენებენ დღესაც და ძალიან მდიდრული მონაცემებით არის დაწერილი ეს ნაშრომები და ახლაც არის გამოყენებაში. შემდეგ 2009 წელს, დიდიხნის ავადმყოფობის შემდეგ ნოემბერში წავიდა ამ ქვეყნიდან. სხვათაშორის დღეს 17 რიცხვია და 20 ნოემბერს არის გარდაცვლილი. 20 ნოემბერს არის გარდაცვალებიდან მეშვიდე წელი. აღსანიშნავია ის, რომ დრესაც მისი თანამშრომელები, თანაკურსელები, შემდეგ სადაც რომ იყო, ყველგან დიდ პატივს სცემდნენ, იმსახურებდა ამ პატივისცემას, ყველაშტვის კარგი უნდოდა, სტუდენტებისთვის, საყვარელი მასწავლებელი იყო სტუდენტების. დღესაც იმ მოგონებებით იხსენებენ. შვილები ორივე პროფესორები არიან დღეს, აქ მოღვაწეობენ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რძალიც აქ მოღვაწეობს და ასეთი ამბავი. მეორე ძმაც აქ მოღვაწეობს, დამთავრებული აქვს სოხუმის სამუსიკო სასწავლებელი და შემდეგ იმანაც წარცინებით დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კოსერვატორია. ამის შემდეგ, კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, გაანაწილეს სოხუმში. სოხუმში არსებობდა სახელმწიფო კაპელა და იმის დირიჟორად, სამხატვრო ხელმძღვანელად დანიშნეს. შემდეგ ჯარი არ ჰქონდა დამთავრებული და არც ადგილობრივ კადრადაც არ გინიხილავდნენ აფხაზები, ჰოდა

წერდნენ არ აქვსო ჯარი დამთავრებული და ასეთი ამბები იყო. ჰოდა, ჯარში წაიყვანეს ერთი წლით. სევასტოპოლში მსახურობდა გემზე, გემზე მოხვდა, ჰოდა იქ ანსამბლ „კრასნა“... წითელი ფლოტის ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორი იყო. რამდენ ხანსაც მსახურობდა იმდენ ხანს. იქ გემით მოგზაურობდნენ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სადაც მიმოსვლა გვქონდა ყველგან არის ნამყოფი კონცერტებით. ამის შემდეგ მუშაობდა სოხუმის სამუსიკო სასწავლებელში, არაყიშვილის სახელობის სოხუმის სამუსიკო სასწავლებელში, ცნობილში, იქ, იქ მუშაობდა, პედაგოგი და თან ბევრ ანსამბლს ხელმძღვანელობდა. მეც ვმღეროდი მაგალითად ექიმთა, ექიმების ანსამბლში, ექიმთა სახლი იყო ასეთი, ჰოდა იქ. მოსკოვშიც ვიყავით. მთელი საბჭოთა კავშირიდან იყვნენ ამ მედიცინის მოღვაწეების ანსამბლები, რაც იყო საბჭოთა კავშირში ყველა, ყველა იყო მოწვეული მოსკოვში. იქ და ყოველთვის ყველგან პირველი ადგილი. იცით თქვენ, რა წარმატება აქვს ქართულ ხალხურ ფოლკლორს. ჰოდო ამის მიხედვით ყოველთვის პირველი ადგილი ჰქონდა სოხუმის მედიცინის მუშაკების ანსამბლს. თან დავიწყეთ სოხუმში კაპელა, ქართული კაპელის ჩამოყალიბება. დიდი პოტენციალი იყო სოხუმში ქართველი მომღერლების, როგორც კლასიკური ცოდნა მიღებულები, ისე ხალხური მომღერლები. ჰოდა ამას კაპელის ფორმა მივეცით თავიდან, ჰოდა სამოცდაცხრამეტი წლის დეკემბერში მიიწვიეს ეს ანსამბლი, კაპელაც იყო კიდეც კლასიკური სიმღერებით და კიდეც ხალხური სიმღერებით, ჰოდა მიიწვიეს დათვალიერებაზე, სტატუსი მისცეს, არაყიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, დიდ დარბაზში, ვატარებდით კონცერტს დეკემბერში, ოთხმოცდაათი წლის დეკემბერში, ჰოდა მთელი საზოგადოება იყო იქ კომპოზიტორთა კავშირი და ყველა ეს მუსიკალური საზოგადოება. ოთხმოცი წლის სამოცდაცხრამეტი წლის სექტემბერში,

მაშინ იყო ოთარ ჭითანავა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და იმის ხელშეწყობით მიენიჭა ანსამბლს ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სტატუსი და იმის მერე არსებობს სოხუმში ქართული, ეს იმ დროს გავაკეთ, გააკეთა ჩემმა ძმამ ამ ქართულისთვის ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა და დიდ განაწყენებას იწვევდა ადგილობრივი აფხაზური მთავრობის, მაშინ მოხდა. ჰოდა ამის მერე , ომის მერე აქეთ გადმოვედით, თბილისში ვმოღვაწეობდით და რამდენჯერ ვიყავით, არ მახსოვს კარგად, საზღვარგარეთ. ამ ანსამბლმა ჩაატარა გასტროლები. ჰოდა აღსანიშნავი ის არის, რომ ფესტივალზე განსაკუთრებით ვიყავით საფრანგეთში, საფრანგეთიდან იყო ხელმძღვანელი ამ მსოფლიო ფესტივალის, ჟან როშე, ჰოდა ჟან როშემ, მერე აქედან საფრანგეთში, პირევლად საფრანგეთში ჩატარდა, შემდეგ შვეიცარიაში, შვეიცარიიდან პოლონეთში მოვედით, ჰოდა ასე 22 სახელმწიფო იყო. თქვენ წარმოიდგინეთ, პირველად ფესტივალი რომ გაიხსნა მესამედ ჩაგვსვეს, ესე იგი რიგით მესამე უნდა გამოვსულიყავით ჩვენ, როგორც კი ჩვენ გამოვიდოდით, და მთელი დარბაზი იშლებოდა, ჩვენ მერე და ჩაგვსვეს ოცდამეორედ და საქმე ისაა, რომ ფესტივალზე იქ დრო განსაზღვრულია წამებით, ჰოდა არავითარი ის ბის და გამეორება, მაგრამ ჩვენ სამჯერ მაინც ვიმეორებდით და ჟიური იქაური იყო... მაგრამ ხალხი, ხალხი აკეთებდა ამას და ასეთი იყო. შემდეგ შვეიცარიაში ასე იყო, პოლონეთში ასე და ოცდამეორენი ვიყავით ყოველთვის. ასეთი წარმატებები ჰქონდა ამ ანსამბლს და აგრძელებს დღესაც მუშაობას. შემდეგ ჩვენს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰყავს ჩემი ძმის – ვეზდენ ოკუჯავას ანსამბლი, რომელიც ყველა ღონისძიებაში ღებულობს მონაწილეობას, მხოლოდ საუნივერსიტეტოში კი არა, არამედ რესპუბლიკური მასშტაბით ღონისძიებებს და იმისი წარმატებები მოწონებას იმსახურებენ ყველა გამოსვლისას. საქმე ისაა, რომ

ჩვენ არასდროს არ გვქონდა ჩვენს ოჯახში, ხელოვანთა ოჯახი იყო და მამაჩემი სახელმწიფო ანსამბლში მღეროდა მაშინ, როცა მუჟამს კიწ გეგეჭკორი იყო ხელმძღვანელი, ცნობილი ლოტბარი, კიწ გეგეჭკორი, და, რა თქმა უნდა, ცნობილი რაჟდენ გუმბა იყო მთავარი დო მამაცემი ყოველთვის, როგორც ქართველი, ყოველთვის მოადგილე იყო. მერე იყო ალექსეი ჩიჩბა, ხარიტონი, ყველა ესენი ჩვენს ოჯახში დადიოდნენ, მერე მამაჩემი მღეროდა იქ, დაახლოებული იყო ყველა ანსამბლი და თეატრი, ჰოდა ეს თეატრალური მოღვაწეები ყველა ნამყოფია ჩვენს ოჯახში. ეს ბუხუტი ზაქარიაძე, ლია მიქაშავიძეს მამა – ნიკოლოზ მიქაშავიძე ელოდნენ, მოდიოდნენ, პოეტები იქ ჩემი... ძმის იმ წიგნში ყველა არის ნახსენები, ვინც მოდიოდა ჩვენს ოჯახში, განსაკუთრებით ამ ხელოვნებისა და მეცნიერების ხალხი, ჩემი ძმების და მამაჩემის მეგობრები, ახლობლები. ორმოცდაცხრამეტ წელს ელოდნენ გალაქტიონ ტაბიძეს, მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ამ მსახიობებთან და თეატრისა და ანსამბლის მოღვაწეებთან, მაგრამ იცით რა უბედურება არის მომხდარი. ეს იქნებოდა ყველაზე მეტად გასახსენებელი ამბავი, მაგრამ ტრაგედია მოხდა. ყველანი ესენი ანსამბლის წევრები რაიმე ღონისძიება თუ იქნებოდა ჩვენს ოჯახსი საზეიმო ყველანი, არავინ არ აკლდებოდა ამას. მერე სამოცდაათიან წლებში მთლად მეზობლები გაგვიხდნენ ადლეიბები. ბორის ადლეიბას გამზრდელები და ძმები იყვნენ. რამდენიმე ძმა იყვნენ ეს ადლეიბები და იმის მეუღლე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გამგე იყო. აი ასეთი მეზობლები იყვნენ. ცნობილი ამბავია ეს, ახალი ამბავი არ არის და თუ რამე კარგი ამბავი იყო, ცუდი ამბავი იყო სულ ერთად ვიყავით. ჰოდა უფრო ეს გვაკავშირებდა ეს ურთიერთბა. წარმოუდგენელი იყო იქ ის ჩვენი მეზობლები რომ იყვნენ იქ. ცნობილია, თხა უყვართ აფხაზებს, და იქ ცხოვრობდა ამ ადლიებების დისშვილი – ვალერი ახუბა. ის ტრასის უფროსი

იყო აფხაზეთის. შუადღემდე სახლში არავინ შედიოდა, ჩვენ ფაცხა გვქონდა, ყველა იმ ფაცხაში ვიკრიბებოდით, ჰოდა დილიდან ჩვენთან დავიწყებდით და შუადღემდე ჩვენს სახლში ვიყავით, მერე იქიტ მივდიოდიტ აფხაზებთან. და ან იქ დავიწყებდით დილიდან, ნაშუადღევს აქეთ. მერე მინდა გავიხსენო, ეს რომ არ ვთქვა როგორ შეიძლება. შაკაიები, გექნებათ თქვენ გაგონებული, ტყვარჩელიდან, გიორგი შაკაია და მისი შვილებიც მუსიკოსები იყვნენ, მომღერალი ოჯახი ჰყავდათ იმათ. კონსტანტინე შაკაია მინისტრთა საბჭოში მუშაობდა ამ მშენებლობის უფროსი იყო. ჰოდა იქ გიორგი შაკაია ტყვარჩელში ცხოვრობდა, სამთო-ინჟინერი იყო და სტადიონები იყო, იქ ცხოვრობდა გვერდით. ჰოდა თვეში ერთი თვე ჩვენთან მოდიოდნენ აქეთ მთელი ოჯახი, ჰოდა სიმღერის დღესასწაულს ვეძახდით ამას. ეს აფხაზური ოჯახი აქეთ ჩამოდიოდა მთელი ოჯახის შემადგენლობით, მეორე თვეს იქით მივდიოდით ტყვარჩელში მთელი ოჯახი, ჰოდო მთელ დღეს ესე იგი იყო ეს სიმღერები. სამეზობლო იკრიბებოდა, ახლო მეგობრები და ნათესავები ესწრებოდნენ ამ ჩვენს ორი ოჯახის ზეიმს. ჰოდა ასე ვიყავით, ამას ვერ დაივიწყებ კაცი ისეთი ამბავია ეს. ჰოდა ახლაც ბევრთან ახლაც გვაქვს კავშირი, აფხაზებთან, იქიდან თუ ვინმე ავად გახდება, აქ მოდიან ჩვენთან, იმიტომ, რომ ჩემი ძმიშვილი აქ ცხოვრობს, აგერ უნივერსიტეტის გვერდით, ჰოდო იქ მოსულები იყვნენ, მეორე – მესამე წყება ჩამოვიდა. ყველას უმკურნალეს, ოპერაციის ჩათვლით, ოპერაციაც გაუკეთეს და ისე განკურნებულად გაუშვეს იქით. აღსანიშნავია ის, რომ ამათ აქ აქვთ ყოველნაირი პირობები. ჩამოვლენ, ოროთახიანი ბინა ეს უსასყიდლოდ ყველაფერი, და დაფინანსება ამ მკურნალობის, ყველაფერი და ასეთი დამოკიდებულება გვაქვს ჩვენ მათ მიმართ სახელმწიფოსაც და ჩვენც, რიგით მოქალაქეებს. ეს უნდა გაგრძელდეს აწიც.

გვაგვალია მზია, 62 წლის; სოხუმი – თბილისი

მე ვარ სოხუმიდან დევნილი გვაგვალია მზიური ხარიტონის ასული 68 წლის. 25-ე წელიწადია აქ რომ ვარ, წამოვედით 93-ში შვილებთან ერთად, ქმარი ჩამრჩა სოხუმში და რამდენიმე ხნის მერე, უკვე მიცვალებული რომ მეგონა და არ ველოდი ისე გამოჩნდა და ჩამოვიდა. ჩამოვიდა მაგრამ უკვე იყო ავადმყოფი, ნერვიულობის ნიადაგზე დაემართა ტვინის ატროფია. ძაან ცუდად იყო და მერე გარდაიცვალა 2000 წელში. დავრჩით მე და ჩემი შვილები, ორივე დაოჯახებული, ორივეს ყავს შვილები, ორ-ორი შვილი ორივეს. უმცროს შვილს ყავს 19 წლის ბიჭი და 14 წლის გოგო. უფროსი ცოტა დამიგვიანა დაქორწინება და ყავს პატარა ბავშვები, ხუთი და ორი წლის გოგოები. ისე რო ჩამოვედით, მე იქ ვმუშაობდი სოხუმში სკოლაში მასწავლებლად, მათემატიკის მასწავლებელი ვიყავი რუსულ სკოლაში. უფრო ვლაპარაკობდით რუსულ ენაზე და მეგრულზე, ქართული ნაკლებად. რო ჩამოვედი მერე ნელ-ნელა ნელ-ნელა საერთოდ გადავედი უკვე ქართულზე და თითქმის მეგრული მავიწყდება ისე ვარ. რავიცი, რუსული.. კი ზოგჯერ ვლაპარაკობ იმიტომ, რომ რძალი მყავს ნახევრად რუსი, და იმიტომ ვლაპარაკობთ უფრო რუსულზე და ქართულზეც. ქალაქში ეხლა რო გავდივარ უფრო ქართულად ვსაუბრობ, ვითომ არა მიშავს ახლა ლაპარაკში? კი ხვდება ხალხი რო იქეთური ვარ ეხლა დასავლეთიდან. ჯერ გვინდოდა წამოსვლა სვანეთით, მაგრამ გადავედით, ნუ დაგვხვდა მანქანა უფრო სწორად და მოდიოდა აქეთ ჩვენსკენ და დიდი კამაზი მანქანით ნამოვედით აი სანაპიროთი, კოდორით და იმით. ძაან გაგვიჭირდა მართლა გზაში, იმიტო რო ქმარი დამრჩა იქ, ხოდა ბავშვები მომყავდა ორივე. ბიჭები ორივე სტუდენტი იყო, ერთი იყო უკვე მეორე კურსის სტუდენტი, მეორე იყო ახლადჩარიცხული იმ დღეს გამომიცხადა ზუსტად როცა დაიწყო ომი, გამომიცხადეს რო ჩარიცხულია

და მერე ორივემ აქ დაამთავრეს სწავლა, ჯავახიშვილის უნივერსიტეტი, ორივე ერთად იყო და უმცროსი სწავლობდა ბიზნეს... რაღაც ბიზნესის იყო, გივი კილასონიას სტუდენტი იყო, მაგან დაარსა იქ სოხუმში და იმის იმაში სწავლობდა და აქ გააგრძელეს ორივემ, დაამთავრეს. უფროსი მუშაობს რკინიგზის გამოთვლითი ცენტრის დირექტორად, უმცროსი იქ მუშაობს მთავარ ინჟინრად. ორივე, ნუ ძაან გაგვიჭირდა მართლა მერე რო ჩამოვიდა ავადმყოფი ქმარი მყავდა, ვმუშაობდი მეც, ხან ჯიხურში დავიწყე მუშაობა, ვწვალობდი რაღაცნაირად, დღედაღამე ჩემთვის გაერთიანებული იყო, იმიტო რო ზამთარი, ზაფხული სულერთი იყო. მე რო ვმუშაობდი ძაან მიჭირდა, აქეთ მყავდა მეუღლე ავადმყოფი და მერე რო მოვდიოდი დაღლილი, მაგან უნდა მიმეხედა, ხოდა ასე ვინვალეთ მარა ეხლა ცოტა ამოვისუნთქე. ჩქიმ მუმა ცხოვრენდუ თექ, დრანდას, ვცხოვრენდით ჩქი სანამ (ჩემი მამა ცხოვრობდა იქ დრანდაში ვცხოვრობდით ჩვენ) მე გავთხოვდებოდი, ხოდა მამაჩემი იყო ჯერ ნუ საერთოს დიდი ინტელიგენტი კაცი, რაიკომის მდივანად მუშაობდა, რონოს განყოფილების გამგედ, მერე სკოლის დირექტორად და სკოლის დირექტორიდან გავიდა პენსიაზე. დედაჩემიც მასწავლებელი იყო, მაგრამ მუშაობდა ბიბლიოთეკაში. ხოდა რავიცი, ძაან კაი ოჯახი გვქონდა, ძმა მყავს ჩქიმ ტყუპისცალი ხოდა ჩქიმ და ხოლო მასწავლებელიე მათემატიკაშ მასწავლებელ, მარა თაქ მუშენსი მუთ იშუ თი სამსახურშ. (ჩემი ტყუპისცალი, ჰოდა ჩემი დაც მასწავლებელია, მათემატიკის მასწავლებელი, მაგრამ აქ მუშაობს რაც იშოვა იმ სამსახურში..). მეტი რა ეხლა, ძაან ძნელი გზა გავიარეთ მარა კი გავედით ვითომ ახლა არაშავს ისე კარგად. პენსიონერი ვარ ეხლა მე, პენსიის იმით თუ ის უფროსი ბიჭი მეხმარება ცოტას თორე პენსიის ხარჯზე ვერ გაძლებ, მე ეს გადასახადებსაც ვერ ვიხდი ჩემი შვილი იხდის მაგას. ესე ვართ რავიცი, ვცხოვრობთ ჯერჯერობით ამ საერთო საცხოვრებელში, ართ ბინა მილუ ა თე ოთახ, ვორეთ მუ

მიჩქუ. მარგალურო ვუროგადუ უმოსუ,(ერთი ბინა მაქვს, აი ეს ოთახი, ვართ, რა ვიცი...) ჩვენთან არ იყო ქართული განვითარებული, პროსტა ჩვენ ვსწავლობდით წიგნიდან და ეს ვიცოდით, რუსული სკოლა დავამთავრე, ინსტიტუტიც რუსული, ნუ იმიტომ გამიჭირდა მე ქართულად ლაპარაკი საერთოდ მარა ნუ. პროსტა ნუ სოხუმში ყველამ იცოდა მარგალ რდუ, სომეხი რდუო, ბერძენ რდუო, ჩქიმ წკუმა (მეგრელი იყო, სომეხი იყო, ბერძენი იყო ჩვენთან) მრავალენოვანი მოსახლეობა იყო და იმიტომ უფრო მოხერხებული იყო რუსულად ლაპარაკი. აქ კი ვარ კაი მეზობლებში, მეგრელებში, სვანებში, სოხუმიდან და უფრო ოჩამჩირედან და იქედან ნამოსულები.

დედისგან რა მახსოვს, დედაჩემი ძაან ისეთ ოჯახშია გაზრდილი, ბაბუჩემს გაკულაკებაც მოუხდა, ძაან ბევრი მინები ქონდა, გალში ცხოვრობდა მაგი. სარუები იყვნენ. ბაბუაჩემის ძმა შრომის გმირი იყო და ესეთი რაღაცეები. ძაან შეძლებული ხალხი იყო, მართლა. ბებიაჩემი ძაან ავად გახდა ბოლოს და თორმეტი წელიწადი ჩანოლილი იყო და ბაბუაჩემი უვლიდა მაგას. ორი და ყავდა მესამე დედაჩემი იყო, აქედან არიან ნამოსულები ისინიც, თაქ ცხოვრენა, ართ დიღომის მასივშ, ართი რუსეთიშ ცხოვრენს, უკრაინას (აქ ცხოვრობენ, ერთი დიღმის მასივში, ერთი რუსეთში ცხოვრობს, უკრაინაი) უფრო სწორედ. ვეკონტაქტებით მაგათ და ახლოს ვართ ძაან ჩემ დეიდაშვილებთან. მამაჩემი ძაან დაფასებული კაცი იყო, ძალიან ესეიგი მთელ აფხაზეთი იჩინენდუ ფერ კოჩი რდუ, ისტორიის მასწავლებელ ხოლო ორდუ მარა უფრო ადრე თანამდებობების თინა უღუდუ. თეშ მიდართუ პენსიაშა ნამდა მანგარ პატიცემა უღუდუ და მანგარ დაფასება უღუდუ. (მთელი აფხაზეთი იცნობდა ისეთი კაცი იყო, ისტორიის მასწავლებელიც იყო, მაგრამ უფრო ადრე თანამდებობები ქონდა. ისე გავიდა პენსიაზე, რომ მაგარი პატივისცემა ჰქონდა და მაგარი დაფასება) ჩემი ძმა ცხოვრობს ეხლა წყნეთში.

სასანია სოსო, 28 წლის; სოხუმი – გალი – თბილისი

(ჩაინერა სალომე სასანიამ
ქართული ფილოლოგია, I კურსი)

აფხაზეთი საქორთუოშ უსქვამაშ კურთხუ, ნამუთ დიო დღარო მიდაღალირ რე. კავკასიონიშ გოლას დო უჩა ზღვაშ პიჯიშ შკას ძგ ჭიჭე სამოთხე. მუშ სისკამაშ დო გეოგრაფიულ ადგილიშ გურშენ ცდილენდეს გალე მტერი ხეშა ეშაცათამას. რუსეთის ვაკოდგ საქოპრთუოშ ხეშე გოტება დო გუკეთუ პროვოცირება ათას ჩხოროშ ოთხონეჯდო ვითოჯირ წანაშ კომლიქტის, ათეშოთ გიმირინუ სეპარატისტ აფხაზეფ. ათეშ უკულ ქოდიჭყგ ჯიმაშ მავილარ ომიქ. თიშ უკულ ათე ჭუათ ცხოვრენს ამდღა სუმოშათას ტოლვილი.

მა სოხუმურ ვორექ. ათე სიტყვეფ მორთინუანს ცუჩა, ნამუთ ვამიძირუ, მარძენს იმედის ვუჯინე ჭუმანერ დღას, ათე სიტყვები რე ხიდე ჩქინ დო აფხაზეფს შკას.

მადევბადი ათას ჩხოროშ ოთხონეჯდო რუო წანას, ეჩდოსუმ აპრილს, დღას ვაპოფექ სოხუმს, მარა მიჩქუ სორე ჩქიმცუდე, ნამუე ჩქიმ ქუჩა დო მუ ფერი რე ჩქიმი ზღვა. ჩქიმ ოჯახ დიდ ჭუათი გითმიშინანსგ თი დღალემს ნამუთ ომიშ დროს მიკილეს. ირო, მუ დროს ჩქიმ მუმას დო ბების ვოკითხუქ მუნერ ორდგ სოხუმი, თინეფ თოლს ჩილამურით გითმიშინანა მუნეფიშ საცოროფო ხალხის, თექიან ცხოვრებას დო ომიშ გაჭირებულ დღალემს, ნამუთგ დღას ვეშმოჭყორდუნა. ქორთუეფ დო აფხაზეფქ ართიანს ტყვია ქაათეს.

მა ბრელ მუდგარენ მაინტერესენს სოხუმშე დო ომშე, თეშ გურშენ დუსვი ჩქიმ მუმას კითხვეფი

მუჭომ ორდგ სოხუმი სქან ბაღანობაშ დროს?

ჩქინ ქალაქგ ორდგ ჭიჭე ბაღი, სოხუმ ორდგ შხვანერ სისკვამაშ

შხვა ქალქებიშ გეშე. მუშ ჭიჭე ქუჩეფით, ქუჩეფიშ ძგას დორგუაფილ ჭადარეფით, უსკვამაშ ზღვაშ პიჯით, მუში ჩე სანატორიეფით, ჯვეშ სკვამი შენობებით, ჯვეშ არქიტექტურათი დო საოროფო ხალხით. სოხუმი ორდე დიდ კულტურაშ ქალაქი, თაქ ოხორანდეს ბრელ ეროვნებაშ ხალხი. თაქიანეფ ირო რაგადანდეს – ჩქი უბრალეთ სოხუმარეფ ვორეთ, ეროვნებას მნიშვნელობა ვაულუდე. ართიანიშ ნათესეფ ორდეს ქორთუეფი, აფხაზეფი, რუსეფი, სომეხეფი, ბერძენეფ, უკრაინელეფ, ესტონელეფ, ლატვიელეფ დო ბრელ შხვა ერის წარმომადგენელეფი.

ნამ ადგილი გიორდე განსაკუთრებულო სოხუმს?

სოხუმს ბრელ ადგილ რდე სკვამ, მარა განსაკუთრებულო მიორდე ორჯონიკიძეში ქუჩა. ათე ქუჩაშ ძგალემს, ხოლო-ხოლოს ორდე დორგუაფილ ჭადარეფი, ზაფხულს ჭადარიშ ჩე ყვავილეფ თირცალო ორდე მორღვაფილ დიხას, ტურისტეფ სპეციალურო გილეშეს ათე სისკვამაშ ოძირაფუშა, მელენ-მოლენ ჯალეფიშ ნოველეფ ვითომ ართიანს ორდეს მერდილე დო ჯალემს თუდო ოროს, სირგიღეს ჯგირ ორდე გულება.

ქიგიშინ ომიშ დოჭყაფაშ ისტორია.

ათე დღალეფი მონკა გაშინალიე. ზაფხულიშ ჩხე დღალეფი გერდ, სოხუმშა მულირ ორდეს ბრელ ტურისტეფი, ხალხი ზღვაშ პის ისვანჯუუდე, ბრელი -ქალაქის გულენდე. უბედურებაქ დიტრიალე, ათე დროს ტყვიაშ გოლაფას მითინ ველუდე. ჯიმალეფს შკას ტყვიაქ გოლე.. ბოლო დღაშა ნამთინ მხარეს ვამოკოდეს იარალიშ ეჭოფუა, მარა მუ დროს ქოვძირითი, ნამდა ომი გეგრძელებუდე დო ხალხი ჭყორდუდე, გეგნობჭყვიდით ჩქინ ქალაქი დო ხალხი დევცვითკო. მა დო სქან ბაბუქ მიდაბრთით დო დუდი სამხედრო შენაერთებს ქედნივჭარით, ართი სიტყვათი, იარალი გევჭოფით. ჩქინ ცალო ქიმინეს სოხუმიშ ქომოლკათაშ უმრავლესობაქ. ომქ დიდ ხანს გეგრძელე, ჟირხოლო მხარეს მიუნდეს ბრელ

ჭკირილეფ დო ღურელეფ. ქალაქ ირიათო იბომბუდგ, ათეშ გურშენ ქალაქშე გიშმაპუნდეს ბაღანეფ, ოსურეფ დო ხანერ კათა. მა ჩქიმ ავტობუსით ომიშ ხაზიშე გიშმაპუნდგ ჭკირილეფ დო მემიუნდეს საავადმყოფოშა – ათასობით ჭკირილ მეომარეფ გინვოსკილიდეთ. ართშახ ჭკირილეფ ქომიპონით სოხუმიშ აეროპორტიშა, თვითფრინავით ქართიშა გეგნიპკონითკონ, მარა ჩქინ თოლიშ წოხოლე ქართიშე სოხუმშა მომაულარ, მეომარეფით ეფშა „ტუ-154“ ზღვაშე ნაოთემ ჭურვით გემთაათეს. მთელ მეომარეფსგ ხვალე შკვით კოჩქი გესკიდგ, არძა ჭკირილეფ ორდეს, მა ჩქიმ მანქანათ ჰოსპიტალშა მიდეპონი. ათე წუთეფ დღას ვაგმოჭყორდგ. თვითფრივს ჭკირილ ბოშეფ ბაბუშარას რენა თხორილ. ათენებშე ბრელი კუნტა ხანებს აშო რენა გიმოსვანჯაფილგ. გინოსვანჯაფიში პროცესი ასე ხოლო მეურსგ.

ნამ შარათ გინორთით აშო?

ბრელ ვიომით ქორთუეფქ დიდ ქიანაშ წოხოლე, მარა მუთუნქ ვეგშამირთეს, სოხუმქ იშენით ქუდანთხგ, მევოდინეთ სოხუმი დო 25000 ახალგაზრდა მეომარი. ცოცხალო გესკილადირემს არძა შარა მოჭკირილ აფუდგ, კათა იძულებულ გინიირთგ კოდორიშ სეობათ გოლა-გოლა გინილგკო სამარგალოშა. რუო დღა დო სერს დევნილეფი შონეთის გოლათ მივშითი ბრელს ვეგნაღინგ ათე მონკა დღალემქ. ქოდიჭყგ ჩქინ ტოლვილობაში უგუთებგ ხანაქ. მა დო ჩქიმ მეგობრემქ 27 სექტემბერიშ გოთანას 5 საათის ჰოსპიტალშე ბოლო ჭკირილეფი მანქანემს ქუგუონჯირეთ დო სამშვიდობოშა გეგშეპონით, ბრელქ გესკიდგ, მარა ქედიჭყ ტოლვილობაშ გაურზებელ ხანაქ.

მა მჯერს ნამდა არძა ქორთუ ზისხირიშ ბოლო ჭვათშა იომენს სოხუმიშ დართინაფალო.

თარგმანი

აფხაზეთი საქართველოს ულამაზესი კუთხე, რომელიც დღეს დღეობით წართმეულია, კავკასიონის მთებსა და შავი ზღვის სანაპიროს შუა მდებარეობს.პატარა სამოთხე. მისი სილამაზისა და სამოთხე. გეოგრაფიულიადგილის გამო ცდილობდა გარეშე მტერი ხელში ჩაგდებას.რუსეთს არ უნდოდა საქართველოს ხელიდან გაშვება და გაუკთა პროვოცირება ათას ცხრაას ოთხმოცდათორმეტი წლისკომლიქტს, ამისთვის გამოიყენა სეპარატისტიაფხაზები.ამის მერე დაიწყოძმათამკვლელი ომი. იმის შემდეგ ამ ტკივილითცხოვრობს დღეს სამასი ათასი ლტოლვილი.

მე სოხუმელი ვარ. ეს სიტყვები მაბრუნებს სახლში, რომელიც არ მინახავს, მაძლევს იმედს, ვუყურო ხვალინდელ დღეს. ეს სიტყვები არის ხიდი ჩვენსა და აფხაზებს შუა.

მე დავიბადე ათას ცხრაას ოთხმოცდარვა წლის ოცდასამ აპრილს. არასდროს არ ვყოფილვარ სოხუმში, მაგრამ ვიცი სად არის ჩემი სახლი რომელია ჩემი ქუჩადა რა ფერია ჩემიზღვა. ჩემი ოჯახი დიდი ტკივილით იხსენებს იმ დღეებს, რომელიც ომის დროს გამოიარეს. ყოველთვის, როდესაც ჩემს მამას და ბებიას ვეკითხები, როგორი იყო სოხუმი, ისინი თვალზე ცრემლით იხსენებენ მათთვის საყვარელ ხალხს, იქაურ ცხოვრებას და ომის გაჭირვებულ დღეებს, რომელსაც ვერასდროს დავივიწყებთ. ქართველებმა და აფხაზებმა ერთმანეთს ტყვია ესროლეს.

მე ბევრი რამე მაინტერესებს სოხუმზე დაომზე, ამის გამო დავუსვი მამაჩემს კითხვები:

როგორი იყო სოხუმი შენი ბავშვობის დროს?

ჩვენი ქალაქი იყო პატარა ბაღი, სოხუმი იყო სხვანაირი სილამაზის სხვა ქალაქებთან შედარებით, თვისი პატარაქუჩებით, ქუჩების კიდეზე დარგული ჭადრებით, ულამაზესი ზღვის სანაპიროთი,

თავისი თეთრი სანატორიუმებით, ძველი ლამაზი შენობებით, ძველიარქიტექტურითდა საყვარელი ხალხით. სოხუმი იყო დიდიკულტურის ქალაქი, აქ სახლობდნენ ბევრიეროვნების ხალხი. აქაურები ყოველთვის ამბობდნენ: ჩვენუბრალოდ სოხუმელები ვართ, ეროვნებას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ერთმანეთის ნათესავები იყვნენ ქართველები, აფხაზები, რუსები, სომხები, ბერძნები, უკრაინელები, ესტონელები, ლატვიელები და ბევრი სხვა ერის წარმომადგენლები.

რომელი ადგილი გიყვარდაგანსაკუთრებულადსოხუმში?

სოხუმში ბევრი ადგილი იყო ლამაზი, მაგრამგანსაკუთრებულად მიყვარდაორჯონიკიძის ქუჩა.ამქუჩაზე კიდეებზეახლო-ახლო იყო დარგულიჭადრები, ზაფხულშიჭადრისთეთრიყვავილები თოვლივივით იყო მოყრილი მიწაზე,ტურისტები სპეციალურად დადიოდნენ ამ სილამაზის სანახავად, აქეთური და იქეთური ხეების ტოტები ვითომ ერთმანეთს იყვნენ შეზრდილიდა ხეების ქვეშ, სიგრილეში კარგი იყო სეირნობა.

– გაიხსენე ომის დაწყების ისტორია.

– ეს დღეები ძნელი გასახსენებელია,ზაფხულის ცხელი დღეები იდგა, სოხუმში ჩამოსული იყვნენ ბევრიტურისტები, ხალხი ზღვის პირზე ისვენებდა, ბევრი -ქალაქში სეირნობდა. უბედურებადატრიალდა, ამ დროს ტყვიის გავარდნასარავინ არ ელოდა. ძმებს შორის ტყვია გავარდა.. ბოლო დღემდე არც ერთ მხარეს არ გვინდოდა იარაღის აღება, მაგრამ როდესაც ვნახეთ რომ ომი გრძელდებოდა და ხალხი წყდებოდა, გადავწყვიტეთ ჩვენი ქალაქი დახალხი დაგვეცვა. მე და შენი ბაბუაწავედით და თავი სამხედრო შენაერთებში ჩავიწერეთ.ერთი სიტყვით, იარაღი ავიღეთ. ჩვენსავით გააკეთეს სოხუმის მამაკაცებისუმრავლესობამ.ომი დიდხანს გაგრძელდა, ორივე მხარეს გვყავდა ბევრი დაჭრილი და მკვდარი. ქალაქი სულიბომბებოდა, ამიტომ ქალაქიდან გაგვყავდა ბავშვები,

ქალები და ხნიერი ხალხი. მე ჩემი ავტობუსით ომის ხაზიდან გამომყავდა დაჭრილები და მიგვყავდა საავადმყოფოში – ათასობით დაჭრილი მეომრები რომ გადაგვერჩინა. გადავარჩინეთ.ერთხელ დაჭრილები მოვიყვანეთ სოხუმისაერიპორტში, თვითმფრინავით რომ თბილისში გადაგვეყვანა. მაგრამ ჩვენს თვალწინ თბილისიდანსოხუმში მომავალი,მეომრებით სავსე „ტუ-154" ზღვიდან ნასროლი ჭურვით ჩამოაგდეს. მთელიმეომრებიდან მხოლოდ შვიდი კაცი გადარჩა, ყველანი დაჭრილები იყვნენ, მე ჩემი მანქანით ჰოსპიტალში ნავიყვანე. ესწუთები არასდროს არ დამავიწყდებბა. თვითმფრინავში დაჭრილი ბიჭებიბაბუშარაში არიან დამარხული. ამათგან ბევრი ცოტა ხნის წინ აქეთ არიან გადმოსვენებული. გადმოსვენების პროცესი ახლაც მიმდინარეობს.

რომელი გზით გადმოდით აქეთ?

ბევრი ვიომეთ ქართველებმა დიდი ქვეყნის წინააღმდეგ, მაგრამ არაფერი არ გამოგვივიდა. სოხუმი მაინც დაეცა, დავკარგეთ სოხუმი და ორი ათას ხუთასი ახალგაზრდა მეომარი. ცოცხლად გადარჩენილებს ყველა გზა მოჭრილი ჰქონდათ. ხალხი იძულებული გახდა, კოდორის ხეობით, მთა-მთა გადასულიყო სამეგრელოში. რვა დღე და ღამე დევნილები სვანეთის მთებით მოვდიოდით, ბევრმა ვერ გადაიტანა ეს ძნელი დღეები. დაიწყო ჩვენი ლტოლვილობის დაუმთავრებელი ხანა. მე და ჩემმა მეგობრებმა 27 სექტემბრის გამთენიისას, 5 საათზე ჰოსპიტალიდან ბოლო დაჭრილები მანქანემში ჩავაწვინეთ და სამშვიდობოს გამოვიყვანეთ. ბევრი გადარჩა, მაგრამ დაიწყო ლტოლვილობის გაუსაძლისი ხანა.

მე მჯერა, რომ ყველა ქართველი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იომებს სოხუმის დასაბრუნებლად.

კვარაცხელია ნონალი, 54 წლის;
გულრიფში – ბაღმარანი

გამარჯობათ, მარგალურო ვამარაგადე მა დუმოქყოდგ მარგალურქ. ბრელხანიე სამარგალონწკგმა ხოლო ვამიღგ კონტაქტი, ოდო ათეშ გურშენ ჭიქე გოქყოლადირ მაფგ. გაშინალ მაფგ სიტყვეფი. ჩქიმ სახელი რე ნონალი, ბუხუტიშ ძღაბი ვორექ ბაღმარანიშე, გულრიფშიშ რაიონშე, კვარაცსელია. ჩქიმ მუმა სოფელს ბუღალტერო მუშენდგ, უკული სოხუმხელსაწყოში ბუღალტერი რდგ. აფხაზეთის ართ წანას ტყვედ ქინოსქიდგ დო ბრელ სინწარე უძირგ. განადგურებულ კოჩქგ ქუმორთგ დო ასედე, მაბრუო თუთა რე, მამაქ დომილურეს. მამა ვა პუნს, მუმა ვა პუნს. დიდა ლოგინო რე ჩავარდნილგ დო ირდღას მაფგ გილაულარ, ირ დღას ვარ სუმგ დალეფი ვცხოვრენთ თაქ დო ართიანს ვოთირგთგ. ირ მაჟია დღას მა ვულუანქგ, ირ მაჟია დღას ჩქიმ ოშკარ და, დო უკლაში და შაბათ-კვირას. ქეთო სოხუმს გებჩინებაფე, მა დო ქეთო მეზობელეფგ ვორდით თექ, მამიდაშ მეზობელეფ. ჩხუპიშ დროს ქალაქი აღმოჩნდა ექვსთვიან ბლოკადაში, ვამარაგადე მარგალურო ამშვთუთიან ბლოკადას ქგმოხვადგ სოხუმქგ, ქორშუდან იცი თქვა ენა, ეთი პერიოდის მა ბაღმარანშა ვეგლმართედგ დო რედაქციებშა გილევში, თექ ვმუშენდი დროშას რედაქციას კორესპოდენტო შრომას სერგო წურწუმია რდგ მთავარ რედაქტორი. თიწკგმა საბჭოთა აფხაზეთიწკგმა ვეგშამირთგ ურთიერთობაქ მუდგარენ, რედაქტორწკგმა კამათიქ ქუმოფხვადგ დო დავანებ დუდი. ათე ჟირ გაზეთის ვმუშენდით, გგმაშინე ჩქიმ თანამშრომლეფი, გგმაშინე ჩქიმ თექიან მეზობელეფ, ქეთო თაქ რე თიშენ, გიდიბჭყანქგ მამიდასთან როგორ ვცხოვრობდით. ქეთოშ ჯიმა ცხოვრენდგ გვალო ართ სართულს რდეს, მეზობელეფ ვორდით დო სჯობია ქართულად ვილაპარაკო, რომ ავღელდი, დამავიწყდა მეგრული, მოკლედ შუქრი მარგიანი და უერლო ფირცხელიანი ცხოვრობდნენ ერთად, ძმაბიჭები იყვნენ.

ძალიან კარგად ვიყავით ერთად, ერთმანეთთან, კარტს ვთამაშობდით ერთხელ და, ალეკო მატყუებდა და ვერც ერთი ხელი ვერ მოვიგე და თან ვერ მივხვდი, როგორ მატყუებდა და გაბრაზდა, გაბრაზდა შუქრი, არაფერს ამბობს, უყურებს ასე განრისხებული, მეტი ვაჟკაცობა არ გეყო, ბიჭოო, გოგო რომ არ მოატყუოო. მეტად ვერ ვუგებ და რა ვქნაო. აი, ასეთები იყვნენ. ძალიან კარგი მეზობლები გვყავდა, ერთი სომეხი ოჯახი იყო, ერთი ასია იყო იქ, ორი გოგოები ჰყავდა, ქრისტინა და ის მეორე, ძალიან ლამაზი უკრაინელი დისშვილი მისი, ვერ ვიხსენებ. მთელი ომი ჩვენ აფხაზეთში ვიყავით, მთელი ოჯახი არ გამოვსულვართ არც ერთი საათით უკანასკნელ დღემდე. ჩვენ 27 სექტემბერს გამოვედით, მთელი ოჯახი მამაჩემი, ჩვენ დიდი ოჯახი გვქონდა, ბიძაჩემის ოჯახი და მთელი სანათესაო აფხაზეთში ვცხოვრობდით სოხუმში და გულრიფშში და ყველანი იქ ვიყავით. სასწაული ალბათ, ღვთის მფარველობის ქვეშ ვიყავით, რაკი ჩვენ არც ერთი ახლო ნათესავი და ოჯახი წევრი არ დაგვკლებია, მაგრამ მთელმა ამ რისხვამ ჩვენ თავზე გადაიარა. თუმცა მე ახლა შემეშალა ერთი რალაცა, შემეშალა ის, რომ ძალიან ბევრი მეგობარი, ძალიან ძვირფასი ადამიანი დავკარგე. კლასელი იყო იქ ორი, სნაიპერის ტყვია მოხვდა კისერში და ადგილზევე დაიღუპა, შუქრის ამბავზე უბრალოდ ვერ მოვიგყვებით, ავნერვიულდები იმიტომ, რომ ეს ძალიან სერიოზული ღალატის ის იყო, რალაცა იქ და როგორ დაგვანახა შუქრიმ, შუქრის გმირობის ორდენი უნდა ჰქონდეს, როგორ დგვანახა ჩვენ, მე და ალიკას, ვინ იყო გამცემი. არაქართულენოვანი ხალხი იყო ჩარჩენილი ჩემი მამიდას და მარგიანების გარდა და ძირითადად არაქართულენოვანი. ზოგი ჩვენს მხარეს იყო, ზოგი უბრალოდ ნეიტრალური იყო. ყველა ერთმანეთს ვეხმარებოდით, როდესაც ციოდა და როდესაც შეშა არ იყო და არაფერი. მე მახსოვს მოხუცი ქალი, მარტო ხერხავდა შეშას და ამ დროს მე მამიდასთან მოვდიოდი და გამიკვირდა, რომ მოხუცი, სამოცდაათ წელს გაცილებული ქალი

მარტო ხერხავდა შეშას და მივედი, ჩანთა ხელში მიჭირავს და მეორე მხარეს მოვკიდე ხელი და დავეხმარე ხერხვაში და რაღაცა სახე დამალა. ჰოდა გამიკვირდა, რა იყო გეშინიათ ვინმესი-მეთქი, ბოდიშიო, მაგრამ მე აფხაზი ვარო, მერე რა-მეთქი, მე ქართველი ვარ-მეთქი, როცა გვიჭირს ჩვენ ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ-მეთქი და მომცა უფლება, რომ დავხმარებოდი. როცა ეს ამბავი მამიდას ვუთხარი, გაოცდა, ამ ქალსო არავინ ეხმარებაო იმიტომ, რომ მისი რძალი სნაიპერიაო და გაანადგურა ჩვენი ბიჭებიო. მიუხედავად ამისა, მერე ყველა აქცევდა ყურადღებას, ყველა ეხმარებოდა. გოპეჩიები ცვხოვრობდა იქ ოჯახი, ქართველი ოჯახი. იმ ომში უფრო მეგობრულად ვიყავით, უფრო შეკავშირებული ვიყავით სოხუმში ჩარჩენილი ხალხი, ვიდრე აქ ამ მშვიდობაში. მე აქ უფრო ვგრძნობ თავს მტრებში, ვიდრე იქ და მაშინ. იმიტომ, რომ იქ ზედმეტს არავინ არ გაკადრებდა, ხალხი იყო უფრო პატიოსანი, სხვათაშორის ერთი-ორი წლის წინ, დაახლოებით ერი-ორი წლის წინ, ჩვენთან მოვიდა გერმანელი ფოტოგრაფი, რომელიც ქართველი ლტოლვილების ცხოვრებას იკვლევდა და იღებდა ფოტოაპარატზე და ჩემმა მეზობელმა მე ჩამომიყვანა და ამ კაცმა ასეთი შეკითხვა დამისვა, რატომ მოგწონთ სოხუმი, რითი იყო სოხუმი უფრო უკეთესი თბილისზე და ეს იმიტომ გამახსენდა ახლა, რომ ვუპასუხე, სოხუმი იყო ევროპული ქალაქი და სოხუმი იყო სიყვარულის ქალაქი, იქ ყველას ერთმანეთი გვიყვარდა და არ ვიცი. მე აფხაზიც მიყვარდა, რუსიც მიყვარდა, სომეხიც გვიყვარდა, ბერძენიც და ყველა გვიყვარდა. პოლიტიკა სხვა რაღაცაა, პოლიტიკამ ყველაფერი დაანგრია. ძალიან ევროპული ქალაქი იყო, გახსოვს ჩრდილოვანი ორჯონიკიძის ქუჩა! გინდოდა, გაისეირნებდი ჩრდილში და სიწყნარეში და სიმყუდროვეში თუ გინდოდა, ორჯონიკიძის ქუჩაზე გახვიდოდი, თუ მზე, ზღვა და მზენარი გინდოდა, გახვიდოდი რუსთაველის გამზირზე. არ შემიძლია, ცუდად ვერ გავიხსენებ ვერც ერთ აფხაზს, იქ „ნართაში" შევდიოდით, იქ

„აპრაში" შევდიოდით, ყავას ვსვამდით, ნაყინს მივირთმევდით. ვინ მოგატყუებდა წონაში, ვინ რამე უხერხულს წამოგაძახებდა, ყველა იყო კულტურული ხალხი. ამიტომ მე მგონია, რომ სოხუმი იყო ევროპული ქალაქი და თბილისი არის აზიური, ჭრელი ქალაქი. აქ ვაჭრული სული უფრო ტრიალებს, ვიდრე ინტელიგენტური, თითქოს დედაქალაქია და ინტელიგენტური უნდა იყოს. სვანეთის გზაზე გამოვიარეთ, ზუსტად ათი დღე, ძალიან ბევრს გვეხმარებოდნენ, ტყუილებსაც გვეუბნებოდნენ, მაგრამ იმ ტყუილებითაც გვეხმარებოდნენ, სვანი ბიჭები მოდიოდნენ ფეხით, მივდიოდით თითო ჩემოდნით, და 75 კმ იყო ალპურ ზონაში გასასვლელი და უამრავი დაღუპულები ვნახეთ. მშრომელი მოხუცი კაცი გზის პირზე იწვა და ვიღაცას საბანი გადაუხურავს და ზედ დაუწერია, რომ მისი შვილებიო – ქარდავები – იბრძოდნენო და არ ვიცით, სად არიანო, და თუ ვინმემ იცის, ძმებს ქარდავებს შეატყობინეთ, რომ მათი მამა ამადაამ ადგილზე გარდაიცვალა და მერე დადიოდნენ ცხენით ბიჭები და ასაფლავებდნენ ამ უპატრონო მიცვალებულებს. მერე ძალიან კარგად მახსენდება ის ფაქტი, რომ ვიღაც სვანმა ამოდენა ბალონით თუ, რა ქვია იმას, რძის კონტეინერით თაფლი გამოიტანა და ყველას გვირიგებდა, რა ჭურჭელიც გვქონდა, გვივსებდა თაფლით. ამდენი წელია 23-ე წელია თბილისში ვცხოვრობ და ჯერ ჩემთვის არავის არ უკითხავს.. როგორ გვექცეოდნენ და ცუდი ხმები მესმოდა და როცა ამაზე ვლაპარაკობდი, მაჩუმებდნენ და პრესას არ გამაკარეს საერთოდ. მახსოვს ერთი შაოსანი ქალი, ძალიან მაღალი, მხარბეჭიანი ქალი და ვაშლები დაგვიფართხა და ისა და.. მეორემ დაუძახა: ქალოო, ამათ რომ აძლევ, მერე ზამთარში შენ რას შეჭამო? კაცოო, ხალხს უჭირს და რა ზამთარიო. დაფერთხა ვაშლები და მოგვაწოდა. კიდევ მახსოვს ესეთი რაღაცა, სადღაცა უდაბურ ადგილზე მოვდივართ და ცეცხლია, სამფესა დგას ცეცხლზე და შემოდებულია რკინის ვედრო, ცოტა აკლია 12-ლიტრიან ვედროს და დუღს ნყალი,

ჰოდა მივედით აქამდე და რას ვხედავთ და ვართ უკვე კრიზისულ მდგომარეობაში, საჭმელი 3-4 დღეა, არაფერი არ გვიჭამია, რაც გზაში სახლიდან რაც წამოვიღეთ შემოგველია და ეს თაფლიც სანამ გაგვყვებოდა 24 კაცი მივდიოდით, ახლო ნათესავები ერთად და დგას ეს და კაციშვილი არ არის ირგვლივ და ჩემ ბიძაშვილი გაჩერდა, ჭიქა იქვე დევს, დევს ჭურჭელი, შაქრით სავსე და ყველა ამოიღებდა ცხელ წყალს ჭიქით, ერთი კოვზიც იდო. ჩავყრიდით თითო კოვზს და მე ძალიან შევეხვეწე, რომ სამ კოვზს ვაკეთებდი, სამი კოვზის გარეშე ჩაის ვერ ვსვამდი და მეორე კოვზიც ჩამიყარე-მეთქი. ჩემმა ბიძაშვილმა მითხრა, ხომ ხედავო რა, ხალხისთვის აქვსო ვილაცას გაკეთებულიო და კარგიო, ჯანდაბასო შენ ორს ჩაგიყრიო და სხვას არავის არ ჩაუყარა ორი კოვზი და ესე მოურევდით ამას. ის თითო ჭიქა წყალი დავლიეთ და საოცარი ენერგია მოგვცა და ისე გავაგრძელეთ გზა და უკვე ჭუბერში რომ მივედით იქ ვერტმფრენებიდან პურს გვიყრიდნენ, სამხედრო მანქანა ამოდიოდა, ბიჭები ისხდნენ და ტომრებით ამოჰქონდათ პური. ჭუბერში უკვე ძალიან ბევრი სურსათი ამოდიოდა და საკვები იქ უკვე იშოვებოდა. სხვათაშორის სოხუმის ეკლესიის ბერი და მღვდელიც ვნახე იქ, მანქანა გაუკეთებიათ რალაცა და ისეთი შიგნით ქვაბები იდგა, დულდა ქვაბები, ფაფებს აკეთებდნენ და ბავშვიან ქალებს აძლევდნენ და მახსოვს მეც მომცეს და აი ასე 10 დღე გამოვიარეთ ეს საშინელი ამბავი. იქ ტყიდან რომ გამოვედით, ქალი ცხოვრობდა თურმე გვარად ცალანი, თითონ პატრონი ჩვენ არ გვინახავს, მთლიანად დაუთმო სახლი ლტოლვილებს და იქ ღამეებს ათევდნენ, ვინც ეტეოდა, ვინც ვერ ეტეოდა ამ სახლში, ეზოებსა და ტყეში ცეცხლს ანთებდნენ და ვინც ცეცხლი ვერ დაანთო და ვერ ისა, დაიღუპნენ და თითონაც მახსოვს ბლავილით გამოვიდა, ერთი დიდი ლოდი იყო, ბილიკი ადიოდა მდინარიდან და ქვემოთ დიდი ლოდი იყო და მოხუცი კაცი იყო და ჩასულა და ყვირილით მორბის და რა იყო რა მოხდა – მეთქი და რადა ადამიანია, მკვდარი დევსო,

გდიაო იქ და ჩავედით. იქნებოდა 25-26 წლის ძალიან ახალგაზრდა ბიჭი, ჯინსის ტანსაცმელი ეცვა და მიწებილი ჰქონდა, ეტყობა, მდინარეში ჩავარდა, დასველდა და მერე უკვე... თუ დასველდებოდა, იყინებოდა და გაიყინა იმ ღამეს.

– აი, მეგრულად საუბარი გაგიჭირდათ ეს ახლა დევნილობაში დაგემართა თუ მაშინაც ამ დონეზე იცოდით მეგრული მხოლოდ?

მე პირადად ფილოლოგი ვიყავი, ქართულ ენას და ლიტერატურას ვასწავლიდი ბალმარანის საშუალო სკოლაში, მერე რვა წელიწადი რედაქციაში ვიმუშავე ომის დასრულებამდე. ყოველთვის ვცდილობდი, რომ ქართულად მესაუბრა იმიტომ, რომ საკმარისი იყო საღამოს ოჯახში მეგრულად მესაუბრა და დილით უკვე გაკვეთილზე ერთი მეგრული სიტყვა რომ არ გამპარვოდა არ მოხდებოდა და. ამიტომ მე ყოველთვის ვცდილობდი, რომ ქართულად მესაუბრა, ახლა დედა და მამა ქართულად არ დამელაპარაკებოდა და არც მე გავცემდი პასუხს, მაგრამ ესე რომ შევიკრიბებოდით ახალგაზრდები და ვიკრიბებოდით, ძალიან ბევრნი ვიყავით გოგონები და ბიჭები სამეზობლოში, ნათესავები, ვაცხობდით ტირტს, ერთად ვსხდებოდით შაბათ-კვირას და საოცრად კარგად ვატარებდით, კულტურულად ვატარებდით დროს. აი, იქ უკვე მე. რა თქმა უნდა, მეგრულად ვსაუბრობდი, მაგრამ საზოგადოებაში ვცდილობდი მაინც ქართულდ მესაუბრა და ნაკლებად მერეოდა ხოლმე მეგრული, მაგრამ როცა მეგრულად ვსაუბრობდი, ქართულს არ ვურევდი, არც რუსულს, სხვათა შორის. მეგონა, რომ მეგრული ენა არ დაიკარგებოდა, მაგრამ როგორც ვატყობ, ძაან კარგად ავიწყდება ადამიანს, მე კი ვცდილობდი, რო ქართულად მესაუბრა, რომ უბრალოდ გაკვეთილებზე არ შევრცხვენილიყავი, მაგრამ როცა მეგრელებში ვიჯექი, თავისუფლად ვსაუბრობდი და ასე ვეშემლებ, სიტყვეფ გაშინალ მაფგ. (ახლა არ შემიძლია, სიტყვები გასახსენებელი მაქვს)

გამარჯობა, მეგრულად ვერ ვილაპარაკებ მე. დამავიწყდა მეგრული, დიდიხანია სამეგრელოსთანაც არ მაქვს კონტაქტი, ჰოდა ამის გამო ცოტა დავიწყებული მაქვს. გასახსენებელი მაქვს სიტყვები. ჩემი სახელია ნონალი, ბუხუტის ასული ვარ ბაღმარანიდან, გულრიფშის რაიონიდან, კვარაცხელია. მამაჩემი სოფელში ბუღალტრად მუშაობდა, შემდეგ სოხუმხელსაწყოში იყო ბუღალტრად. აფხაზეთში ერთი წელი ტყვედ ჩარჩა და ბევრი სიმწარე უნახავს. განადგურებული კაცი ჩამოვიდა და ახლახან, მერვე თვეა, მამა მოგვიკვდა. მამა არ მყავს, დედა ლოგინად არის ჩავარდნილი და ყოველდღე მაქვს მისასვლელი; არა, ყოველდღე არა. სამი და ვცხოვრობთ აქ და ერთმანეთს ვენაცვლებით. ყოველ მეორე დღეს მე ვუვლი, ყოველ მეორე დღეს – ჩემი შუათანა და, და უმცროსი და -- შაბათ-კვირას. ქეთო სოხუმში გავიცანი, მე და ქეთო მეზობლები ვიყავით იქ, მამიდას მეზობლები. ომის დროს ქალაქი აღმოჩნდა ექვსთვიან ბლოკადაში, ვერ ვამბობ მეგრულად, ექვსთვიან ბლოკადაში აღმოჩნდა სოხუმი, გესსომებათ ეს თქვენ. იმ პერიოდში მე ბაღმარანში ვერ დავდიოდი, რედაქციებში დავდიოდი, იქ ვმუშაობდი „დროშის" რედაქციაში კორესპოდენტად, „შრომის" მთავარ რედაქტორად სერგო წურწუმია იყო. მაშინ „საბჭოთა აფხაზეთთან" არ გამომივიდა ურთიერთობა, რატომღაც, რედაქტორთან მომივიდა კამათი და თავი დავანებე. ამ ორ გაზეთში ვმუშაობდი, მახსენდება ჩემი თანამშრომლები, მახსენდება ჩემი იქაური მეზობლები. ქეთო აქ რომ არის იმიტომ დავიწყებ მამიდასთან როგორ ვცხოვრობდით. ქეთოს ძმა ცხოვრობდა, ერთ სართულზე იყვნენ, მეზობლები ვიყავით და... სჯობია ქართულად ვილაპარაკო, რომ ავღელდი დამავიწყდა მეგრული...

კვარაცხელია გია, 40 წლის;
გალი – აჩიგვარა – თბილისი

ვითოჟირ წანერ ვორდგ, მუმაქ მილურუნგ, თიშ უკულ ოთხონეჩდოვითოსუმს აშო იცუ ჩქინ გინორლვაფაქ, თიშახ მუთუნ ქიშემლებგდეს და მუბშენდითგ ბაღანეფი, ჟირხოლო, ჯიმალეფგ. ჩქი ვორეთ ოჯახის დო დიდა, მიმოზა ღურწკაია. დიდად თინა რდგ ჩქინ დო მუმათი. სკოლაშა გილეფშით, დრო, დრო ჩქინო... უცებ, სკოლა მუჭო გეთებუდგ დო ცუჩა, სამუშასა, მუთგ დიტუ მუაჩქიმქგ, ვაგვანიავითკო, ხალხიქ ვათქუკონი, უფრო სწორად მეცხოველეობა, მუთ დომტუეს, ოჯახის ბაღანეფი ვორდით, მარა ვით შური საქონელიშ მიკოლუაფა თეშ ვარე, დოღურგ მუმაქია დო ქეკაუნესიავა ვათქვისკო, თიშგურშენი თი ვით შურ საქონელს ჩქი ვულუანდითგ. ათით მემღგდეს, შემოსავალი შხვა მუთუნ ვარდგ, ვულუანდით თეს. პირველ წანას გამიჭირდეს ჭიჭე, ხაჩქუაქ, დიხაშ მიკოლუაფაქგ. მიდაბრთით დიაჩქიმ დო მა, მაჟია ჩქიმ ჯიმა ჭიჭე რდგ უმოსო, პირველ წანას, გამჭირდგ დო გუთვორაგვე იშო თე ბერგი დო მოლაფრთ აშო. ცუჩა მეუა – მიწუ დიაჩქიმქ დო ვაღვარუათია, „დედავა" ვათქუათია, კოჩიქ ვათქუასია, სო იდგ თე ოსურქია, ვეკითხასგ კოჩქია. თი წანას ქოხაჩქგნდ სანყალი ხვალე, პირველ წანას, მარა უკულ ვარდგ შარა დო ქიდიბგურეთ თე ხაჩქუა ხოლო, საქონელს ოჭკომალ ოკოდგ, ოშუმალგ. ათეჯგუა გაჭირებულო მობრდეს დიაჩქიმქგ. ჩქიმ ჯიმა ცალკე ფაბრიკას მუშენდგ, გაკმორღვანდეს სკოლაშე უკულ, ზაფხულს, სუმ თუთას, მა ჩაის ბწილუნდგ, მიკაქუნალიშ ფარა გუვაკეთითკონგ. უკულ-უკულ ქოთგ ტყაშა ქიმიფშით დიშკაშ მაღალშა, ძნელიდგ, მარა თეშ მიბრდითგ, კოს ვამუხვარებ თეშ. ქოპუნდეს ნათესეფი, მარა არძო მუშ-მუშ ცუდეს რდგ, არძოს მუშ ოჯახი უღუდგ. ოთხონეჩდოვითოსუმს სკოლა

გუვათე, ჩხუპიშ პერიოდის. განგაში გეგმოცხადნგ, გივორლვით ტრაქტორს, მუთ ქომლუდესგნი ცუდეს, ირფელი დობხარგეთ, ჩქიმ ბიძია დო ჩქი, ხოლოს ვცხორენდით, ხუთ და დო ჯიმა რდეს. ინგურშა ქუმოფრთითგ დო ექ ქეგმოქჭიშეს აფხაზებქ, 29 სექტემბერს, უკვე გუთმოთანდუდგ ფერ პერიოდიე, სოხუმ ექოფილიე, რა თქმა უნდა, გალ ხოლო, მუთ მომიღუდესგ, იფრელი თექ გედიპტეთ დო მუთგ მიკმოქუნდესგ თით გინიბლით. ვეშის მინ გორუნდგ, ოლონდ ცოცხალო გინილინკონიდო. მოლაფრთით გაჭირებულო, შხვადოშხვაშ ბარგით ქუვორდი ართი წამოწანა დო გვერდის. აშო გონოფრთი ვითოშკვითგ წანა თაქ ვათე, ხობის. დიდა თაურეშე პუნს, ხობიშ რაიონიშ სოფელი პირველი მაისიშე. თეურეშე გინიფლით სუმ წანას ხოლო ხობის ქოფცხოვრენდი და, რა თქმა უნდა,გაჭირებათ, დიდ ომს მა მონაწილეობა ვემემღებგ დო ვართ მითინს უთქუალ ჩქიმდა მუთუნგ, სუმ წანას თექ ვორდით, უკულ აშო მოლაფრთით, ბიცოცუნდ ჩქიმ დიდას თაქ, ჩებრიცხ თაქ ოთხონეჩდოვითოშკვითის. ამდღარ დღაშა თაქ ფცხოვრენქგ, გლდანს, ართი ოსური დო ართი ბაღანა ქოპუნს, ნინო ჯოხო, ოთხგწანერიე, დიდა 63 წანერი, მუმაქ მიღურუ, ეჩდოვოთშკვით წანერ რდგ, ავარიას ქიმოხვადგ, ჯიმაქგ ვით წანერქგ დოსქიდ, მა-ვითოჟირ წანერ დო ათაშ ომბოლო მივრდითიდო დო ქუვორეთგ, ამდღარ დღაშა ქუმურთგ. ღორონთიშ წყალობათი. ქორდუნს ჩქიმ ბაღანას დო ქორე. ბაბუ ვაფშუ თექიან. ბები თექიან, მუმაში,თაქ რუსთავს, მარა ართ შკვით წანა იჭი, ღურუ. თაურეშე იშო გეგნვოსვანჯეთ, იშო მიდეღ მაჟია ბიძიაქ. თექ, ართ ბიძია თექ პუნს, აჩიგვარას, იშო დირთ დო თექ ცხოვრენს, მარა ასე უკვე თინა ხოლოაშ დორთე გაქირებულგ. ბიძისკუა დო ბიცო ქორე თექგ, ინეფს მუთუნ ვადინაფ ინეფს, ხვთე დირთეს დო ქორენა თინეფნკგმა ართო დიო დღარო. ჩქი ვიშო ვამღინა, ხვალე დიაჩქიმ დო ჩქიმ ჯიმაქ მიდართგ ბები

ოსვანჯეს თი დროს, ქინაჭარეს სიას დო მიდართეს. მა ვამლინ. განადგურებულ რე ექიან ამბე, თექიანობა. მიკოჯინა ხოლო ვაკო დიაჩქიმს, თექ თიჯგუა ამბე რე თექ. ჩქინ ქორთული მუთუნ ვაარსებენსგ, აფხაზეფიშ ხოლო, რუსულო, რუსულო. ბები, თაქიან ბებ დო ბაბუქ თაქ დომლურეს, გინოფრთით უკულგ. მეზობელეფ აფხაზეფი ჩქინნკგმა ნაკლებო, გალიშ რაიონს ვარდგ, მარა ასე მუჭო ბრიგადირინ თეშ რე მიდგარენი, აფხაზა, მოურს, თხირ რენო სიმინდი რენო, მოსავალს ქიმეჩანა დო მიდურს. ეურეშე მით მოურსი, თის ხეშ გურშა გითმიხუნუანა.

ჩქიმ ბიძისკუა ტრაქტორს გეხე თექ, მუშენს თინეფნკგმა, აშო უჯღონანს მუშ ჩილდო სკუას. არძოს მუშ გაჭირება უღგ ამდღა დო მუშ პრობლემა. პასპორტი თაქიან უღგ დო თექიან ხოლო, უსაბუთოდ ვაგუტენა. ჩქიმბიძისკუასჯირი სკუა ღუნს. ართის უღგ დო მაჟიას-ვარ. თეშგურშენ ბოშ მინმურს, დოძღაბი – ვარ. ათეჯგუა ამბე რე თექ.

თარგმანი

თორმეტი წლის ვიყავი. მამა რომ გარდამეცვალა, ამის მერე ოთხმოცდაცამეტში აქეთ იქნა ჩვენი გადმოყრა. მანამდე თუ რაპე შეგვეძლო, ვმუშაობდით ბავშვები. ორივე ძმები. ჩვენ ვართ უჯაბში და დედა, მიმოზა ღურწკაია. დედაც ის იყო ჩვენი და მამაც. სკოლაში დავდიოდით. დრო, დრო ჩვენთვის... უცებ, სკოლა რომ დამთავრდებოდა, და სახლში, სამუშაო. რაც დატოვა მამაჩემმა რომ არ გაგვენიავებინა. ხალხს არ ეთქვა უფრო სწორად მეცხოველეობა, რაც დაგვიტოვა, ოჯახში ბავშვები ვიყავით, მაგრამ ათი სული საქონლის მოვლა ისე არ არის. მოკვდა მამა და მიყვნენო რომ არ ეთქვათ იმიტომ, იმ ათ სულ საქონელს ჩვენ ვუვლიდით. ამით გაქვქოსდა, შემოსავალი სხვა არაფერი არ იყო, ვუვლიდით ამას.

პირველ წელს გაგვიჭირდა ცოტა, თოხნა, მიწის მოვლა...წავედით მე და დედაჩემი, მეორე ჩემი ძმა პატარა იყო უფრო პირველ წელს. გამიჭირდა და დავაგდე იქით ის თოხი, წამოვედი აქეთ. სახლში წადიო – მითხრა დედაჩემმადა არ იყვიროთო „დედაო" არ თქვათო, კაცმა არ თქვას სად წავიდა ეს ქალიო, არ იკითხოსო კაცმა. იმ წელს თოხნიდა საწყალი მარტო პირველ წელს, მაგრამ მერე არ იყო გზა და ვისწავლეთ ეს თოხნაც, საქონელს საჭმელი უნდოდა და სასმელი. ასეთი გაჭირვებით გაგვზარდა დედაჩემმა. ცემი ძმა ცალკე ფაბრიკაში მუშაობდა სკოლიდან რომ დაგვითხოვდნენ მერე, ზაფხულში სამი თვე,მე ჩაის ვკრეფდი, ტანსაცმლის ფული რომ გაგვეკეთებინა.მერე-მერე ტყეშიც დავდიოდით შეშის მოსატანად, ძნელი იყო, მაგრამ ისე გავიზარდეთ, კაცი რომ არ დაგვხმარებია ისე. გვყავდა ნათესავები, მაგრამ ყველა თავ-თავის სახლში იყო, ყველას თავისი ოჯახი ჰქონდა. ოთხმოცდაცამეტში სკოლა დავამთავრე, ომის პერიოდში. განგაში რომ გამოცხადდა, დავყარეთ ტრაქტორზე რაც კი გვქონდა სახლში, ყველაფერი დავტვირთეთ, ჩემი ბიძა და ჩვენ, ახლოს ვცხოვრობდით, ხუთი და დაძმა იყვნენ, ენგურამდე მოვედით და იქ წამოგვეწივნენ აფხაზები, 29 სექტემბერს, უკვე თენდებოდა ისეთი პერიოდია, სოხუმი აღებულია, რა თქმა უნდა, გალიც. რაც მოგვქონდა ყველაფერი იქ დავტოვეთ, და რაც გვეცვა იმით გადმოვედით. ნივთებს ვინ დაეძებდა, ოღონდ ცოცხალი გადმოსულიყავი და. წამოვედით გაჭირვებულად. სხისი ტანსაცმლით ვიყავი ერთი წელიწად-ნახევარი.ა ქეთ რომ გადმოვედი, ჩვიდმეტი წელი აქ შემისრულდა, ხობში დედა აქაური მყავს, ხობის რაიონიდან, სოფელი პირველი მაისიდან. აქეთ რომ გადმოვედით, მერე სამი წელი კიდევ ხობში ვცხოვრობდით და, რა თქმა უნდა, გაჭირვებით, დიდ ომში მე მონაწილეობა არ მიმიღია და არც არავის უთქვამს ჩემთვის რამე. სამი წელი იქ ვიყავით, შემდეგ აქეთ ნამოვედით, ბიცოლა ჰყავდა დედაჩემს აქ.

ჩავირიცხე აქ ოთხმოცდაჩვიდმეტში, დღევანდელ დღემდე აქ ვცხოვრობ, გლდანში. ერთი ცოლი და ერთი შვილი მყავს, ნინო ქვია, ოთხი წლისაა, ბაღშიდადის. დედასამოცდასამიწლისაა, მამა რომ მომიკვდა, ოცდაჩვიტმეტი წლისა იყო, ავარიაში მოხვდა, ძმა ათი წლის დარჩა, მე-თორმეტიწლის და ასე ობლად გავიზარდეთ და ვართ დღევანდელ დღემდე მოვდივართ ღმერთისწყალობით. დედა ზრდის ჩემს შვილს და არის. ბაბუა არ მახსოვს იქაური, მამის. ბებია იქაური მამის აქ რუსთავში მაგრამ ერთი შვიდი წელი იქნება რომ მოკვდა.აქედან იქ გადავასვენეთ, იქით წაიღო მეორე ბიძამ. იქ, ერთი ბიძა იქ მყავს, აჩიგვარას, იქით დაბრუნდა და იქ ცხოვრობს, მაგრამ ახლა უკვე ისიც აქეთ დაბრუნებულა გაჭირვებული. ბაძაშვილი და ბიცოლა არიან იქ, იმათ არაფერი დაკარგვიათ, მაშინვე დაბრუნდნენ და არიან იმათთან ერთად დიო დღარო. ჩვენ იქით არ წავსულვართ. მხოლოდ დედაჩემიდა ჩემი ძმა წავიდნენ ბებია რომ გადავასვენეთ იმ დროს, ჩაწერეს სიაში და ნავიდნენ ნე არ წავსულვარ. განადგურებულია იქაური ამბავი იქაურობა გახედვაც არ უნდა დედაჩემს. იქ ისეთი ამბავია, იქ. ჩვენი ქართული არაფერი არ არსებობსაფხაზებისაც,რუსულად, რუსულად. ბებია, აქაური ბებია და ბაბუააქთ მოგვიკვდა რომ გადმოვედით მერე.მეზობლეფ აფხაზები ჩვენთან ნაკლებად, გალის რაიონში არ იყვნენ, მაგრამ ახლა როგორც ბრიგადირი ისე არის ვილაცა აფხაზი, მოდის თხილია, სიმინდია მოსავალს მისცემენ და წავა. იქიდან ვინც მოდის, იმას ხელის გულზე ისვამენ.

ჩემი ბაძაშვილი ტრაქტორზე ზის იქ, მუშაობს იმათთან. აქეთ უგზავნის თავის ცოლ-შვილს. ყველას თავისი გაჭირვება აქვს დღესდა თავისი პრობლემა. პასპორტი აქაური აქვთ და იქაურიც, უსაბუთოდ არ გაუშვებენ, ჩემს ბიძაშვილს ორი სვილი ჰყავს ერთს აქვს და მეორეს არა, ამიტომ პიჭი შედის, და გოგო ვერა. ასეთი ამბავია იქ.

ქირია ლელა, 24 წლის;
გალი – ჭუბურხინჯი – თბილისი

ართი თუთა დო გვერდიშ წოხოლე ვორდე გალს, შეიძლება ითქვას ნორმალური ურთიერთობა რე დიო, საბაჟო პუნქტის, მიდგას პასპორტი ულუნე, პრობლემას ვაწარმოადგინენსე პასპორტიანეშო, უპასპორტოებშო თავისთავდ პრობლემა რე გინულა, მინულა, ფარა ოკო თი შემთხვევას,თუ პროდუქტი მოიღე ზუგდიდინ გალში, გარჩქუ კილოგრამებს,ზუსტად ვა მიჩქე, მარა მიჩქე, ნამდა გაფულენა ტექნიკაშე, პროდუქტიშე, დოთევჯგუა ამბე. დესტაბილურე, მარა მტრული განწყობა იშენე რე. აფხაზეფ დო თექიან ქორთუებს შკას იშენე იგრძნობა დაძაბულობა, მარა წოხოლიანეშო შედარებით დარკებულერე, წოხოლე ძალიან ქირდე მინულა, გინულა, ასე შედარებით თავისუფლება უღე ჩქინხე კოჩის. გინულა, მინულა, თავისუფალო ვაჭრენა, შედარებით ნორმალურ სიტუაცია რე. სკოლაშა გილულა ბაღანეფი, გურაფა მეურსე რუსულ სექტორშა, დო რე ართი ხვალე ქორთული საგანი, რეგიონებს რე დაშვებული თე ქორთული, ვარა დაჟე გალის სკოლეფს თე საგანი ხოლო ვარე. ჭუბურხინჯის სკოლას ოგურუანო ქორთულს, მუჭო ართ საგანს. ოჯახის ჩქი მარგალურო ბრაგადანთე, გალს საერთოდ მარგალურო რაგადნს ირკოჩი, გალიშ იშო უკვე იგრძნობა აფხაზური, უჩქენა მარგალური, მარა აფხაზურო იჩიებნა, ვარა რუსულო. მა მითინს ვებჩინენქე აფხაზებს, მუთუნე დაახლოება ვამიღე, გალს ვარენა დო გალის იშო ცხოვრენა. ჩქიმ თაობა უმეტესო ზუგდიდის, ვარა თბილისის რე, ვარა სტუდენტიე, ვარამუშენს, ვარა აბიტურიენტიე. ახალგაზრდობაშო იშენე დაძაბულობას წარმოადგენს თექიანე ცხოვრება, მუშო ოკო რაგადი, ვარექ მუდგარენე თავისუფალი, შიშიშ თუდო რექე, თავისუფლება ვაიღე. კიბირიშ ტექნიკად ვმუშენდე გალს. ასე გინობჭყვიდე, უმაღლეს დავამთავრე, ექიმ სტომატოლოგი მოკო ვორდე, გალშა ვამოკო დორთა, იფრელქე ჯგირო ქიუდა, გეგმები მიღე.

თარგმანი

ერთი თვე-ნახევრის წინ ვიყავი გალში. შეიძლება ითქვას, ნორმალური ურთიერთობა არის ჯერ, საბაჟო პუნქტზე, პასპორტი აქვს, პრობლემას არ წარმოადგენს პასპორტიანისთვის, უპასპორტოებისტვის თავისთავად პრობლემა არის გადასვლა გადმოსვლა. ფული უნდა იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტი მოგაქვს ზუგდიდში გალში, გააჩნია კილოგრამებს, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ იხდიან ტექნიკაზე ,პროდუქტზე და ასეთი ამბე. დასტაბილურდა, მაგრამ მტრული განწყობა მაინც არის აფხაზებსა და იქაურ ქართველებს შუა მაინც იგრძნობა დაძაბულობა, მაგრამ ადრინდელთან შედარებით დაკლებულია, ადრე ძალიან ჭირდა გადასვლა-გადმოსვლა, ახლა შედარებით თავისუფლება აქვს ჩვენიანს. გადასვლა – გადმოსვლა, თავისუფლად ვაჭრობენ, შედარებით ნორმალური სიტუაცია. სკოლაში დადიან ბავშვები, სწავლა მიმდინარეობს რუსულად და არის მხოლოდ ერთი ქართული საგანი, რეგიონებშია დაშვებული ეს ქართული, თორე დაჟე გალის სკოლებში ეს საგანიც არ არის. ჭუბურხინჯის სკოლაში ასწავლიან ქართულს, როგორც ერთ საგანს. ოჯახში ჩვენ მეგრულად ვლაპარაკობთ, გალში საერთოდ მეგრულად ლაპარაკობს ყველა, გალის იქით უკვე იგრძნობა აფხაზური, იციან მეგრული, მაგრამ აფხაზურად ლაპარაკობენ, ან რუსულად. მე არავის არ ვიცნობ აფხაზებს, არანაირი დაახლოება არ მაქვს, გალში არ არიან და გალის იქით ცხოვრობენ. ჩემი თაობა უმეტესად ზუგდიდში, ან თბილისშია ან სტუდენტია, ან მუშაობს, ან აბიტურიენტია. ახალგაზრდობისთვის მაინც დაძაბულობას წარმოადგენს იქაური ცხოვრება, რად უნდა თქმა, არა ხარ რაღაცა თავისუფალი, შიშის ქვეშ ხარ, თავისუფლება არა გაქვ., კბილის ტექნიკად ვმუშაობდი გალში, ახლა გადავწყვიტე უმაღლესი დავამთავრო, ექიმი სტომატოლოგი მინდა ვიყო, გალში არ მინდა დაბრუნება, თუ ყველაფერი კარგად იქნება, გეგმები მაქვს.

შამუგია თალიკო, 82 წლის; გალი – ბარლები

(ჩაიწერა კარინა კონჯარიამ, ქართული ფილოლოგიის პირველი კურსის სტუდენტი)

სამწუხაროა იმის გაფიქრება, რომ ქართველი ერი შეწყვეტს ფიქრს აფხაზეთის დაბრუნებაზე. ძალიან ბევრს დაკარგული აქვს იმედი. თქვენ როგორ ფიქრობთ არის თუ არა შესაძლებლობა აფხაზებთან ურთიერთობის მოგვარებისა?

უმეტესობას, 75 პროცენტს, იმედი დაკარგული აქვს. დღევანდელი ადამიანები სატანები არიან. ყველა გამყიდველია. იმას ცდილობენ, რამე წაგართვან, დროს გააჩნია. თუ ცოტა შეიცვალა დრო, მაშინ შეიძლება გაჩნდეს ისეთი ადამიანი, რომელიც სისხლს დაღვრის თავისი მიწა-წყლისთვის. ან სიცოცხლე, ან სიკვდილი და დაკარგულს დაიბრუნებენ. ხომ 100 წლის შემდეგ დაიბრუნეს კახეთი, აი, მაგიტომაც ღმერთი აჩენს გოლიათებს, თუ ღმერთი გვწყალობს.

გაგვიზიარეთ მოგონებები, რაც აფხაზეთთან გაკავშირებთ.

ბედნიერები ვიყავით აფხაზეთის ხალხი. ჩვენი ზღვა, ჩვენი მთა, ჩვენი ჰაერი. სუფთა ჰაერის გრძნობის განცდაც დავკარგე, რაც იქიდან წამოვედი. ზღვა ერთს დაიქნევს და გადმოყრის და ჰავა რო გადმოყვება, მაგას რა ჯობია. ყოველ დილით ეზოს დაგვის მერე, დაღლილი დასასვენებლად რო მოვემზადებოდი, მანდარინის ჩრდილი მქონდა, დიდი ჩრდილი და ჩამოვჯდებოდი თუ არა, ვუყურებდი ვერცხლისფრად როგორ ციმციმებენ ნამები. ამაზე უკეთესს რას გავიხსენებ?! ზღვის ნოტიო ჰავა რო მოგხვდება, სული ჩაგედგმება სამოთხის. ისეთი ბუნება გვაქვს ჩვენ. ბუნება მაგაზე უკეთესი არა მგონია იყოს სამყაროში. როცა უთვისტომოდ ვარ აქ მოვარდნილი, არავინ მიკითხავს, არავინ

მიცნობს. იქ კი გზად მეგზურს რომ შევხვდებოდი, ყველა მიცნობდა და მეტყოდა, კიდევ ერთხელ მომასმენინა შენი ტკბილი ხმაო. ვინღა მეტყვის იმ ტკბილ და შეუცვლელ „გუმორძგუას“, რომელსაც იქ ვისმენდი?! ეს სითბოები ყველაფერი მაკლია.

„ტყობა-ტყობას მალუოფაცა,
აფხაზეთშა გამშვოცაცა,
კრიმინალეფ მოცილ ვარა,
მუთუნს ვამოცილ აფხაზა
არძაშა ჩქიმ გალ ქომსხუნუ
ოქროცალო გულვოცაცა.“

***

მალვა-მალვით მოვცოვავ
აფხაზეთში შემოვცოცავ
კრიმინალები მიშლიან
თორე აფხაზი არაფერს მიშლის
ყველას ჩემი გალი მირჩევნია
ოქროსავით დავცოცავ.

ბენია გიგა, 18 წლის;
სოფელი წარჩე – თბილისი

(ჩაიწერა კარინა კონჯარიამ, ქართული ფილოლოგიის
პირველი კურსის სტუდენტი)

დრო ყველაფრის მკურნალიაო – ცნობილი გამონათქვამია, როგორ ფიქრობთ, განვლილმა წლებმა ოდნავ მაინც თუ შეძლო გაენელებინა ეს მწუხარება?

დრო ყველაფრის მკურნალიაო? – ვერა! დრომ ვერ განკურნა ის სულიერი ტკივილი, რომელიც ჩვენი სალოცავების დატოვებამ გამოიწვია... დრომ ვერ უწამლა ქანცგამოლეულ იმედს, იმედს სამრეკლოში დაბრუნებისა... დრომ ვერ ჩაახშო ყურთასმენა, ზღვა და თოლიები ისევ იმ დაუწერელ ნოტაზე მღერიან. დრო თუ მკურნალია, რატომ სცემს ამ მკერდში ასე უსაშველოდ და გასაგმირად გული?! რატომ მცხელა ძარღვებში სისხლი?!... სულო, ღვთის იმედად წმომდგარო, ვერა, ვერ გიწამლა ხელმოცარულმა დრომ. დრო ვერ განკურნავს მოგონებებს იმ წუთებზე, წამებსა თუ თვეებზე, რაც ადამიანს გადახდა თავს, მითუმეტეს თუ საქმე სამშობლოს ეხება. დრო არ კურნავს, უბრალოდ გვაჩვევს რეალობას, რომელშიც ვიმყოფებით.

ლემონჯავა ხათუნა,
53 წლის; სოხუმი – თბილისი

მა ვორექ ხათუნა ლემონჯავა, დევბადგ სოხუმს, ანთას ჩხოროშ სუმონეჩდო სუმ წანას, 8 თებერვალს. მიცუნს დიდა, მუმა დო ჯიმა, სუმ სქუა დო ხოლო მოთალეფი. დიაჩქიმ რე ტყებუჩავა ლულა გრიგოლიშ ასულგ, დიჩქიმქ დებადგ სოხუმს, ანთას ჩხოროშ ეჩდოვითოხუთ წანას დო დამთავრგ ოსურეფიშ (ქალთა) სკოლა. მუაჩქიმ დაბადებულ რე ანთას ჩხოროშ ეჩდოვით წანას, აპრილიშ თუთას, გალიშ რაიონიშ სოფელ თაგილონშე რე. ჩქიმ ბაბუ – ტყებუჩავა გრიშა სოხუმშა მორთგ ოცხოვრებელო, ვითოჟირ წანერ იდგ. დიჭყ ხელობად მუშობა მეწაღედ დო ვითოშკვით წანერ იდგ ოსურ მიონუ. ჩქიმ ბები დგ ვითაამშვ წანერ დო ბაბუ რდგ ვითოშკვით წანერ, ცხოვრენდეს სოხუმს, ჰოდო ათე მუშ მუშობათ სუმ ცუდე აშენგ. სოხუმს, ჭავჭავაძეს ქუჩას, აშენგ სუმ ცუდე. უკულ ჟირ გეგმოჩგ დო ცხოვრენდეს ართ დიდ ცუდეს. ცუნდ ხუთ სკუა, ოთხ ოსურსკუა ცუნდ დო ართი ქომოლსკუა. მუმიჩქგ, ათაშ ცხოვრენდეს მუშ შრომათი დო... ართის დმთავრებაფუ უმაღლესი დო მაჟიას ხოლო, დო არძო სოხუმს ცხოვრენდეს. გათხილ დეს ოსურსკუალეფი. ჩქიმ ბების დო ბაბუს ცუნდ ვითაამშვ მოთა. დო ეჩდოვითოჟირ მოთაშ სქუა, თაშ დოხურეს ბებიქ დო ბაბუქ, არძოქ ლურ სოხუმს. მუაჩქიმიშ დიდა ცხოვრენდგ გცთაგილონს, ცუნდ ართი მუაჩქიმი დო ხოლო ართი ოსურსკუა. თინეფ ასე ხოლო თაგილონს ცხოვრენა, მამიდა დო მამიდასკუალეფი. მუ გიწუა, ბებიშენ გიწინქგ, გვალო ინა რდგ აი, მარუსია მიხაილის ასულ ტყებუჩავა-ქორჩილავა. თენეფი ორდეს შკვითი და დო ჯიმალეფი, ართიქ ომს მედინგ, ართი დგ სიმფეროპოლს სანატორიუმიშ მთავარ ექიმ დგ, სამხედრო ექიმი დო უჩქუდგ ხოლო ჰიპნოზიშ ინა რდგ. ქო, ქო უჩქუდგ თენა ჰიპნოზ დო

მუ მიჩქე. აი, არძოს იფჩინენდე, არძოს. თი ბებიშ ჯიმალებს დო დალებს დო თინეფიშ სკუალებს დო. გვალო ხშირას ჩქი ვიკრიბებუდით ართო დო მიღუდეს ხან სუფრა დო ხან ჯგირ ამბეს დო ხან გაჭირებას. გვალო ბრეღ ვორდით არძო. ჩქიმ ბების შრომა ბრელ უღუდე, მაგრამ ბედნიერ ოსური დე, არძო სკუა ცოცხალ დიტუ. მუჭომ ოსური რდე, გიჩქუნო, არძო მოთაშოთ დებადებუდუ, საჩუქარ უღუდე, გეთხუაფუდუ, ვარა ოსურს მიონანდე, აუცილებერო საჩუქარი უღუდე დო ათეჯგუა წესი უღუდე, აუცილებელო ქორწილი ივაფუდუო, კამპანია ივაფუდე, თუ მუთ ივაფუდე, ყანწით შუნდე, სადღეგრძელოს აუცილებერო ყანწით შუნდე. თიჯგუა მანგარ გაჭირება უღუდე, ნამდა.....

ფოცხოსა მიშე, ეკოტახილ შარას მიშე დო მანქანაქ გინოლ დო ხერხემალიშ დაზიანება მიღე. მუშ ჯიმაქ მიდეონე სიმფერპოლშა დო ამშვ თუთას ვაჯანუდე, მუშ საწოლით ათაშ მიკოპონუდე ის კედელს, ათაქ უღუდე არტახეფი, თუდო ვაულინდუკონე, ათაშ მიკობუდე ამშვ თუთას. მშვენივრად დადიოდა. უკულ მუთუნ ვაჭუუდ. ამდღა ოკოდე, მიდეშ გაგრაშა მუშ სკუაშა, ოსურსკუა თექიდე გათხილ, თექ გაჩენდუდე, უკულ ოკოდუდა აბჯაყვაშა მიდეშ, ოსურსკუა მაჟია თექიდე გათხილ დო. მოთალეფიშ სკუალეფს ხოლო ათაშ ინანდე, მუდგარენ საჩუქარს, მუდგასიენ დო ცუორდ ხოლო მუ გიჩქუნო? შუალა ცუორდ, არძო ძღაბის სუმკას უშუნდე თავისი სახელურით და თავისი იმით. ცუორდ ათეჯგუა ხელსაქმე. ბებიქ თექ დოლურ, ბაბუქ თექ დოლურ. ქუმოფრთითე ქართიშა, თიშ მადლობელი ვორეთ, ნამდა არძო ოჯახის წევრ მიცუნდეს, ცოცხალ მიცუნდეს, დო აი თაქ ხოლო ვა ინანთე ართიანს. თითქმის გებნახევრით, მაგრამ ვაოდინუაუთე ართიანს. ართიანს ბგორუნთე დო იმედი რე იფრელი ჯგირო ივაფუ.

თარგმანი

მე ვარ ხათუნა ლემონჯავა, დავიბადე სოხუმში ათას ცხრაას სამოცდასამი წლის 8 თებერვალს. მყავს დედა და ძმა, სამი შვილი და კიდევ შვილიშვილები. დედაჩემი არის ტყებუჩავა ლულა გრიგოლის ასული. დედაჩემი დაიბადა სოხუმში ათას ცხრაას ოცდათხუთმეტ წელს და დაამთავრა ქალთა სკოლა. მამაჩემი დაბადებულია ათას ცხრაას ოცდაათ წელს, აპრილის თვეში გალის რაიონის სოფელი თაგილონიდანაა. ჩემი ბაბუა – ტყებუჩავა გრიშა – სოხუმში რომ ჩამოვიდა საცხოვრებლად, თორმეტი წლისა იყო. დაიწყო ხელოსნად მუშაობა, მეწაღედ და ჩვიდმეტი წლის იყო, ცოლი რომ მოიყვანა. ჩემი ბებია იყო თექვსმეტი წლის და ბაბუა ჩვიდმეტი წლის, ცხოვრობდნენ სოხუმში, ჰოდა ამ თავისი მუშაობით სამი სახლი ააშენა. სოხუმში ჭავჭავაძის ქუჩაზე ააშენა სამი სახლი. შემდეგ ორი გაყიდა და ცხოვრობდა ერთ დიდ სახლში. ჰყავდა ხუთი შვილი, ოთხი ქალიშვილი და ერთი ვაჟიშვილი. არ ვიცი, ასე ცხოვრობდნენ თავისი შრომით და ერთს დაამთავრებინა უმაღლესი და მეორესაც. და ყველა სოხუმში ცხოვრობდნენ. გათხოვილები იყვნენ ქალიშვილები. ჩემს ბებიას და ბაბუას ჰყავდა თექვსმეტი შვილიშვილი და ოცდათორმეტი შვილიშვილის შვილი, ასე გარდაიცვალნენ ბებია და ბაბუა. ყველა მოკვდა სოხუმში. მამაჩემის დედა ცხოვრობდა თაგილონში, ჰყავდა ერთი მამაჩემი და კიდევ ერთი ქალიშვილი. ისინი ახლაც თაგილონში ცხოვრობენ, მამიდა და მამიდაშვილები. რა გითხრა, ბებიაზე გეტყვი, მთლად ის იყო აი, მარუსია მიხაილის ასული ტყებუჩავა-ქორჩილავა. ესენი იყვნენ შვიდი და და ძმა. ერთი ომში დაიკარგა, ერთი იყო სიმფეროპოლში სანატორიუმის მთავარი ექიმი, სამხედრო ექიმი და იცოდა კიდევ ჰიპნოზის ისა იყო. კი, კი იცოდა ეს ჰიპნოზი და რა ვიცი, ყველას ვიცნობდი, ყველას. იმ ბებიას ძმებს და დებს და

იმაოის შვილებს. ძალიან ხშირად ჩვენ ვიკრიბებოდით ერთად და გვქონდა ხან სუფრა, ხან კარგი ამბავი და ხან გაჭირვება. ძალიან ბევრი ვიყავით ყველა. ჩემს ბებიას შრომა ბევრი ჰქონდა მაგრამ ბედნიერი ქალი იყო, ყველა შვილი ცოცხალი დატოვა. როგორი ქალი იყო იცი? ყველა შვილიშვილისთვის, რომ დაიბადებოდა, საჩუქარი ჰქონდა. გათხოვდებოდა, ან ცოლს მოიყვანდა, აუცილებლად საჩუქარი ჰქონდა და ასეთი წესი ჰქონდა, აუცილებლად ქორწილი იქნებოდა, თუ რაც იქნებოდა, ყანწით სვამდა, სადღეგრძელოს აუცილებლად ყანწით სვამდა. ისეთი მაგარი გაჭირვება ჰქონდა, რომ...

ფოცხოში მიდიოდა, დანგრეული გზით მიდიოდა და მანქანა გადავარდა და ხერხემლის დაზიანება მიიღო. მისმა ძმამ წაიყვანა სიმფეროპოლში და ექვსი თვე არ დაწოლილა, თავისი საწოლით ასე იყო მიყუდებული იმას, კედელს, აქ ჰქონდა არტახები, ქვევით რომ არ გაევლო. ასე ეკიდა ექვსი თვე. მშვენივრად დადიოდა. მერე არაფერი უჭირდა. დღეს თუ უნდოდა, წავიდოდა გაგრაში თავის შვილთან, ქალიშვილი იქ ჰყავდა გათხოვილი, იქ გაჩერდებოდა. შემდეგ თუ უნდოდა, აბჯაყვაში წავიდოდა, მეორე ქალიშვილი იქ იყო გათხოვილი. შვილიშვილების შვილებსაც ასე იმას შვებოდა, რაღაც საჩუქარს, რაღაცას და უყვარდა კიდევ იცი რა? ქსოვა უყვარდა, ყველა გოგოს ჩანთას უქსოვდა თავისი სახელურით და თავისი იმით. უყვარდა ასეთი ხელსაქმე. ბებია იქ მოკვდა, ბაბუა იქ მოკვდა. ჩამოვედით თბილისში, იმის მადლობელი ვართ, რომ ყველა ოჯახის წევრი გვყავდა, ცოცხალი გვყავდა. და აი, აქ კიდევ ერთმანეთს... თითქმის გავნახევრდით, მაგრამ არ ვკარგავთ ერთმანეთს, ერთმანეთს ვეძებთ და იმედია ყველაფერი კარგად იქნება.

ქვარცხავა-ვახანია ალიტა, 68 წლის; სოხუმი – თბილისი

მა ვორექ სოხუმშე, დევბადი ქალაქ სოხუმს ანთას ჩხოროს ჟარნეჩდო ჩხორო წანას, 1 ნოემბერს, ანთაშ ჩხორიშ სუმენეჩდო ამვ წანას დავამთავრ სოხუმიშ პირველ საშუალო სკოლა. უკულ მუშობა ქიდიბჭყ სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტის. ჩებრიცხ უმაღლეს სასწავლებელს, ნამუთგ დავამთავრი ანთას ჩხოროშ სუმონეჩდო ვითაამშვ წანას. უკულ მუშობა გავაგრძელ. მუჭო დიბჭყი თეშ, სოხუმიშ პედაგოგიურ ინსტიტუტის. დო ამდღანერ დღაშა ვმუშენქ სოხუმიშ სახელმწიფო უნივერსიტეტის. ჩქიმ დიდა – ტატიანა ჭანტურია დაბადებულ ორდგ ქალაქ სოხუმს დო მუაჩქიმქ დებადგ გალიშ რაიონიშ სოფელ ჩხოროლს. ჩქიმ მუმა – ალექსი გიორგის სკუა ქვარცხავა ორდგ გალიშ რაიონშე, მარა სკოლაში დამთავრებაშახ გინორთგ სოხუმშა დო თექ ცხოვრენდგ ბოლო დღაშა. მუმაქ მა მემიდინ ანთას ჩხოროშ სუმენეჩდო სუმ წანას. ჩქიმ დიდა სოხუმს ცხოვრენდგ ანთას ჩხოროშ ოთხონეჩდო ვითოჩხორო წანაშახ, ვაჯერდგ სოხუმს მივოდინუანდითგ დო თექ ცხოვრენდგ ოთხონეჩდო ვითოჩხორო წანაშახ. უკული ჩქინი ბრელი თხოვნათი გინილგ დო ჩქი ქუდობხვადით დო ჟირი ათას შკვით წანაშახ ქორდგ ჩქინნკგმა დო უკულ თიქ ხოლო მემგდინგ. სუმონეჩდო ვითაამშვ წანას დევოჯახ დო ჩქიმ მეუღლე ორდგ ვახანია ჯემალი, წარმოშობით ორდგ ბანძაშე დო ბოლო წუთიშა, სოიშახ სოხუმ მემიდინუდეს, ორდგ ქალაქ სოხუმს ჩქინნკგმა ართო. უკულ აშო გინივლით, სუმხოლო ბაღანა შონეთით გინიპონით დო ჭიჭე გამჭირდეს, მარა შონეფქ იშენ დემეხმარეს, ტყურა ვამარაგადე, ჯგირო დემეხმარეს დო გინიბლით აშო დო თიშ უკულ დო თაქ ვორეთ დო ვაგრძელენქ ასე ხოლო მუშობას დ ქუვორექ. მიუნს ოთხ მოთა. ძღაბი გათხილ მიუნს, უნჩაში ბოშიქ ოსურ ქიმიონ, უკლაში დიო უოსურე რე, მარა იმენდი მიღგ, თინა ხოლო გამხარენს გურსგნ.

მარგალურს ნაკლებო ვრაგადანთ, დო ჭიჭე ნინა მეურს დინაფაშა. მარაგი სიტყვეფიშ ნაკლები მიღგ, ვიდრე მიღუდუ ეიშა. ასე ხოლო ვცდილენთ მარგალურო რაგადის, მარა ნაკლებო რე რაგადი. მოთალენს პრაქტიკულო ვაუჩქუნა მარგალური, ჭიჭე მუდგარენი არჩქილენა, მარა ვაუჩქუნა. ტრაგედია რე, მართალო ტრაგედია რე. მუზმაშა მითქუალგ: ბებო, უნდა იცოდეთ მეგრული. ეს თქვენი ენაა. ფაქტიურად წარმომადგენლები ხართ ამ იმის და სკოლაში, მაგრამ არ ვიცი. კი ამაზე მაქვს ლაპარაკი, მართლა მაქვს ლაპარაკი, რომ მეგრული უნდა იცოდეს ბავშვმა არ უნდა დაიკარგოს ენა. რა ვიცი, ახლა ბიჭის ოჯახში უფრო არის ეს მეგრული იქ, რძალიც ეს ის და, მაგრამ გოგოს ოჯახში უფროსი თაობა ლაპარაკობს და ეს ჩემი სიძე, მაგალითად, რუსული სკოლა აქვს დამთავრებული, რუსეთში უმაღლესი დაამთავრა და ინგლისური იცის და მეგრული – არა. ესმის კი, რა თქმა უნდა, მარა ლაპარაკი ნაკლებად. ასეთია ჩემი ოჯახის მეგრულენოვანი ისტორია. ცუდია, მეც არ მომწონს.

თარგმანი

მე ვარ სოხუმიდან, დავიბადე ქალაქ სოხუმში ათას ცხრაას ორმოცდა ცხრა წლის 1 ნოემბერს. ათას ცხრაას სამოცდაექვს წელს დავამთავრე სოხუმის პირველი საშუალო სკოლა. შემდეგ მუშაობა დავიწყე სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ჩავირიცხე უმაღლეს სასწავლებელში, რომელიც დავამთავრე ათას ცხრაას სამოცდათექვსმეტ წელს. შემდეგ მუშაობა განვაგრძე, როგორც დავიწყე ისე, სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. და დღევანდელ დღემდე ვმუშაობ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ჩემი დედა – ტატიანა ჭანტურია დაბადებული იყო ქალაქ სოხუმში და მამაჩემი დაიბადა გალის რაიონის სოფელ ჩხორთოლში. ჩემი მამა – ალექსი გიორგის ძე ქვარცხავა – იყო გალის რაიონიდან, მაგრამ სკოლის დამთავრებამდე გადმოვიდა სოხუმში და იქ ცხოვრობდა ბოლო დღემდე. მამა

მე დავკარგე ათას ცხრაას სამოცდასამ წელს. ჩემი დედა სოხუმში ცხოვრობდა ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტ წლამდე, არ სჯეროდა, რომ სოხუმს დავკარგავდით, და იქ ცხოვრობდა ოთხმოცდაცხრამეტ წლამდე. შემდეგ ჩვენი ბევრი თხოვნით გადმოვიდა, ჩვენ დავხვდით და ორი ათას შვიდ წლამდე იყო ჩვენთან და მერე ისიც დავკარგე. სამოცდათექვსმეტ წელს დავოჯახდი და ჩემი მეუღლე იყო ვახანია ჯემალი, წარმოშობით იყო ბანძიდან, ბოლო წუთამდე, სანამ სოხუმი დაგვეკარგებოდა, იყო ქალაქ სოხუმში ჩვენთან ერთად. შემდეგ აქეთ გადმოვედით, სამივე ბავშვი სვანეთით გადმოვიყვანეთ, და ცოტა გაგვიჭირდა, მაგრამ სვანები მაინც დაგვეხმარნენ, ტყუილს ვერ ვიტყვი, კარგად დაგვეხმარნენ და გადმოვედით აქეთ და იმის მერე აქ ვართ და ვაგრძელებ ახლაც მუშაობას და ვარ. მყავს ოთხი შვილიშვილი. გოგო გათხოვილი მყავს, უფროსმა ბიჭმა ცოლი მოიყვანა, უმცროსი ჯერ უცოლოა, მაგრამ იმედი მაქვს, ისიც გამიხარებს გულს. მეგრულს ნაკლებად ვლაპარაკობთ, და ენა ნელა მიდის დაკარგვისკენ. მარაგი სიტყვებისა ნაკლები მაქვს, ვიდრე მქონდა მანამდე. ახლაც ვცდილობთ მეგრულად ლაპარაკს, მაგრამ ნაკლებადაა ლაპარაკი. შვილიშვილებმა პრაქტიკულად არ იციან მეგრული, ცოტა რაღაცა ესმით, მაგრამ არ იციან. ტრაგედიაა, მართლა ტრაგედიაა. რამდენჯერ მითქვამს: ბებო, უნდა იცოდეთ მეგრული. ეს თქვენი ენაა. ფაქტიურად წარმომადგენლები ხართ ამ იმის და სკოლაში, მაგრამ არ ვიცი. კი ამაზე მაქვს ლაპარაკი, მართლა მაქვს ლაპარაკი, რომ მეგრული უნდა იცოდეს ბავშვმა, არ უნდა დაიკარგოს ენა. რა ვიცი, ახლა ბიჭის ოჯახში უფრო არის ეს მეგრული, იქ რძალიც, ეს ის და, მაგრამ გოგოს ოჯახში უფროსი თაობა ლაპარაკობს და ეს ჩემი სიძე, მაგალითად, რუსული სკოლა აქვს დამთავრებული, რუსეთში უმაღლესი დაამთავრა და ინგლისური იცის და მეგრული – არა. ესმის კი, რა თქმა უნდა, მარა ლაპარაკი ნაკლებად. ასეთია ჩემი ოჯახის მეგრულენოვანი ისტორია. ცუდია, მეც არ მომწონს.

ზაქარაია მარიკა, 32 წლის;
გალი – პირველი მაისი – თბილისი

აფხაზეთის ომქ მოხვადგნ, ჭიჭე ვორდ, ბრელ მუთუნ ვაფშგ. ფშგ მუჭო არძო ართო მეურდით, ქუჩაშე გინურდით, ამხანაგებს ვემშვიდობებუდი, ჩქიმ მეზობელ ბაღანეფს, თენა ჯგირო ფშგ. ზუგდიდის ვორდით ქინოფრთითგნ, ბრელ ხანს ვაორდით, უკულ მიდაფრთით რუსეთშა დო ჭახანს ქუვირდით. ჩქიმ მშობლეფს ოკოდეს ქორთულო მითებდესკო უნივერსიტეტი, მიგურაფგდესკო სკოლას, თეშე გამომდინარე ქუმოფრთით თბილისშა. თიშ უკულ ფცხოვრენთ თბილისის. ჩქიმ ბები აფხაზეთის რე. დიდ სურვილ მიღგ ქობძირე, მუშენდა მა ფშგ, ჭიჭე ვორდგნ, ირო ჩქიმ ბების ოკუჩხანეს ბჯანუდი. მანგარო მიყორს ჩქიმ ბებ დო ასე საკმაოდ ასაკის რენ დო ჩქიმ მამწკვმა ცხოვრენს, მა ვამმართე თექ. სამწუხაროდ, ჩქიმ მუმა ჟარნეჩდო ვითაამშვ წანერ რდგ, მივიდინეთდო, ასე ჩქიმ დიდა რე ჩქიმ ჯიმა დო ნოსაწკვმა, დო ბედნიერო ცხოვრენს. თაქ გებჩინებაფე ჩქიმ მეულღე, მელორ მილორავა, სოხუმშე. საკმაოდ ბრელხანს ვაპუნდეს ბაღანა, რუო წანას. სამაგიეროდ ღორონთიქ დამაჯილდოვეს, ქუმაჩუქეს ჟირი ტჯუპი, ძღაბი დო ბოში ანდრია დო ანასტასია მილორავეფი. დო ბედნიერეფი ვორეთ მართალო. მართალო ღორონთიშ საჩუქარ რდეს თე ბაღანეფი ჩქინო დო შხვანერ რე ასე ჩქინ ცხოვრება, უმოს მრავალფეროვანი, უმოსი სახალისო რე, ბედნიერეფი ვორეთ ამდღა. დიანთილ დო მუანთილ პუნს ფანტასტიურ, სოხუმს ცხოვრენდეს, აშო გინულაშ უკულ ცხოვრენა ხობის, სოფელ ნოჯიხევს, უღგნა ცუდე, გინულაშ უკულ ძაან მძიმე პერიოდ გინიღეს თინეფქ ხოლო, ჭიჭე-ჭიჭეთი გაფართოეს მუნეფიშ საქმიანობა. ჩქიმ დიანთილ პედაგოგ რე. საჯარო სკოლას მუშენს. პენსიონერ რენა ჟირხოლო, ასე საკუთარ ცუდე ულუნა. მონატრებულ რენა მოთალებს ასე საახალწანოდ ველით ნობათით.

თარგმანი

აფსაზეთის ომი რომ მოხდა, პატარა ვიყავი, ბევრი რამე არ მახსოვს. მახსოვს, როგორ ყველა ერთად მივდიოდით, ქუჩას გადავდიოდით, ამხანაგებს ვემშვიდობებოდი. ჩემს მეზობელ ბავშვებს, ეს კარგად მახსოვს.ზუგდიდში ვიყავით, რომ გადმოვედით, ბევრ ხანს არ ვიყავით, შემდეგ წავედით რუსეთში და კარგა ხანს ვიყავით. ჩემს მშობლებს უნდოდათ, ქართულად დაგვემთავრებინა უნივერსიტეტი, გვესწავლა სკოლაში, აქედან გამომდინარე ჩამოვედით თბილისში. ამის მერე ვცხოვრობთ თბილისში. ჩემი ბებია აფხაზეთშია. დიდი სურვილი მაქვს ნახვისა, იმიტომ, რომ მე მახსოვს, პატარა რომ ვიყავი, ყოველთვის ჩემი ბებოს ფეხებთან ვიწექი. ძალიან მიყვარს ჩემი ბებია და ახლა საკმაოდ ასაკოვანია და მამიდაჩემთან ცხოვრობს. მე ვერ მივდივარ იქ. სამწუხაროდ, ჩემი მამა ორმოცდათექვსმეტი წლისა იყო, რომ დავკარგეთ. ახლა ჩემი დედა არის ჩემს ძმასთან და რძალთან და ბედნიერად ცხოვრობს. აქ გავიცანი ჩემი მეუღლე, მელორ მილორავა, სოხუმიდაან. საკმაოდ დიდხანს არ გვყავდა ბავშვი. რვა წელიწადს. სამაგიეროდ ღმერთმა დაგვაჯილდოვა, გვაჩუქა ორი, ტყუპი გოგო და ბიჭი, ანდრია დო ანასტასია მილორავები. და ბედნიერები ვართ მართლა. მართლა ღმერთის საჩუქარი იყო ეს ბავშვები ჩვენთვის და სხვანაირია ახლა ჩვენი ცხოვრება, უფრო მრავალფეროვანი, უფრო სახალისოა, ბედნიერები ვართ დღეს. დედამთილი და მამამთილი მყავს ფანტასტიური, სოხუმში ცხოვრობდნენ, აქეთ გადმოსვლის შემდეგ ცხოვრობენ ხობში, სოფელ ნოჯიხევში, აქვთ სახლი, გადმოსვლის შემდეგ ძალიან მძიმე პერიოდი გადაიტანეს მათაც, ნელ--ნელაა გააფართოეს თავიანთი საქმიანობა. ჩემი დედამთილი პედაგოგია. საჯარო სკოლაში მუშაობს. პენსიონერები არიან ორივენი. ახლა საკუთარი სახლი აქვთ. მონატრებულნი არიან შვილიშვილებს, ახლა საახლწლოდ ველით ნობათითურთ.

ნინუა-ჰამილტონი რუსიკო, 58 წლის; სოხუმი – თბილისი – ბელფასტი

მარინას დამალვის ისტორია

ართი დო იგივეს „ქუდი კუნჭულე კანწილეშ“ არიკის მეჩიებუდ... „ქუდკუნჭულე“ – ესე იგი, კუნწულია ქუდი რდ მუდგარენ დო კანწილე კოჩი, ათაშ უჩქუ ულან ფერი, კანდიორანსგნ ფერი. ათენას თიშენ ჯოხოდ, უკულ დივეკვირინ, ვითი ჯიმალეფ, ჩხორო ჯიმალეფ რდეს, ჩხორო, ბოშეფი, ესე იგი ჯიმალეფ დო უკლაშ ჯიმარდ, არძაშ უკლაშ თე ქუდკუნჭულე კანწილე. დიდო გინირთესგნ, გინირთეს საისუროთგნ, მიდართეს ოგორშა საოსუროეფიშ. ოკო ქიმიცუნანი თი ჩხორო და. ოკო დოგორან ჩხორო და. გინილეს ართ გვალა, მაჟია გვალა. მეულა მთელ დღას, მეულა დო დასერეს. დასერესგნ, ქოძირეს, ცუდეშე ეშურს კუმა, ესე იგი თექ ცხოვრენს მიდგარენ. ოდო ქიმერთეს დო დუძახეს: – ეჲ, მენძელი! დო იქ ქიმეჩ ხმა: – ოოოოოოო, მირე თაქია?.. ქოძირეს, დემი რენ, მარა სო ალინენა, კარს გერენა, დემიშ ცუდეშ კარს. ჯვეშო ნამდვილო ცხოვრენდეს თურმე თე დიდ-დიდ კათა, დემეფს უძასუდეს. დო თინეფიშ, ჩვეულებრივი ადამიანეფშე, შორსგ რდეს, ტყას. კოც ხოლო ჭკუმუნდეს, ქოშქერენდეს დო მუდგარენ. ათეშენ მოთხოზუდ კათა დო ცვილუნდესგნ. თიშენ მუნეფით უთხილანდ დუდს. დიდეფი რდეს, ვებერთელა დო ბანჯგვლიანეფ რდეს. ოხოხოხო! დო , სერს გუმოთანაფუანთიაო? დო , მოზოჯითია, უწუ. დო მინილეს, მუ შარა უღუნა, ვემნორთანინ. მინილეს, ოდო ამსერი, სერი რე უკვე, ჩხურუ რე. დო თენეფ ქუდანჯირუ ჩხოროხოლო ართ დიდ ოთახგს. თე დემს ცუნდუ ჩხორო ძლაბეფი, დალეფი...

მარა ითამ ლურა ასენ უჩქუნ ე დროს, მიდართ დემქგ, ქგდარზ თი დაჩხირი, ქომკაბუნუ კარდილათ წყარი... კარდილაშა ინიშ სუმი-ოთხ ფუთ წყარი, დემი ეჭოფუნდუ დო ქუმკაბუნუანდგნ. ათეშ ფუნაშა ინეფ ქიდირულუანა დო დოვცილნა დო ინახაშანს თაქი თე ქუდკუნჭულა კანწილეშ ჯიმალეფს. დო დუძახ: ქუდკუნჭულე კანწილეე!... პატგნი, ექ დუძახ. – ვარლურანიაო?... – დემს ოკო, ლურდანინ. – ვარია, შემაწუხუა სქანი თხალეფიშ

ბაწკიბუწკიქ, თხალეფქ ვადმორულუესია, მარაკას მითიბაწკგნანია... მიდართ დემქ დო არძოს დუდ მეკვათ თხალეფს. მოლართ დო კგნე ქუდუძახ: – ქუდკუნჭულე კანწილეეე!... – პატგნ! -თიქ დუძახ.– მუშენ ვარლურანია? -დო, – სქან ცხენეფიშ კუჩხიშ ტორეფიშ ბრახუნქ ვადმორულუესია... მიდართ დო ე ცხენეფ ხოლო გოჭყვიდ. დირთ. კგნე ქუდუძახ: – ქუდკუნჭულე კანწილეეე!... – პატგნია! – უნუ თიქ. ოდო, – ვარლურანიაო? -დო -ვარია... – ასე მუ გაწუხენანია? – სქანია ჩხოულეფია მითოღვარანანია... თე ჩხოულეფ ხოლო გოჭყვიდ დო ეზმახანს გოთანდ.

გოთანდ, ალიონი რე, თე დროს გაკურცხინუ მუშ ჯიმალეფ. ენეფ დოლურაფილ რენა, ხო ლურა მთელ სერს. ი დემიშ ძღაბებს თევრე ლურა, შხვა ოთახგს. გაკურცხინ თენეფ, არიქა გოკურცხითია დო იბდათია ოკო. მინილეს თე ძღაბეფშა, თენებს დუდ მეკვათეს დო მუნეფის ლოგინს ქიმთანჯირეს. ოდო ინტეს. მირულენა, მირულენა... ასე დემ მუჟამ მინურს თენეფშა უკულ ხო ქოძირგნს, მუამბე რე დო გეკათხოზუნ. ო, მირულენა, მირულენა დო მდინარე აფნა, წყარი აფუნა მინალ. ეკორენა თაქ, მუთ მინორთანი. წყარი რე ჩქარი წყარი, გვალაშ წყარი დო მუჭო მინანჩურანდ თენა. ეზმახანს ქგგეგონეს, დემქ მინილ, ქიკითხუ დო ხმა ვემეჩესგნდ, ეც, გეპკეთია, დო გეგმუღალ ართი დო ქინარაგუ თე ოხაშგს, ოდო, უკულ მიკაჯინუო, ენა ოსურდკოჩირე ხო, ძღაბი, დო ქუჩ გური... დო ქეკათხოზგ... მოღვარანს დო მოურს დემი. ინნყუ გვალა, დიხა, ჯა – ირფელ ცანცალანს, თიჯგუა ხმა უღ დემს. ოდო მოღვარანს მარა იშ მულაშა ეკართინეს ართ ჯა ოდო თით გინილეს მაჟია ნაპირშა. თი მალ წყარშა დემს ხოლო ოშქურ ეტყვებ. ქგმორთ დემქ დო ქოძირ ენეფ მელე ქიმირულე თევრენ. ე ჯა ხოლო ქოძირ დო ეშელ ეშან, ქინუტგრხ დო ქინანთხ იშო დო ქინიშქვიდ თექ. დო გგნასქგდეს ე ჯიმალეფქ. გინატუ თი უკლაშ ჯიმაქ.

ეზმახანს მახოლო დუმარულედ ეტყვებ დო თიშ უკულ ვაფშ.

ბაღანეფ დიფშაყარუდით სერითგნ, სოდე დიდ დაჩხირი რზგ-დგ, შქაშ დაჩხირ რზგდ, ეკვოხედით თის დო იფჩიებუდით. მინი არიკის თქუანდ, უკული იმნირზებუდით, „ე მუორე მუორე", „ე მუორე მუორეშე" გენწყგნდ თი მაჟია მსარე და... დებჯგუფებუდით, მი მიწკგმა იციდგნ... ვეჲანნწყინედუდა, იწკგმა: – ქომუჩი ლენინგრადი. ქალაქებშა ბნირზენდით. ინა პარიზ ჩქიმი რდ, ინა თიშირდ, ინა თიშირდ, ოდო ათაშ... დო თი „ე მუორე მუორეს", მაგალთო, ფთქუანდით; „ჩქიმი ჭიჭე ჭურია ცაშა მიანჭუნია". ჩემი პატარა თვალი ცამდე წვდებაო. გეჲანნწყინედესდა... ვეჲანნწყინედესდა ართ ქალაქ ჩქინი რდ – ლონდონ გოკოდუო, ნამ ქალაქ გოკოდუნ. ათაშ მიშ სერ დო გვიანშა ვედიბნჯირუდით. ეშ, დიდ სერეფ მიშ ხო ზოთიონჯს, დაჩხირს ეკვოხედით.

– „ე მუორე მუორეს" ხოლო მუს თქუანდით?

– ე მუორე მუორე, „მოურსუ დო მიპაღურუ, ქიმურსუნი, ქიმკაღურუ".

– ოდო მუ ცოფე?

– წისქვილიშ წყარი. მეურს წაყარი, ხო მეურს, დო მერე იქ რო ჩავა, ბორბალს რო მოხვდება, ქიმურს დო ქიმკაღურუ. ისე წისქვილიშ ღარი მეუდგგდ დო თინა ინოწენდ. ხოლო მაგალითო „კატუ ღვათ მუკობუ". ენა რდუ ოგვაჯე. ოგვაჯე – ქათმები სადაც კვერცხს დებდნენ , ხომ? ართ ხე უღუდ დო ცალ ღვათ მუკობუდ ოგვაჯე.

– დო მუს ნიშნენდ?

– ოგვაჯე. ქათმები სადაც დებდნენ კვერცხს. სადაც წიწილებს ჩეკავდნენ. ბუდე.

კიდე ასეთი რამდენი რაღაცები ვიცოდით, ასამდე ვიცოდით. ესეიგ, ვინ დაიღლებოდა, ვინ არ დაიღლებოდა. და ასე ვწვრთნიდით ერთმანეთს.

ვთამაშობდით დღისით. დიდი ეზო ვისაც ჰქონდა, ჩვენ დიდი ეზო გვქონდა, ჩქე დიდი ეზო მიღუდეს, თან ირო გინოქოსილი,

გინოწიმინდელი. დო იფშაყარუდით დო ვლაყაფენდით: „აფტო, პიტო, პარპალიტო, ვასკო, ვისკო, დომ“. მის მოხვადგდგნ, თინა იტყობუდ თი დომ. „ატო პიტო პარპალიტო“ თქუანდეს თენა თურქული რენია ალბათ. ვარო? ვამიჩქ. დო მარგალეფ ფხვარენდით.

უკულ ვლაყაფენდით, საქანელა მუკომბუდეს დო ხო-ხო... ავრე თი ჯას მუკობუდუნ, ოჭიშ თი ჯაშ ნოველას ოკო მიაგუკო ოჭიშიქ დო ავრე თი კუჩხეფი ართიანს. ვოკვანწაფუანდით.

უკულ ვლაყაფენდით, ჭოფუას. ერთი, ართ მიდერულედ. მაჟია ეკოთხოზგდ. თი მუში ჯგუფშა ქიმიშგდა, უკულ ვსიო. თეყშა ოჭოფიკო ოკო. ოდო ათე რულა, გილებრულედით მთელ დღას. მინ ჯას გიმვოხედით, მინ გილებრულედით დო ისეთი ის გვქონდა, განვითარებული ის, კუნთები, ხეზე ასვლა, ჯაშ გიმახუნა დო ენა, დო ინა...

მა ჭიჭე ვორდინ, მუჭო ჭარუა დო კითხირ ქიდიბგურე, კითხირინ, ჯას დობგორუნდი, ჯგირო გომეხუნედგნ ფერყ ჯას დო თის ქიგმაბდოხოდუდ დო ბკითხულენდ ხმამაღალო წიგნის, ლექსის, პოემებს, ირფელს თექ ბკითხულენდყ. ათეჯგუა თავისუფლება მიღუდეს ბაღანეფს. ბრელ დრო მიღუდეს.

მივახიოლანდით. მუ დღესასნაულეფირდ ასე: ახალ წანა, თანაფა.

ახალყ კაბას დომჭანდეს თანაფას, თი ყვარილს, ყვარილ დო მუდგა ღვეზელი, ღვეზელ ჯოხოდ, მოგურძე პურის იმისგან გამომცხვარი რაღაცა, ყველით იყო სავსე... ღვეზელ დო ყვარილ ოკო მეუღიკო მორდიას. ინა თექ ხოლო დუგოხვამილუანდ საჩუქრებს. უკულ მთელ დღას ე კვერცხეფ მიკგნებუდეს დო მითიბლაყაფუდით ჩქგნ გემოშა სოდე-სოდე ადგილეფს ბძირუნდითგნ. თექ ბჯახუნდით დო თი არძოს ორჯგინანდუნ თი კვერცხის ვულუანდით. ქიანაშ კვერცხის ობჭკუმუდოთ დო ვემეცილებუდეს. კვერცხ ოკო ჭკუმკო მიდგაქ ტახუნ თიქ. თიშირდ კვერცხი.

ენა ლექსის დუმოგურუანდეს:

„აია რე, ბაია რე,
ბაიში ნორი თანაფა რე,
ქირსე რე დო კალანდა რე,
წაკურთხია დიდი დღა რე“.

ათეშ მიხედვით, ესეგ, ათე ლექსით მოგურუანდეს თი დღესასწაულეფს.

თარგმანი

კირთაძეები, ჩხეიძეები და კუხალეიშვილები ერთად ჩამოიყვანა დადიანმა კინჩხადან. კინჩხა ყოფილა მაღალი სოფელი, საკურორტო, გორდასთან ახლოს, სადაც ისვენებდნენ დადიანები. ოდა, რომ განთავისუფლდა ამ ენგურის სანაპიროები, მანამდეც ყოფილა ომები და ჟლეტა ხალხის, და ხომ უნდა დაესახლებიათ ხალხი. ჩამოყავდათ მთებიდან და აი ასე სამი გვარი დასახლდა რიყეში. ესე იგი, დადიანმა მოიყვანა სამეგრელოში, ზუგდიდში, კირთაძეები, ჩხეიძეები, რომლებიც იყვნენ სამეფო გვარის შთამომავალნი, და კუხალეიშვილები. დაასახლა თავისთან ახლოს, სადაც თვითონ დადიანს ჰქონდა სასახლე. ეკლესიაც ჰქონდა იქ. ჰოდა, თავისთან ახლოს ასახლებდა თურმე ლამაზ ხალხს, კარგ ხალხს, იმიტომ, რომ, როცა ავდგებიო დილით, მახინჯს რა ჩამახედებსო (რა მაყურებინებსო), ხეიბარსო. კარგი ხალხი უნდოდა მის ირგვლივ. ეს ვიცი.

ჩემი ბაბუა იყო გლახუა. ერთი ძმა, გლახუა, დასახლდა ზუგდიდში, ერთი კიდევ ოზურგეთის რაიონში, ნარაზენში, ჰოდა მესამე ძმა სახლობდა აფხაზეთში, სოფელ ბესლახუბაში. მისმა შთამომავლებმა ახლა, ომი რომ იყო მაშინ, გაწყვიტეს ქრისტიანები, ქართველები. გააფხაზებულები არიან უკვე. ჩემი მამიდაც, ორი მამიდა ასევე გათხოვილი იყო ოჩამჩირეში. ორივე ცოლად ეჯდა (ცოლად ჰყავდა) აფხაზებს. დიდი ურთიერთობა ჰქონდათ აფხაზებთან. ერთი ცოლად ჰყავდა ნარმანიას. მამიდაშვილი – გოჯო ნარმანია.

ის წელიწადში ერთ-ორჯერ მოგვაკითხავდა, თვალებს ჩაგვიკოცნიდა, უყვარდა ის თავისი დედულეთის მონახულება. ჰოდა, მეორე, გოჯოს მეორე ძმას შვილი არ ჰყავდა, იმას ბევრი ჰყავდა შვილები... მეორე მამიდის ქმრის გვარი არ მახსოვს, არ მინახავს არასდროს. არ მახსოვს სახელი და გვარი იმიტომ, რომ არ მინახავს არასოდეს. ის ნარმანიები აფხაზები იყვნენ. მეგრული კარგად იცოდა იმ გოჯომ. თქვენ შემოგევლეთო და თვალებს ჩაგვიკოცნიდა.

ახლა, სოხუმამდე ზუგდიდში რომ ვსწავლობდი, დადიანის შენობაში, თეთრი შენობა რომაა, პირველ სართულზე იყო ბიბლიოთეკა მეგრული წიგნების და იმიტომ ვიცი კლასიკური მეგრული, ზუგდიდური. ჩავიდოდით, რომ გვიცდებოდა ლექცია ან რაღაცა, ჩავიდოდით იმაში და ვიქექებოდი. სულელი ვიყავი თორემ, იქ რა წიგნები, რა მეცნიერება, რა ამბავი იქნებოდა. ისინი ხო, დადიანები, ყველა საზღვარგარეთ სწავლობდა. დავით დადიანი ინგლისში ნასწავლი იყო და ეკატერინე და ესენი საფრანგეთში... მეორე სართულზე ვიყავით ჩვენ და მესამე სართულზე იყო მუზეუმი. იმ მუზეუმშიც, როგორც კი გაგვიცდებოდა ლექცია, ავდიოდით და ვათვალიერებდით ამ ნაპოლეონ ბონაპარტის მაგიდა, ულურსმნოდ გაკეთებული, ნაპოლეონ ბონაპარტის ნიღაბი. ერთი ნიღაბი იქ იყო, ხომ?! ის პრინც მიურატის მოტანილი. პრინც მიურატი და ის იყვნენ მამიდაშვილ-ბიძაშვილები. ასე ამბობდნენ. იმ პრინც მიურატმა სალომე დადიანი, ეკატერინე ჭავჭავაძის გოგო (ასული) და დავით დადიანის, გაიცნო პარიზში. მოეწონა, ბალ-მასკარადი რომ იყო, იქ. ჰოდა აქეთ წამოჰყვა. როცა მოვიდა ახლა სიძე სამეგრელოში, ნახა ასეთი მიწები, ასეთი ამბავი და ჭკადუაშში მისცეს მიწა. იმ ჭკადუაშში გააშენა ოჯალეში პრინც მიურატმა.

ახლა ხომ ჩვენ შევდიოდით ბოტანიკურ ბაღში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი იყო სამწლიანი საშუალო დამთავრებულებისათვის. იმათ ისეთი კარგი სპეციალისტები ჰყავდათ, მე მერე უმაღლესში რომ ვისწავლე ეკონომიურ ფაკულტეტზე, არ გამჭირვებია

საგნების ჩაბარება. მერე თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი დავამთავრე ორმოცდაცხრამეტ წელს დაუსრებლად და ვმუშაობდი ქალაქ სოხუმში ფინანსთა სამინისტროში. იქ იმიტომ მოვხვდი, რომ ჩემი და გაანანილეს, აფხაზეთს არ ჰყავდა სპეციალისტები, ჰოდა პედაგოგი იყო, პედაგოგები გაანაწილეს. რომ დაამთავრა, მოხვდა სოხუმში. ჰოდა მეც იმან წამიყვანა. მე დედა და მამა არ მყავდა. ადრე დავობლდი და ბიძამ, დედის ძმამ, დამამთავრებინა საშუალო, ჯვარში. ახლა ისინი სულ დიდებული სამღვდელოების წარმომადგენლები ცხოვრობდნენ ჯვარზენში, სადაც ის ენგურჰესი რომაა ახლა, ის აქეთაა ენგურის ახლოს, ეს უფრო მაღალ ადგილზეა. ძოკია გეთია, ცხონებული... იქ სასაფლაო აქვთ. იქ ორი ეკლესია მდგარა, მაგრამ ორივე დამწვარი, ის, დანგრეული იყო. ჰოდა ამ ჩემი დედის ბიძაშვილები და ესენი... ერთი ეპისკოპოსი იყო, ეფრემი, ეპისკოპოსი, რომელიც მონაწილეობდა, დასავლეთ საქართველოს სამღვდელოებამ რაღაც პროტესტი განაცხადა, ის რომ ჩამოართვეს, საეკლესიო დამოუკიდებლობა, ავტოკეფალია, და იმის წინააღმდეგ გაფიცვა გამოაცხადა დასავლეთმა – საქართველოს, ქუთაისის, სამღვდელოებამ და იმიტომ დაიჭირეს ესენი ყველა. ესენი გვიან გავიგე, მერე „საბჭოთა აფხაზეთში“ გამოაქვეყნა ვილაცამ. ჰოდა ისე არ ვიცოდით მანამდე, რატომ გადაასახლეს. ეს ბაძაშვილები ესენი, ყველა ეს დიდებული ხალხი, შვიდი კაცი იყო გეთიები გადასახლებული, შვიდი. ერთიც არ დაბრუნებულა აქეთ. ასეთი ამბებია. მაგრამ ერთი გეთია როგორ არ გავიხსენო, მიშა გეთია, რომელიც სამამულო ომის დროს იდგა თეირანში. სტალინმა გაუშვა. ორ წელიწადს იდგა იქ. აი ის იყო, სამეულის ის ხომ იყო, კონფერენცია, ჩერჩილის, რუზველტის და სტალინის, მიშას ჯარი იდგა იქ ამათ დაცვაში. ის ერთი მიშა გადარჩა საცოდავი.

როგორ მიიყვანეს ახლა იქ. მაშინ, მაშინ საქართველოს ჰქონდა პოლიტიკა, როგორც შეიძლებოდა, სამეგრელო უნდა დაახლოებოდა საქართველოს იმიტომ, რომ სამეგრელოს უიმისოდ

საქართველო არაფერი არ იყო. მტერი მოადგებოდა თუ არა, თუ გვერდში დაუდგებოდა სამეგრელო, გამარჯვებული იყო. და გვაქვს ამისი მრავალი მაგალითი... სადაც გაიზარდა ალმაშენებელი...

იქ, მუზეუმში რომ ავდიოდით, იქ ბოტანიკურ ბაღშიც გავდიოდით, სადაც ნავი იდგა, იმ, რა ჰქვია, იქ წყალი ჩამწყვდეულია (დგას)... ტბასავით იყო შიგნით, წყალი რომ დგას-მეთქი... შიგნით ხომაა ბოტანიკურ ბაღში. ჰოდა, იმ ნავით ჩავსხდებოდით და შუა ადგილას იყო კუნძულივით, პალმა იდგა, ყვავილები რაღაცა, იქაც შევდიოდით. და იქ იდგა ერთი შენობა, როგორც დიდი კარებით შევიდოდით, დამწვარი შენობა იყო, დამწვარი, აგურის შენობა, და მაშინ ვიცოდით, რომ ის დაიწვა, სასახლე, დადიანების სასახლე. და მერე გავიგე, რომ ის შენობა იყო სალომე დადიანის და პრინც მიურატის. ახლა პრინც მიურატმა ოჯალეში ხიმ ჩამოიტანა და გააშენა ჭკადუაშში, გაზეთი წაიკითხა, იმ გაზეთის სახელი, რა თქმა უნდა, მე არ ვიცი, წაიკითხა, რომ დაიწვა პრინც მიურატის სახლი ზუგდიდში. ხოდა, თან წერია, რომ ესო დანვაო, რომ დიდი ის აელო, დაზღვევის ფული. აი, როგორ მოიკლა თავი პრინც მიურატმა. ეს ხომ წაიკითხა გაზეთში, ძველ გაზეთში, ეს იყო ალბათ ათას ცხრაას პირველ ათეულ წლებში, მეოცე საუკუნის დასაწყისში. იმის მოურავი იყო დავით ჭითანავა, კიდევ ახალგაზრდა კაცი, რომლის დაც შემდეგ ჩემს დეიდაშვილს ჰყავდა ცოლად. ამიტომ ვიცი ეს ყველაფერი. და პრინცმა ხომ წაიკითხა ეს ცილისწამება, ის იყო საფრანგეთის პრინცი, რომელიც სამეფო ოჯახს ეკუთვნოდა, ნაპალეონის მამიდაშვილი, დეიდაშვილი..., და იუკადრისა... შევიდა, ეტყობა, და ამ დავითმა, მისმა მოურავმა, გაიგონა, რომ გავარდა თოფი. თოფი გავარდა და შევიდა იმიტომ, რომ ისიც ახლოს ცხოვრობდა იქ. სადაც პრინცის სასახლე იყო, იმის წინ ცხოვრობდა ის დავით ჭითანავა. და დავითმა ნახა, რომ ეს ამხელა კაცი გაშხლართული წევს. ესე იგი თავი მოიკლა. ჰოდა, ცოლს რა უთქვამს... ცოლს

უსაყვედურა, ეტყობა, რატომ ქენიო ესო. რაო, შენი ხომ არ იყოო. შენი ხომ არ იყოო და შენ რა გენაღვლებაო და ამის ეს ვერ აიტანა. ანუ ცოლს გაუკეთებია ეს კომპენსაციის ასაღებად და ის კაცი გალანძღეს. და ეს შეურაცხყოფად მიიღო ამ კაცმა.

მე უცებ დავიწყე მუშაობა ქალაქის საბჭოში, ზუგდიდში. დასუფთავების სამმართველო, სახერხი ქარხანა და ავეჯის სახელოსნო, ბუღალტრად ... იქიდან მერე ჩემი და ხო იყო (მე დედა ხო არ მყავდა) უფროსი და , რომელიც სოხუმში იყო, ჩამოვიდა ერთ მშვენიერ დღეს და წამიყვანა იქით, სოხუმში. სოხუმში ვიმუშავე, ფინანსთა სამინისტროში ვიმუშავე. კარგი ის მყავდა, მათითაშვილი, მინისტრი., ისეთი კარგი ფინანსთა მინისტრი, კარგი ფინანსთა მინისტრი იყო. სტალინი სოხუმში იყო სულ, ხომ?! სტალინის მადლობებით ჰქონდა კაბინეტი სავსე. მიჭედებული ჰქონდა კედელზე. ისეთი სამინისტრო იყო. საბიუჯეტო განყოფილების ინსპექტორი ვიყავი, დაფინანსებაზე ჯანმრთელობის და განათლების. მერე რა... მერე გავთხოვდი... სოხუმში ვცხოვრობდი 49 წლიდან 93 წლამდე. სადაც გავხდი დამსახურებული ეკონომისტი, შრომის ვეტერანი... და ასე...

– შენი ბაბუა როგორ მოხვდა ზუგდიდში?

– ბაბუა როგორ... დღეობა არის რაღაცა. ამ ხონის ახლოს არის ის გორდა და კინჩხა არის მაღალი საკურორტო ადგილი, მთაში. ჰოდა დადიანმა გაუმართა დღეობა, ცხენოსნობა, ცხენოსნობა ძალიან გავრცელებული იყო. და ჩემი ბაბუა ათამაშებდა ცხენს, ცხენს ერქვა ჰქვია კუკლა. ჰოდა გამოვიდა ჩემი ბაბუა, გლახუა. აათამაშა ცხენი. რომ აათამაშა და კარგი. ამის მეტი (გარდა) ხომ ბევრი არიან მეცხენეები, ან მარულაა, ან ავარჯისებენ ამ ცხენებს, ცხენბურთი იმართებოდა, ასი რაღაცა ამისთანა, და მოეწონა დადიანს, მუშნი დადიანს, მოეწონა ამ ჩემი ბაბუის ცხენი. პატარა ცხენია, მაგრამ ისეთ რაღაცებს აკეთებს... და ისე ეს დადიანები ყველა სპორტსმენები იყვნენ. თეიმურაზ ბატონიშვილს

მოვსწრებივარ მე. მოხუცებული კაცი იყო. მას არ შეეძლო წასვლა საზღვარგარეთ და დედაჩემი საჭმელს რომ გააკეთებდა, დამაკავებდა ხელში და გადამქონდა ეს საჭმელი ამ დადიანების ეზოში. ის ცხენი მომეწონაო, თქვა დადიანმა, ხომ, ჩემი ბაბუის. ეს უთხრეს გლახუას, შენ ამოგირჩიაო. რომ აითამაშებდა თურმე, ეს მისი კუკლა აათამაშა ამ დადიანის წინ და ჩამოხტა და აღვირი დააკავა ხელში. ესე იგი აჩუქა ეს ცხენი. იმ ცხენის საფასურად თავისთან ახლოს ჰყავდა ხომ, მიწები უბოძა სამეზობლოდ, კაცი (არავინ) არ იყო ჩასახლებული (არ სახლობდა ჩვენ შორის). მეზობლად იყვნენ ერთი სიტყვით და კარგი მიწები და რაღაცა მდინარის პირას... თვითონ ხომ არ მუშაობდნენ ისინი, უკვე ნასულები იყვნენ. ისინი იყვნენ ყველა აგრონომები, რაღაცები და იმის ახლოს კარგი იყო ცხოვრება. ჩემი უფროსი ძმები და და – ყველა დადიანის მონათლული იყო. ჩემს დას ჩონგური აჩუქა დადიანმა, ელიკოს. იმ ჩონგურით ვისწავლე ჩონგურის თამაში (დაკვრა).სადაფით იყო გაწყობილი. ესე იგი, ნათლიამ დადიანის ქალმა აჩუქა ჩონგური. ასეთი ის მიდიოდა, ენგურის პირას უნდა დაესახლებიათ ხალხი და ამას მოყვა ეს ჩემი ბაბუაც. დაასახლეს.

ეს ბაბუა, მთაში გაზრდილი კაცი და რაღაც რომ იყო, ამ ენგურზე მიდიოდნენ, ენგუზე შეშა ჩამოჰქონდა. სვანეთიდან ჩამოჰქონდა შეშა. იმას კაუჭებით იჭერდნენ იქ და აგროვებდნენ. იქ აშრობდნენ, მერე მოიტანდნენ ურმებით სახლში. ჰოდა ერთ დღეს წავიდა და დაიკარგა, ნუ, დამხრჩვალა იქ. დამხრჩვალა და ეძებენ ყველანი. ვერ მოიძებნა, ისე დამთავრდა ოთხი დღე, ოთხი-ხუთი დღე. დედაჩემი ყოფილა ორსულად., ჰოდა სიზმარი ნახა: შვილო, ელენეო, იქ რატომ მეძებენო?! მეო ამდენი მეტრით, არ მახსოვს ახლა, ვარო დაბლაო. წავიდნენ და იქ გადაზომეს თურმე და მივიდნენ და იქ ნახეს. ასეთი ამბებია.

ჰოდა ახლა ტირის ბებია თურმე. მე რომ ბავშვი ვიყავი, ოჰ, ეს ანიკეს შვილიშვილი არისო, იტყოდნენ, და ის რომ მოკვდაო,

გლახუაო. ტიროდა თურმე, არ იცოდნენ მეგრული, ხომ არ იცოდნენ. მამაჩემმაც არ იცოდა კარგად, ჩიქორთულად ლაპარაკობდა ნახევარ იმას, ნახევარ ამას. და მერე ჩვენ, ჩემმა ძმებმა და ჩვენ, ვიცოდით მეგრული. დედა გვყავდა მეგრელი და იმიტომ. „ჰოიდა, ჰოიდა, შე უბედუროეი და გლახუეი და, რა გინდოდა და მდინარე ენგურში დააა..." – ამის მეტი მეგრელის ქალებმა არ იცოდნენ ქართული, ჰოდა იმიტომ ამას იმეორებდნენ, ასე ტიროდაო ანიკე კუხალეიშვილი, კუხალიშვილი. ქართული ისწავლეს. სკოლაში არ უშვებდნენ. ჩემი მეზობლები, იყვნენ ისეთები, სკოლაში ბავშვებს არ უშვებდნენ ჩემ დროს...

მე დავიბადე ათას ცხრაას ოცდაშვიდ წელს და სადღაც ოცდაცამეტ წელს იყო თუ რომელიღაცაში წავედი სკოლაში. იქ მასწავლიდა არსენა ხვინგია. კარგი კაცი, განათლებული. მღვდელი იყო, მაგრამ რაღაცნაირად გადარჩა ალბათ იმ გადასახლებებს. დედაჩემთან ჩამოდიოდა ხშირად, ორი კილომეტრი იყო მისი სახლიდან ჩვენს სახლამდე, მაგრამ მოვიდოდა, რაღაცა ამბებს იგებდა ალბათ, ბავშვებს ვინ გვეტყოდა ამას. მერე მეორე კლასიდან მოვიდა ჩვენთან ტექნიკუმდამთავრებული ჩვენი მეზობელი, კიდე ჩვენს იქით ცხოვრობდა ენგურის პირას, კოლია ბაკარაძე. ბაკარაძეები კარგი მეზობლები იყვნენ ჩვენი. კოლია მეორე კლასში მასწავლიდა ბაკარაძე, მერე ეტყობა იმან უმაღლესი დაამთავრა, მაშინ ტექნიკუმდამთავრებული იყო, და საშუალო სკოლაში გადავიდა მერე, ჩხორიის საშუალო სკოლაში. ახლა როგორ იყო, წვიმა არა, თოვლი დევს, „ობირგულეს" (სამუხლედ) იტყოდნენ, მუხლამდე. ესე იგი მეტრამდე არაფერი არ აკლდა და მე სკოლას გავაცდენდი?! ტყავის ფეხსაცმელი ჩამაცვეს, კოლიამ გამომიარა, ამომიჩარა (იღლიაში ამომიტაცა) და წამიყვანა სკოლაში სამი კილომეტრი. მივედით იქ, კაცი არაა (არავინ არაა). რამდენი წლის ვიქნებოდი მე, რვა, შვიდი-რვა. ესე იგი, გაცდენა არ მიყვარდა და ვსწავლობდი. ეს მათემატიკა ვიცოდი. იქ ვსწავლობდი, იქ მასწავლებლებს

ვუსმენდი და ისე. წინ ვეჯექი ყოველთვის. რაიმე კითხვას რომ დასვამდნენ, უცებ ვაძლევდი პასუხს. დიახ, ბატონო. ეს კოლია ბაკარაძე. ვალდებული ვიყავი მის წინაშე, კარგად რომ მესწავლა მერეც. ის კოლია მერე სოხუმში იყო განათლების განყოფილებაში, ინსპექტორი იყო სამინისტროში. მერე სერაპიონი გვაფრთხილებდა ყოველთვის, ისწავლეთ და ისწავლეთო. მეძლეოდა, თავისუფლად მეძლეოდა ის სწავლა.

დადიანების და იმათი გეგმა იყო, საერთოდ სამეგრელოსთვის უნდა ესწავლებინათ ქართული. იმიტომ ვთქვი, სკოლაში არ უშვებდნენ, ეს, ის-მეთქი. ესე იგი გაუნათლებელი ხალხი იყო, მაგრამ მშრომელი ხალხი. ხოდა, ილია ჭავჭავაძემ რომ თქვა, სამახსოვრო დღეო, ყველაზე უფრო რომელი დღე დაგამახსოვრდაო და რა თქვა თუ იცი, სენაკში რომ ქართული სკოლა გახსნა. ახლა მე რატომ ვუკავშირებ, იმიტომ რომ აი იმ პერიოდში იყვნენ მოხვედრილი ჩემი ბაბუა და ისინი. რომ გადაასახლეს. წინააღმდეგობები ჰქონდა ქართველებს. ეს მეგრელი ბიჭები გადმოდგებოდნენ იმ ქვის ღობით რომ იყო იმას, და „ბაჭამ ქორთუეფი!" (–„ტკიპიანი ქართველები") და აღიზიანებდნენ ჩვენს ბიჭებს. ხშირად იმართებოდა ასეთი ჩხუბი. ქართველი იყო ესე იგი ტკიპიანი ქართველი. რა იყო ეს „ბაჭამ" (–ტკიპიანი), არ ვიცი. ახლაც არ ვიცი, რა იყო. იყო ერთი ამბავი. იმიტომ იყო მერე, იმ მეზობელს ჩემი თავი მოანათვლინეს... ასე მირონს ღებულობდნენ რაღაცა და უკავშირდებოდნენ ერთმანეთს ნელ-ნელა და გაითქვიფნენ მერე. დედა ხომ მეგრელი იყო. მეგრელი ქალები მოჰყავდათ, იმათ კიდევ ის ქართველები მოჰყავდათ, რაღაცა და, გაქართველდა და სამეგრელო ისე გაქართველდა, არ თმობს ქართულს. მიუხედავად იმისა, რამდენი აგიტაცია იყო ახლანდელი ომის დროს, „დაჟე" გალელი მეგრელები რომ ისო, მეგრული ენა შემოიღეთო, ის ქენით, ეს ქენითო, მაგრამ არა. ყველაზე უფრო ერთგული საქართველოში მეგრელია ქართველების. და ეს არ იციან.

აფხაზებთან, როგორც ვთქვი, ორი მამიდა ხომ იქ გვყავდა. ჯერ აფხაზეთში მიდიოდნენ ის კუხალეიშვილები, ისინი ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, ცხენებზე ამხედრებული, ჩვენ გამოგვივლიდნენ და მიდიოდნენ აფხაზეთში. იქაც ხო იყვნენ კირთაძეები. და ერთმანეთში იყო ცოლის მოყვანა, გათხოვება. იქით არა, გუდაუთისკენ არა, აი აქ, ოჩამჩირის რაიონში. დიდი მიმოსვლა ჰქონდათ იქით-აქეთ, დიდი სიყვარული, ნათესაური კავშირები. იქაურს ვიცნობდი სტეფანე კირთაძეს. ის არ ეწერა (არ იყო ჩაწერილი) აფხაზად. აფხაზად იყო ჩაწერილი ოჩამჩირის რაიონის რომელიღაც სოფელში ისინი რომ გააფხაზდნენ, მაგრამ ურთიერთობა აქვთ კირთაძეებთან. ჩემი ძმისშვილები, და ჩემი ძმა და ისინი ხვდებოდნენ ერთმანეთს და იმათაც იციან, საიდან არიან, რა არიან, მაგრამ ამ აფხაზი დედებიდან... მერე აფხაზეთში ხომ იყო პოლიტიკა, აფხაზურ სკოლაში თუ არ ნავიდოდა, სხვა სკოლა არ ჰქონდათ. თანამდებობას ვერ იშოვიდნენ. და გადააფხაზეს ბევრი მეგრელები, ქართველები. ეს ლაკობას პოლიტიკა არისო, იტყოდნენ მაშინ. და ის ვინ იცოდა, აქეთ ამ აფხაზებს და იმას ვინ ეჯდა (ჰყავდა ჩასაფრებული) მტერი. ეს რუსი იკაფავდა გზას ყოველთვის ამ პატარა ერებში, რომ სპობს, ის უნდა, ის უნდოდა, ეტყობა, ახლაც ის უნდა... კვიციანი რომ გამოვიდა, ჩვენ გადაგვყლაპავსო რუსი და ჩვენ პატრონი არ გვყავსო. უკვე იციან. მაგრამ მაშინ რუსის ძალას რა დაუდგება წინ.

ჯვარში, ჯვარზენში იმართებოდა ჯარალობა (ჯაროობა – ხალხის თავშეყრა), ერქვა „ჯარალუა“. ამ ჯარალობაზე მოდიოდა მთელი ზუგდიდი, ეს ენგურის სანაპირო. იქიდან ჩამოდიოდა ლეშამგე, ჩქვალერი (სოფლებია) და ჩქვალერელი ქალები აკეთებდნენ ნაბადს. თეთრ ნაბადს გააკეთებდნენ და ჩააკრავდნენ ვიწრო ღელეში. თვის ბოლოს, სავსე მთვარე რომ იყო, მაშინ გამოდიოდა რაღაცა „ლების“ ეძახდნენ. (ლები – ჭაობის მოლურჯო მიწა, იყენებდნენ შალეულის შესაღებად). ისეთი იყო, იცი, რაღაცა. იმაში ჩამარხავდნენ იმ თეთრ ნაბადს. და მერე გამოიტანდნენ

და შავი იყო. მცენარე არ იყო, მიწა ამოდიოდა, როცა სავსე მთვარე იყო . თხელი იყო, თხელი. „ლები", აი ის რომ მოზილო, მჭადი, ასეთი ფერი, ნაცრისფერი რაღაც. ის ახლაც ისეა იქ, ახლაც იქ ცხოვრობენ ფიფიები, ქანთარიები და იმათი ქალები აკეთებდნენ ამას, მეცხვარეობა იყო იქ, მატყლისგან.

ჯარალუა, ესე იგი ვაჭრობა, სავაჭროდ მიდიოდნენ ეს ცხენოსნები, ცხენებიც იყიდებოდა, ყველაფერი იყიდებოდა. ჰოდა, დედაჩემი დგას ზევით აივანზე. გადაჰყურებს იმას. ამ დედაჩემის სახლში, ძოკია გეთიას სახლში, ცხოვრობდა რუსი ცოლ-ქმარი, ტყის მცველები, ეგერები, და ძალიან განათლებული იყო ქალი. რუსული იცოდა დედაჩემმა კარგად. პირველი მონვევის დეპუტატი იყო დედაცემი ადგილობრივი, სოფელ რიყეს სოფლსაბჭოსი. რუსული კარგად იცოდა და რომ უყურებენ, ამ ცხენოსნებმა ამათ ხან გააჯირითეს ეს. ჩემი მამა ლევანტია მოეწონა მას და ეს კეკელა, მერე ელენეს ეძახდნენ, კეკელა ერქვა ქალიშვილობის სახელი. და მოეწონათ მამაჩემი, ეს ცისფერთვალა, ქერა თმებით, მაღალი კაცი ასეთი და კაი ცხენოსანი. ლევანტია ცუდი იქნებოდა, გლახუას შვილი, დადიანს რომ მოეწონა მისი ცხენოსნობა?! შვილებსაც ისე წვრთნიდნენ, ეტყობა. ჰოდა ესაა, დედაჩემი მიათხოვეს ამ ჯარალობის შემდეგ იმას. ასე მოხდა მერე გაცნობა ეს ის და, ჰოდა ახლა რატომ მოვყევი ამას, ჩვენც დავყავდით ზაფხულში ბავშვები. ის ჯვარი მაღალი ადგილი იყო, კურორტი ადგილი იყო, მერე წყალი კარგი არის, ჰაერი კარგია.

მოდის ლევანტია იქიდან ამ ენგურის პირით, ენგურის პირით უნდა გამოგევლო ლია, ტყაია და მერე არის რიყე (სოფლებია). მერე ენგურია ჩასასვლელი და რაღაცა. ნაბდით, ცხენით, გააჩერეს ყაჩაღებმა ამ ლიაში, ლიაში არა, იმ ტყაიაში ცხოვრობდნენ თურმე ცუდები (გლახები), იქ ჩაასახლებდა ხოლმე დადიანი, რაღაც რომ არ მოსწონდა, ისეთ ხალხს... ჰოდა, მოიხადე ნაბადიო. კი ბატონოო, უთქვამს მამაჩემს, მაგრამ ეს ნაბადი იმან

მათხოვაო, მუშნი დადიანმაო, და როგორ მივიდეო, იმისი არისო... და მოიცვი ესო და წადიო და ცხენს დაარტყეს ხელი უკან და გაუშვეს. ესე იგი ისე იცავდა ის დადიანი ამ ხალხს. სახელოვანი იყო. პატრონობდა თავის ხალხს. ალბათ გაფრთხილებული ჰყავდა, ახსენეთ ჩემი სახელიო. თან ვაჟკაცი იყო თურმე, ისეთი ვაჟკაცი, აი კინოში რომ გვაჩვენებენ. ომარ მარღანია და ვიღაცები ისინი ვერაფერს ვერ აკლებდნენ. არც გაუბედავდნენ. და მერე იმათი მოდგმა და ისინი ჩარჩნენ საზღვარგარეთ, არა? და ის თემრაზი შეგვრჩა იქ. მოხუცებულ თემრაზს უვლიდნენ მეზობლები. თემრაზი მახსოვს, ისეთი ლამაზი მოხუცებული კაცი იყო და იტყოდნენ, თემრაზი ისეთი ის იყოო, სპორტსმენი, გაჭენებულ ცხენს სამჯერ ამოუვლიდა თურმე, გადაახტებოდა და... მოჯირითე, სპორტსმენი. ამ წელს იზომავდნენ ყოველთვის. იმ ლებარდეში რომ ადიოდნენ, იმას წესრიგში მოჰყავდა. მუცელი გამობერილი და ის კი არა, წელი თავის ზომაზე უნდა ჰქონოდა. მისდევდნენ ამ სპორტს, ცხენოსნობას.

და მერე რა იყო? მერე ომი და ომის საშინელება...

– ბავშვობაში ზღაპრები არ იცოდით?

– პირველი ზღაპარი ბავშვობის მახსოვს: ოთხი-ხუთი წლის რომ ვიყავი ისე, ჩემი უფროსი ძმა ტრიფო ყოველ ღამე, როგორც დავწვებოდით, ერთ და იმავეს, „ქუდი კუნჭულე კანწილე"-ს ზღაპარს მიყვებოდა... „ქუდკუნჭულე" – ესე იგი, წვეტიანი (კონწიალა) ქუდი იყო რაღაცა და „კანწილე" (რწევით მავალი) კაცი, ასე რომ იცის სიარული ისეთი, რომ იპრანჭება ისეთი. ამას იმიტომ ერქვა, მერე რომ დავაკვირდი. ათი ძმები, ცხრა ძმები იყვნენ, ცხრა ბიჭები, ესე იგი, ძმები და უმცროსი ძმა იყო ყველაზე უმცროსი ეს ქუდკუნჭულე კანწილე. დიდები რომ გახდნენ, რომ გახდნენ საცოლოებად, წავიდნენ საძებნად საცოლეების. უნდა მოიყვანონ ის ცხრა და. უნდა მოძებნონ ცხრა და. გადაიარეს ერთი მთა, მეორე მთა. მიდიან მთელ დღეს, მიდიან და დაუღამდათ.

რომ დაუღამდათ, ნახეს, სახლიდან ამოდის კვამლი, ესე იგი იქ ცხოვრობს ვიღაცა. ჰოდა მივიდნენ და დაუძახეს: – ეი, მასპინძელო! და იმან მისცა ხმა (გამოეხმაურა): – ოოოოოოო, ვინ არის აქო?... ნახეს, რომ დევია, მაგრამ სად შეძლებენ წასვლას, კართან დგანან, დევის სახლის კართან. ძველად ნამდვილად ცხოვრობდნენ თურმე ეს დიდ-დიდი ხალხი, დევებს უძახდნენ. და იმათგან, ჩვეულებრივი ადამიანებისგან შორს იყვნენ, ტყეში. კაცსაც ჭამდნენ, თუ შიოდათ და რაღაცა. ამიტომ მოსდევდა ხალხი და კლავდნენ. ამიტომ ისინიც უფრთხილდებოდნენ თავს. დიდები იყვნენ, ვეებერთელა და ბანჯგვლიანები იყვნენ. ოხოხოხო! და, ღამეს გაგვათევინებთო? და, მობრძანდითო, უთხრა. და შევიდნენ, რა გზა აქვთ, რომ არ შევიდნენ. შევიდნენ, ჰოდა ამაღამ, ღამეა უკვე, სიცივეა. და ესენი დააწვინა ცხრავე ერთ დიდ ოთახში. ამ დევს ჰყავდა ცხრა გოგოები, დები...

მაგრამ თითქოს ძინავთ ახლა, ასე რომ იცის (ჰგონია), ამ დროს, წავიდა დევი დაანთო ის ცეცხლი, ჩამოკიდა დიდი ქვაბით წყალი... „კარდილაში“ (დიდ ქვაბში) ჩადიოდა სამი-ოთხი ფუთი წყალი, დევი რომ ასწევდა და ჩამოკიდებდა. ამის ადულებამდე ისინი დაიძინებენ და მოკლავენ და ჩახარშავს აქ ამ ქუდკუნჭულა კანწილეს ძმებს. და დაუძახა: – ქუდკუნჭულე კანწილეე!... – ბატონო, – ამან დაუძახა. – არ გძინავთო?... – დევს უნდა, რომ ეძინოთ. – არაო, შემაწუხაო შენი თხების ბაკაბუკმა, თხებმა არ დაგვაძინესო, გომურში ბაკუნობენო... წავიდა დევი და ყველას თავი მოჰკვეთა თხებს. წამოვიდა და ისევ დაუძახა: – ქუდკუნჭულე კანწილეეე!... – ბატონო! – იმან დაუძახა. – რატომ არ გძინავთო? – და, – შენი ცხენების ტორების ბრახუნმა არ დაგვაძინაო... წავიდა და ეს ცხენებიც გაწყვიტა. დაბრუნდა. ისევ დაუძახა: – ქუდკუნჭულე კანწილეეე!... – ბატონოო! – უთხრა მან, ჰოდა, – არ გძინავთო? – და – არაო... – ახლა რა გაწუხებთო? – შენი ძროხებიო ბღავიანო... ესძროხებიც გაწყვიტა და ამდენ ხანს გათენდა.

გათენდა, ალიონია, ამ დროს გააღვიძა თავისი ძმები. ესენი დაძინებული არიან, ხომ სძინავთ მთელ ღამეს. იმ დევის გოგოებს იქით სძინავთ, სხვა ოთახში. გააღვიძა ესენი, არიქა, გაიღვიძეთო და წავიდეთო უნდა. შევიდნენ ამ გოგოებთან, ამათ თავი მოჰკვეთეს და თავიანთ ლოგინში ჩააწვინეს. ჰოდა გაიქცნენ. მირბიან, მირბიან... ახლა დევი როდის შევა მათთან, მერე ხომ ნახავს, რა ამბავია და გამოედევნება. ჰო, მირბიან, მირბიან და მდინარე აქვთ, წყალი აქვთ გასასვლელი. დგანან აქ, რით შევიდნენ... წყალია ჩქარი წყალი, მთის წყალი და როგორ შესცურონ ამაში.

ამდენ ხანში გაიგონეს, დევი შევიდა, იკითხა და ხმა რომ არ გასცეს, ე, გავკეთდიო, და გამუოტანია ერთი და ჩააგდო მოსახარშად, ჰოდა მერე რომ შეხედა, ეს ქალია ხომ, გოგო, და მიხვდა... და გამოეკიდა... მოღრიალებს და მოდის დევი. იქცევა მთა, მიწა, ხე – ყველაფერი კანკალებს, ისეთი ხმა აქვს დევს. ჰოდა მორღიალებს, მაგრამ მის მოსვლამდე წააქციეს ერთი ხე ჰოდა გადავიდნენ მეორე ნაპირზე. იმ მოვალი (მომდინარე) წყლის დევსაც ეშინია, ეტყობა. მოვიდა დევი და ნახა, ესენი გაღმა რომ მირბიან იქით. ეს ხეც ნახა და რომ ავიდა ამაზე, ჩაუტყდა და ჩავარდა იქით და ჩაიხრჩო იქ. და გადარჩნენ ეს ძმები. გადაარჩინა იმ უმცროსმა ძმამ.

ამდენხანს მეც დამეძინებოდა, ეტყობა, და ამის მერე არ მახსოვს.

ბავშვები რომ შევგროვდებოდით ღამით, სადაც დიდი ცეცხლი ენთო, შუა ცეცხლი ენთო, ვუსხედით (მიმსხდარი ვიყავით) ცეცხლას და ვლაპარაკობდით. ზოგი ზღაპარს იტყოდა, მერე ვეჯიბრებოდით, „ე მუორე მუორე“ (თამაშის სახელი – ჰე რა არის, რა არის), „ე მუორე მუორედან“ თუ ახსნიდა ის მეორე მხარე... დავჯგუფდებოდით ვინ ვისთან იქნებოდა... თუ ვერ ახსნიდა, მაშინ: – მომეცი ლენინგრადი. ქალაქებზე ვნიზლაობდით. ის პარიზი ჩემი იყო, ის იმისი იყო, ის იმისი იყო, და ასე... და იმ „ე მუორე

მუორეში“, მაგალითად ვიტყოდით: „ჩემი პატარა თვალი ცამდე მისწვდებაო“. ცემი პატარა თვალი ცამდე წვდებაო. თუ შეძლებდნენ ახსნას (გამოცნობას... თუ ვერ შეძლებდნენ ახსნას, ერთი ქალაქი ჩვენი იყო – ლონდონი გინდოდა, რომელი ქალაქი გინდოდა. ასე გადიოდა ღამე და გვიანობამდე არ ვწვებოდით. ისე, დიდი ღამეები მოდიოდა ხომ ზამთარში, ცეცხლს ვუსხედით.

– „ე მუორე მუორეს“ კიდევ რას იტყოდით?

– ჰე რა რაის, რა არის, მოდის და მოიპანღურება, მივა და მიაკვდება?

– ჰოდა, რა ყოფილა?

– წისქვილის წყალი. მიდის წყალი, ხომ მიდის, და მერე იქ რომ ჩავა, ბორბალს რომ მოხვდება, მივა და მიაკვდება. ისე წისქვილის ღარი ჰქონდა მიდგმული და ის ჩადიოდა. კიდევ, მაგალითად, „კატა ღაწვით კიდია“. ეს იყო საბუდარი. საბუდარი – ქათმები სადაც კვერცხს დებდნენ, ხომ? ერთი ხელი ჰქონდა და ცალი ღაწვით ეკიდა საბუდარი.

– და რას ნიშნავდა?

– საბუდარი, ქათმები სადაც დებდნენ კვერცხს. სადაც წიწილებს ჩეკდნენ. ბუდე.

კიდევ ასეთი რამდენი რაღაცები ვიცოდით, ასამდე ვიცოდით. ესე იგი, ვინ დაიღლებოდა, ვინ არ დაიღლებოდა. და ასე ვწვრთნიდით ერთმანეთს.

ვთამაშობდით დღისით. დიდი ეზო ვისაც ჰქონდა, ჩვენ დიდი ეზო გვქონდა, ჩვენ დიდი ეზო გვქონდა, ჩვენ დიდი ეზო გვქონდა, თან ყოველთვის გადაცოცხილი (გადახვეტილი), გადაწმენდილი. და ვგროვდებოდით და ვთამაშობდით: „აფტო, პიტო, პარპალიტო, ვასკო, ვისკო, დომ“. ვისაც მოხვდებოდა, ის იმალებოდა, ის დომ. „ატო პიტო პარპალიტო“ იტყოდნენ, ეს თურქული არისო. არა? არ ვიცი. და მეგრელები ვხმარობდით.

მერე ვთამაშობდით, საქანელა გვეკიდა და ხო-ხო.. აქეთ, იმ

ხეზე რომ ეკიდა, იმ ხის ტოტს უნდა მირტმყოდა ზურგი და აქეთ ის ფეხები ერთმანეთს. ვაქანავებდით.

მერე ვთამაშობდით დაჭერას. ერთი გაიქცეოდა, მეორე მისდევდა. ის თავის ჯგუფთან თუ მივიდოდა, მერე მორჩა. მენამდე დაგეჭირა უნდა. ჰოდა ეს სირბილი, დავრბოდით მთელი დღე. ხან ხეზე ვიჯექით, ხან დავრბოდით და ისეთი ის გვქონდა, განვითარებული ის, კუნთები, ხეზე ასვლა, ხეზე ჯდომა და ეს, და ის...

მე პატარა რომ ვიყავი, როგორც რომ წერა და კითხვა ვისწავლე, კითხვა, ხეს მოვძებნიდი, კარგად რომ სემეძლო ჩამოჯდომა, ისეთ ხეს და იმაზე შევჯდებოდი და ვკითხულობდი. ასეთი თავისუფლება გვქონდა ბავშვებს, ბევრი დრო გვქონდა.

მიგვიხაროდა, რა დ დრესასწაულები იყო, ასე: ახალი წელი, აღდგომა.

ახალ კაბას შეგვიკერავდნენ აღდგომაზე, იმ ყვერულს (დაკოდილ მამალს), ყვერულს და რაღაც ღვეზელს, ღვეზელი ერქვა მოგრძელო პურის იმისგან გამომცხვარი რაღაცა, ყველით იყო სავსე... ღვეზელი და ყვერული უნდა მიგეტანა ნათლიასთან. ის იქ კიდევ დაგახვედრებდა საჩუქრებს. მერე მთელ დღეს ეს კვერცხები გვეჭირა და ვთამაშობდით ჩვენს გემოზე სადღაც-სადღაც ადგილებს რომ ვანახავდით. იქ ვაჯახებდით და იმ ყველას რომ აჯობებდა, იმ კვერცხს ვუვლიდით (ვუფრთხილდებოდით). ქვეყნის კვერცხს ვჭამდით და არ გვწყენდა. კვერცხი უნდა ეჭამა, ვინც გატეხა იმან. იმისი იყო კვერცხი.

ამ ლექსს გვასწავლიდნენ:

„აიაა, ბაიაა,
ბაიას სწორზე აღდგომაა,
შობაა და კალანდაა,
წყლის კურთხევა დიდი დღეა".

ამის მიხედვით, ესე იგი, ამ ლექსით გვასწავლიდნენ იმ დღესასწაულებს.

ჯგირო ვორდით აფხაზეფნკგმა, გვალო ჯგირო. გილეფშით ართიანშა. საჩუქრეფით მიშეს. ართ მეშოკ შანქარ ვაჩუქი ჩხუპიშ დოჭყაფაშახ კვარჭია რდგ დო მატუა დო ინეფს დო აშო ტყარ ღეჯი, კურდღელი, შამპანური მუშ ოჯახიშ ნაკეთებ დო თენეფით დო ართიანც პატის ფცენდით. უკული კოჩარაშე გიშამიონ თინა რდგ, გარგანჯია ოთარ, ნამუთუ სქუა დუვცილეს, მუმა დუვილეს, მარა გვერდ სოფელ თიქ გიშეცუნ, თი გარანჯიაქ. დო თვითონ აფხაზებქ დამიცვეს. ხო ქინოფსქიდით ჩქი აფხაზეთის, მშვიდობიან მოსახლეობა. აფხაზი რე ჩქინ ნოსაშ, ინეზაშ, დიდა. ჯოპუა რე. დო პირიქით მუშ ჯიმალეფს გამოთხოზაფუდ, სო რე ჩქიმ მარგალ მოთალეფია დო თაში. მა მაგალთო პირადო შემლებ ბთქუენ, ოთხონეჩ პროცენტ მა მუთ წარმატებაშა მინჭირინუაფ სოფელსგნ, თინა რდგ აფხაზეფ, დოჭყაფილი კომკავშირიშ რაიკომიშ მდივანშე პარტიაშ რაიკომიშ მდივანიშ ჩათვლით.

ჯგირ დო ფურს ართო ვორდით. ჯგირ დამოკიდებულება მიღუდეს. ნოსათ პუნდეს, სინჯათ პუნდეს, იშოთ, აშოთ. ჭლოუს ჩქიმ დეი ცხოვრენდგნ, ჭლოუ აფხაზურ სოფელი რდგ, მარგალეფ ვამჩქგ ასე თექ მუსხი ოჯახი რდგნ, იცუაფუდ ართ ვით, ვითოჟირ, ვამჩქგ მუსხი ოჯახი რდგნ დო ჩქიმ დეი თეშ დასაფლეს, დოღურ, აფხაზეფქგნ, ჟიროშ კოჩშე მეტი რდ თურმე სუფრას, სიტყვეფით გიშულა დო თაშ. ათაშ ფცენდით ჩქგ ართიანს პატის დო მიცორდეს ართიანი.

ამდღა ხოლო, ხო მოხვად თეცალ, ესე იგი, ომ ვუწოდათო თეს, თუ კომერციულ ომიო, თუ ომი, თი აფხაზ, ნამუთ მიცორდუნ, თინა მიცორს. ენა დუდს მახუ აფხაზეთის მასმა პიჯიქ, მუშო ოკო რაგად. ჩქგ ჯიმალეფი ვორდით, ნოსალობა, სინჯა იშო, სინჯა, მუჭო თქუანა, აშო, ნათესაობა მიღუდეს, ნოსა

მიცუნსუ, სინჯა მიცუნა დო თაში. ჩქიმ ბიძისქუას ხოლო აფხაზ ეკუხედ, მაგალთო. შეკრებეფი რდგ, სუფრები რდგ.

ჩქიმ სოფელიშ დაცემაშ დროს ხომ თექ ინოფსქიდით ანთას ჩქვითოშ მოსახლექ, ნაჩინეფ აფხაზეფქ მიდამიონეს მა დო სულიკო ღვადაშა. თენა რდ კვარჭია. მარა მიწუ თე კვარჭიაქ, მა თქვან ოჯახ მიცორს, თქვა მიცორთ, მარა ვითაამშვ ეროვნებაშ ბრძოლენს თქვან წინააღმდეგ დო მოშქურუნია, მა ხოლო მებციღანია, დო დუგორთინუათია ოკო უკახალე. ქიმთმოხუნეს ჟიგულს დო უკახალე ოკო მორთინუან. ცენტრიშა იფრთუთ, იახან, თიმ დროს ართ აფხაზიქ, ასე ვაფუბლუნქუ, ხამ გელელუ, გაგთიღ, ყახა დო გაჩერ მანქანა დო დორვილენია ოკოვა ასე, მიწუ. ყახა, მუშენია, ურაგადუ, „მუშენ" ვაუთქუალ აფხაზას, ნე ტროგაია, უწუ თი აფხაზაქ, ანა ხაროშია ტიოტყა, ვსე აფხაზცი ლყუბყატ. ტიოტყა მარო ნი ბოისია, ესლი კტონიბუდ პრიეზდოტ, სკაჟი, ჩტო ბესიკ წვიჟბა ბილ უ ნას. მიდგარენ ბესიკ წვიჟბაქ გინმოსქილიდუ. ცოცხალო ქგდომტუ დო გიშებლით აშო. თექ თე აფხაზაქ გეგმოსქილიდუნ, ეთექ თე ოთარ ბარგანჯიაქ გიშაცონაფას ქიმმეხვარეს დო გამშამიცონეს კოჩარაშე ცოცხალო. პირიქით თე აფხაზეფ ბრელ იცვენდ ქორთუეფს დო ბრელ ქორდ გიშეუნ აფხაზეფქგნ.

ქიანაშ შემლებ იფჩიენ, მარა ირფელ ხოლო ვაგმაშინე, ირფელ ვაფშ.

ასე თაქ რენა აფხაზეფი. ათაქ ჟირ-სუმ ოჯახ ქორე ჩქინწკგმა. ხომ მკურნალენა თაქ.

ხოლო ქგგმაშინ ასე. ათე სულიკოქ ქგდმელახესუნ თი დროს ჩქიმ ნინო გემშეპცონით ღვადაშა, სკოლაშა. ღვადაშა გემშეპცონით დო ღვადაშა გილაცუნდ საწყალ ლალის იშო აშო, სუმ კილომეტრითგ რდ დაშორებული. მუჟამს ვარდუო პავაროტშა ქგმომიცონესგნ, ნინოშ მასწავლებელ ცოფე, ბრძოლენდ თურმე

ავტომატითგ დო, ართი სუმი აფხზეფ, დაცვეფ გერდეს პავაროტის, დო თენეფქ მიწიის, მაროვა ჩქი დოიცვენთია, მარა სნაიპერქ შილებენია ქგგოოთასია ტყვია დო დორცვილანია. დო პავაროტის ცორეთ ასე ჩქი თაქ, იახან, თეში ართ ჭიჭე აფხაზაქ ქგმორთ დო, ანი ნას უბივიუტუა, დო თენა ხოლო ქომჩითია აშო, მაროს მა ქიგებდგუნქია დუდსიან, ვარია, უწუ თე ოსურა ადამიანქ, თე ნინოშ პედაგოგიქ, ენავა ჩქიმ ნინოშია დეიდა რენია დო ტიოტია მაროვა ირკოც მიცორანია ჩქგ დო ტიოტია მარო, ვაგაშქურინასია, სქან დუდს ვავოცვილუანქია დო გავათავისუფლათია დო გოუტუათია... დო უკული დარცმელია რდ ღულუნიშ შქვით, ვაფშ. შქვით კოჩი რდ, დართინუეს დო თინეფ არძო დორხვეს იშო, თინეფ დოცვილეს.

უკული რდგ ასე, ბაღანური ცოროფა რდ ასე ბაღანური ცოროფა რდ. თავჯდომარე რდ თე ღვადას ვოვა, დედა. გვარქ ქგშმოჭყორდ. მართალო ვუცორდი, მართალო. ახალგაზრდა ძღაბ ვორდი. მარა თვითონ კითის გოურჩქინდუ ინაქ მაზოლქგ დო ათე მაზოლ მუშ ხეთ გეჭკირ დო თიქ განგრენაშა გინართ დო მიწამალ დო დოცვილ თიქ იშო.

თეცალ ფშგ პაჩხარც, ბარციცი, ხარიტონოვიჩ, რაიკომიშ მდივანირდ, ცუგბა ვიაჩისლავ, ჩქინ ოჯახშა ხოლო რენა, სუფრა გემნანწყუა მაფნა დო, დუნაპატიჟგ. ნუ ცოროფა რდ დო პატიშცემა ართიანიშ. დიარაშა დგმაპატიჟენდეს, აშო დგვაპატიჟენდით. საჩუქრეფ უჩქუდეს, პატივცემა უჩქუდეს, უნჩაშ-უკლაშ უჩქუდეს. ავტობუსშა ვარდუო უნჩაში კოჩ ქიგერდ კუჩხისდა, ვარიანტ ვაარსებენდ ვადუთმესკო დო თეცალეფ, ზრდილობა დო ირფელ. მუთ ჯგირიენ თის იფჩიებუქ, გლახა ხოლო ვაგმაშინე. ანწ ხოლო იბმეორენქ ნამდა დუდის მუმახვიის თენა მასმა პიჯიქ. დო მუდეფ ხოლო მეჩირთეს. მარა ჩქგნით ვარდ გვალო ანგელოზი. მხედრიონქ მიშართუნ თიმ დროს ცხენის წაყრს გეგნოჭვეს ვითაანთხ

ოჯახი დო ეთევრეშე დიჭყ დაჩხირიშ გონწყუმაქ. უკული, ჩქინ სოფელიშ შემადგენლობაშა მუშეშ ქეთევანი. დო ბაღანა წყიშჷნდ საქონელს. ჭყიშჷნდ ბაღანა საქონელს დო ოჭოფეს თენა ჩქინეფქ, ჩქინ მხედრიონელეფქ ოჭოფეს დო თე ბაღანაქ უწუ, ნამდა ვაპილათია დო სოდე რენია ჩქჷნ პოზიციავან, თისია ქოიწინთია თქვა ირფელსია. მარა ვადენდეს დო იშენ დოცვილეს ჩქინეფქ თე ბაღანა დო თევრეშე დიჭყჷ, გინწყჷ დაჩხირქ, ქეთევანშე. თვითონ უკულ ჩიქოვანიშ დიდა, ალიოშა ჩიქოვანიშ დიდა აფხაზა რდ დო თვითონ მუნეფქ დოცვილეს, ნურ ყალიჩავა დოცვილეს, მუჟამს მიშეშ იშა, კოჩარაშან, თიმწკჷმა.

ცხენის წყარსჷრდ დაწყებითი სკოლა დო ეთექ ირო შეხვედრა მიღუდეს, საახალწლო შეხვედრა, სიტყვეფის გიშულა, მუდგარენი, ბირა, სხაპუა. რდჷ ართიანიშ ცროროფათჷრდ.

აფხაზურიშ გურაფა მოკოდესჷნ, ბგურაფულენდით საცოროფო სიტყვეფს. „სარა ბარა ბზია ბსბოი“ დო ათევჯგურას. მარგალურს ხოლო. მარგალურ ინებს უჩქუდეს უმრავლესობას, ჩქჷ მიჭირდეს აფხაზურიშ დოგურაფა. ლალის უჩქუდ. ლალის მუთ უჩქუდ თინა მათ მიჩქ ირფელ, არძო. ჩქჷ აქ ვამბირნა, ეჩდოსუმ წანას ირიართო ნერვიულობაშ მეტ მუთუნ ვაფშიბნა , ვარა მა ლალის მუთ უჩქუდ – გიტარა, ჩონგურ დო ფანდურ, მა ირფელ მიჩქ.

– მუს იბირდით?

– „დიდოუ, ნანა,
ვენგარა, ნანა სქუა,
ჭყოლირ გურს ვამიჭუა,
ძუძ ფსქირაფილი მაფ ბუაშე,
მუთუნ ვამიწუა...“.

არძა სიმღერებ მიჩქ დო ასე ქაშმოჭყორდ. „ასე ჩონგურ ქოფთქუათ სქან დო ჩქიმი გაჭირება“... მარგალურ სიმღერეფ მა არძა მიჩქუ.: „აშო ჩელა, იშო ბუსკა“...

„ძღაბ სი ვაგაშქურინას,
მითინშა მა ვართირა,
მალას შევასრულენგდ
ბუნებაში გგნარჩქინა...“

დო მარგალურ სიმღერეფ არძა მიჩქუდ. ჩონგურს მა ვლაცაფენდ მარა ასე ვამიღ თიშ დუდ მუდგარენ. „საქორთუო ქარგილო რე, ბახჩათ ორე გინორთელი...“, თე სიმღერეფი...

„წყარს ინოძუდე, იშქვიდუდე.
გური მაფუდას შენუხებული,
აი ათეშენ შეგიცოდუა,
აი ათეშენ გაჭირებული“.

თე სიმღერა ხოლო მიჩქუდ. არძო მიჩქ, ჩონგურ მიჩქ გვალო ჯგირო, მარა ასე ვაფშგ. გადაღლილ ვორექ ალბათ, ვარა... ნერვიულობაქ ალბათ ქაწმოჭიშუ აშო-აშო.

– აფხაზურო ქოიჩქუდესო?

– აფხაზურო ვარი. აფხაზურ ვარ, შონურს ბგურაფულენდით. აფხაზურო ჯოჯ მიშ დო იბირდ. ჯოჯის უმოსო აფხაზეფნკგმა მეტ კავშირ ულუდუ. სიმღერა ხოლო უჩქუდუ აფხაზურო.

– მარგალურ ოჭკუმალეფს მუს აკეთენდეს თქვანნკგმა?

– მარგალურ ოჭკუმალეფ: ხაჭაპური, საცივი, ხარჩო, ლებია, მუავე, ათენეფს... ხული ნექით ზადილი, ღუმი, ყვალი, ჭკიდი, ვარენიკეფი, კვარი, კვარხაშილი... ქიანაში, ქიანაში.

– თანაფას?

– თანაფას – კვერცხი, ჩვეულებრივო, ირკოჩიშ ოჯახის ღაფუნდეს. თუ, მუ რაგად ოკო. თანაფა ჩქი სოფელს მიჩქუდეს, ნუ ქალაქის დო ირდიხას უჩქუდ, მარა იმ დროს ცხოვრება მილუდეს, ასე სო რე ცხოვრება.

თანაფას, მაგალითო, სამეზობლოს ფქეიფენდით ბაღანეფ, მეზობლეფ აკიფშაყარუდით დო გალე, ქუჩას, ფქეიფენდით დო

ჩვეულებრივ, კვერცხის ბლაფუნდით, თუ რდუო, ხაჭაპური რდ, თნეფ ირფელ, საცივი... უღუდ ოჯახეფს დო რდგ თიშ საშუალება ხოლო. ირფელ სორგუდ.

ბაღანობას ფშუ რაზმეულის შეკრება რდ, რაიონს იბშაყარუდით... ახალ წანას კომუნისტეფიშ დროს ეკლესიაშა მითინ ვეგლეშ, ხომ ქოიჩქუ?! ეში ნებას ვერზენდეს. ოჯახეფს ნათუნდეს თიმ დროს დო მუმულს დოყვარუნდეს. მუმულს დოყვარუნდეს დო ჩქიმ დიდა , ქირსეშ დღას მიტენდეს მორდიაშა. ოჯახით დო საჩუქრეფით მიფშით, აშო ხოლო მოცუნუანდეს დო თაშ რდგ ცოროფა. ჯგგრ ტრადიცია რდ თენა.

ასე მუთუნ ვარ, ირიართო პრობლემეფშე ფიქრე, მეტ მუთუნ ვარ, დო არძა აგრესიულ დო არძა განერვიულებული.

თიმ დროს ქოთ მეზობელიშ მინულაშა ქოთ გოხიოლუდ დო ქოთ რჩოდუდ. აშო ხოლო მიშეს დო ასე მიშენ რჩოდ, ქომინი, მიშა რჩოდ?

მორდია მიცუნდ მარა ჩქიმ დიდა დო მუმას ვონდურუდი: მოხუცებულ ამრჩიეს მორდიათ. თენა ვეშილებედ თეშ. თი ბაღანა რენ ჭიჭე, ახალგაზრდა მორდიას დანათაფე ბოშ თინა. მოხუცებული რდეს, ღორონთ მაპატი. მორდია მუჭო ვამიორდ, ჯიქიეფ მიუნდ მორდიეფ, მარა მოხუცებული რდეს. მარა უცორდეს ჩქიმ დიდა დო მუმას, ცოროფა რდ.

მეზობელეფწკუმა შხვა ურთირთობა რდ. ლალ თქუანდ, ლალი, ცხენნყარს ტარკალეთ ძღაბით დო ბოშით, თინა ბშგნია, ტანს გიბომნგნდითია, მარა თექ მუთუნიშ შქიდირა ვარდუა. ჭიჭე ვორდითინ თიწკუმა.

დღესასწაულეფს აღვნიშნენდით, მართალო ჯგირო აღვნიშნენდით. ბაღანეფ იფშაყარუდით, ფსხაპუნდით, იბიბრდით, აკარდიონ, დოლი, მუსიკა. მა, მაგალთო, აკარდიონით მიღუდ, გარმოშკა ხოლო მიჩქუდ. თაქ ეჩდოსუმ წანას პიჯ ვაგომნჯამუნა

ცოდა ლალს დო მა. ართშა ქუმორთ სოხუმშა ი კოჩქ, თქვა ოკო გიგნოილათია ოჯახიშ ბირა, ქინვოჭარათია ოკო. მასიურო ოჯახ იბიბრდით არძა. ლალის უღუდ არაჩვეულებრივ ხმა მუდგარენი. თინა ვარდუო ჩონგურს იონწყუნდ დო გიტარასგნ, ქგგანგარინედ. მუდგარენ თინერ ტკბილ ხმა უღუდ თი ჩონგურ დო გიტარას დო თიქ დუმოგურუ არძა, გაჭირებულქ, თი ლალიქ. ოდო აკოფშაყარუდით ძღაბეფ. ვით-ვითოხუთი დღას ვაბჩოდუდ მეზობელშა მინიბლკო იშო. მუშენ და პირობეფი მუჭო ათაქ ვამღუ, თეშ ვამღუდ. ჭყურგილშა გილამღუდ ონახვალი, ამსერ ლალ დო მა ხანგაცალო ალვორდით თექი. დღაშით მინ სამუშაო, სამსახური, ჩაიშ ნილუა დო იშენ ონდღეს აკიბშაყარუდით, ჩონგურ, ფანდურ, გიტარა, კოფეშ შუმა, ბირა, სხაპუათ ჩევეთხიებუდით. უკულ რდეს საჩხერლეფ დო ვანელეფ ჩქინწკგმა, ცხოვრენდეს ჟარნეჩდოვითააართ რე თუ ვითოჟირს გინოხორაფილ. გეგნახორეს აშო. თექ ჟიროშ ოჯახიქ ოთხოშ ოჯახშა მორთ. სანყალ თენეფი, ჟარნეჩდოვით დო ეც კოჩის დაპურენდ თენეფიშ ოჯახ, თიცალ მშრომელი რდეს. შქვით კილომეტრის კუჩხით გილეშეს, იახა დო, არძაქ ჟირსართულიან ცუდეეფი, არძაქ ცუდეფ ეშენეს ახა. თინერ პატივცემა დო ცოროფა რდ ჩქინ შორის დო თე საჩხერლეფ დო ვანელეფ შორის, ჭურვის მუდას მოხადენდეს დუდის, ქგმიფშით დო ქოთომ დო თუს მივცილუნდეს დო ათეჯგურა პატის ფცენდეს. ონჯუას თინეფ ვარდუო სამუშაშე დირთუდეს თი ჩაიშ ნილუაშენ, ამსერ იჯვერჯგუდეს სოდგარენ ვითაართ საათშა. სხაპუა დო აკარდეონ დო დოლი დო ინა დო მხიარულენდეს დო რდეს.

კოჩარას შქვითიანთას ხუთოშ კოჩ ცხოვრენდ. საქორთუოს მასმა სოფელი რდ მუშ შემოსავალით დო ართიქ დოლურ ინფარქტით, ფშ, მეტი კოჩ ვაღურე თესხეშე დო ვალახებე, თიმ დროშ ამბე მაფ, ინფარქტით. ხუალე ართიქ. თინა ხოლო ასე მედიცინა რენ თეშ ქორდკო განვითარებულ დო თესხე ოპერაციეფინ,

დიდხანს იცხოვრებუდ თე პაპავა საწყალი. თეცალ ამბერდ თექ. ოდო უკულ ჩებარ, სტრატეგიულ მნიშვნელობაშ სოფელი რდ, ქიმთობსქიდით თექ.

ტრადიციეფ მილუდეს. დირთუნო თე ტრადიციეფ, თენა რე საქმე. მარა თინა ხოლო თი ჯვეშ თაობაქ გამკორთ. ცაჰ, ვამიჩქე. ახალს ქუდაგურუას ოკო, პრიმერ ქაძირას ოკო ხოლო, მაგალითი. მარა ვარენო, ჯგირ ახალგაზრდეფ პუნა ხოლო ჩქე, გვალო ნიჭიერეფ, ართო ფენომენეფ, ნიჭიერ დო ჯგირეფი. ახა მარა თიშ პირობეფ ხოლო ვამღუნა თაქ ჩქენ, მაგალთო, თე ტრადიციეფ თაქ განვავითარათინ, ეშ პირობეფ სო მიღუნა ჩქი აქ?!

თარგმანი

კარგად ვიყავით აფხაზებთან, ძალიან კარგად. დავდიოდით ერთმანეთთან. საჩუქრებით მოდიოდნენ. ერთი ტომარა შაქარი ვაჩუქე ომის დაწყებამდე კვარჭია რომ იყო და მატუა რომ იყო და იმათ. და აქეთ ტყის ღორი (ტახი), კურდღელი, შამპანიური მათი ოჯახის გაკეთებული და ესენი და ერთმანეთს პატივს ვცემდით. მერე კოჩარადან გამომიყვანა ის რომ იყო, გარგანჯია ოთარი, რომელსაც შვილი მოუკლეს, მამა მოუკლეს, მაგრამ ნახევარი სოფელი მან გამოიყვანა, იმ გარგანჯიამ. და თვითონ აფხაზებმა დაგვიცვეს. ხომ ჩავრჩით ჩვენ აფხაზეთში, მშვიდობიანი მოსახლეობა. აფხაზია ჩვენი რძლის, ინეზას, დედა. ჯოპუაა. და პირიქით თავის ძმებს გამოჰკიდებია, სად არის ჩემი მეგრელი შვილიშვილებიო და ასე. მე, მაგალითად, პირადად შემიძლია ვთქვა, ოთხმოცი პროცენტი მე რაც წარმატებისთვის მიმიღწევია სოფელში, ის იყო აფხაზები, დაწყებული კომკავშირის რაიკომის მდივნიდან პარტიის რაიკომის მდივნის ჩათვლით.

კარგსა და ავში ერთად ვიყავით. კარგი დამოკიდებულება გვქონდა. რძალიც გვყავდა, სიძეც გვყავდა, იქითაც, აქეთაც. ჭლოუში ჩემი დეიდა რომ ცხოვრობდა, ჭლოუ აფხაზური სოფელი იყო, მეგრელები არ ვიცი ახლა იქ რამდენი ოჯახი იყო, იქნებოდა ერთი ათი, თორმეტი, არ ვიცი, რამდენი ოჯახი იყო, და ჩემი დეიდა რომ დაასაფლავეს, მოკვდა, აფხაზებმა, ორას კაცზე მეტი იყო თურმე სუფრაზე, სიტყვით გამოსვლა და ასე. ასე ვცემდით ჩვენ ერთმანეთს პატივს და გვიყვარდა ერთმანეთი. დღესაც, ხომ მოხდა ასეთი, ესე იგი, ომი ვუწოდოთ ამას, თუ კომერციული ომი, თუ ომი, ის აფხაზი, რომელიც მიყვარდა, ის მიყვარს. ეს თავს მოახვია აფხაზეთს მესამე პირმა., რად უნდა ლაპარაკი. ჩვენ ძმები ვიყავით, რძლობა, სიძე იქით, სიძე, როგორ იტყვიან?, აქეთ, ნათესაობა გვქონდა, რძალი მყავს, სიძე გვყავს და ასე. ჩემს ბიძაშვილსაც აფხაზი ეჯდა (ჰყავდა ცოლად), მაგალითად. შეკრებები იყო, სუფრები იყო.

ჩემი სოფლის დაცემის დროს ხომ იქ ჩავრჩით ათას შვიდასი მოსახლე, ნაცნობმა აფხაზებმა ნაგვიყვანეს მე და სულიკო ღვადაში. ეს იყო კვარჭია. მაგრამ მითხრა ამ კვარჭიამ, მე თქვენი ოჯახი მიყვარს, თქვენ მიყვარხართ, მაგრამ თექვსმეტი ეროვნების იბრძვის თქვენს წინააღმდეგ და მეშინიაო, მეც დამიშავონო, და დაგაბრუნოთო უნდა უკან. ჩაგვსვა ჟიგულში და უკან უნდა დაგვაბრუნოს. ცენტრში რომ ვბრუნდებით, დიახ, იმ დროს ერთმა აფხაზმა, ახლა არ დავმალავ, დანა ამოიღო, გამოიღო, დიახ და გააჩერა მანქანა და მოგკლაო უნდაო ახლა, მითხრა. დიახ, რატომო, უთხრა, „რატომ“ არ უთქვამს აფხაზს, არ მოკიდოო ხელი, უთხრა იმ აფხაზმა, ის კარგი დეიდაა, ყველა აფხაზს უყვარს. დეიდა მარო, ნუ გეშინია, თუ ვინმე მოვა, უთხარი, რომ ბესიკ წვიჟბა იყო ჩვენთან. ვიღაც ბესიკ წვიჟბამ გადამარჩინა. ცოცხლად (ცოცხალი) დამტოვა და გამოვედით აქეთ. იქ ამ

აფხაზმა რომ გადამარჩინა, იქ ამ ოთარ ბარგანჯია გამოყვანაში დაგვეხმარა და გამოგვიყვანა კოჩარიდან ცოცხლად (ცოცხლები). პირიქით, ეს აფხაზები ბევრი იცავდა ქართველებს და ბევრი იყო რომ გამოიყვანა აფხაზებმა.

ქვეყნის შემიძლია ვილაპარაკო, მაგრამ ყველაფერი კიდევ არ გამახსენდება, ყველაფერი არ მახსოვს.

ახლა აქ არიან აფხაზები. აქ ორი-სამი ოჯახი არის ჩვენთან. ხომ მკურნალობენ აქ.

კიდევ გამახსენდა ახლა. ეს სულიკო რომ დაგვიავადდა, იმ დროს ჩემი ნინო შევიყვანეთ ღვადაში, სკოლაში. ღვადაში შევიყვანეთ და ღვადაში დაჰყავდა საწყალ ლალის იქით-აქეთ, სამი კილომეტრით იყო დაშორებული. როდესაც არაა მოსახვევამდე მიგვიყვანეს, ნინოს მასწავლებელი ოფილა, იბრძოდა თურმე ავტომატით და, ერთი სამი აფხაზები, დაცვები იდგნენ მოსახვევში, და ამათ მითხრეს, მაროო, ჩვენ დაგიცავთო, მაგრამ სნაიპერმა შეიძლებაო გესროლოსო ტყვია და მოგკლანო. და მოსახვევში რომ ვართ ახლა ჩვენ აქ, დიახ, ისე ერთი პატარა აფხაზი მოვიდა და, ესენი ჩვენ გვკლავენო, და ესეც მოგვეციოთო აქეთ, მაროს მე დავადგამო თავსო..., არაო, უთხრა ამ ქალმა, ამ ნინოს პედაგოგმა, ესო ჩემი ნინოს დეიდააო და დეიდა მარო ყველას გვიყვარსო ჩვენ და, დეიდა მარო, არ შეგეშინდესო, შენს თავს არ მოვაკვლევინებო დს გავათავისუფლოთო და გავუშვათო... და მერედარცმელია იყო ღულუნის, არ მახსოვს შვიდი, არ მახსოვს. შვიდი კაცი იყო, დააბრუნეს და ისინი ყველა დახრიტეს იქიტ, ისინი მოკლეს.

ასეთები მახსოვს, ????, ბარციცი, ხარიტონის ძე, რაიკომის მდივანი იყო, ცუგბა ვიაჩესლავი, ჩვენს ოჯახშიც არიან, სურა განაშლელი გვაქვს და, დანაპატიჟები. ნუ, სიყვარული იყო და პატივისცემა ერთმანეთის. სუფრაზე დაგვპატიჟებდნენ, აქეთ დავპატიჟებდით. საჩუქრები იცოდნენ, პატივისცემა იცოდნენ,

უფროს-უმცროსი იცოდნენ. ავტობუსში, არა?, უფროსი კაცი თუ იდგა ფეხზე, ვარიანტი არ არსებობდა, რომ არ დაეთმოთ და ასეთები, ზრდილობა ყველაფერი. რაც კარგია, იმას ვლაპარაკობ, ცუდი კიდევ არ მახსენდება. ახლაც ვიმეორებ, რომ თავს მოგვახვიეს ეს მესამე პირმა. და ისინიც შეცდნენ. მაგრამ ჩვენიც არ იყო მთლად ანგელოზი. მხედრიონი რომ შემოვიდა, იმ დროს ცხენისწყალზე გადაწვეს თოთხმეტო ოჯახი და იქიდან დაიწყო ცეცხლის გახსნა. მერე, ჩვენი სოფლის შემადგენლობაში შემოდიოდა ქეთევანი. და ბავშვი მწყემსავდა საქონელს. მწყემსავდა ბავშვი საქონელს და დაიჭირეს ეს ჩვენებმა, ჩვენმა მხედრიონელებმა დაიჭირეს და ამ ბავშვმა უთხრა, რომ არ მომკლათო და სადაც არისო ჩვენების პოზიციაო, იმასო გეტყვითო თქვენ ყველაფერსო. მაგრამ არ დაინდეს და მაინც მოკლეს ჩვენებმა ეს ბავშვი და იქიდან დაიწყო, გაიხსნა ცეცხლი, ქეთევანიდან. თვითონ მერე ჩიქოვანის დედა, ალიოშა ჩიქოვანის დედა აფხაზი იყო და თვითონ მათ მოკლეს, ნური ყალიჩავა მოკლეს, როცა შედიოდა იმაში, კოჩარაში, მაშინ.

ცხენისწყალზე იყო დაწყებითი სკოლა და იქ ყოველთვის შეხვედრა გვქონდა, საახალწლო შეხვედრა, სიტყვებით გამოსვლა, რაღაცა, სიმღერა, ცეკვა. იყო ერთმანეთის სიყვარულიც.

აფხაზურის სწავლა გვინდოდა, ვსწავლობდით სასიყვარულო სიტყვება, „მე შენ მიყვარხარ“ და ასეთებს. მეგრულსაც. მეგრული იმათ იცოდნენ უმრავლესობამ, ჩვენ გვიჭირდა აფხაზურის სწავლა. ლალიმ იცოდა. ლალიმ რაც იცოდა, ის მეც ვიცი ყველაფერი, ყველა. ჩვენ აქ არ გვიმღერია, ოცდასამი წელი ყოველთვის ნერვიულობის მეტი არაფერი არ გვახსოვს, თორემ მე ლალიმ რაც იცოდა – გიტარა, ჩონგური და ფანდური, მე ყველაფერი ვიცი.

– რას მღეროდით?

– „დიდოუ ნანა,
არ იტირო, ნანა, შვილო,
დაჭრილი გული არ ამიტკივო,
ძუძუ გამშრალი მაქვს რძისგან,
არაფერი არ მითბრა...“

ყველა სიმღერები ვიცი და ახლა დამავიწყდა. „ახლა, ჩონგურო, ვილაპარაკოთ შენი და ჩემი გაჭირვება“... მეგრული სიმღერები მე ყველა ვიცი : „აქეთ ჩელა, იქით ბუსკა...“

„გოგო, შენ არ შეგეშინდეს,
არავისში მე არ გაგცვლი,
მალე შევასრულო უნდა
ბუნების განაჩენი...“

მეგრული სიმრერები ყველა ვიცოდი. ჩონგურზე მე ვუკრავდი, მაგრამ ახლა არ მაქვს იმისი თავი რაღაცა. „საქართველო დაქარგულია, ბაღჩადაა გარდაქმნილი...“, ეს სიმღერები...

„წყალში ეგდო, იხრჩობოდე,
გული მქონდეს შეწუხებული,
აი ამიტომ შეგიცოდებ,
აი ამისთვის გაჭირვებული“.

ეს სიმღერაც ვიცოდი. ყველა ვიცი, ჩონგური ვიცი ძალიან კარგად, მაგრამ ახლა არ მახსოვს. გადაღლილი ვარ, ალბათ, თორემ... ნერვიულობამ ალბათ მომისწრო აქეთ-აქეთ.

– აფხაზურად იცოდით?

– აფხაზურად არა. აფხაზური არა, სვანურს ვსწავლობდით. აფხაზურად ჯოჯი მოდიოდა და მღეროდა. ჯოჯიმ უფრო აფხაზებთან მეტი კავშირი ჰქონდა. სიმღერაც იცოდა აფხაზურად.

– მეგრულ საჭმელებს რას აკეთებდნენ თქვენთან?

– მეგრული საჭმელები: ხაჭაპური, საცივი, ხარჩო, ლობიო, მჟავე, ამათ... ფხალი ნიგვზით შეზავებული, ღომი, ყველი, მჭადი,

ვარენიკები, კვერი, კვერი მოხარშული... ქვეყნის, ქვეყნის.

– აღდგომას?

– აღდგომას – კვერცხი, ჩვეულებრივად, ყველა ოჯახში ღებავდნენ. გოჭი, რა თქმა უნდა. აღდგომა ჩვენ სოფელში ვიცოდით, ნუ, ქალაში და ყვრლგან იცოდნენ, მაგრამ იმ დროს ცხოვრება გვქონდა, ახლა სადაა ცხოვრება.

აღდგომას, მაგალითად, სამეზობლოში ვქეიფობდით ბავშვები, მეზობლები შევგროვდებოდით და გარეთ, ქუჩაში, ვქეიფობდით და ჩვეულებრივად კვერცხს ვღებავდით, გოჭი იყო, ხაჭაპური იყო, ესენი ყველაფერი, საცივი... ჰქონდა ოჯახებს და იყო საშუალებაც. ყველაფერი ეყარა (ბლომად იყო).

ბავშვობაში მახსოვს, რაზმეულის სეკრება იყო, რაიონში ვგროვდებოდით... ახალ წელს კომუნისტების დროს ეკლესიაში არავინ დადიოდა, ხომ იცი?! ამის ნებას არ იძლეოდნენ. ოჯახებში ნათლავდნენ იმ დროს და მამალს დაკოდავდნენ. მამალს დაკოდავდნენ და ჩემი დედა ქრისტეშობის დღეს გვიშვებდა ნათლიასთან. ოჯახით და საჩუქრებით მივდიოდით. აქეთაც გვატანდნენ და ასე იყო სიყვარული. კარგი ტრადიცია იყო ეს.

ახლა არაფერი არა. ყოველთვის პრობლემებზე ფიქრობ, მეტი არაფერი, და ყველა აგრესიული და ყველა განერვიულებულია.

იმ დროს კიდევაც მეზობელთან შესვლა კიდევაც გიხაროდა და კიდევაც გეცალა. აქეთაც მოდიოდნენ და ახლა ვისთვის გცალია, მითხარი, ვისთვის გცალია?

ნათლია მყავდა, მაგრამ ჩემს დედას და მამას ვემდუროდი: მოხუცებული ამირჩიეს ნათლიად. ეს არ შეიძლებოდა ასე. ის ბავშვი რომაა პატარა, ახალგაზრდა ნათიას მოანათვლინე, ბიჭო, ის. მოხუცებულები იყვნენ, ღმერთო მაპატიე. ნათლია როგორ არ მიყვარდა, ჯიქიები მყავდა ნათლიები, მაგრამ მოხუცებული იყვნენ. მაგრამ უყვარდათ ჩემს დედას და მამას, სიყვარული იყო.

მეზობლებთან სხვა ურთიერთობა იო. ლალი იტყოდა, ლალი, ცხენისწყალში ტიტვლად გოგოც და ბიჭიც, ის მახსოვსო, ტანს დავიბანდითო, მაგრამ იქ არაფრის კადრება არ იყოო. პატარები რომ ვიყავით მაშინ.

დღესასწაულებს აღვნიშნავდით, მართლა კარგად აღვნიშნავდით. ბავშვები ვგროვდებოდით, ვცეკვავდით, ვმღეროდით, აკარდიონი, დოლი, მუსიკა. მე, მაგალითად, აკარდეონი მქონდა, გარმოშკაც ვიცოდი. აქ ოცდასამი წელი პირი არ გაგვიხსნია საწყალ ლალის და მე. ერთხელ მოვიდა სოხუმში ის კაცი, თქვენ უნდა გადაგიღოთო ოჯახის სიმღერა, ჩავიწეროთო უნდა. მასიურად ოჯახი ვმღეროდით ყველა. ლალის ჰქონდა არაჩვეულებრივი ხმა რაღაცა. ის არ იყო, ჩონგურს რომ ააწყობდა და გიტარას, აგეტირებოდა. რაღაც ისეთი ტკბილი ხმა ჰქონდა იმ ჩონგურს და გიტარას და იმან მასავლა ყველა, გაჭირებულმა, იმ ლალიმ. ჰოდა შევგროვდებოდით გოგოები. ათი-თხუთმეტი დღე არ მეცალა მეზობელთან რომ შევსულიყავი იქით. რატომ და პირობები როგორც აქ არ მაქვს, ისეარ მქონდა. წყაროზე დამქონდა სარეცხი, ამაღამ მე და ლალი გიჟებივით ვიყავით (ვიდექით) იქ. დღისით ხან სამუშაო, სამსახური, ჩაის კრეფა და მაინც შუადღეს შევგროვდებოდით, ჩონგური, ფანდური, გიტარა, ყავის სმა, მღერა, ცეკვით დავიშლებოდით (დავეხსნებოდით). მერე იყვნენ საჩხერელები და ვანელები ჩვენთან, ცხოვრობდნენ ორმოცდათერთმეტია თუ თორმეტში გადასახლებული. გადმოასახლეს აქეთ. იქ ორასი ოჯახი ოთხას ოჯახამდე მოვიდა (იქცა). საწყალი ესენი, ორმოცდაათ და ოც კაცს დააპურებდა ამათი ოჯახი, ისეთი მშრომელი იყვნენ. შვიდ კილომეტრს ფეხით დადიოდნენ, დიახ და, ყველამ ორსართულიანი სახლები, ყველამ სახლები აისენეს, დიახ. ისეთი პატივისცემა და სიტყვარული იყო ჩვენ შორის და ამ საჩხერელებსა და ვანელებს შორის, ჭურს როდესაც მოხდიდნენ თავს,

მივიდოდით და ქათამს და გოჭს დაგვიკლავდნენ და ასეთ პატივს გვცემდნენ. საღამოს ისინი არ იყო, რომ სამსახურიდან დაბრუნდებოდნენ იმ ჩაის კრეფიდან, ამალამ გრიალებდნენ სადღაც თერთმეტ საათამდე. ცეკვა და აკორდეონი და დოლი ის და მხიარულობდნენ და იყვნენ.

კოჩარაში შვიდი ათას ხუთასი კაცი ცხოვრობდა, საქართველოში მესამე სოფელი იყო თავისი შემოსავლით და ერთი მოკვდა ინფარქტით, მახსოვს, მეტი კაცი არ მომკვდარაამდენიდან და არ დაავადებულა, იმ დროის ამბავი მაქვს (ვყვები), ინფარქტით. მარტო ერთი. ისიც, ახლა რომ მედიცინაა, ისე რომ ყოფილიყო განვითარებული და ამდენი ოპერაცია, დიდხანს იცხოვრებდა ეს პაპავა საწყალი. ასეთი ამბავი იყო იქ. ჰოდა მერე ჩაბარდა, სტრატეგიული მნიშვნელობის სოფელი იყო. ჩავრჩით იქ.

ტრადიციები გვქონდა. დაბრუნდება ის ტრადიციები, ესაა საქმე. მაგრამ ისიცაა, იმ ძველმა თაობამ გაიარა, . აჰ, არ ვიცი. ახალს ასწავლოს უნდა, მაგალითიც აჩვენოს უნდა, მაგალითი. მაგრამ არაა (ხომაა), რომ კარგი ახალგაზრდებიც გვყავს ჩვენ, სულ ნიჭიერები, სულ ფენომენები, ნიჭიერი და კარგები. დიახ, მაგრამ იმისი პირობებიც არ გვაქვს აქ ჩვენ, მაგალითად, ეს ტრადიციები რომ აქ განვავითაროთ, ამის პირობები სად გვაქვს ჩვენ?!

***

1. მა ირო მოინტერესუდ მუშენ ჭიხვივუნდეს ცხენეფ ჭიაკოკონობა სერს. მა ქოპკკიოხი

ჩქიმ ბების დო ბებიქ ათეჯგურა ამბდე მიწუ: ჭიაკოკონობა სერს აუცილებერო ოკო გინოსხაპას არძოქ დაჩხირს. მაზაკვალეფი ოკო გეთიფჭუათ. თე სერს მოულა მაზაკვალეფი დო გეთმოსხაპუნა ცხენებს, ფაჭაჭის მოკიდუნა ხეს. თელ სერს გილერულენა ცხენეფით. ოჭმარეშო თე ცხენეფი შუალდირ რენა. ასე სი გიჩქუ მუშენ ჭიხვინუნა ცხენეფი თელ სერს.

***

თარგმანი

1. მე ყოველთვის მაინტერესებდა, რატომ ჭიხვინებდნენ ცხენები ჭიაკოკონობა ღამეს. მე ვკითხე ჩემს ბებიას და ბებიამ ასეთი ამბავი მითხრა: ჭიაკოკონობა ღამით აუცილებლად უნდა გადაახტეს ყველა ცეცხლს. ეშმაკები უნდა ამოვიწვათ. ამ ღამით მოდიან ეშმაკები და შეახტებიან ცხენებს, ფაფარს მოჰკიდებენ ხელს. მთელ ღამეს დარბიან ცხენებით. დილისთვის ეს ცხენები დაღლილები არიან. ახლა სენ იცი, რატომ ჭიხვინებენ ცხენები მთელ ღამეს.

***

2. ჯგირ ხანას ბრელი გილეშ რუსეთშა და გიმოჩანდეს ჩქინ თხირ დო მანდარნას. მანგარ ფარას იშიბდეს. ართ მარგალ კოჩიქ გეგნოჭყვიდ რუსეთშა ულა და გიმაჩაომალო მიდეღ მუშ საქონელი (თხირი, მანდარნა, დაფი). მერაგად უჩაშის ოღალარ ფასშე და მითოხე მატარებელს, ანგარიშენს მუზმაშა გიმოჩანს

მუშ საქონელს დო მალას დირთუ ბრელ ფარათ, ბაღანებს გახარენს, მანქანას ხოლო ქიიცედენს... მარა სორე?! თე კოჩის უცორდ შუმა. გიმოჩანს მუშ საქონელს, ფარა უღ დო ჯგირ ცხოვრება ხოლო უცორს. დღაშით მუშენს, ონჯუას რესტორანშა მეურს, სქვამ ცირეფი ხოლო გოძირ და უარქ ვარაგადუ. მუს ღოლა?! ფიქრენს, ონჯღორე რე ვარია ქოუწუე, მუს იფიქრენა?! მარგალურ პატ ოკო გოფცევა და რე ჩქინ ბოში ართ ამბეს... ქომორთ დროქ და ოკო დირთას... დირთუ, მარა სორე ფარა... ვარე... ონდეთ დოშაყარუ ყუდეშა ოულარ (დართინალ) ფარა. მითოხე ცოდა მატარებელს და არჩქილე მუჭო „რაგადანს“ მატარებელი: „შვიტი-მიტი“,„შვიტი-მიტი“... ვიშო მიშ დოხარგილო თინწკუმა მატარებელ იძახუდ: “ხარგინ-მარგინ“, “ხარგინ-მარგინ“... მუშ რაიონის სადგურს გაჩენდ მატარებელქ, ქიგმართ ჩქინ გასტროილორქ და მატარებელქ უწუ „შვიტოოოოო“.

***

თარგმანი

2. კარგ დროს ბევრი დადიოდა რუსეთში და ყიდდნენ ჩვენს თხილსა და მანდარინს. მაგარ ფულს შოულობდნენ. ერთმა მეგრელმა კაცმა გადაწყვიტა რუსეთში წასვლა და გასაყიდად ნაიღო თავისი საქონელი (თხილი, მანდარინი, დაფნა). მოელაპარაკა უფროსს ნასაღებ ფასზე და ზის მატარებელში, ანგარიშობს, რამდენად გაყიდის თავის საქონელს და მალე დაბრუნდება ბევრი ფულით, ბავშვებს გაახარებს, მანქანასაც იყიდის... მაგრამ სადაა?! ამ კაცს უყვარდა სმა. გაყიდის თავის საქონელს, ფული აქვს და კარგი ცხოვრებაც უყვარს. დღისით მუშაობს, საღამოს რესტორანში მიდის, ლამაზი გოგოებიც ნახა და უარი ვერ თქვა. რას იზამ?! ფიქრობს, სირცხვილია თუ არა, რომ ვუთხრაო, რას

იფიქრებენ?! მეგრული პატივი უნდა ვცეო და არის ჩვენი ბიჭი ერთ ამბავში... მოვიდა დრო და უნდა დაბრუნდეს... დაბრუნდა, მაგრამ სადაა ფული... არაა... ძლივს მოაგროვა სახლში წასასვლელი (დასაბრუნებელი) ფული. ზის საწყალი მატარებელში და ესმის, როგორ „ლაპარაკობს" მატარებელი: „შვიტი-მიტი",„შვიტი-მიტი" (შვიტი–სტვენა, შვიტინა–არარსებული) ... იქით რომ მიდიოდა დატვირთული, მატარებელი იძახოდა: "ხარგინ-მარგინ", "ხარგინ-მარგინ" (ხარგილ – დატვირთული). მისი რაიონის სადგურში გაჩერდა მატარებელი, ჩამოვიდა ჩვენი გასტროლიორი და მატარებელმა უთხრა „შვიტოოოოო".

***

3. გაჩენდ ავტობუსგქ და გიმელ ართ ციგანიშ ოსურქ ჭიჭე ბაღანათი. ბედო ჩქიმ მეტიქ მითინქ ვა შეხვად შარას. რუსულ-ქორთულ-მარგალურო მიწუ: – მაკითხე ვორექ დო ნამ მხარე ვიდა, მი ცხოვრენს თე მხარეს? მუ ხალხ რე? მუს ფთხინს და ქუდვოგურუე სოფელის შარა. მა მეტ მუ მოკოდ დო ურაგადუქ: პირველ ოჯახშა ვემნორთა (თექ მოხუცებულ ცხოვრნდ და სქუალფი ქალაქის ღუნდ დო აშუქრინედ), მაჟია ოჯახიშ გემნურქუ (ჩქიმ ოხორე რე), ქოუნი, ოჯახიშ უნჩაშ კოჩის ვე მუძ ბრელ დღა, ლეხი რე დო ვამიორკათ მუთ უცოურს (თქვა ქოიჩქუნა მუ მიცორს: ჯგირ ოშუმალ და ოჭკუმალი, სხაპუა და ბირა), მასმა მეზობელი ელექტრიკ რე დო ქუნი – ვორწყექ დაჩხირს, ვამიჩქ მუშა უჩქ, დენს ვეკმიჭვას, ართ ჟირ მარას ვემუშუას.

გოუტე დო მა ომუშებშა მიდავრთი. ართ შური მიღ ყუდეშა ქიმევრთე. სუმ საათშო გინოვჭიდი ყუდეშა დორთა. შარას ქეშეფხვად ჩქიმ ნაჩინებ ჩაჩანქ დოხარგელო დო მადლობა ხოლო გეგნომხად.

გემნოვრთ ყუდეშა და მუს ვორწექ? ჩქიმ დიდა, ოსური და სქუა ქოღვარღვალანა. მა ითამ მუთუნ ვა მიჩ თეშ ვოკითხუქ,

მუქ მოხვად? მითინ ყეს რენო, ღურუო? მუთუნს ვემეჩიებუნა. სტოლს ონწყუნა, ართის ქოთომ ჭვილ მოუღ, მაჟიას – ხაჭაპურ, მასმას – ღვინ და უძახუნა მეზობელებს, (აიშახ ირო მოჩხუბუდეს, მუშენ შუნქია, ყუდეს საქმეს ვაკეთენქია). ათეცალ ცოფას ვორექ და თაშ მოქცუდეს თელ ვით დღას.

გოთანდ მაჟია დღაქ. ჩქიმ მეზობელ იალონშა მირულე შუკას მუდგარენ ქაღარდით. ვოკითხუქ -სო მეურქ იალონშა-მაქ? უნჩაშშა მეურქ, მუდგარენ ჯგირო ვა ვორექ და ჟირ მარა ოკო გეფჭოფე შვებულება, დოფშურდი, ოკე დიფსვანჯე. მართალო მთელ მარას ცუდეშე ვეგმურთუმ. ართშა ქიმეფრთი და ქოფთხი მუდგარენიშ კეთება, ითამ გემეფუჭ ყუდეს, მარა მუთუნით ვამაცუნ. მართალო მანგარო გეჭოფ ნერვებქ, ვა ჭკუმუნდ, ვა რულდუ დო მეცოდ და ქოუნი, ვენერვიულა, თი მაკითხე მა მოიჯღონ, მუთუნ ვაგაღოლე და მეუ ომშებშა-მაქ. გეხანგ დო დახე დოპიცვილ. ართ თუთას ვამრაგადუდ. ოდნდეთ ოკმარიგეს.

***

თარგმანი

3. გაჩერდა ავტობუსი და ჩამოვიდა ერთი ბოშა ქალი პატარა ბავშვით. ბედად ჩემ მეტი არავინ შეხვდა გზაზე. რუსულ-ქართულ-მეგრულად მითხრა: – მკითხავი ვარ და რომელ მხარეს წავიდე, ვინ ცხოვრობს ამ მხარეს? რა ხალხია? რას მთხოვს და ვასწავლო სოფლის გზა. მე მეტი რა მინდოდა და ვეუბნები: პირველ ოჯახში არ შეხვიდე(იქ მოხუცი ცხოვრობდა და შვილები ქალაქში ჰყავდა და შეეშინდებოდა), მეორე ოჯახში შეხვალ (ჩემი სახლია), უთხარი, ოჯახის უფროს კაცს არ აქვს ბევრი დღე, ავადმყოფია და არ მოაკლოთ რაც უყვარს (თქვენ იცით, რა მიყვარს: კარგი სასმელი და საჭმელი, ცეკვა და სიმღერა), მესამე

მეზობელი ელექტრიკია და უთხარი – ვხედავ ცეცხლს, არ ვიცი რაზე იცის, დენზე არ მიიწვას, ერთი-ორი კვირა არ იმუშაოს.

გავუშვი და მე სამუშაოდ წავედი. ერთი სული მაქვს, სახლში მივიდე. სამი საათისთვის გადავწყვიტე სახლში დაბრუნება. გზაზე შემხვდა ჩემი ნახნობი ბოშა დატვირთული და მადლობაც გადამიხადა.

შევედი სახლში და რას ვხედავ? ჩემი დედა, ცოლი და შვილი იცრემლებიან. მე ვითომ არაფერი არ ვიცი, ისე ვეკითხები, რა მოხდა? ვინმე ავადაა, მოკვდა? არაფერს არ მეუბნებიან. მაგიდას (სუფრას) აწყობენ, ერთს ქათამი შემწვარი მოაქვს, მეორეს – ხაჭაპური, მესამეს – ღვინო და უძახიან მეზობლებს, (აქამდე სულ მეჩხუბებოდნენ, რატომ სვამო, სახლში საქმეს არ აკეთებო). ასეთ ყოფაში ვარ და ასე მექცეოდნენ მთელი ათი დღე. გათენდა მეორე დღე. ჩემი მეზობელი ალიონზე გარბის შუკაში რაღაც ქაღალდით. ვეკითხები – სად მიდიხარ ალიონზე-მეთქი? უფროსთან მივდივარ, რაღაც კარგად არ ვარ და ორი კვირა უნდა უნდა ავიღო შვებულება, დავიღალე, უნდა დავისვენო. მართლა მთელ კვირას სახლიდან არ გამოსულა. ერთხელ მივედი და ვთხოვე რაღაცის გაკეთება, ვითომ გამიფუჭდა სახლში, მაგრამ არაფრით არ წამომყვა. მართლა მაგრა აიყვანა ნერვებმა, არ ჭამდა, არ ეძინა, და შემეცოდა და ვუთხარი, არ ინერვიულო, ის მკითხავი მე გამოგიგზავნე, არაფერი არ დაგემართება და წადი სამუშაოდ-მეთქი. გაგიჟდა და კინაღამ მომკლა. ერთ თვეს არ მელაპარაკებოდა. ძლივს შეგვარიგეს.

***

4. ართ მეზობელ მაჟიაწკმა ტრიპაჩენდ, მუთუნშა ვამუშქურე, სერით ბალკონს ვოჯანუქ, მურიცხებს ვკოროცხუნქ დო უკულ სუფთა ჰაერს ჯგირო მარულუაფუნია, სი მუშა იშქვიდუქ დინახალე ყუდეს? მაჟიას მუთუნ ვაუპასუხ, მარა გურს ქიფიქრ: მა

სი ქუგოძირანქ, მუჭო ვა გოშქურუნია. ართ სერს ჩე პროსტინას გაეხვია დო ქიმიუტყობ გარე დოლურაფილს, ქუმუხვატუ და სახელი ქუდუძახ. გაკურცხინ დო მუშ წოხოლე ართო ჩე კოჩ ქოძირ, აშკურნ დო გემნოსოფ ყუდეშა ღვარათ: ქიმმეხვარით, ღურელეფ ქიმმაკითხესია.

***

თარგმანი

4. ერთი მეზობელი მეორესთან იკვეხნიდა, არაფრის არ მეშინია, ღამიტ აივანზე ვწევარ, ვარსკვლავებს ვითვლი და მერე სუფთა ჰაერზე კარგად მეძინებაო., შენ რატომ იხრჩობი შიგნით სახლში? მეორეს არაფერი არ უპასუხია, მაგრამ გულში იფიქრა: მე შენ გაჩვენებ, როგორ არ გეშინიაო. ერთ ღამეს ზენარში გაეხვია და მიუახლოვდა მალულად გარეთ დაძინებულს, მოუღიტინა და სახელი დაუძახა. გაელვიძა და მის წინ მთლად თეთრი კაცი დაინახა, შეეშინდა და შევარდა სახლში ღრიალით: მომეშველეთ, მკვდრებმა მომაკითხესო.

***

5. მეზობელეფქ აკონტუკეს ართიანთი. ვაურაგადუდეს ართიანს ბრელ სანს. შხვა მეზობელეფქი გინოჭყვიდეს თინეფიშ ეკორიგება და ქოთხუეს თი სოფელს მაცხოვრებელ თიცალ კოჩის, ნამუს არძო პატის ცენდ. მართალო ართ-ართის ყუდეს მანგარ ოჟკუმალეფ განწყუეს, ოშმალ ხოლო უჯგუშ. გეკიშაყარეს, ქიმკუდოხოდეს და დიჭყეს ართიანიშ ხვამუა. საქმექ თიშა ქიმერთ, ასე ნაჩხუბარებქ ართიანი ოკო დოხვამან. გემწოდირთ ართიქ დო თიჯგურა თოფურცალო სიტყვებ ქოთქუ, არძა ყოროფათ ღვარღვალანდ. ასე მაჟიას დრო ქომართ. შხვა შარა

ვარე, ოკო დოხვამას. ხვამანს ათეჯგურო: მუთ ნინას ორაგადე, თინა მართალო მა ქეშემხვადას, დო მუთ გურს გილუ, თინა სი ქორღოლამდასია. ათაშ ქეშერიგეს თე მეზობელებქი.

***

თარგმანი

5. მეზობლებმა დახოცეს ერთმანეთი. არ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს დიდხანს. სხვა მეზობლებმა გადაწყვიტეს მათი შერიგება და სთხოვეს იმ სოფლის მცხოვრებ ისეთ კაცს, რომელსაც ყველა პატივს სცემდა. მართლაც ერთ-ერთის სახლში მაგარი საჭმელები გააწყვეს, დასალევი უფრო უკეთესი. შეგროვდნენ, მიუსხდნენ და დაიწყეს ერთმანეთის დალოცვა. საქმე იქამდე მივიდა, ახლა ნაჩხუბრებმა ერთმანეთი უნდა დალოცონ. წამოდგა ერთი და ისეთი თაფლივით სიტყვები თქვა, ყველა სიყვარულით იცრემლებოდა. ახლა მეორის დრო მოუვიდა. სხვა გზა არაა, უნდა დალოცოს. ლოცავს ასეთნაირად: რაც ენას ათქმევინე, ის მართლაც მე შემხვდეს, და რაც გულში გაქვს, ის შენ შეგემთხვესო. ასე შერიგდნენ ეს მეზობლები.

***

6. ჩქიმი დიდა (მერი ფიფია) ხშირო გიშნანდ: ჩქიმი მუმა გალის რაიტაბაკიშ უნჩაშ რდუ და ჩინდა გილეშეს სტუმარები სოხუმშე. მუაჩქიმს ომსახურუდ მანქანა დო ყუდეს მიდგუდეს ტელეფონი. სოფელს მანქანაში ხუმას გეგონდენდესი, მეზობელეფი იჩიებდეს, ლადი მოურსია. მა ფშუ, – იჩიებგდ დიაჩქიმი, – სტუმარო ნესტორ ლაკობა მოურდუა.

ჭიჭე ვორდი, მარა ვამიჩქუ მუშენ მოშქურუდუ, მარა ვფიქრენდი, თე ცოფა ბრელ ხანს ვეციდუ, მოშქურუდუ. ამდღად

დღაცალო ფშუ, ართ მეზობელქ ტყობას ქუმორთ და ჩქიმ მუმას უწუ, სქან ოჭოფშა მოულანია ჭუმან დო დიტყობია. ლადის უთქუალ, მა ოჭოფალს მუთუნს ვა ვაკეთე დო მიდამჲუნეს და, ვართ თით მოხვად მუთუნ. იფრელს ქიგარკვიენა და დიფრთუქ ყუდეშავა. მართალო ქუმორთეს მაჟია დღას, მუაჩქიმქ მუკოქუნელო ქდოხვად, ასე ხოლო თოლის წოხოლე ვორწეხ: უჩა ტყეების პლაშით სქვამას მიკოქუნელი მუჭო იჲუნეს. ბაღანეფი ეკვონგარდით, მარა უკოხოლე ვამკუჯინო თეშ ქიმდოდოხოდ მანქანას. მაჟია დღას ქუმართ ართ კოჩიქ, ენაჯუნალო ღურუს ქოგუნდ ეფერქ, გამკოჟვილ ტელეფონ, ჩქიმ უკულაშ ჯიმაქ უწუ, ენა ბაბჷშ რე დო მუშინ სოფუნქია.

თი კოჩიქ თეშ დიჭყუ ძიცა, მაშქურინეს, და მიწუეს, თენა ანწ დღას ვედერსაჭირებუნანია. მუჭო უკულ გებქით, თი კოჩის ოუჭფაფუაფ მუაჩქიმ, ადგილი ნოკობუე, მარა, ართ მარაშ უკულ მუ ხოლო ოუჭოფუნა.

***

თარგმანი

6. ჩემი დედა (მერი ფიფია) ხშირად იხსენებდა: ჩემი მამა გალის რაითამბაქოს უფროსი იყო და ჩვენთან დადიოდნენ სტუმრები სოხუმიდან. მამაცემს ემსახურებოდა მანქანა და სახლში გვედგა ტელეფონი. სოფელში მანქანის ხმას რომ გაიგონებდნენ, მეზობლები ამბობდნენ, ლადი მოდისო. მე მახსოვს, – ამბობდა დედაჩემი, – სტუმრად ნესტორ ლაკობა მოდიოდაო.

პატარა ვიყავი, მაგრამ არ ვიცოდი, რატომ მეშინოდა, მაგრამ ვფიქრობდი, ეს ყოფა დიდხანს არ იქნებოდა, მეშინოდა. დღევანდელ დღესავით მახსოვს, ერთი მეზობელი მალულად მოვიდა და ჩემს მამას უთხრა, შენს დასაჭერად მოდიანო ხვალ და

დაიმალეო. ლადის უთქვამს, მე დასაჭერს არაფერს არ ვაკეთებ და თუ წამიყვანენ, არც იმით მოხდება რამე. ყველაფერს გაარკვევენ და დავბრუნდები სახლშიო. მართლა მოვიდნენ მეორე დღეს, მამაჩემი ჩაცმულად დახვდა, ახლაც თვალის წინ ვხედავ: შავი ტყავის ლაბადით ლამაზად ჩაცმული როგორ წაიყვანეს. ბავშვები მივსტიროდით, მაგრამ უკან არ მოუხედავს, ისე ჩაჯდა მანქანაში. მეორე დღეს მოვიდა ერთი კაცი, შესახედავად მკვდარს ჰგავდა ისეთი, გამოგლიჯა ტელეფონი, ჩემმა უმცროსმა ძმამ უთხრა, ეს ბაბუასია და რატომ გამოგლიჯეო? იმ კაცმა ისე დაიწყო სიცილი, შეგვეშინდა, და გვითხრა, ეს ანი არასდროს არ დაგჭირდებათო. როგორც მერე გავიგეთ, იმ კაცს დაუჭერინებია მამაჩემი, ადგილი ნანდომება, მაგრამ ერთი კვირის მერე ისიც დაუჭერიათ.

***

7. ართ კოჩის დიდაქ დოულურ დო მუჭო წესი, გინოფორუა უღუდ. მეზობელქ ოშ მანათ დოუჭარ. მაჟია მარას თე მეზობელს უღუდ კამპანია, ბოშიქ ოსულ ქიმიცონ. ქიდაპაიჯ, მუ რაგად ოკო. გოშალ რვეულ და ოშ მანათ რე ჭარილი. მუ ქიმინას? მუქ ხოლო ოშ ოკო მიდელას. გურქ ეკაწუხ და იჩიებ: მურე, ბო, ართ მარათ მუმასხუაო?

***

თარგმანი

7. ერთ კაცს დედა მოუკვდა და როგორც წესი გადაფარვა (ფულის შეტანა ჭირისუფლის დასახმარებლად) ჰქონდა. მეზობელმა ასი მანეთი ჩაუწერა. მეორე კვირას ამ მეზობელს ჰქონდა ლხინის სუფრა, ბიჭმა ცოლი მოიყვანა. დაპატიჟა, რა თქმა უნდა. გაშალა რვეული და ასი მანეთია ჩაწერილი. რა ქნას?

მანაც ასი უნდა ნაიღოს. გული ჭეუწუხდა და ამბობს: რაა, კაცო, ერთი კვირით მასესხაო?

***

8. დღას ვენირზანიათია, იჩებუდ დიაჩქიმი და ათეცალ ამბები მიწუეს (მართალ ამბე რენია): ართ ძღაბ იჩიებუდ, მა ღურელებშა ვამოშქურუნუა, მუ დრო ვარდასი, შემლებ მიდაბრთე სასაფლაშავა. შუასერ ყოფე დო ართის უთქუალ, ასე ქეშვილებულიაო? ქოვა უთქუალ. თინწკმა მეუ ასე სასაფლაშა დო თექ გოღა თხორეს ჩქინ მეზობელ თიშ საფლას კეტ ქიგიოციკე დო დირთია. ჯგირია უთქუალ და მიდურთუმ. მიკილ ბრელ ხანქ დო ვე დირთუ, აშქურინეს დო მიადრთეს ოძირაფშა, მუქ მოხვად. ქიმერთეს დო მუ ძირეს, გურგოხარცქილ ქიგესვანჯ. ქიმურთუმ დო მართალო კეტ ქიგუციკუაფ, მარა ედირთუდუ თი დროს კაბას ვა გუტებ, ქელაცუნაფე კაბაშ წვანდი, სერ რდუ დო ვაძირ, აშქურინ დო გურქ გოუხორც და დოღურ.

***

თარგმანი

8. არასდროს არ დანიძლავდეთო, ამბობდა დედაჩემი და ასეთი ამბები გვითხრა (ნამდვილი ამბავი არისო): ერთი გოგო ამბობდა, მე მკვდრების არ მეშინიაო, რა დროც არ უნდა იყოს, შემიძლია წავიდე სასაფლაოზეო. შუაღამე ყოფილა და ერთს უთქვამს, ახლა შეგიძლიაო? კიო, უთქვამს. მაშინ, წადი ახლა სასაფლაოზე და იქ გუშინ რომ დამარხეს ჩვენი მეზობელი, იმის საფლავზე ჯოხი ჩაასე და დაბრუნდიო. კარგიო, უთქვამს და წასულა. გავიდა დიდი ხანი და არ დაბრუნდა. შეეშინდათ და წავიდნენ სანახავად, რა მოხდა. მისულა და მართლა ჯოხი დაურჭვია,

მაგრამ რომ დგებოდა იმ დროს კაბას არ გაუშვია, ჩაჰყოლია კაბის ნვეტი, ღამე იყო და ვერ ნახა, შეეშინდა და გული გაუსკდა და მოკვდა.

***

9. ართიშ ჯიმა მეცუნა ჯარშა. რე ართ ამბე: მეზობელეფი, ნათესები, ამხანაგეფი ისოფუნა. ცუნაფა მაჟია დღაშა გეგნოდვეს დო არზაქ მუშ მუშ ყუდეშა მიდართ. თე ჯარშა მიმაულარქ, ჭიჭე ქიმკირულუანქია დო დას ქოუწუ, ჩქიმი ამხანეფ ქუმართას და, გიმოკურცხინევა. ვამკურთუმ ბრელ ხანს, უძახ, გედ, გედ მალას, გიკურცხინე, ამარ მეულანია. გემწოსხაპ და მუს ორწყე: დიდა ღეჯ მეურეს და უკახალე ვითოჟირ თუ აკოთხოზ. გეხანგ ბოშიქ, გეკათხოზ მუშ დას, დახე დოცვილ.

***

თარგმანი

9. ერთის ძმა მიჰყავთ ჯარში, არის ართი ამბავი, მეზობლები, ნათესავები, ამხანაგები წრიალებენ. ნაყვანა მეორე დღისთვის გადადეს და ყველა თავ-თავის სახლში წავიდა. ამ ჯარში წამსვლელმა, ცოტას წავუძინებო, და დას უთხრა, ჩემი ამხანაგები თუ მოვიდნენ, გამაღვიძეო. არ გასულა დიდი ხანი, ეძახის, ადექი, ადექი ჩქარა, გაიღვიძე, აგერ მიდიანო. წამოხტა და რას ხედავს: დედა ღორი მიდის და უკან თორმეტი გოჭი მისდევს. გაგიჟდა ბიჭი, გამოეკიდა თავის დას, კინაღამ მოკლა.

***

10. მა ფშუ, ზოთონჯიშ დოთუნდუ, ოჭმარეს იალონშა გემორღვანდეს ჩქიმ ბიძა, გედით, ბაღანეფი, მალას, ქოძირით მუ

გარგანჯია თირ რენია... მა თეშ მიმეწონ თე სიტყვაქ „გარგანჯია“, მუთ მიმეწონეფ თის გარგანჯიას უძაბუქ. მუდგარენ ძალას მარძენს, ქედეკვირით აბა: იბგარგანჯათ...

***

თარგმანი

10. მე მახსოვს, ზამთარში დათოვდა. დილით ალიონზე წამოგვყრიდა ჩემი ბიძა, ადექით, ბავშვებო, ჩქარა, ნახეთ, რა ბრიალა თოვლი არისო... მე ისე მომეწონა ეს სიტყვა „გარგანჯია“, რაც მომეწონება, გარგანჯიას ვეძახი. რალაც ძალას მაძლევს, დააკვირდით აბა : იბგარგანჯათ (– ვიბრდღვიალოთ, ვიგიზგიზოთ).

გოგოხია ინეზა, 66 წლის, ოჩამჩირე – თბილისი

(ჩაიწერა მარინა ჯღარკავამ)

– გათხუალაშა სო ცხოვრენდი, ინეზა?

– ჭლიუ. ჭლოუ აფხაზურ სოფელი რე, ცხოვრენა მარგალეფ ხოლო.

– მუ გვარ რექ?

– გოგოხია.

– მეგობარ მიცუნს გოგოხია, გალშე. ჭლოუ გალიშ რაიონ რენო?

– ვარ, Очамчирский район.

– ნამ წანაშ დინაბად რექ?

– პიისიატოვო, Пятидесятого..

– Молодо выглядите, хочу сказать.

– Шестьдесят шесть გუვათე шестьдесят семь -შა ინვორექ. Третьего Февраля буду шестьдесят семь.

– დიდა გიცუნდ აფხაზა, ვარო?

– ო, დიდა ჯოპუა რდ ჩქიმ, აფხაზა რდ.

– აფხაზური მუჭო გიჩქუდ?

– ჩქიმ და დო ჯიმალეფშე არძოშ უჯგუშ აფხაზურ მა მიჩქუდ. მარა უკულ გეფთხინ, იშო გუმოჭყორდგ, ვაბრაგადანდინ... ასე ჩქიმ ჯიმა რაგადანსგნ, ტოლბაშო ქუდახუნუენ, წყარცალო რაგადანს, მუშენ და ექ უკვე თექ ქაშასქედ მუდგა რენინ,.. მარა უმოსო რუსულო რაგადანა. აფხაზურ მართალ ძნელ დაგურაფალრე.

– ჩქი ფინანსთა სამინისტროს აფხაზურ გაზეთ „აფსნი კაფშ" მაფდეს გიშაჭარილ. თინა ხოლო ქიმემტეს უკულ. ქორთულ ალფავიტით ჭარუნდეს აფხაზეფ.

– ჩქიმ დიდას შქვიტ კლას აფ ნათებუ, грузински ინეფი რდუა,

ასოეფი. ჩქიმ ბიძია უკლაში, დედაშ ჯიმა ჯარსგ რდგნ, აფხაზურო ჭრაგნდ, მარა ბუკვეფირდ ქორთული. დო ჯიმას უჭარუნდ წერილს დო ბღურუდით ძიცას ჩქგ. ო, გიმაციგანითია მა თქვა, მა შქვიტ კლას მაფუნია თებულია თქუანდ ცოდა დედა. ჩქიმ ბებიქ ხვალე ქგდოსქგდ, ბაბ ჩხუპშა მიდეცონეს. შქვით სქუალეფ ხვალე მორგდ ბებიქ ცოდაქ. ჩქიმ დიდაშ დიდაქ.

– ტექ მედინ, ვარო, ბაბუქ?

– ო, ტექ მედინ. ბოლო წერილქ მორთუა, ნანავა, მიწინდ ჩქიმ ბებ, კურსკშე. ოდო ართ წანას მოსკოვს ვორდით დო კურსკის ქუმოფხვადი. იბდით მუდგარენ ოსურეფ საქონელშა... დო ათაქ დიიდ მუდა ქიგედქ, ოდო Братская могила დო ბაღანეფ, სკოლაშ მოსნავლეფ, ქოხუშუნა თეს დო ზოთონჯი რდ. ოდო გოხუშეს ბაღანებქგნ, ქიდებკგნ კნიშკა ინომძუდ სუმკაშა დო გესებჭარ. დღას ვაგმოჭყორდუ, ვითოჩხორო ქორთუშ ინარდ თექ ბრაცკაია მაგილას. ეგება ჯოპუა რენდა სოთინ, მუშენდა ჩქიმ ბების ნარაგადი აფუდუ, მარა ვაბძირ დო... ვითოჩხორო ქორთუ რდგ, ართ სომეხი რდგ, დანაცენ არძა რუსეფი. სომეხეფ ეშმაკეფ ვარენანო, მიკიჩუანდეს დუდის დო ჩქგნ ქორთუეფ მუსხი რე ღურელ.

– სკოლა რუსულო ათეო?

– ო, რუსულო მაფნა ჩქი თებულ არძას. ჩქინნკგმა ქორთულ ვარდ. ჭლოუს ქორთულ სკოლა სო რდუ. Абхазский до четвёртого, потом русский.

– ქორთუეფ ვაცხოვრენდეს ჭლოუს თუ ცხოვრენდეს?

– ქორთუეფი ფხაკაძე, სოგრაძეეფი რდეს, მარა გააფხაზებული რდეს. ქორთულ შურო ვაუჩქუდეს. ო, კირთაზეეფი. ჯახა. უკულ ხუხუეფ ცხოვრენდეს, ხუხუეფ. ართ რიად უღუდე ჟი , სახუხუორდ თექ რო არძაქ თექ აშასქგდ თინეფქ, თექ რდეს. ქალუდურთეს თინეფს დო გვალო ჯგირო რენა. მიქგთ თინეფს ალუდგრთგნ, ჯგირო რენა. აფხაზეფ მუნეფ ცუნა, აფხაზას

აცუნუნა დო თაშ. ასე გალშე ხოლო მეუნა აფხაზეფს ძაღაბეფ ოსურო, გალარეფ. მარგალიშ მეტ ვარენია მითინ მუნაცონაფალია, თქუანა.

– ურთიერთობა იცუას ოკო.

– იცუას ოკო, მიდაქ, კვიციანქ თქუნ დღანო, ქორთუეფ დო აქაზეფის შქას, მარა რუსეფ ასე ხოლო ... თექ საზღვარს თექ შურ დო გურით ოკო ქორცას პატი დო ჟგირ მუდათ გეგნოიონას, მარა ღეჯეფ გერენა შქას დო ვსიო პრავერიაიუტ და კანცა იფრელ... ენა მეშენ ვარ, სი თეზმახანს მუშენ დოსქედ, სი ავრე სქან პროპუსკიქ მუშენ რე პრასროჩენი, თენა, თინა დო აჭირენა დო უკულ აფხაზა ქიმეურს დო მიდუღანა რუსეფს საბუთებს დო გეგნაზარენა უკულ. ათაშ ორთუნა.

– ეთეშ ვაქიმინესო ?! რუსეთიშ ამბე რე თენეფ ირფელ.

– მუთუნფერო, კვიციან გვალო გურს ელმორაგადანს, მუთუნფერო რუსის ვაკო ათავრე ... ასე ხოლო ხო გეგნუკილეს, ლეჩენიაშა გილეშესჷნ ვსიო, перекрыли. ო, ასე თი კვინწინხეს ხო აფუდ მაულარ, ხუთ დეკემბერს თაქ ოკო რდუკო დო ექიმს დურეკია ოდო потерпи-а, после нового года может лучше будит-უა მუთუნია.. დო მუდავა, პუტინქ აუკრძალ თავრე თინეფიშ გინულა, მუშენდა თევრე იდან, რუსეთშა... ექ ირფელ პლატნი რე, სასწაულ პასეფ რე. გეპატიტ ცეს მკურნალობა, ბინებს გუმაჩანს ხალხ. აქ უფასე რე, მოულუნა დუდი აშო. ოდო მეურს ჩხუპი, ვაი დო ვუი, მიაკათუნა თექი. თექ ხოლო უღუნა ხომ ჯანდაცვაჯგუა მუდგარენ, მიაკათუნა, მარჩე მი ლეცენიეს ბესპლატნა მიკეთეენა. ა, ჩქიმ ბიძისქუაშ ძლაბირდ თაქინ, იფრელ ჭარილ აფ, რუსულ ფარათ შქვითოს ანთას მანათგრდ ტენეფშა გინორიცხილ. შქვითოშ ანთას მანათ ჭიჭე რენო?! დახე მილიონშა ორკ ჭიჭე.

– გათხოვებამდე სად ცხოვრობდი, ინეზა?

– ჭლოუ. ჭლოუ აფხაზური სოფელია. ცხოვრობენ მეგრელებიც.

– რა გვარი ხარ?

– გოგოხია.

– მეგობარი მყავს გოგოხია, გალიდან. ჭლოუ გალის რაიონია?

– არა, ოჩემჩირის რაიონი.

– რომელ წელს ხარ დაბადებული?

– ორმოცდაათის.

– ახალგაზრდულად გამოიყურებით, მინდა ვთქვა.

– სამოცდაექვსი გავათავე, სამოცდაშვიდში ვდგავარ (გადავედი).

– დედა გყავდა აფხაზი, არა?

– ჰო, დედა ჯოპუა იყო ჩემი, აფხაზი იყო.

– აფხაზური როგორ იცოდი?

– ჩემი ღა და ძმებიდან ყველაზე უკეთესი აფხაზური მე ვიცოდი. მაგრამ მერე რომ გავთხოვდი, დამავიწყდა იქით, რადგან არ ვლაპარაკობდი... ახლა ჩემი ძმა რომ ლაპარაკობს, თამადად რომ დასვა, წყალივით ლაპარაკობს, რატომ და ეს უკვე იქ ჩარჩა რაც არის,.. მაგრამ უმეტესად რუსულად ლაპარაკობენ. აფხაზური მართლა ძნელი სასწავლია.

– ჩვენ ფინანსთა სამინისტროში აფხაზური გაზეთი „აფსნი ყაფში" გვქონდა გამოწერილი, ისიც მიგვიტოვეს მერე. ქართული ასოებით წერდნენ აფხაზები.

– ჩემს დედას შვიდი კლასი ჰქონდა დამთავრებული. ქართული ისინი იყოო, ასოები. ჩემი ბიძა უმცროსი, დედის ძმა, ჯარში როცა იყო, აფხაზურად სწერდა, მაგრამ ასოები იყო ქართული. და ძმას სწერდა წერილას და ვკვდებოდიტ სიცილით ჩვენ. ჰო, დამცინეთო მე თქვენ, მე შვიდი კლასი მაქვსო დამთავრებული,

იტყოდა საცოდავი დედა. ჩემი ბებია მარტო დარჩა, ბაბუა ომში წაიყვანეს. შვიდი შვილი მარტომ გაზარდა ბებიამ საწყალმა.

– იქ დაიკარგა, არა, ბაბუა?

– ჰო, იქ დაიკარგა. ბოლო წერილი მოვიდაო, შვილოო,– მეტყოდა ჩემი ბებია,– კურსკიდან. ჰოდა ერთ წელს მოსკოვში ვიყავი და კურსკში მოვხვდი. წავედით რაღაც ქალები საქონელზე... და აქ დიდი ის დგას, საძმო საფლავი, და ბავშვები, სკოლის მოსწავლეები, ხვეტენ ამას და ზამთარი იყო. ჰოდა, გახვეტეს ბავშვებმა, დავიკავე წიგნაკი, მედო ჩანთაში, და ამოვიწერე. არასდროს არ დამავიწყდება, ცხრამეტი ქართველის ის იყო იქ, საძმო საფლავში. იქნებ ჯოპუა არის სადმე, რატომ და, ჩემს ბებიას ნათქვამი ჰქონდა, მაგრამ ვერ ვნახე და... ცხრამეტი ქართველი იყო, ერთი სომეხი იყო, დანარჩენი ყველა რუსები. სომხები ეშმაკები არ არიან? მიიმალავდნენ თავს და ჩვენი ქართველები რამდენია მკვდარი.

– სკოლა რუსულად დაამთავრე?

– ჰო, რუსულად გვაქვს ჩვენ დამთავრებული ყველას. ჩვენთან ქართული არ იყო. ჭლოუში ქართული სკოლა სად იყო. აფხაზური მეოთხემდე , მერე რუსული.

– ქართველები არ ცხოვრობდნენ ჭლოუში თუ ცხოვრობდნენ?

– ქართველები ფხაკაძე, სოგრაძეები იყვნენ, მაგრამ გააფხაზებული იყვნენ. ქართული საერთოდ არ იცოდნენ. ჰო, კირთაძეები. დიახ. მერე ხუხუები ცხოვრობდნენ, ხუხუები. ერთი რიგი ჰქონდათ ზემოთ, სახუხუო იყო. ყველა იქ ჩარჩა ისინი, იქ იყვნენ. ამოუდგნენ (გვერდით) იმათ და ძალიან კარგად არიან. ვინც იმათ ამოუდგა, კარგად არიან. აფხაზი ისინი ჰყავთ, ქალები (ცოლები). აფხაზებს მიჰყვებიან და და ასე. ახლა გალიდანაც მიჰყავთ აფხაზებს გოგოები ცოლად, გალელები. მეგრელის მეტი არააო არავინ შემოსაყვანი, იტყვიან.

– ურთიერთობა იყოს უნდა.

– იყოს უნდა, იმან, კვიციანმა რომ თქვა ამ დღეებში, ქართველებს და აფხაზებს შორის, მაგრამ რუსები ახლაც... იქ საზღვარზე ამას სულით და გულით უნდა გცეს პატივი და კარგი იმით გადაგიყვანოს, მაგრამ ღორები დგანან შუაში და ყველაფერს ამოწმებენ მოლომდე ყველაფერს... ეს რატომ არა, შენ ამდენხანს რატომ დარჩი, შენ აქეთ შენი საშვი რატომ არის ვადაგასული. ეს, ის და აჭირებენ და მერე აფხაზი მივა და წაართმევს რუსებს საბუთს და გადააცილებენ მერე. ასე აკეთებენ.

– ისე არ ქნეს?! რუსეთის ამბავია ესენი ყველაფერი.

– არანაირად, კვიციანი მთლად გულში მელაპარაკება (გულის სათქმელს მეუბნება), არანაირად რუსს არ უნდა აქეთ... ახლაც ხომ გადაუკეთეს, სამკურნალოდ რომ დადიოდნენ, მორჩა, გადაკეტეს. ჰო, ახლა იმ კვიწინიას ქალს ხომ ჰქონდა მოსასვლელი, ხუთ დეკემბერს აქ უნდა ყოფილიყო და ექიმს დავურეკეო და მოითმინეო, ახალი წლის მერე შეიძლება უკეთესი იქნესო რამეო... და ისო, პუტინმა აუკრძალა აქეთ იმათი გადმოსვლა, რატომ და იქეთ წავიდნენ, რუსეთში... იქ ყველაფერი ფასიანია, სასწაული ფასებია. ჰეპატიტ ცეს მკურნალობა, ბინებს ყიდის ხალხი. აქ უფასოა, მოაქვთ თავი აქეთ. ჰოდა მიდის ჩხუბი, ვაი და ვუი, უვარდებიან (მიუვარდებიან), მდლისთვის მკერნალობას უფასოდ გვიტარებენ. აი, ჩემი პიძაშვილის გოგო რომ იყო აქ, ყველაფერი დაწერილი აქვს, რუსული ფულით შვიდასი ათასი მანეთი იყო ამათთვისგადარიცხული. შვიდასი ათასი მანეთი ცოტაა?! კინაღამ მილიონს აკლია ცოტა.

ცაცუა ნანა, 53 წლის; სოხუმი – მოსკოვი

მაშ ასე, პირველი ამბავი ასეთია: ეს იყო დიდი ხნის უკან, სამოციან წლებში სამურზაყანოში. ავტობუსი ოამირე-ოქუმი გამოვიდა ოჩამჩირის ავტოვაგზლიდან, გაიარა გარკვეული მანძილი და შემოუხვია აჩიგვარასთან, გზა უნდა გააგრძელოს ოქუმისაკენ, მოუახლოვდა სოფელ მუხურს და შემთხვევით გაიტანა იხვი. რადგან მუხური პატარა სოფელია, იხვის პატრონმა წაუსწრო ავტობუსის მძღოლს დანაშაულზე. მძღოლი იყო ხუტა ქუთელია, ცნობილი თავისი ოხუნჯობით მთელ სამურზაყანოში. მძღოლი იძულებული იყო მანქანა გაეჩერებინა და იხვის პატრონს დალაპარაკებოდა. იხვის პატრონი კი საშუალო ასაკის ქალი იყო და ჩხუბი დაუწყო მძღოლს: – ხუტა, სი ჭირიშ გონიმინდელი, მურე აკეთი? (–ხუტა, შე ჭირის გასაჟლეტო, რაა რომ გააკეთე?). ჩხუბობს ეს ქალი და არ ცხრება. ხუტა ამ ქალს ვერ აჩერებს და ეუბნება: – ნუმ კვაკვალანქი ოსური. ფარას მერჩანქი (– ნუ კაკანებ, ქალო, ფულს მოგცემ). ეს ქალი მაინც არ ცხრება. ხუტა ისევ ფულს სთავაზობს. ეს ქალი მაინც არ ცხრება და ხუტას ეუბნება: – ხუტა, რაიკომს გიჩოუვლენქია (– ხუტა, რაიკომში გიჩივლებო). ხუტამ უპასუხა: – სულიკო, მუ რე, სი გახარებული, თე სქანი კვატა პარტიულ ხომ ვარდუა? (– სულიკო, რაა, შე გახარებულო, ეს შენი იხვი პარტიული ხომ არ იყოო?).

ამ პირველ ეპიზოდში ეს ასაკოვანი ქალი ამბობს: – ჩქიმი სათანაფო კვატა ანაყუ ღირუნია (– ჩემი საალდგომო იხვი ძალიან ძვირი ღირსო). აქ აღსანიშნავია სიტყვა „ანაყუ“ ანუ ძვირადღირებული.

ძალიან მომწონს ასეთი გამოთქმა: „ჭუჭელს ჭუჭელი ელაფალუნსია“, ესე იგი: ჯინჭარს ჯინჭარი ამოეზრდებაო, ასე ამბობენ სამურზაყანოში ცუდ ადამიანზე, რომელიც სიცუდეში თავის

წინაპარს ემსგავსება. დათომ მასწავლა სიტყვა „ტომბა“: ტომბა გურაფილი. ესე იგი, კარგი ტვინის პატრონი, კარგად ნასწავლი.

– ანუ ღრმად ნასწავლი... ეს თუ გაგიგია: „ტომბა გაგეფაშ დინახალე“... ანუ „ღრმა გაგების შიგნით“. ხუმრობით ვამბობდით ახალგაზრდობაში, ჟარგონული გამოთქმა იყო.

– „ტომბა“ ჟარგონია?

–არა, „ტომბა“ ღრმას ნიშნავს. ფრაზაა ჟარგონული.

– ღერღილი ოქუმურად არის „ჭყვინჭყვი“.

„მატატიეფი ქუგოიგებუნო“? (–„მატატიები“ გაგიგია?) ეს ჩუსტებია.

„გეხეზირი რექო?“ ეს იცი რას ნიშნავს? მოსკოვში გავიგე ოქუმელებისგან. ნიშნავს: მზად ხარ ან ვარ ნასასვლელად. ეს თუ გაგიგია: მუ ვღოლა თე ვალალეფსი?(– რა ვუყო ამ უსაქმურებს?). „ვალალეფი“ – უსაქმურები, უტვინოები. უფრო დარმოედებს (რუს. –მუქთახორა) ნიშნავს. ეს თუ გაგიგია? – „გილესერგელუ თე საგვა“ (– დაეთრევა ეს უვარგისი).

– „საგვა“ რას ნიშნავს?

– „საგვა“ ნიშნავს უფრო ალბათ „ღურელიში შური“ (– მკვდრის სული), უვარგის ადამიანს, უფრო ალბათ დოყლაპიასთან არის ახლოს, მაგრამ დოყლაპია უფრო სხვაა.

ამ დილით კიდო ერთი სიტყვა გამახსენდა. ეს შენ ტოჩნო (რუს. – ნამდვილად, ზუსტად) არ გეცოდინება. ეს სიტყვა „ყანთარი“. „ყანთარი“ ნიშნავს ლიფჩიკს. „ჩუანი“ (–ქვაბი) გეცოდინება. ერთმა შენმა მოგვარემ, ნაგვაზაოდან არის ჩემი მეგობარი, მაგან მასწავლა „მერმეწა“. მე მოსკოვში ვისწავლე ეს სიტყვა. მეტი ჯერ, ვერაფერს ვერ ვიხსენებ.

– „მერმეწა“ ცუდს ნიშნავს, ყროლს, აყროლებულს... ასეა მეგრულ-ქართულ ლექსიკონებში.

– ეს ჯღარკახე ამ სიტყვას ხშირად ხმარობს და საკმაოდ კარგი

მნიშვნელობით, საკმაოდ კარგ ხალხზე ამბობს ამ სიტყვას. ჩემი მეგობარი ჯღარკახე მეუბნება, ნაგვაზაოში „მერმენწას" ყოველთვის კი არა აქვსო უარყოფითი მნიშვნელობა.

– რას ნიშნავს ნაგვაზაოში ეს სიტყვა?

– ნუ, ყოველთვის კი არა აქვს ამ სიტყვას ნეგატივი. საერთოდ ვერ წამომედგინა ასეთი ლექსიკონი – მეგრულ-ქართული. ლექსიკონი это далеко не показатель величия мингрельского (– ეს შორსაც არაა მეგრულის სიდიადის მაჩვენებელი). შენ თუ იცოდი „ანაყუ" და „ჭყვინჭყვი"? გამნარყი ქოიჩქუნო მუ რე? (–„გამნარყი" იცი რა არის?). „გამნარყი" არის რჯული. სამურზაყანოში უშვილო ქალს ეძახიან „ბურჭი"...

– ქართულად ბერნია.

– ეს გამოთქმა? –„ თენა რუსული ნაქარღადი რე" (–ეს რუსული ნაქაღალდარია)... ანუ რუსულად აქვსო სკოლა დამტავრებული. ასე ლაპარაკობენ ოქუმსა და ბედიაში რუსულ სკოლადამთავრებულებზე.

მეორე ეპიზოდი: ეს იყო მე-20 საუკუნის 70-იან წლებში. მაშინ აბაშის რაიკომის მდივანი იყო გურამ მგელაძე, რომელიც რაიონში ატარებდა აგრარულ რეფორმას. როცა მომდევნო შემთხვევაში მოინახულა რაიკომის მდივანმა სუჯუნის, დიდი ისტორიული სოფელია, სასილოსე ნაკვეთი, დაინახა, რომ მეგრელი გლეხი გოგია ძალიან გვიან, 2 საათზე, მიდიოდა ყანის დასამუშავებლად. მგელაძემ გაკვირვება ვერ დამალა და ამ გლეხს უთხრა, ამხანაგო გოგია, რა დრო არისო ახლა? გოგია არ დაიბნა და რაიკომის მდივანს უპასუხა: რაია, ბატონო, შენც არ მოგწონს ეს დროო?

ოქუმში, ცენტრში, საქართველოს მენშევიკური მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის ჩხენკელის სახლი იყიდა ვინმე ბოჩია გოგოხიამ, სოფელ ფახულანიდან. ჰყავდა 7 ბიჭი და ახლა

ჰყავს 6, ერთი დაიღუპა აფხაზეთში 93-ში. მოკლედ ეს ამბავი მოხდა 1986 წელს. ოჯახი ემზადებოდა საქორწინოდ. ორი ოქუმელი დადიან გალის ბაზარში და საქორწილოდ ყიდულობენ პრავიზიას (რუს. – პროდუქტებს). დადიან და მასხრობენ: ბოჩია გოგოხიაქი მოიჩინესია, პამიდორი თე ფასშა გაგმოჩათია (– ბოჩია გოგოხიამ დაგვაბარაო, პამიდორი ამ ფასად გაყიდეთო). გამყიდველებიც ალალი გულით მასხრობენ და რალაცას ფასს უკლებენ, რალაცას კიდე – არა. და ასე დადიან და იყიდეს ბევრი რამე. ბოლოს მიადგნენ ერთ-ერთ კაცს – გამყიდველს, რომელსაც უთხრეს: ბოჩიაქი მოიჩინუ, კინტირი ათე ფასშა გაგმოჩია (–ბოჩიამ შემოგითვალა, კიტრი ამ ფასად გაყიდეო). თურმე ეს გამყიდველი ბაზრის კარგად ნაცნობარა ამ ოქუმელ ბოჩია გოგოხიას და ამ ნათქვამზე, მასხრობაზე, სერიოზულად გაბრაზდა და ამ მყიდველებს ყვირილი დაუწყო და ეუბნება: ბოჩია გოგოხიაქია მუშ ჯას, ხის გადასამუშავებელ ქარხანაში მუშაობდა ეს ბოჩია, გემკაჯინასია დო ჩქიმი კინტირი მა მითინიში ოკითხე ვამილუნია (– ბოჩია გოგოხიამო თავის ხეს ,..., მიხედოსო და ჩემი კიტრი მე არავისი საკითხავი არ მაქვსო). ეს ბიჭები, მყიდველები, იგუდებიან, ის გამყიდველი მამაკაცი ჩხუბს აგრძელებდა და არ ცხრებოდა.

ასეთი გამოთქმა თუ გაგიგია, „სი კუბაკი, დირსიკი ოსური“? დათო ამბობს ხშირად ამ ვირაჟენიეს (–გამოთქმას). „დირსიკი კუბაკი“ ნიშნავს ჟადნი (რუს.–ძუნწ) ადამიანს. დათომ მხოლოდ მეგრული იცის და თანაც დოგაფილი მარგალურს რაგადანს (– დაგებულ მეგრულს ლაპარაკობს). აი ქართულში დიდი პრობლემები აქვს. ასე აბობს: „დამწვარი ქათამი“, იმის მაგივრად, რომ თქვას „შემწვარი ქათამი“. კიდო ამბობს „შემერცხვა“, ვერ ვასწავლე „შემრცხვა“.

კიდევ ერთი ასეთი ეპიზოდი, ეს დათომ მომიყვა. ეს იყო რუსეთში 90-იან წლებში. დათო მივიდა ბაზარში პრავიზიის საყიდლად

და ამ ბაზარში დათოს ცოტა უშნოდ შეხედეს აზერებმა. დათო გაბრაზდა და მეგრულად შეიგინა. დათოს ეგენი რომ აზერები ეგონა, თურმე ეგენი თურქები ყოფილან. რომელიღაცა ამ თურქებიდან მიხვდა დათოს მეგრულ გინებას და დათოს ჰკითხა, სენ ლაზი ხარო? რომ გაიგო რომ დათო მეგრელი იყო, ეს ლაზი მივიდა ამ თურქებთან და დათოს გულისთვის დედა უტირა მაგ თურქებს.

მეგრული არ მახსოვს კი არა, ძალიან მთხოვს ჩემი ორგანიზმი იმენა მეგრულს. ერთხელ ჩემმა გრიშა ბიძიამ, სტუდენტი რომ ვიყავი და ჩამოვედი თბილისიდან, მითხრა, ხომ ამჩნევო, რომ მეგრელი ყველაზე უკეთესი ხარო. მაშინ ეს არ მესმოდა. ახლა ცაში დავფრინავ, რომ მეგრელი ვარ.

ეგ ლექსი თუ გაგიგია:

„ოქუმი დო ჩქიმი რეფი,
ჩქიმი ფიჩორიშ მინდორეფი,
ნაბადა დო ჩქიმი კარე,
ჩქიმი გოთანაშ ოჭუმარე,
დებჯერაო, გოლვაფირო,
შხვაში რე დო ჩქიმი ვარე?!“
(– ოქუმი და ჩემი რეფი,
ჩემი ფოჩორის მინდვრები,
ნაბადა და ჩემი კარავი,
ჩემი გათენების დილა,
დავიჯერო, შემოგევლე,
სხვისია და ჩემი არ არი?!)

ავტორი არ ვიცი. ერთმა ზუგდიდელმა მეგობარმა მასწავლა და მითხრა, გური ოტობაიასი არისო, მარა დაზუსტებით არ ვიცი. ჩვენ ოქუმელობაზე ყოველ წელიწადს ეს გიმნად გვაქვს შერჩეული.

დოლბაია მადონა, 58 წლის;
სოხუმი – ფოთი

ამბობენ, წლებთან ერთად სიჩუმე ხდებაო ადამიანის მეგობარი, ასე ყოფილა. ხშირად მახსენდება ჩემი ბავშვობა და ჩემი სოხუმუ. ალბათ იმიტომ, რომ ყველაზე მეტად ამ დროს ვიყავი უდარდელი და ლაღი. წარსულის მოგონებების ყველაზე ზღაპრული სურათი ბებისთან ურთიერთობაა. რატომღაც მეგრულსაც ბების ენას ვეძახდი, ასე მეგონა, ამ მითიურ ენაზე მარტო ბებიები და ბაბუები საუბრობდნენ. ისინი რომ არა, ალბათ ალბათ არ მეცოდინებოდა ეს ულამაზესი ენა. რამდენჯერ უთქვამს ბებოს, – ქიდეკვირი, ბები, მუ სქვამს ვრაგადანთი: ცუდე დინოდგუ, ჩხოუ დინორე, ჯა გედგუ... ქარწყექო? ოშნერო ირაგადე ართი სიტყვა (– დააკვირდი, ბებო, რა ლამაზად ვლაპარაკობთ: სახლი დგას, ძროხა დგას (შიგნით), ხე დგას... ხედავ? ასნაირად ითქმის ერთი სიტყვა). არადა მართალი იყო.

კიდევ მახსენდება ბებიის შელოცვები, – ნაჟამა ხო ვარექ, ბები, (– მონაჟამი ხომ არ ხარ, ბები), – და იწყებოდა გაუგებარი ბუტბუტი. „ნაჟამას“ ლოცვა რას მახსოვს, მაგრამ კარგად მაგონდება ერთი შელოცვიდან სიტყვები: „მონჯირელი, მოხუმპორი, ორდოშურამს შურ გეშუოთი“ (– მოწოლილი, მოკვნიტე, სულსნრაფს სული ამოუგდე), მხოლოდ ვერ ვთარგმნი. ერთი კი ვიცი, ამ ლოცვის მერე ამას ვიწყებდი, რაც ჩემი მარადიული პრობლემა იყო ბავშვობაში.

მახსენდება, როგორ ვაბრაზებდი და გულს ვტკენდი ბებოს.

ჩემთან მოდიოდა ცემი თანაკლასელი ნანა, რომელიც ბავშვობიდან ატარებდა მანქანას. იმ დროში ეს იშვიათობა იყო და ნანაც ხშირად მოდიოდა მეზობლის დიდი სატვირთო მანქანით და ვარტყამდით წრეს ჩემს ქუჩას. არ ვიცი, სად იყვნენ მილიციელები...

და იწყებოდა ბების ტირილი: ათე ძღაბი მესიაკონი რე, ირფელის ვფუჩაფულენქ. სო რე თეშ დიდა, ვარა ბები ვა უნსო (– ეს გოგოყველაფრის მცოდნეა. სადაა ამისი დედა, ან ბებია არ ჰყავს)?

როგორ არ გიცოდებდით, ბებო. მერე იძახდა: მირდუთ დო გავენუნა თქუა ხოლო მოთალები, დო ქოძორუნთ, მუ მწარე ოფე ბებიშ არდება (– გაიზრდებით და გეყოლებათ თქვენც შვილიშვილები, და ნახავთ, რა მწარე ყოფილა ბებიის აგდება). ჩემო ბებო, ამდღა მითინს ვა უკვენს თე ამბე, ამდღა არძა ოსურს გიაუნსი მანქანები. მა დო ნანა ქოვორეთი ასე ბებეფი დო ხშირად გითმოიშინანქი. მართალო მონატრუქი, ჩქიმი სქვამი ბები (– დრეს არავის არ უკვირს ეს ამბავი, დღეს ყველა ქალს დაჰყავს მანქანები. მე და ნანა კი ვართ ახლა ბებიები და ხშირად გიხსენებ, მართლა მენატრები, ჩემო ლამაზო ბებია)...

კიდევ რამდენ დალექილ ამბავს გამახსენებს სიჩუმე...

სარჩევი

წინასიტყვაობა 3
წიფიანი რომანი 9
წიფიანი ლევან 13
დადვანი ნინო 13
ჯაფარიძე ნანო 30
დადვანი ანანო 30
კვარაცხელია ნონა 35
ლაშხია ეთერი 42
კალანდია მადონა 49
ბჟალავა ჟანა 50
იოსელიანი ვენერა 50
დადვანი დიანა 50
ქვარცხავა მზია 50
ქაჯაია-ქორჩილავა ნანი 50
ციმინტია-ქვარცხავა ჯულიეტა 50
ბეროშვილი ნარგიზა 50
ცანავა-ოჩიგავა ჟუჟუნა 50
ქვარცხავა მზია 53
მარგიანი-აკაბა ნაირა 54
დადვანი ლაზარე 58
ჯაჭვლიანი ანტისა 60
პაკელიანი გულო 63
გიგანი რუსუდან 75
ხალვაში ზოია 79
გელენავა მანანა 99

ოკუჯავა რევაზი 142
გვაგვალია მზია 161
სასანია სოსო 164
კვარაცხელია ნონალი 170
კვარაცხელია გია 177
ქირია ლელა 182
შამუგია თალიკო 184
ბენია გიგა 186
ლემონჯავა ხათუნა 187
ქვარცხავა-ვახანია ალიტა 191
ზაქარაია მარიკა 194
ნინუა-ჰამილტონი რუსიკო 196
ხუბუა ნონა 202
ვეკუა ნონა 221
კირთაძე მარგო 245
შელია მარო 275
მანანა ხვინგია 290
გოგოხია ინეზა 302
ცაცუა ნანა 308
დოლბაია მადონა 313



გოგლაურას მთა დალის ხეობაში



გველიან...



ჩამქრალი ოდაბადე...



აფხაზეთო ჩემო...



წიგნზე მუშაობისას...



საინტერესო ადამიანებთან...



მარგიანების ბაღში...



გელენავების სახლი ოჩამჩირეში



მარინე კაკაჩია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.



ქეთევან მარგიანი

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; არის ავტორი 90 სამეცნიერო პუბლიკაციისა და ხსოვნის წიგნისა **„დალელთა იმედი“**, თანაავტორი – წიგნებისა: 1. **გლოტალიზაცია ქართველურ ენებში**, 2. **კოდორული ქრონიკები**, 3. **ქართველური სახელები.** ჰყავს ორი შვილი – ნინო და ანანო დადვანები.



მარინა ჯღარკავა

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი. ლექციებს კითხულობს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ინტერესთა სფერო – ქართველური ზმნა.